გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

GORI STATE TEACHING UNIVERSITY

სამეცნიერო შრომების კრებული

COLLECTION OF SCIENTIFIC WORKS

№13

2021

UDC (უაკ) 378 (479.22)(066)
გ-716

წინამდებარე სამეცნიერო შრომების კრებული მოიცავს 2018 წლის 08 ივნისს ჩატარებულ სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოდგენილ სამეცნიერო ნაშრომებს, გარდა ისტორიის სექციაზე წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომებისა, რომლებიც დაიბეჭდება გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის მიერ მომზადებულ შრომების კრებულში.

The Collection consists of the scientific works presented by the academic staff at the Scientific Conference on June 8, 2018 at LEPL-Gori State Teaching University. The works presented at the history section are not included within the mentioned collection and they are going to be published by the History and Archaeology Centre at Gori State Teaching University.

სარედაქციო კოლეგია:

გიორგი სოსიაშვილი
გიორგი ხორბალაძე
ალექსანდრე მღებრიშვილი
მარიკა შერაზადიშვილი
იოსებ ალიმბარაშვილი
დავით ჩოჩიშვილი
ელდარ მამისთვალიშვილი
ვიანორ ახალაია
ჯემალ ქირია
ნელი ჭამპურიძე
თეა ხორგუაშვილი
ზურაბ ჩხიკვაძე
ივანე ბალახაშვილი
ქეთევან ბარბაქაძე
თამარ გოგოლაძე
ციური დურული
კლარა ელჩიბეგაშვილი
ზურაბ ზერაკიძე
მარიამ კობერიძე
მალხაზ ლომსაძე
ლევან მიდოდაშვილი
გიორგი ყაზიშვილი

Editorial Board:

Giorgi Sosiashvili
Giorgi Khorbaladze
Aleksandre Mghebrishvili
Marika Sherazadishvili
Ioseb Alimbarashvili
David Chochishvili
Eldar Mamistvalishvili
Vianor Akhalaia
Jemal Kiria
Neli Champuridze
Tea Khorguashvili
Zurab Chkhikvadze
Ivane Balakhashvili
Ketevan Barbakadze
Tamar Gogoladze
Tsiuri Duruli
Klara Elchibegashvili
Zurab Zerakidze
Mariam Koberidze
Malkhaz Lomsadze
Levan Midodashvili
Giorgi Kazishvili

ISSN 2233-3193

შ ი ნ ა ა რ ს ი

ლ ი ნ გ ვ ი ს ტ ი კ ა

მარიამ კობერიძე - *ზმნების წარმოების თავისებურებისათვის ანტონ ბაგრატიონის ,,წყობილსიტყვაობაში" – 7*
ნიკოლოზ ოთინაშვილი - *-ელ სუფიქსიანი და ორწევრიანი ანთროპონიმები შიდა ქართლიდან – 10*

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

ნინო ბაქრაძე - *ჩესტერტონის დეტექტიური მოთხრობების ანალიზი დეტექტივის ჟანრის პოეტიკის კონტექსტში – 14*
თამარ გოგოლაძე - *სამი სხვადასხვა პერიოდის ტექსტი ვაჟა-ფშაველას ცხოვრებასა და შემოქმედებაზე – 18*
მარინე ცერცვაძე - *ინსტიტუტი - რომანის მთავარი პერსონაჟი (ოთარ ჩხეიძის რომანი „ჩემი სავანე“) – 22*
გიორგი ხორბალაძე - *ერთი ეპოქა ერთი ქალაქის სამზერიდან (ელგუჯა თავბერიძის წიგნის - „ქარის ფრთების“ მაგალითზე) – 25*

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

ციური ბაქრაძე - *ინტერაქტიული სწავლების გამოწვევები – 30*
თინათინ იოსებიძე - *სამოდელო გაკვეთილის მიზანი ბუნებისმეტყველების სწავლებაში – 34*

ზ უ ს ტ ი დ ა ს ა ბ უ ნ ე ბ ი ს მ ე ტ ყ ვ ე ლ ო მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ე ბ ი

ნელი გოგინაშვილი - *რადიონუკლიდების მოხვედრა კვებით ჯაჭვში – 38*
ალექსანდრე იაშვილი - *ქალთა ფიზიკური აღზრდა თანამედროვე პერიოდში – 41*
გიორგი მძინარაშვილი - *მოქნილობის განვითარება არის აუცილებელი პირობა თავისუფალ ჭიდაობაში დონის ასამაღლებლად – 43*
მარიამი უბირია - *გონებაშეზღუდული 7-9 წლის მოსწავლეების მდგომარეობის შესახებ და მათი ფიზიკური აღზრდის თავისებურებანი* (რუსულ ენაზე) – *48*
პაატა ქურდაძე - *კარატეს შეტევითი მოძრაობების ბიომექანიკური საფუძვლები – 51*

ბ ი ზ ნ ე ს ი დ ა მ ა რ თ ვ ა

მაია აზმაიფარაშვილი - *ტურისტული რესურსები, როგორც რეგიონული ტურიზმის განვითარების ფაქტორი – 56*
თეა ანესაშვილი, მანია გოგიძე - *უმუშევრობის პრობლემა საქართველოში – 59*
ეკატერინე აფხაიძე - *ეკონომიკური განვითარების ზოგადი ტენდენციები – 63*
ლია ბიბილაშვილი - *ადამიანური რესურსების ეფექტიანი მართვის სტრატეგია – 66*
დავით ბიძინაშვილი - *საბანკო აუდიტის როლი ბანკის მდგრადობის და კონტროლის საქმეში – 69*
გიული გიგუაშვილი - *ახალი აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელი – 74*
ლეილა მამულაშვილი - *უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დამსაქმებლებს შორის ურთიერთკავშირის აუცილებლობა თანამედროვე ეტაპზე – 79*
თამარ ნადირაძე - *ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების თავისებურებები ბიზნესში – 83*
ნანა ნადირაძე - *ეკონომიკური თავისუფლება და კონკურენციის პოლიტიკა საქართველოში – 88*
ლალი ოსაძე, სოფიო ცეცხლაძე - *შემოსავლების უთანაბრობა და სოციალური პოლიტიკა საქართველოში – 92*
მაკა სოსანიძე - *პერსონალის მოტივაციის პრობლემები კომპანიებში – 96*
ნანული ქოქაშვილი - *ტურიზმის განვითარების პრობლემები და მათი ანალიზი საქართველოში – 100*

ხალიანა ჩიტაძე - *რეგიონების განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები საქართველოში – 104*
თეა ხორგუაშვილი, ლია ნადირაძე - *არატრადიციული მონეტარული პოლიტიკა საქართველოში და გამოყენების ტენდენციები – 108*

სოციალური მეცნიერებანი და სამართალი

ნუგზარ აბრამიშვილი - *რელიგია, როგორც მსოფლმხედველობის ფორმა – 112*
დავით გეფერიძე - *თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ზოგიერთი პრობლემის შესახებ – 115*
გიორგი გიორგაძე - *ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის შეჩერება ადმინისტრაციულ პროცესში – 119*
ლალი სრესელი - *შრომის ბაზრის სეგმენტაციის შესახებ – 123*
პაატა ქურდაძე - *მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის სოციალური პრობლემები – 127*
მარიკა შერაზადიშვილი - *ჟურნალისტის პროფესიული სტანდარტისა და სამართლებრივი სტატუსის შესახებ – 130*

CONTENTS

Linguistics

Mariam Koberidze - *PECULIARITIES OF VERBS DERIVATION IN ANTON BAGRATIONI'S ,,TSKOBILSITKVAOBA'' – 7*
Nikoloz Otinashvili – *-EL SUFFIX AND TWO MAPPER AN THE OPOMORPHS FROM SHIDA KARTLI – 10*

Literature

Nino Bakradze - *ANALYSIS OF CHESTERTON'S DETECTIVE STORIES IN THE CONTEXT OF POETICS OF DETECTIVE GENRE – 14*
Tamar Gogoladze - *THE TEXT OF THREE DIFFERENT PERIODS ABOUT VAZHA PSHAVELA'S LIFE AND CREATIVITY – 18*
Marine Tsertsvadze - *MAIN CHARACTER OF THE NOVEL (OTAR CHKHEIDZE NOVEL "MY HABITAT") – 22*
Giorgi Khorbaladze - *AN EPOCH FROM ONE TOWN`S PERSPECTIVE (ON THE EXAMPLE OF ELGUJA TAVBERIDZE BOOK "THE WINGS OF THE WIND") – 25*

Education

Tsiuri Bakradze - *INTERACTIVE LEARNING CHALLENGES – 30*
Tinatin Iosebidze - *THE GOAL OF MODEL CLASSES IN NATURAL SCIENCES – 34*

Exact and Natural Sciences

Neli Goginashvili - *INTRODUCTION OF RADIONUCLIDES INTO THE FOOD CHAIN – 38*
Aleksandre Iashvili - *WOMEN'S PHYSICAL EDUCATION IN MODERN PERIOD – 41*
Giorgi Mdzinarashvili – *DEVELOPMENT OF FLEXIBILITY IS A REQUIRED CONDITION TO ACHIEVE HIGH LEVEL IN FREESTYLE WRESTLING – 43*
Mariami Ubiria – *PECULIARITIES OF PHYSICAL DEVELOPMENT AND STATE OF MENTALLY RETARDED SCHOOLCHILDREN 7-9 YEARS* (in Russian) – *48*
Paata Kurdadze - *THE BASIS OF BIOMECHANICS BASIS IN ATTACKING MOVES OF KARATE – 51*

Business and Management

Maia Azmaiparashvili - *TOURIST RESOURCES AS A REGIONAL TOURIZM DEVELOPMENT FAQTOR – 56*
Tea Anesashvili, **Mania Gogidze** - *UNEMPLOYMENT PROBLEM IN GEORGIA – 59*
Ekaterine Apkhaidze – *GENERAL TENDENCIES OF ECONOMIC DEVELOPMENT – 63*
Lia Bibilashvili – *EFFECTIVE MANAGEMENT STRATEGY FOR HUMAN RESOURCES – 66*
Davit Bidzinashvili - *THE ROLE OF BANKING AUDIT IN THE BANK'S STABILITY CONTROL – 69*
Giuli Giguashvili - *NEW SILK ROAD ECONOMIC BELT – 74*
Leila Mamulashvili - *NECESSITY OF INTERRELATION BETWEEN HIGHER EDUCATIONAL INSTITUTIONS AND EMPLOYERS AT THE PRESENT STAGE – 79*
Tamar Nadiradze - *PECULIARITIES OF INTEGRATED MARKETING COMMUNICATIONS IN BUSINESS – 83*
Nana Nadiradze - *ECONOMIC FREEDOM AND POLICY COMPETITION IN GEORGIA – 88*
Lali Osadze, **Sophio Tsetskhladze** - *INEQUALITY OF INCOME AND SOCIAL POLICY IN GEORGIA – 92*
Maka Sosanidze - *THE PROBLEMS OF MOTIVATING STAFF IN COMPANIES – 96*
Nanuli Kokashvili - *MAIN PROBLEMS IN TOURISM DEVELOPMENT IN GEORGIA AND THEIR SOLVING WAYS – 100*
Khaliana Chitadze - *PRIORITY TRENDS IN THE DEVELOPMENT OF REGIONS IN GEORGIA – 104*
Tea Khorguashvili, **Lia Nadiradze** - *NON-TRADITIONAL MONETARY POLICY IN GEORGIA AND TRENDS OF USE – 108*

Social Sciences and Law

Nugzar Abramishvili - *RELIGION AS THE FORM OF IDEOLOGY – 112*
David Geperidze - *CONCERNING SOME OF THE PROBLEMS IN MODERN INTERNATIONAL LAW – 115*
Giorgi Giorgadze - *SUSPENSION OF INDIVIDUAL ADMINISTRATIVE-LEGAL ACT IN ADMINISTRATIVE PROCESS – 119*
Lali Sreseli - *ABOUT THE LABOR MARKET SEGMENTATION – 123*
Paata Kurdadze - *SOCIAL PROBLEMS OF STUDENTS' PROFESSIONAL ORIENTATION – 127*
Marika Sherazadishvili - *ABOUT JOURNALIST'S PROFESSIONAL STANDARD AND LEGAL STATUS – 130*

ლინგვისტიკა
Linguistics

ზმნების წარმოების თავისებურებისათვის ანტონ ბაგრატიონის „წყობილსიტყვაობაში“

მარიამ კობერიძე, პროფესორი

ანტონ ბაგრატიონის ,,წყობილსიტყვაობა" შეიცავს მრავალ ბიბლიოგრაფიულ ცნობას ძველ ქართველ მწერალთა, მთარგმნელთა, პოეტთა და, საერთოდ, ბრძენ კაცთა შესახებ. ,,ანტონს თავისი შრომა წარმოუსახავს სიმბოლურად სოლომონისეულ სიბრძნის სახლად, რომელსაც შედგმული აქვს შვიდი სვეტი და ეს შვიდი სვეტია, მისი აზრით, ძეგლის შვიდი ნაწილი: სწავლა ღვთისმეტყველებისათვის, ღვთისმშობლის, ცხოველმყოფელი ჯვარისა და წმიდათა დიდება, სასწაულნი და ნიშნი, ქართველ მოწამეთა, წარჩინებულ მეფეთა და სიბრძნის მოყვარე კაცთა ხსენება, მათი ჯეროვანი დაფასება" *(ლოლაშვილი, 1980: 15).*

,,წყობილსიტყვაობის", როგორც ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული ცნობების შემცველი თხზულების მეცნიერულ ღირებულებაზე მეტყველებს ის, რომ გამოიცა სამჯერ ცნობილ მკვლევართა გამოკვლევითა და კომენტარებით. თხზულება პირველად გამოაქვეყნა პლატონ იოსელიანმა 1853 წელს ასეთი წარწერით: ,,წყობილსიტყვაობა", ქმნილი ანტონისაგან პირველისა, კათალიკოს – პატრიარხისა ყოვლისა საქართველოისა პორტრეტითურთ თვით ანტონისა, დაბეჭდილი ქ. ტფილისს, სტამბასა შინა კავკასიის ნამესტნიკის კანცელარიისა, 1853. ბრძანებითა კავკასიის ნამესტნიკის, უგანათლებულესისა კნიაზის მიხაილ სიმონის ძის ვორონცოვისა". პლატონ იოსელიანის თქმით, ,,წყობილსიტყვაობა" დიდად სახმარია ისტორიისათვის ლიტერატურისა ანუ ქართველთა მწერლობისა" *(იოსელიანი, 1853: 318).*

ანტონ ბაგრატიონის ,,წყობილსიტყვაობა" მეორედ გამოაქვეყნა რ. ბარამიძემ 1972 წელს (გამომცემლობა ,,მეცნიერება", 208 გვერდი). ტექსტს წინ უძღვის შესავალი ,,ანტონ ბაგრატიონის ,,წყობილსიტყვაობის" ტექსტისათვის (გვ. 3-13), რომელშიც მოცემულია მოკლე ცნობები ნაწარმოების ძირითად ხელნაწერებზე, ზოგიერთი გასწორება და მათი დასაბუთების ცდა. ტექსტის რამდენიმე ჩასწორება მოცემულია 1964 წელს დაბეჭდილ რ. ბარამიძის წერილში ,,წყობილსიტყვაობის" ტექსტისათვის" *(ბარამიძე, 1964: 151-154).*

ანტონ ბაგრატიონის ,,წყობილსიტყვაობა" მესამედ გამოქვეყნდა 1980 წელს შოთა ძიძიგურის რედაქტორობით. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა. ივანე ლოლაშვილმა ფილოლოგიურ ნარკვევში - ,,წყობილსიტყვაობა", როგორც ლიტერატურულ-ისტორიულ ბიბლიოგრაფიული წყარო და მისი ტექსტის საკითხები"- მიმოიხილა ძეგლთან დაკავშირებული უმთავრესი საკითხები და დაურთო სახელთა და არქაულ სიტყვათა ლექსიკონი, კომენტარები და ვარიანტები.

ივანე ლოლაშვილმა უდიდესი შრომის ფასად მოამზადა გამოსაცემად ანტონ ბაგრატიონის ,,წყობილსიტყვაობის" კრიტიკული ტექსტი, დაამუშავა თხზულების ყველა ნუსხა, გაარკვია მათი ტექსტობრივი ღირებულება. მისი გამოკვლევა მნიშვნელოვანი წყაროა ანტონ ბაგრატიონის ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებების შესასწავლად, სანდოობის დასადგენად და ქართული იამბიკური პოეზიის ისტორიის გასათვალისწინებლად. ივანე ლოლაშვილის მიერ მომზადებული ტექსტი ადვილად გასაგებია მკითხველისათვის, წინა ორ გამოცემასთან შედარებით. თხზულებაზე დართული პირთა, გეოგრაფიული და ეთნიკური სახელების ლექსიკონი მნიშვნელოვან მასალას გვაძლევს ენათმეცნიერული კვლევისათვის (კობერიძე, 2018: 35).

მკვლევარის აზრით, ,,ანტონ პირველი კათალიკოსის (ბაგრატიონის) ,,წყობილსიტყვაობა" ყურადღებას იპყრობს ლიტერატურული და ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული თვალსაზრისით; საინტერესოა თავისი მრავალმხრივი შინაარსით, ორიგინალური კომპოზიციითა და ენობრივ-სტილისტური თუ მხატვრული თავისებურებებით; წარმოადგენს იამბიკური ლექსით დაწერილ პოეტურ ძეგლს, რომელშიც თავმოყრილია სახვთისმეტყველებო ტრაქტატები, საგალობლები, ქართველი მეფეებისა და მწერალ-მოღვაწეებისადმი მიძღვნილი სახოტბო ლექსები, ენკომიები და ეპიტაფიები. ისინი შემკობილია ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული ცნობებით, ბრძნული გამონათქვამებითა და მხატვრული სახეებით *(*ლოლაშვილი, 1980: 7*).*

,,წყობილსიტყვაობა" ა. ხახანაშვილმა ასე შეფასა: ,,ფრიად მნიშვნელოვანი ნაწარმოები, რომელიც შეიცავს უამრავ ბიბლიოგრაფიულ მონაცემს ძველი ქართული მწერლობის შესახებ" *(ხახანაშვილი, 1901: 296; 1904: 538).* მ. ჯანაშვილი წერდა: ,,პეტრიწის შესწავლა გაცხოველებული ყოფილა სკოლებსა თუ კერძო ოჯახობაში. სწორედ ამ დროს ანტონ კათალიკოზს ქება და შესხმა მიუძღვნია მისთვის თავის ,,წყობილსიტყვაობაში" და ეს თავისი თხზულება მაშინდელ სკოლებისა და სემინარიებისთვის სახელმძღვანელოდ დაუდვია საბას ლექსიკონითურთ" *(ჯანაშვილი, 1909: XVIII).* კორნელი კეკელიძე აღნიშნავდა: ,,აქ ჩვენ ბევრ ისეთ სახელს ვხვდებით, რომელთაც, როგორც მწერლებს, სხვა წყაროებიდან არ *ვიცნობთ" (კეკელიძე, 1960: 17).*

ნაწარმოების დაწერის დროის შესახებ ქართველ მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. ივანე ლოლაშვილის ვარაუდით: ანტონს 1764 - 1768 წლებში შეუთხზავს კრებულის ძირითადი ნაწილი, ,,როგორც ერთ-ერთი სახელმძღვანელო საქართველოს გამოჩენილ მეფეთა და წმინდანთა ცხოვრება-წამებისა და ქართველ მწერალ-მოღვაწეთა ლიტერატურული საქმიანობის გასაცნობად *(*ლოლაშვილი, 1980: 8,19*).*

ნაწარმოების მნიშვნელობაზე მიუთითებს ისიც, რომ ანტონის მოწაფეებმა-ტრიფილემ და გაიოზმა თხზულების დამთავრებისთანავე მოამზადეს ხელნაწერის გამოცემა: ტექსტს წაუმძღვარეს წინასიტყვა, რომელიც მთავრდება აკროსტიქული სტროფით – ანტონი სტიხობს, მოწაფე წინასიტყვაობს" (01-026), დაურთეს პინაქსი (ანუ შინაარსი) და ანდერძი **(ლოლაშვილი, 1980: 9).**

ნაწარმოები საინტერესოა ენათმეცნიერული თვალსაზრისითაც. თხზულება ამ მიმართულებით თითქმის არ არის შესწავლილი.

ანტონი ,,წყობილსიტყვაობის" ტექსტში უხვად იყენებს ზმნურ სიტყვაწარმოებას. ზმნების ახალი ლექსიკური ერთეულების წარმოქმნა ორი გზითაა შესაძლებელი: ერთი უკავშირდება სახელებს (სახელის გაზმნავება), მეორე-თვითონ ზმნის ფუძეებს.

არსებითი სახელი გადადის ზმნის თანრიგში. მაგ.:,,**შეიოფლების (←ოფლი)** ბუნებრითა შიშითა" (60); ,,განსრული **გუწუთების (←წუთი)** განუპებლად ღრუბლისა" (165); ,,**ამოციქულებს** (← მოციქული) კიდითი კიდეთადმე" (281); ,,ამაკ განაღნა დაკშულნი, ვერვინ დაკშნეს და, **დაკლიტნა (←კლიტე)** რაი" (250); ,,რომლით ქართველთა ქორწილისა ტაბლასა **იმეინაჯეს (←მეინახე)"** (488).

ზმნები ნაწარმოებია ყვავილებისა და ძვირფასი ქვების სახელებისაგან. ზოგჯერ ერთ ტაეპში ასეთი წარმოების რამდენიმე ზმნა გვხვდება. მაგ.:

1. ,,შენ ჰკასიებ, **ბალასან -კინამოებ,**
მირონ არომატ წარმოცლილ ჰნელსაცხებლებ,
ყარამფილ-ვარდებ, იაკოსტ-ყაყაჩოებ,
რტო კიპარისებ, **ია-შაშპრა-სოსანებ,**
ხოლო წალკოტებრ **მრავალ-ყვავილიერებ"** (559);

2. ,,ლუარსაბს სისხლი **ასარდიონ-ტოპაზებს,**
ანთრაკ-იასპებს, **აიაკინთ-მჭურვალებს,**
აოქრო-ქვაებს, **აბივრიტ-ანიოხებს,** ხოლო სიწმიდე **ასპეტ-ამარგარიტებს**

და სიმკნე წმიდა **ამეთვისტო-აქატებს"** (613). დასახელებულ საილუსტრაციო მაგალითში ზმნის საწარმოებლად გამოყენებულია ყველა ის ძვირფასი ქვა, რომელიც მღვდელმთავრის ფესვედის მოსართავად არის გამოყენებული ოთხრიგად: 1. სარდიონი, ჰაზიონი და სამრგდონი; 2. ანთრაკი, საფირონი და იასპი; 3. ლიგვირონი, აქატე და ამეთვისტო; 4. ოქრო-ანთრაკი, ბივრილიონი.

ივანე ლოლაშვილი ანტონის სიტყვაწარმოების ფორმებთან დაკავშირებით აღნიშნავდა: ,,ანტონი იოანე ფილოსოფოს ჰბაძავს სიტყვათა წარმოებაშიც. მე მქონდა შემთხვევა გაკვრით აღმენიშნა, რომ პეტრიწი უხვად ხმარობს სახელზმნათა ხელოვნურ ფორმებს" (ლოლაშვილი, 1980: 64; პეტრიწი, 1961: 138-146).

ავტორი ერთდროულად აზმნავებს ბიბლიურ საზოგადო და საკუთარ სახელებს. მაგ.: ,,გონება სწმიდე, აბრწყინვე ხედვა, ბრძენო გაბრიელ, რომლით ღმრთის დედის **იიოანე (←იოანე)**" (519); ,,ეგფერ შენ პროკლეს **ედიადოხე (← დიადოხე.** წმინდანი) ღირსად" (738);

საინტერესოა ღირსი მამა გრიგორ ხანძთელის დასახასიათებელი ტაეპი:

,, სფერა კეთილითა, საქმე კრძალულებათა
გრიგორის შორის **იმურგულივებს** სწორ-სივრცითი;
იანგელოსებს (←ანგელოზი) კაცი სხეულ-ნაზავი,
იაბრაჰამებს (←აბრამი) კაცი სხეულ-ნაზავი,
იაბრაჰამებს (←აბრამი) გონებასა სიწმიდით,

იისრაელებს (←ისრაელი) ღმრთისაგან რჩეულებით" (429).

სახელთა გასაზმნავებლად გამოყენებულია ტერმინები. მაგ.: ,,დაუდგრომ ბიწთა არა **აქუემდებარე←ქვემდებარე)"** (477); ,,მეტაფრას-თქმანი სათუეოთანი, დიდო **აპიიტიკე (←პიიტიკა), აშაირ-ალამაზენ (←შაირი -ლამაზი.** ერთდროულად წარმოდგენილი მსაზღვრელ-საზღვრული)" (740); ,,წრფელ-**იდოღმატეს" (←დოღმატი)**(197); ,,სიბრძნის-მოყუარებ, პიიტიკოს-**რიტორებ (←რიტორი)"** (711); ,,არსენი გალობს, **ღმრთის-მეტყველებს (←ღმრთის-მეტყველება. ფილოსოფოსი), რიტორებს (←რიტორი)**(649).

ზედსართავი სახელი გადადის ზმნის თანრიგში. მაგ.: ,,ღმრთის-მეტყველების ყოვლად ძვილ-პოვნილება **ისაჩინოვა (←საჩინო)** გიორგი კიდეთადმე" (512); **,,აშაირ-ალამაზენ (←შაირი -ლამაზი)" (711); განზრქელდა (←ზრქელი)** მისთა სისხლთაგან უბიწოთა ყრმა-ქმნილი" (170).

ნაცვალსახელი გადადის ზმნის თანრიგში. მაგ.: ,,არსებას **აიგივებს (←იგივე ←იგი+ვე)"** (396).

რიცხვითი სახელი გადადის ზმნის თანრიგში. ხშირად რიცხვითი სახელები რთული სიტყვის შემადგენელი ნაწილებია. მაგ.: ,,მარტივი სიტყუა **შეიორკეცა (←ორკეცი← ორ+ კეცი)** ამით" (164); ,,საბანელ-სასმელ მწდე ჩუენდა **ორწყაროებს (←ორი წყარო)"** (181).

ზმნიზედა გადადის ზმნის თანრიგში. მაგ.: ,,მხეცებრთა კბილთა **აბრჯგუებს (←ბრჯგუ.** გვიანი და აწყნარებს" (377).

განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება საშუალ-მოქმედებითი გვარის ზმნები მესამე პირის ფორმით. მაგ.: ,,იორდანეს რაი ნათელს -იღებდა სიტყუა; **არ-გუამოვნების** შერევნითა გუეცხადა" (13); ,,რომელსა **სძნობდის** დავით" (242); ,,ოდეს თქუა: **,,მწყურის"** (243); ,,ჯუარსა ზედაი ივსო ღმერთ-პასექი პასექს დააცხობს, პასექ **იდაკლულების"** (274);

საინტერესოა -ებ სუფიქსიანი გარდამავალი ზმნები. მაგ.: ,,ალსა ჰშრეტს მძაფრსა, პელეღოსა **აჴმელებს" (201);** ,,ურთიერთ სიკუდიდ მისვლად **აგზავებს" (204);** ,,ანიშან-**მსხვერპლნა** წმიდა მოძრავობანი" (419); ,,რამეთუ ვნებად **იტრფეს** შენთჳს" (446); ,,პირად-პირადნი **ითავმდგმულნა** გჳრგჳნნი" (216).

გვხვდება მცა, -ცა, -ყე ნაწილაკიანი ზმნები: ,, უკუეთუ ღმერთმან არა **ივნომცა** ვნება, უკუეთუ არა **იკიცხვოდამცა** სიტყუა" (61); **,,მოეთხრობის-ყე** გზა მისი ყოვლად წმიდა, რათა სიონით **იწარმოოსცა** სჯულმან" (128); ,,ერთ-სახელობით ,,ძალად" **იწოდების-ყე"(191).**

ამრიგად, საანალიზო მასალებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ანტონ კათალიკოსის ,,წყობილსიტყვაობის" სტილის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს ნასახელარი ზმნების წარმოების მრავალფეროვანი ხერხები და საშუალებები. საანალიზო მასალების კვლევა სამომავლოდ კიდევ უფრო საინტერესო მოვლენებს წარმოაჩენს.

ლიტერატურა:

ბაგრატიონი ა., წყობილსიტყვაობა, თბილისი, 1980.

ბარამიძე რ., ,,წყობილსიტყვაობის" ტექსტისათვის: ძველი ქართული მწერლობის საკითხები, II, თბილისი, 1964.

იოსელიანი პ., წინასიტყვაობა: წყობილსიტყვაობა, ქმნილი ანტონისაგან პირველისა, კათალიკოს-პატრიარხისა ყოვლისა საქართველოსა, ტფილისი, 1853.

კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბილისი, 1960.

კობერიძე მ., ივანე ლოლაშვილი - ანტონ ბაგრატიონის ,,წყობილსიტყვაობის" მკვლევარი: ჩვენი სულიერების ბალავარი, X (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), ბათუმი, 2018.

ლოლაშვილი ი., ,,წყობილსიტყვაობა", როგორც ლიტერატურულ-ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული წყარო და მისი ტექსტის საკითხები: ანტონ ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, თბილისი, 1980.

პეტრიწი ი., სათნოებათა კიბე, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა, თბილისი, 1968.

Хаханов А., Очерки грузинсой славности, Москва, 1901.

ხახანაშვილი ა., ქართული სიტყვიერების ისტორია, I, თბილისი, 1904.

ჯანაშვილი მ., ქართული მწერლობა, თბილისი, 1909.

რეზიუმე

ანტონ ბაგრატიონის ,,წყობილსიტყვაობა" შეიცავს მრავალ ბიბლიოგრაფიულ ცნობას ძველ ქართველ მწერალთა, მთარგმნელთა, პოეტთა და საერთოდ ბრძენ კაცთა შესახებ. მისი ტექსტი პირველად გამოაქვეყნა პლატონ იოსელიანმა 1853 წელს, მეორედ - რ. ბარამიძემ 1872 წელს. ტექსტი მესამედ დაიბეჭდა 1980 წელს. ნაშრომი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო პროფესორმა ივანე ლოლაშვილმა. მან პირველმა წარმოადგინა ,,წყობილსიტყვაობის" მეცნიერულ-კრიტიკულ ტექსტი. ნაწარმოების დაწერის შესახებ ქართველ მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. ივანე ლოლაშვილი მისი დაწერის სავარაუდო თარიღად მიიჩნევს 1764-1768 წლებს.

ანტონ პირველი კათალიკოსის (ბაგრატიონის) ,,წყობილსიტყვაობა" ყურადღებას იქცევს თავისი მრავალმხრივი შინაარსით, ორიგინალური კომპოზიციითა და ენობრივ-სტილისტური თუ მხატვრული თავისებურებებით. ავტორი აქტიურად იყენებს სიტყვაწარმოების თავისებურ ხერხს-სახელთა გაზმნავებას. ,,წყობილსიტყვაობაში" მრავლად გვხვდება სახელებისაგან წარმოქმნილი თავისებური ზმნები: **შეიოფლების, შეიორკეცა, ამოციქულებს, ხატობს** და სხვა. ხშირია ვნებითის ფორმებისაგან სახელთა წარმოების პროცესი.

PECULIARITIES OF VERBS DERIVATION IN ANTON BAGRATIONI'S "TSKOBILSITKVAOBA"

Mariam Koberidze, Professor

RESUME

Anton Bagrationi's,,Tskobilsitkvaoba''contains manybibliographic notifications about Georgian writers, translators, poets and generally wise men. His text was published for the first time by PlatonIoseliani in 1853, for the second time by R. Baramidze in 1872. Text was published for the third time in 1980. The work was prepared for the publishing and was attachedby research, comments and dictionary by IvaneLolashvili. IvaneLolashvili considers as theestimated date of its writing 1764-1768 years.

Anton I Catholicos's (Bagrationi's) ,,Tskobilsitkvaoba'' draws attention with its multilateral content, original composition and linguistic-stylistic or artistic features. The author is actively using a peculiar method of word-making - turn names into the verbs. In ,,Tskobilsitkvaoba'' there are many peculiar verbs derived from the names: **Sheioplebis, Sheiorketsa, Amotsikulebs, Khatobs** and others. Names deriving process is frequent from the passive forms.

-ელ სუფიქსიანი და ორწევრიანი ანთროპონიმები შიდა ქართლიდან

ნიკოლოზ ოთინაშვილი, ასისტენტ-პროფესორი

საკუთარი სახელების შემსწავლელ დარგს ანთროპონიმიკა ჰქვია, რომელიც რამდენიმე მეცნიერების შესწავლის საგანია, მათ შორის უმთავრესია ლინგვისტიკა, ეთნოლოგია, ისტორია, რომლებსაც კვლევის საკუთარი მეთოდები აქვთ.

გვარსახელები წარმოქმნილია გარკვეულ ისტორიულ ეპოქაში და მათ ქარტეხილებს გაუძლეს, ჩვენამდე მოაღწია როგორც ძველი, ისე შეცვლილი ფორმით. ქართულ გვარსახელებში გამოიყოფა ძველი და შედარებით გვიანდელი ფენა, რომლებიც ძირითადად ქრისტიანული სახელებია, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მთელმა რიგმა შემოსევებმა ირანის, თურქეთის, უფრო ადრე არაბული სამყაროს მხრიდან თავისი კვალი დაამჩნია ქართულ ლექსიკოლოგიურ სისტემას, ამ შემთხვევაში ჩვენ გვარსახელებს.

წარმოვადგენთ ანთროპონიმების ორ მოდელს შიდა ქართლიდან, ესენია გეოგრაფიული ობიექტის სახელები, რომლის ფუძეც საფუძვლად უდევს გვარებს, ეს ობიექტებია მხარე, ქალაქი, ჰიდრონიმი, წინაპრის სახელი და სხვა, რომლებიც დღესაც მოქმედებაშია.

-ელ სუფიქსიანი გვარები წარჩინებული პირების მიერ იმ პუნქტების მფლობელობას უკავშირდება, საიდანაც ისინი წარმომავლობენ. ასეთ დროს ხდება ორწევრიანი გვარსახელის წარმოქმნა და ხშირად იმდენად კანონზომიერად ვლინდება, რომ პირდაპირი ცნობების უქონლობის შემთხვევაში ძნელია დავადგინოთ რომელია პირველადი.

დიდი ლიახვის ხეობის მთელ რიგ სოფლებში ცხოვრობდნენ თავადი მაჩაბლები. ეს გვარი წარმოშობილია საკუთარი სახელიდან - მაჩაბელი, რომელიც სიმონ ჯანაშიას გამოკვლევით ნაწარმოებია ტოპონიმ აჩაბეთიდან. ეს უკანასკნელი კი წარმოქმნილია ანჩაბაძის გვარისაგან. ყოველივე ეს უნდა მომხდარიყო მეათე საუკუნეში და შემდგომ, წერს მეცნიერი (ს. ჯანაშია, შრომები, II, თბ., 1959, გვ. 478).

ორწევრიანი გვარსახელების წარმოშობას ხელს უწყობდა დიდი ოჯახების გაყრა და ახალი გვარები ძირითადად წინაპრის სახელის მიხედვით ყალიბდებოდა.

1782 წელს დათუა მაჩაბელი არზით მიმართავს მეფე ერეკლე მეორეს, რომ თავის სახლიკაცებთან გაყარონ და მამულიც გაყონ.

1785 წლის 25 თებერვალს დარეჯან დედოფლის ოქმით ბარძიმ მაჩაბელი გაყრილია თავის სახლიკაცთან და ეს უკანასკნელი უკვე ოტიაშვილ-მაჩაბელია.

როგორც ხელნაწერთა ინსტიტუტის მასალებშია დაცული, თამარაშენში თავადი ბაადურ მაჩაბელი ცხოვრობდა 1633-1683 წლებში. გაჰყრია თავის სახლიკაცებს და დიდი გაჭირვებით გამოუხსნია მამული ზემთხეში, რომელიც გიორგი სააკაძის თანამებრძოლს პაპუნა ვაშაყაშვილს ეჭირა, ხოლო შემდგომ სააკაძის შთამომავალ იორამ თარხანს. იგი როსტომ მეფემ გაათარხნა. აღსანიშნავია, რომ თვით როსტომი მფარველობდა ბაადურ მაჩაბელს და მამულებიც ბევრი უწყალობა. ბაადურის შვილები არიან: ბაინდურ, ფირან, ჴელა, ბორტი. ამ უკანასკნელიდან ჩამოყალიბდა ახალი გვარი ბორტიშვილი, რომელიც სოფელ ქურთაში აშენებს სასახლეს და იქ იწყებს ცხოვრებას. ალხაზ მაჩაბელი ცხოვრობდა მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებში. მას ჰყავდა შვილი დავით, რომელიც უკვე მაჩაბელ-ალხაზიშვილია.

მეთვრამეტე საუკუნის ცხინვალის უთარიღო დავთრის მიხედვით ძმებს დავით და გოგია ალხაზიშვილებს სოფელ ქურთაში ჰყავთ ყმები: ბასიშვილი, მელაძე, ხაბარელი, ახალკაცი. ამავე დოკუმენტში მაჩაბელი ავთანდილი უკვე ბეღელაშვილია, რომელსაც თამარაშენში აქვს მამულები და ჰყავს ყმები: ხომასურიძეები, ნადირაშვილები, მინდორაშვილები. აღნიშნული გვარები სოფელში აღარ არიან, მაგრამ ძველი საცხოვრისი სოფლის დასავლეთითაა სალოცავ „გრიგოლწმინდასთან“.

სოფელ თამარაშენში აღნიშნული დავთრის მიხედვით მოსახლეობდნენ მეტრეველები, რომელთა ნაწილი დოკუმენტში სეხნიაშვილად არის ჩაწერილი - სახელის მიხედვით. ეს უკანასკნელი გვარი გადასახლდა გორის რაიონის სოფელ ახალდაბაში. თამარაშენიდან არიან წასული გვარები - პაპუაშვილი, ნადირაძე, ჩიტიშვილი, ასევე ებრაელები: ნანიკაშვილი, ბენიაშვილი, დედიაშვილი, დანიელაშვილი, ლეკაშვილი. ეს გვარები მოსახლეობდნენ მდინარე ლიახვის მარჯვენა ნაპირზე, სადაც სავაჭროები ჰქონდათ მოწყობილი, ასევე ეწეოდნენ მიწათმოქმედებას.

მიგრაცია ძველი დროიდან ჩანს საქართველოს სინამდვილეში, ყოველივე ეს აისახა გვარსახელებშიც. მიგრაცია და იმიგრაცია არის მიზეზი, რომ იძულებით დატოვებული მშობლიურ ალაგთა სახელები ანუ სეხნია ტოპონიმები გვხვდება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. წყაროებით დასტურდება, რომ მესხეთიდან არიან ქართლში მოსულები თუხარელი, კეცხოველი, მურჯიკნელი, გოგებაშვილი, თაქთაქიშვილი, ხერხეულიძე და მრავალი სხვა.

ცალკეული საგვარეულო კოლექტივის თავგადასავალი ენის მთლიანი ისტორიის შენაკადია. ამ ასპექტით საინტერესოა ტბელთა გვარის ხანგრძლივი ისტორია ზემო ქართლში, რომელთა შესახებ ასახულია ეკლესია-მონასტრების ლაპიდარულ წარწერებში. ეს ისტორიული ძეგლებია: ტბეთი, დოდოთი, ქვასათალი, ბორცვისჯვარი, ბიეთი, ერედვი. თავდაპირველად ტაბ ძირის შესახებ უნდა ითქვას, რომ უძველესი ჰიდრონიმული ტერმინის ძირია. ტბეთი ტბებიან ადგილად არის მოაზრებული. ვახუშტი აღნიშნავს „ტბეთმა მოიგო სახელი მუნ მყოფთა მცირედთა და მრავალთა ტბათაგან“. აკაკი შანიძის მიხედვით ტბეთის უძველესი ფორმაა - ტბევი. ძველი ფორმა შენარჩუნებულია ფორმაში მტბევარი. ტბეთი გავრცელებული ტოპონიმია საქართველოში, გვხვდება შიდა ქართლშიც ზემო და ქვემო ტბეთი. ეს ადგილები მდებარეობს ცხინვალის დასავლეთით და ე.წ. ტბეთური მამულები ვრცელ ტერიტორიას მოიცავს, მხარეში ბევრი სიძველეა და ზემოდასახელებულ ძეგლებზე არსებული წარწერები ბევრს გვპირდება ონომასტიკური თვალსაზრისით.

ერედვის წმ. გიორგის 906 წლის ასომთავრული წარწერა მოვითხრობს: „ხელმწიფობასა ღმრთივდამყარებულისა წმიდისა კონსტანტინე მეფისასა... მეორედ კუალა ავად ვეჯინის ციხე დალეწა, ქართლსა შინა უფლობასა ტბელისა ივანესა“...

ტბეთის ჩრდილოეთით სამი კილომეტრის დაცილებითაა დოდოთის ცხრაკარის ეკლესიის წარწერა, რომელიც დაახლოებით ამავე პერიოდისაა: „სახელითა ღმრთისაჲთა ივანე ერისთავმან ტბელმან აღაშენა ესე წმიდაი ეკლესიაი“...

წარწერებში მთავარი ის არის, რომ ეს გრანდიოზული მშენებლობა ტბეთში და მის გარშემო ხდება და ქართლის გამგებლები აქ ინიშნებიან. აქ მეფე კონსტანტინე გამგებელია, ხოლო მხარის ფლობა ივანე ტბელს აკისრია. კონსტანტინეს შემდგომ ქართლს მისი ძმა ლეონი განაგებს. „მატიანე ქართლისა“ აღნიშნავს: „ლეონ იყო ერისთავად ქართლისა“.

წორბისის ეკლესიის წარწერა მოგვითხრობს, რომ 880 წელს „სახლეითა ღმრთისაითა ესე კონქი შექმნა ივანე ერისთავმან, სალოცველად მათდა“.

ივანე, როგორც ისტორიული პიროვნება, უნდა მივაკუთვნოთ ტბელების საგვარეულოს.

საინტერესოა ბიეთის სამების ეკლესიის წარწერა „ქრისტე მეუფეო ყოველთაო ადიდე ერისთავთ-ერითავი იოანე ძე ბაკურ ყანჩაელისა“, რომელიც შიდა ქართლის ერისთავად არის მეათე საუკუნეში. ტიტული ერისთავთ-ერისთავი ჩნდება ტაო-კლარჯეთში და მას ატარებდნენ მხოლოდ ბაგრატიონები. ჩანს, რომ აფხაზთა და ქართველთა მეფის ბაგრატ მესამის დროიდან ჩნდებიან არა ბაგრატიონი ერისთავები. ტიტული ერისთავთ-ერისთავი ქართლისა შემოიღო მეფე ბაგრატმა მას შემდეგ, რაც 980 წელს მას შეებრძოლნენ ქართლის აზნაურები ლებეკურის მთაზე სოფელ მოღრისთან და ქართლში არ უშვებდნენ. ეს ბრძოლა ბაგრატის გამარჯვებით დამთავრდა და მან დამარცხებულები არ შეიწყნარა, ერისთავობა ყანჩაელებს მისცა.

შემდგომ ამისა, ტბელთა გვარი დაემცრო და ზემოხსენებული მამულები სხვადასხვა ფეოდალურ გვარს ეკუთვნოდა. აქ აღსანიშნავია ფავნელთა გვარი, რომელთა შესახებაც ასევე ბევრი ისტორიული წყარო მოგვითხრობს.

ქართული სამართლის ძეგლების“ მესამე ტომში (გამომცემელი ისიდორე დოლიძე) მოთავსებულია „წიგნ-წერილი“ კათალიკოზ ანტონ პირველისა ფავლენიშვილებისადმი ნიქოზის ეკლესიის შესახებ:

„ჩვენ დიაღ კარგად ვიცით, რომ თქვენ დიდის გვარისაგან ხართ გამოსულნი, მხარგრძელნი სანაინიდამ ფავნისს მოსულნი და ფავნისიდამ მან ერედვს გასულნი და დასახლებულნი და სასაფლაოდ მოგცემიათ ნიქოზის ეკლესია ან ნიქოზის ეკლესიის ყმათ თქვენი რა სდებიათ“.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ და ლაპიდარული წარწერებიც მოწმობენ, ხსენებული რეგიონის ვრცელი ადგილები მდინარე დიდი ლიახვის ორივე მხარეს ტბელების შემდგომ კი მათ განაყარ სახლიკაცებს ტბელ-აბაზაძეებს ეკუთვნოდათ. შემდგომ ამისა წყაროების მიხედვით ისტორიის ასპარეზზე ფავნელ-ფავნელაშვილები გამოდიან. ისინი ეუფლებიან ნიქოზის, ერედვის, ტბეთის მამულებს, ეკლესია-მონასტერებს, საცხოვრებელი საცხლები ჰქონდათ ნიქოზში და ერედვში.

ზემოხსენებული პრაქტიკა გეოგრაფიული ობიექტების ჩართვაზე გვარსახელში არა მარტო წარჩინებული გვარების შესახებ არის კანონზომიერი, არამედ მას დაბალ ფენებშიც ვხვდებით. 1774-1781 წლების ქსნის ხეობის სტატისტიკურ აღწერებში ასეთი მაგალითები ბევრია. მაგალითად მეჯუდის ხეობის მცხოვრებნი ამ დროისათვის ძირითადად მთისა და ბარის შესაყარზე სოფელ მეჯვრისხევში ცდილობენ დამკვიდრებას. აღწერებში სოფელ ბიყრიდან გვხვდება როგორც -ელ სუფიქსით ნაწარმოები გვარსახელები, ისე ორწევრიანი:

ბიყრელი ბეგის შვილი გოგია
ბიყრელი ჯიხვის შვილი ბერუა
ბიყრელი ხუტურას შვილი პაპუნა და ღვინია
ქოლოთელი ხარხელი ლეკვია და ბერუა
ქოლოთელი კეკლელაშვილი მანძულა
წოლდელი ჩიტას შვილი ქიტესა
წოლდელი ხადელი ივანე
ისროლისხეველი ციცაგი ბასილა

ასევე გვარის ფუნქცია აქვთ გეოგრაფიული ობიექტების მიხედვით წარმოებულ გვარებს: ივრეთელი, ბენდერელა, შველიეთელი, გავაზელი, ქარჩოხელი, თიანელი, კილდელი, საძეგურელი და სხვა.

ლიტერატურა:
1. ლაპიდარული წარწერები I (V-XII) შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980.
2. ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედაქციით, ტ. VII, 1982, ტ. VIII, 1985.
3. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ფონდი, Hd, №944.
4. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან (XV-XVIII სს), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1940.
5. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, წიგნი I, თბ., 1967.
6. რ. თოფჩიშვილი, სახელების ეთნოლოგია და ისტორია, თბ., 2010.
7. ს. ჯანაშია, შრომები, II, თბ., 1959.

რეზიუმე

გვარსახელები წარმოქმნილია გარკვეულ ისტორიულ ეპოქაში, მათ ჩვენამდე მოაღწიეს, როგორც ძველი, ისე შეცვლილი ფორმით.

-ელ სუფიქსიანი გვარები იმ პუნქტების მფლობელობას უკავშირდება, საიდანაც ისინი წარმომავლობენ. ასეთ დროს ხდება ორწევრიანი გვარსახელების წარმოქმნა და ხშირად ძნელდება იმისი გარკვევა, თუ რომელია პირველადი.

ორწევრიანი გვარსახელების წარმოშობას ხელს უწყობდა დიდი ოჯახების გაყრა და ახალი გვარების წარმოქმნა წინაპრის სახელის მიხედვით ყალიბდებოდა.

XVII საუკუნეში სოფელ თამარაშენში ცხოვრობდა თავადი ბაადურ მაჩაბელი, რომელსაც ჰყავდა შვილი ბორტი, ამ სახელიდან ჩამოყალიბდა ახალი გვარი ბორტიშვილი.

ალხაზ მაჩაბელიდან ჩამოყალიბდა ახალი გვარი ალხაზიშვილი. სოფელ დისევში მცხოვრები თუხარელი მოსულია ისტორიული პროვინცია თუხარისიდან, ტყვიაველი კეცხოველი - სოფელ კეჩხობიდან, მურჯიკნელი - ჯავახეთის სოფელ მურჯახეთიდან, ტბელი - ტბეთიდან და სხვა.

გეოგრაფიული ობიექტებიდან წარმოშობილი ანთროპონიმები გვხვდება დაბალ ფენებშიც. 1774-1781 წლების ქსნის ხეობის სტატისტიკური აღწერის მიხედვით ასეთი მაგალითები საკმაოდაა. სოფელ მეჯვრისხევში ამ დოკუმენტების მიხედვით გვხვდება:

ბიყრელი ბეგისშვილი გოგია

ქოლოთელი ხარხელი ბერუა

წოლდელი ჩიტასშვილი მანძულა და სხვები.

ასეთი ფაქტების გამოვლენა დღეს საჭიროა და ისინი მიმოქცევაში უნდა მოხვდეს.

-EL SUFFIX AND TWO MAPPER AN THE OPOMORPHS FROM SHIDA KARTLI

Nikoloz Otinashvili, Assistant Professor

RESUME

Family names have peen created in a certain historical era, they have reached us, as old and changed form –el suffixes are related to ownership of the numbers from which they originate. In such a time, two member’s gvarsakhelebi are formed and it is often difficult to find out which one is primary.

Two member’s family names’ origin was promoted by the divorce of large families and the creation of new surnames was formed according to the name of the ancestor. In the XVII century, Lord Baadur Machabeli lived in the village of Tamarasheni, who had a son Bort, a new surname Bortishvili was formed from this name. A new surname Alkhazishvili was formed from Alkhaz Machabeli. Tukhareli living in Disevi village has come from the historical province Tukharisi, Tkhviaveli Ketskhoveli from village Keckhobi, Murjikneli from Javakheti village Murjakheti, Tbeli from Tbeti and etc.

ლიტერატურა
Literature

ჩესტერტონის დეტექტიური მოთხრობების ანალიზი დეტექტივის ჟანრის პოეტიკის კონტექსტში

***ნინო ბაქრაძე**, ასოცირებული პროფესორი*

ლიტერატურის ისტორიაში ზუსტად არის განსაზღვრული დეტექტიური ლიტერატურის წარმოშობის დრო. ეს მოვლენა უკავშირდება ედგარ ალან პოს შემოქმედებას, კერძოდ, მის ნოველას „მკვლელობა მორგის ქუჩაზე“ (1841), რომელშიც თავი მოიყარა დეტექტიური მხატვრული ლიტერატურისათვის დამახასიათებელმა ნიშნებმა, რაც საფუძვლად დაედო დეტექტივის პოეტიკის კანონებს.

თუკი განვაზოგადებთ, დეტექტივი ორი პოლუსის შემცველია, დადებითისა და უარყოფითის, კეთილისა და ბოროტის, რომელთა ჭიდილი და დაპირისპირება სიკეთის გამარჯვებით სრულდება. დეტექტივში მთავარი სიუჟეტური ხაზის განვითარება სამ პერსონაჟს უკავშირდება: დამნაშავე, მსხვერპლი / დაზარალებული და გამომძიებელი. დამნაშავისა და მსხვერპლის კონფლიქტში ბოროტება ზეიმობს, ხოლო დამნაშავისა და გამომძიებლის დაპირისპირებაში სიკეთე იმარჯვებს. დეტექტივ-გამომძიებლის სოციალური სტატუსი შეიძლება იყოს ნებისმიერი დაწყებული პოლიციელით და დამთავრებული მღვდლით. ნაწარმოების ყველა სიუჟეტურ ხაზს ცენტრისკენული მიმართულება გააჩნია. ფინალში მთავარი და შენაკადი სიუჟეტები ერთად იყრის თავს. ძიების მეთოდების გათვალისწინებით, დეტექტიური ლიტერატურა არის სამეცნიერო ან ინტუიტიური. ამ ტიპის დეტექტივი, განსხვავებით „სამეცნიერო დეტექტივისაგან“, დანაშაულის გახსნის პროცესში ეფუძნება გამომძიებლის მხრიდან დამნაშავის ფსიქიკაში ინტუიტიური შეღწევის ხერხს, ლოგიკური ანალიზის საოცარ შესაძლებლობებს და ნაკლებად ნივთმტკიცებების მოძიებისა და შესწავლის გზას, რასაც სამეცნიერო დეტექტივი მიმართავს.

ეს არის მოკლედ ის წესები, რასაც დეტექტივის ავტორი ითვალისწინებს. ნაშრომის მიზანია, ამ ნიშნების შესაბამისად გააანალიზოს ინგლისელი მწერლის გილბერტ კით ჩესტერტონის დეტექტიური მოთხრობები.

გ. კ. ჩესტერტონმა სიცოცხლეშივე მოიხვეჭა მწერლის სახელი. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მისმა დეტექტიურმა მოთხრობებმა მამა ბრაუნზე და მთავარმა პერსონაჟმაც იმთავითვე ღირსეული მეტოქეობა გაუწია დეტექტიური ჟანრის სხვა ცნობილ გმირებს, როგორებიცაა: შერლოკ ჰოლმსი, ერკიულ პუარო, მეგრე და ა.შ.

„მოთხრობები მამა ბრაუნზე“ 1911-1935 წლებში იქმნებოდა, შეადგინა 5 ტომი, რომელიც 51 მოთხრობას მოიცავს. აღნიშნული ნოველების კრებულს ქართველი მკითხველი 2013 წელს გაეცნო. მანამდე ქართულ პერიოდიკაში მხოლოდ რამდენიმე ცალკეული მოთხრობა გამოქვეყნდა. ქართულ თარგმანში წარმოდგენილია პირველი 4 ტომის 14 მოთხრობა.

„მოთხრობები მამა ბრაუნზე“ აერთიანებს ერთმანეთისგან შინაარსობრივად სრულიად დამოუკიდებელ ნოველებს. მათ ერთმანეთთან აკავშირებს მთავრი გმირი - მამა ბრაუნი. ამიტომ, მოთხრობების წყობა, თანმიმდევრობა არანაირ როლს არ თამაშობს მთლიანი ნაწარმოების აღქმაში.

ჩესტერტონის მოთხრობები ინტუიტიური დეტექტივის ტიპს მიეკუთვნება და ამას თავად მთავარი გმირის მუშაობის მეთოდი განსაზღვრავს. იგი დანაშაულებებს მხოლოდ საკუთარი ინტუიციისა და ინტელექტის დახმარებით ხსნის. „მთელი ცხოვრება სიმართლის შეცნობის ინტელექტუალური ჟინი დაატარებდა“ (1, 315), წერს თავის გმირზე ავტორი. მამა ბრაუნს დანაშაული ხელოვნების სხვა ნიმუშების რანგში აჰყავს, დამნაშავეს შემოქმედად წარმოგვიდგენს, მაძებარს კი - კრიტიკოსად.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ენაზე არ გვაქვს წიგნის სრული თარგმანი, მოცემული 14 მოთხრობაც კარგ წარმოდგენას იძლევა მთავარი პერსონაჟის გარეგნული აღწერილობის, ხასიათის თვისებების, გონებრივი შესაძლებლობებისა თუ მორალურ-ზენობრივი ღირებულებების შესახებ. ყველაფერი მაინც პერსონაჟის პორტრეტით იწყება. ავტორი ყოველ ჯერზე, ყოველ მოთხრობაში თავიდან გვაცნობს მამა ბრაუნს. ეს იყო ჩია სოფლელი მღვდელი მუქი ყავისფერი, უშნოდ გაკრეჭილი თმით, მთვარესავით მრგვალი, ჭკვიანური სახით, მონაცრისფერო თვალებითა და კეთილი ხმით. მწერალი

გვამცნობს, რომ იგი ვერ დაიკვეხნიდა გარეგნობით და სამოსიც გვარიანად შელანძღული ეცვა. იყო გულკეთილი და თავმდაბალი, საამოდ მოსაუბრე, მაგრამ ზოგჯერ სიტყვაძუნწი. ამ აღწერილობას ასრულებს მისი დიდი, მრგვალი ქუდი, ძველი, შავი „სასაცილო ქოლგა“ და განსაკუთრებული სიარულის მანერა - ფეხმარდი ცუხცუხი.

პასტორი მოყვარული გამომძიებელია. დეტექტიური ჟანრის აუცილებელი მოთხოვნა არ არის, რომ გამომძიებელი იყოს პოლიციელი ან კერძო დეტექტივი, რომლის საქმიანობასაც მხოლოდ საიდუმლოებით მოცული ამბების გამოძიება შეადგენს. პირველად მოყვარული დეტექტივის სახის შექმნა კვლავ ე.ა. პოს უკავშირდება.

ჩესტერტონის გმირის ძირითადი საქმიანობის შესახებ სათაურშივე ხდება ცნობილი, იგი მღვდელია. მოთხრობაში „არარსებული ბატონი ვარდა“ მოიხსენიება ის ადგილი - სკარბორო, სადაც მამა ბრაუნი, როგორც მღვდელი, ცხოვრობს და მოღვაწეობს. მოთხრობა „მამა ბრაუნის მკვდრეთით აღდგომა“ იმასაც გვაუწყებს, რომ ბრაუნი, როგორც გამორჩეული მოღვაწე, მისიონერად და ეკლესიის წინამძღვრად მიავლინეს სამხრეთ ამერიკაში. სახელი შორს გაითქვა და სიცოცხლეშივე მოიპოვა საყოველთაო სიყვარული. „არაერთი თბილი და დაჟინებული თხოვნა მიიღო, შტატებს სწვეოდა ლექციების წასაკითხად. [...] მალევე შეითხზა მოთხრობების სერიები მის შესახებ სწორედ შერლოკ ჰოლმსის ისტორიების სტილში და ამ ამბების გმირს, უკვე ბევრი ადამიანი სთხოვდა დახმარებასა თუ მხარდაჭერას“ (1, 312). მამა ბრაუნის ნახვისა და მისი ავტოგრაფის მიღების უამრავი მსურველი მოაწყდა მღვდლის საცხოვრებელს. ღვთის გზაზე, მართალ გზაზე შემდგარი მამა ბრაუნი საშინელ დანაშაულებებშიც სიმართლეს ეძებს. ცნობისმოყვარეობა და უმცირეს წვრილმანებამდე ჩაღწევის სურვილი არ ასვენებს. ადამიანების შავ-ბნელ საქმეებზე რომ ბევრი იცის, ეს მისი საქმიანობის დამსახურებაა. „მოდიან და ათას რამეს გიყვებიან... [...] როცა ამდენ ცოდვას და უბედურებას აწყდები ყოველ ფეხის ნაბიჯზე, ძალაუნებურად შენც უამრავ რამეს სწავლობ!“ (1, 37) - ამბობს იგი. როცა დანაშაული გამოააშკარავა და ცნობილი დამნაშავე ფლამბო გააცურა მღვდელმა, ვისგანაც ამას დამნაშავე არ ელოდა, მამა ბრაუნმა მას მიმართა: „არასოდეს გიფიქრიათ, რომ ადამიანს, ვინც დღენიადაგ სხვათა ცოდვებს ისმენს, ამქვეყნიური ბოროტებებისა შეიძლება თქვენზე მეტიც გაეგებოდეს?“ (1, 39).

მამა ბრაუნის ინტელექტისა და ინტუიციის შესაძლებლობების შესანიშნავი დემონსტრირებაა მოთხრობა „ისრაელ გაუს ღირსება“, სადაც სამი დეტექტივი ცდილობს ამოხსნას გრენგაილის ციხე-დარბაზის უკანასკნელი მფლობელის გარდაცვალებისა თუ მკვლელობის ამბავი. ნივთმტკიცებულებად წარმოდგენილია ოცდახუთი სანთელი შანდლების გარეშე, ბურნუთი, ძვირფასი თვლები, პატარ-პატარა ზამბარები და ჭანჭკები. თითქოს ამ ნივთებს ერთმანეთთან კავშირი არ აქვს, მაგრამ მამა ბრაუნი აანალიზებს რა მათ, ავლენს უსაზღვრო ფანტაზიასა და წარმოსახვის უნარს და აყალიბებს დანაშაულის ჩადენის ვერსიას, თანაც სამს, თუმცა დასძენს, სიმართლე, ცხადია, ბევრად უფრო მარტივი იქნებაო და ბოლოს ასეც აღმოჩნდება.

ინტუიტიური დეტექტივის კლასიკური ნიმუშია მოთხრობა „ძაღლის სამისნო“. მდიდარი მემკვიდრეობის ხელში ჩასაგდებად მომხდარ მკვლელობას მამა ბრაუნი დისტანციაზე იძიებს. ის ერთხელაც არ მიდის დანაშაულის ადგილზე, არ ეძებს ნივთმტკიცებებს, არ აწარმოებს გამოკითხვებს, მაგრამ მკვლელობის საიდუმლოს წარმატებით ხსნის. ამისთვის მას დასჭირდა საუბარი ერთ ადამიანთან, რომელიც არ იყო მომხდარის თვითმხილველი, თუმცა აღწერა მთელი რიგი გარემოებები, ადამიანები და მათი ქცევა როგორც მკვლელობამდე, ისე მის შემდეგ და ლოგიკური დასკვნებით მივიდა დანაშაულის გახსნამდე.

თავისი ინტუიციითა და გონიერებით მამა ბრაუნი კიდევ უფრო გაგვაოცებს, როცა ისტორიულ წარსულში მომხდარ დანაშაულს ახდის ფარდას. მოთხრობა „გატეხილი ხმლის ნიშანი“ ინგლისის მიერ ბრაზილიის კოლონიზაციის ეპოქაში გვაბრუნებს და კამპანიის მთავარ პერსონას - სერ არტურ სენკლერს წარმოგვიდგენს, რომელსაც მთელ ინგლისში დიდ პატივს მიაგებენ. თუმცა მამა ბრაუნისთვის ცნობილი ხდება ეროვნული გმირის მიერ ჩადენილი საშინელი დანაშაულის შესახებ, რომელიც ანგარების მიზნით მოღალატურად შეეკრა ბრაზილიელებს და როცა ერთ-ერთმა ქვეშევრდომმა მაიორმა მიურეიმ მას ამის გამო პასუხი მოსთხოვა, სენკლერმა იგი მოკლა და მასზე რომ ეჭვი არ მიეტანათ, ერთი გვამის დასამალად გადაწყვიტა, გვამების გროვა დაეყენებინა. სიკვდილისთვის გაიმეტა რვაათასი ინგლისელი, რომელთაც იმთავითვე დასამარცხებლად განწირული ბრძოლისკენ გაუძღვა. ბრძოლას გადარჩენილმა ორმოცდაათმა ჯარისკაცმა გამოუტანა განაჩენი გენერალს და ჩამოახრჩო. მერე კი მებრძოლებმა ფიცი დადეს, რომ გენერლის მხრიდან ღალატისა და მკვლელობის ამბავს საიდუმლოდ შეინახავდნენ და არ შებღალავდნენ ინგლისის სახელს. მამა ბრაუნი რამდენიმე ათეული წლის წინ მომხდარ ამბებს აცოცხლებს. ხელთ აქვს გენერლის ერთ-ერთი თანამებრძოლის ჩანაწერები. ავტორი ჩვეულებრივ სიტყვაუხვია, თუმცა

შეგნებულად არაფერს წერს იმ საბედისწერო დღესა და ინგლისელთა უცნაური მარცხის მიზეზებზე. სწორედ ეს ხდება მამა ბრაუნის ინტერესის საგანი და ლოგიკური მსჯელობით ისე ცხადად აღწერს განვითარებულ მოვლენებს, თითქოს თვითმხილველი ყოფილიყოს.

დეტექტიური ისტორია, თუ საქმე მკვლელობას ეხება, გულისხმობს სამ აუცილებელ პერსონაჟს - დამნაშავეს, მსხვერპლსა და დეტექტივ-გამომძიებელს. სადაც ადგილი აქვს თაღლითობას ან ქურდობას, მაშინ მსხვერპლის ნაცვლად სახეზეა დაზარალებული, თუმცა განსაკუთრებულ დატვირთვას მაინც დამნაშავისა და გამომძიებლის ფიგურები იძენს. გამომძიებელი ჩესტერტონის მოთხრობებში მღვდელია და მის უნარებზე ზევით უკვე იყო საუბარი, მაგრამ სწორედაც ის გარემოება, რომ დეტექტივი მღვდელია, განსაზღვრავს მის დამოკიდებულებას დანაშაულისა და დამნაშავის მიმართ. დამოკიდებულება კი თვალშისაცემად ლმობიერია, რაც განასხვავებს მას პოლიციელის ან კერძო დეტექტივისგან. გამომძიებელ ბრაუნის მოქმედების სტილია დამნაშავეზე ფსიქოლოგიური ზემოქმედება, როცა ის კვლავ მქადაგებელ მღვდლად იქცევა ხოლმე და ქრისტიანული დოქტრინიდან გამომდინარე დამნაშავეს სწორი საქციელისკენ მოუწოდებს. აღსანიშნია, რომ მისი მცდელობა ყოველთვის შედეგიანია. მისთვის, როგორც გამომძიებლისთვის, მთავარია სიმართლის დადგენა. არ ჯავრობს იმაზე, დაისჯება თუ არა დამნაშავე. რიგ შემთხვევებში არც კი ამხელს დანაშაულის ჩამდენს და გაქცევის საშუალებას აძლევს მას შემდეგ, რაც დამნაშავე უკან აბრუნებს მოპარულ ნივთებს („უცნაური ნაბიჯები“, „მფრინავი ვარსკვლავები“, „ორწვერა კაცი“). მამა ბრაუნი არც გენერალ სენკლერის საიდუმლოს გაასაჯაროებს და დუმილს არჩევს, რადგან მისი ღალატის, ანგარებისა და ეგოიზმის გამოაშკარავება, პირველ რიგში სახელმწიფოსთვის იქნება ზიანის მომტანი. დიდ ემოციურ ტრავმას მიაყენებს და იმედგაცრუებას განაცდევინებდა თანამემამულეებს, რომელთა წარმოდგენითაც სენკლერი გმირია. მამა ბრაუნი საყოველთაო პატივისცემას იწვევს არა მარტო კანონმორჩილი მოქალაქეების, არამედ დამნაშავეების მხრიდანაც.

გამომძიებელთან ერთად მნიშვნელოვანი და საინტერესოა დამნაშავის პერსონაჟი. ჩვენ მიერ განხილულ რამდენიმე მოთხრობაში დამნაშავე არის წარმოშობით გასკონელი და ევროპაში ცნობილი კრიმინალი - ფლამბო - ძალიან ჭკვიანი და მოხერხებული ადამიანი. მამა ბრაუნის სწორხაზოვანი პერსონაჟისგან სრულიად განსხვავდება ფლამბო. მკითხველი მომსწრეა მისი მენტალური ტრანსფორმაციის. დასაწყისში იგი პირწავარდნილი თაღლითია. შემდეგ კი გვევლინება მამა ბრაუნის მეგობრად და გამომძიებლად. წარსულში „დამნაშავეთა სამყაროს მეფე“ და „ბოროტმოქმედების გენია“ ახლა უკვე თვითონ იძიებს დანაშაულებს. როგორც ჩანს, მამა ბრაუნის შეგონებებმა შედეგი გამოიღო და ფლამბომ კრიმინალურ ცხოვრებას თავი დაანება. უფრო მეტიც, ხდება მისი მეგობარი და რამდენიმე საქმეს ერთადაც კი ხსნიან. მათ თანამშრომლობაზე მოგვითხრობს შემდეგი ნოველები: „ისრაელ გაუს ღირსება“, „თავად სარიდანის ცოდვები“, „გატეხილი ხმლის ნიშანი“.

სიუჟეტის განვითარების მხრივ, ჩესტერტონის მოთხრობები იმეორებს დეტექტიური ჟანრისთვის დამახასიათებელ სქემას, როცა ყველა სიუჟეტური ხაზი თავს იყრის კულმინაციურ მომენტში და დანაშაულის გახსნას ემსახურება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ შენაკადი სიუჟეტებით არ არის დატვირთული ეს მოთხრობები, სავარაუდოდ, ფორმატის გამო, რადგან საქმე მოთხრობას ეხება და არა რომანს.

გ. კ. ჩესტერტონის დეტექტიურმა მოთხრობებმა გამოქვეყნებისთანავე გამოიწვია დიდი ინტერესი მკითხველთა შორის და ცნობილი დეტექტიური ნაწარმოებების გვერდით დაიმკვიდრა ადგილი. ნოველები სრულიად აკმაყოფილებს აღნიშნული ჟანრის პოეტიკის მოთხოვნებს, თუმცა რაც ამ კრებულს განსაკუთრებულ, განსხვავებულ შტრიხებს სძენს, არის მთავარი პერსონაჟის - მამა ბრაუნის - სახე, რომელიც რელიგიური საქმიანობიდან გამომდინარე საკუთარ სამოქმედო წესებს ადგენს დანაშაულისა და დამნაშავის მიმართ დამოკიდებულებაში. ის არ მოქმედებს როგორც პოლიციელი, რომლისთვისაც დამნაშავე და სასჯელი განუყოფელია. მორალურ-რელიგიური პრინციპების გათვალისწინებით მას დასაშვებად მიაჩნია ზოგჯერ დაფაროს დანაშაული, ზოგჯერ - დამნაშავე და ზოგჯერ მის დაუსჯელობასაც კი შეეგუოს.

ლიტერატურა:

1. ჩესტერტონი გ. კ., *მოთხრობები მამა ბრაუნზე,* თბ., 2013.
2. Адамов А., *Мой любимый жанр – Детектив,* М., 1980.
3. Вулис А., *Поэтика детектива,* Новый мир, 1978, №1.
4. Грамши А., *О детективном романе,* в кн.: *Избранныепроизведения,* т. 3, М., 1959.
5. *Литературная энциклопедия терминов и понятий,* М., 2003.

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია გილბერტ კით ჩესტერტონის დეტექტიური მოთხრობები დეტექტივის ჟანრის კანონებთან მიმართებაში. აღნიშნულ ჟანრს საკუთარი მახასიათებლები აქვს: სამი აუცილებელი პერსონაჟი - დამნაშავე, მსხვერპლი/დაზარალებული და გამომძიებელი. დეტექტივ-გამომძიებლი შეიძლება იყოს პოლიციელი ან მოყვარული მეძებარი, ნაწარმოების ყველა სიუჟეტურ ხაზს ცენტრისკენული მიმართულება გააჩნია და ფინალში ერთად იყრის თავს. დეტექტიური ლიტერატურა არის სამეცნიერო ან ინტუიტიური.

ჩესტერტონის მოთხრობები ინტუიტიური დეტექტივის ტიპს მიეკუთვნება. მოყვარული გამომძიებელი მამა ბრაუნი დანაშაულებებს მხოლოდ საკუთარი ინტუიციისა და ინტელექტის დახმარებით ხსნის. ის გარემოება, რომ დეტექტივი მღვდელია, განსაზღვრავს მის დამოკიდებულებას დანაშაულისა და დამნაშავის მიმართ. დამოკიდებულება თვალშისაცემად ლმობიერია, რაც განასხვავებს მას პოლიციელის ან კერძო დეტექტივისგან. გამომძიებელ ბრაუნის მოქმედების სტილია დამნაშავეზე ფსიქოლოგიური ზემოქმედება, მაშინ ის კვლავ მქადაგებელ მღვდლად იქცევა ხოლმე და ქრისტიანული დოქტრინიდან გამომდინარე დამნაშავეს სწორი საქციელისკენ მოუწოდებს. მისთვის მთავარია სიმართლის დადგენა. არ ჯავრობს იმაზე, დაისჯება თუ არა დამნაშავე.

ცალკე აღნიშვნის ღირსია დამნაშავის პერსონაჟი - ფლამბო. მკითხველი მომსწრეა მისი მენტალური ტრანსფორმაციის. დასაწყისში იგი პირწავარდნილი თაღლითია. შემდეგ კი გვევლინება მამა ბრაუნის მეგობრად და გამომძიებლად, რადგან მამა ბრაუნის შეგონებებმა შედეგი გამოიღო და ფლამბომ კრიმინალურ ცხოვრებას თავი დაანება.

სიუჟეტის განვითარების მხრივ, ჩესტერტონის მოთხრობები იმეორებს დეტექტიური ჟანრისთვის დამახასიათებელ სქემას, როცა ყველა სიუჟეტური ხაზი თავს იყრის კულმინაციურ მომენტში და დანაშაულის გახსნას ემსახურება. თუმცა შენაკადი სიუჟეტებით არ არის დატვირთული ეს მოთხრობები, სავარაუდოდ, ფორმატის გამო, რადგან საქმე მოთხრობას ეხება და არა რომანს.

გ. კ. ჩესტერტონის დეტექტიური ნოველები სრულიად აკმაყოფილებს აღნიშნული ჟანრის პოეტიკის მოთხოვნებს, რაც მათ განსაკუთრებულ, განსხვავებულ შტრიხებს სძენს, არის მთავარი პერსონაჟის - მამა ბრაუნის სახე, რომელიც რელიგიური საქმიანობიდან გამომდინარე საკუთარ სამოქმედო წესებს ადგენს დანაშაულისა და დამნაშავის მიმართ დამოკიდებულებაში. ის არ მოქმედებს როგორც პოლიციელი, რომლისთვისაც დამნაშავე და სასჯელი განუყოფელია. მორალურ-რელიგიური პრინციპების გათვალისწინებით მას დასაშვებად მიაჩნია ზოგჯერ დაფაროს დანაშაული, ზოგჯერ - დამნაშავე და ზოგჯერ მის დაუსჯელობასაც კი შეეგუოს.

ANALYSIS OF CHESTERTON'S DETECTIVE STORIES IN THE CONTEXT OF POETICS OF DETECTIVE GENRE

Nino Bakradze, Associate Professor

RESUME

The work deals with Gilbert Kate Chesterton's detective stories in terms of rules of the detective genre. The mentioned genre has its own characteristics: three essential characters - criminal, victim /sacrifice and investigator. Detective-investigator may be a policeman or amateur investigator; all story lines of the work have a central direction to the final. Detective literature is scientific or intuitive.

Chesterton's stories belong to the type of intuitive detective. Amateur investigator Father Brown explains the crimes only with own intuition and intellect. The circumstance is that the detective is a priest, defines his attitude towards the crime and the criminal. The attitude is sympathetic, which distinguishes him from a policeman or private detective. The style of behavior of the investigator Brown is a psychological impact on the criminal when he becomes a preacher priest and calls for right behavior from the criminal due to Christian doctrine. The main thing for him is to establish the truth. He does not worry about whether the criminal will be punished or not.

It is worth mentioning the character of the criminal - Flambo. Readers have seen his transformation. In the beginning he is a swindler. Then he is the friend of Father Brown and investigator, because Father Brown's remonstrations had a result, and Flambo left the criminal life

In terms of the theme development, Chesterton's stories repeat the characteristic scheme of the detective genre, when all the story lines are in the culmination moment and serves to open the crime. However, inflow stories do not load his works, probably, due to format as it is a story, not a novel.

G.K. Chesterton's detective novels perfectly satisfy the requirements of this genre's poetics,. The face of Father Brown, the main characteradds distinctive, different features to the novel. He, in terms of his religious activities makes own action rules in terms of crime and criminal. He does not act as a policeman who can't separate punishment from criminal. Considering moral and religious principles, he thinks that sometimes it is admissible to cover the crime, sometimes - criminal, and sometimes even tolerate his impunity.

სამი სხვადასხვა პერიოდის ტექსტი ვაჟა-ფშაველას ცხოვრებასა და შემოქმედებაზე

თამარ გოგოლაძე, პროფესორი

ვაჟა-ფშაველას ბიოგრაფია-შემოქმედება თავის დროს, თითქოს, ერთი რიგითი ადამიანის ცხოვრების გზა, 150 წლის მანძილზე იქცევა ახალი ფანტაზიის წყაროდ სხვადასხვა პროფესიის, ძირითადში კი მწერლისა და ლიტერატურათმცოდნისათვის, მითოსური ბურუსით მოცული გენიოსი ავტორის დასრულებული პროფილის ნათელსაყოფად. სწორედ იმ ფაქტმა, რომ XX საუკუნის მანძილზე არცერთი სხვა მწერლის შესახებ არ ჩაწერილა უამრავი მოგონება, შევსებულა ცხოვრების ქრონიკა და, რაც ყველაზე მთავარია, შექმნილა ბიოგრაფიული თუ დოკუმენტურ-მხატვრული რომანი, ვიდრე ვაჟა-ფშაველაზე, მოგვცა უფლება ჯერ წლიურ ნაშრომად ჩამომეყალიბებინა მასალის შესწავლის შედეგები, შემდგომ კი მეცნიერულად, ფართო საზოგადოების წინაშე წარმედგინა სამეცნიერო სტატიების სახით.

წინამდებარე წერილში კი წარმოდგენილია ამ რამდენიმეწლიანი შრომის ბოლო ნაწილი, სამი დოკუმენტურ-მხატვრული ტექსტი, რომელთაგან პირველი, 1975 წელს დაწერილი კლიმენტი გოგიავას „მთების სიმღერაა“, მეორე გიგი ხორნაურლის „ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი“ (1970-იანი წლებიდან დაუწყია მუშაობა ავტორს მასალების შეგროვებაზე, წინამდებარე სტატიისათვის კი ჩვენ ვისარგებლეთ მესამე, შევსებული გამოცემით 2008 წლისა) და მესამეც, 2011 წელს მიხო მოსულიშვილის ილუსტრირებული ბიოგრაფია „ვაჟა-ფშაველა“. სამივეს, ასე ვთქვათ, აქვს ერთგვარი პრეტენზია, დეფინირებული იქნას, როგორც დოკუმენტური, რომელიც უამრავ მოგონებასა და საარქივო მასალაზეა დამყარებული და, ამავდროულად, როგორც მხატვრული, რომელსაც აქვს თავისი კომპოზიცია, კვანძი, მოქმედების განვითარება, კულმინაცია. დოკუმენტური პროზის მოთხოვნები ასახვის აუცილებელ რეალისტურობაში მდგომარეობას, რომელიც გამყარებულია არსებული მასალებით, თუმცა იგი არ შეიძლება მთლად დოკუმენტური იყოს, იგი უნდა შეივსოს მწერლის ფანტაზიითა და ლიტერატურათმცოდნის დამაჯერებელი სტილით. იძლევა თუ არა იგი ამ დამაჯერებლობის საშუალებას, გამოიკვეთება კია მთავარი პერსონაჟი, მწერალი ავტორისათვის სასურველი ობიექტურობით, ეს სხვა საკითხია, სხვა მკვლევრის საკვლევი, რისი მცდელობაცაა მოცემული წინამდებარე სტატიაში.

დოკუმენტური მასალა, თუ პირველად მიზნად მხოლოდ რეალობის გადმოცემას ისახავს, მხატვრული კომპოზიციის გარეშე მხოლოდ ფაქტების გროვად იქცევა. ამიტომ მწერლური ნიჭი აძლევს მას მიმხიბლაობას, ინტერესს წამკითხველისათვის. სწორედ ამიტომ განსახილველი სამივე ტექსტი სწორედ რომ რომანია, მაგრამ არა მხოლოდ მხატვრული, არამედ მხატვრულ-დოკუმენტური.

კლიმენტი გოგიავა მწერალია. როგორც მისი შემოქმედების მკვლევარი მედეა კვარაცხელია აღნიშნავს, მისი პირველი ნაწარმოები „ალექსანდრე ყაზბეგი ბათუმში“ იყო, რომელიც 1942 წელს გამოიცა, მეორე „ილიაობა“, მესამეა სწორედ ვაჟა-ფშაველაზე შექმნილი ტექსტი „მთების სიმღერა“ (1975 წ.) სამივე მ. კვარაცხელიამ შეისწავლა თავის ვრცელ მონოგრაფიაში. წინამდებარე სტატიაში კი შევჩერდებით ვაჟა-ფშაველაზე შექმნილი მხატვრულ-დოკუმენტური რომანის ძირითად ასპექტებზე.

მ. კვარაცხელიამ „მთების სიმღერა“ ბიოგრაფიული რომანების ციკლში განიხილა, დაიმოწმა რა კონსტანტინე გამსახურდიას ცნობილი ციტატა: „ნაყოფიერი მწერლისათვის ბიოგრაფიული რომანის დაწერა განსაზღვრულ რისკთანაა დაკავშირებული. ბიოგრაფიულ რომანში ავტორი გაცილებით

ხელშეკრულია, ვიდრე ისტორიული რომანის წერისას, რადგანაც ამ უკანასკნელში ე.წ. გამოგონებით მომენტს (invention-ს) გაცილებით მეტი ასპარეზი აქვს დათმობილი. ამ შემთხვევაში უდიდესი სიზუსტით უნდა ადევნო თვალი თარიღების სისწორეს და ასევე გულმოდგინედ უნდა აღადგინო სათანადო ისტორიული ატმოსფერო". (მ. კვარაცხელია, 2015:511). მ. კვარაცხელიას ციტირება უფრო ისტორიული რომანის სპეციფიკას მიესადაგება, ამ ჟანრის რომანების დიდოსტატის კ. გამსახურდიას მიერ გამოთქმული, მაგრამ ბიოგრაფიული რომანი კიდევ განსხვავებული კატეგორიაა რომანის სახეობებს შორის. გ. ლუკაჩის აზრით, „ბიოგრაფიული რომანი ზღუდავს მწერლის ფანტაზიას და ქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს ისტორიული ფაქტის ავთენტნიკური ასახვით შეგვიძლია მხატვრულ ზემოქმედებას მივაღწიოთ", ანდრე მორუა კი თვლიდა, რომ „ბიოგრაფიული პერსონაჟების რეალობა არ არის ხელისშემშლელი ფაქტორი მათი მხატვრული ნაწარმოების გმირებად ყოფნისაო" (ნ. გაფრინდაშვილი, მ. მირესაშვილი, 2008:310). სწორედ დოკუმენტური, ეპიკური ჟანრების ერთ სახეობად მიიჩნევენ „ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლების" ავტორები ბიოგრაფიულ რომანსაც. სადღეისოდ ბიოგრაფიულ რომანში „გამოვლენილია სწრაფვა დოკუმენტური მასალის იმგვარი განზოგადებისაკენ, როდესაც იგი აღიქმება როგორც პიროვნების ბიოგრაფიაცა და მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეული ტენდენციათა წარმოჩენაც. მართალია, ასეთ დროს ძალზე ცოტა ადგილი რჩება მწერლის ფანტაზიისათვის, მაგრამ მისი სრული გამორიცხვა ბიოგრაფიული რომანიდან ვერც მოხერხდება და არც არის სასურველი" (ნ. გაფრინდაშვილი, მ. მირესაშვილი, 2008:311). მაგრამ ეს სადღეისოდ, როდესაც ლიტერატურულ თაროზე გამოჩნდა როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანები, რომლებიც ჭეშმარიტად ატარებენ ასეთი ჟანრის ნიშან-თვისებებს და მწერლის ფანტაზიის გაშლის საშუალებასაც იძლევიან.

მაგრამ ჩვენს მიერ განსახილველად წარმოდგენილი სამივე ტექსტი, მიუხედავად შესასწავლი პიროვნების ცხოვრების ფაქტების იგივეობისა (მოგონებებიდან და საარქივო მასალებიდან გამომდინარე), ავტორთა წერის მანერის, სწორედაც მხატვრული ტექსტისათვის დამახასიათებელი კომპოზიციის წყალობით, ატარებენ როგორც დოკუმენტური, ისე მხატვრული პროზის თვისებებს და, ამდენად, გამართლებულად მიგვაჩნია სწორედაც მხატვრულ-დოკუმენტური რომანის დეფინიციით გავაერთიანოთ ისინი.

კლიმენტი გოგიავა თავის ტექსტში იყენებს როგორც დოკუმენტურ, ისე მხატვრული პროზისათვის დამახასიათებელ ხერხებს, იგი იწყება სასულიერო სასწავლებელში პავლე მღვდლის მიერ შვილების გამგზავრებით, თავს „მთის სული" ჰქვია, ამას „ქართლის გულში" მოჰყვება, შემდეგ „პირველი ლექსი", „პეტერბურგის ღამეები"... თანდათან ვითარდება მოქმედება - ლუკა რაზიკაშვილიდან ვაჟა-ფშაველამდე. ავტორი წერს ნაღდი მწერლური მანერით. მკითხველი თვალდაუხამხამებლად მიჰყვება ნაცნობ, მაგრამ მაინც უცნობ ისტორიას გენიოსი მწერლისა, რომელშიც ორგანულად „თავსდება" იაკობ მანსვეტაშვილის „ანგარიში თონეთის სკოლის რევიზიისა". ჯერ დედის გარდაცვალება, შემდეგ მამისა და ძმების გაყრა. აქ კ. გოგიავა არქივში შემონახულ ლუკას სანდროსადმი გაგზავნილ წერილებსაც ათავსებს და უცებ „ბახტრიონის" შექმნის ისტორიაც მოჰყავს. თავად მწერლისათვის პოეტის ფანტაზიის განვითარების პროცესიც საინტერესოდ ვითარდება: „როცა ვაჟა აღწერდა ლელას, რომელსაც „ხელთ ეპყრა შუბი წვერ-ბასრი, მამისთვის მონაპარია", თვალწინ ედგა თავისი მეზობლის ღვთისო მთიბელაშვილის ცოლი ქალთამზე". (კ. გოგიავა, 1975:163), სადაც უკვე მოგონება ვითარდება ოსტატურ ტრანსფორმაციაში. „ორ დღე-ღამეს იყო ვაჟა ბახტრიონში. არც ერთი ლოდი და ბილიკი უნახავი არ გაუშვია. აქ ელაპარაკა ლუხუმს, კვირიას, ლელას, ზეზვაის. აქვე ჩაიწერა გლეხთა ნაამბობი, ლექსები, ზღაპრებიც... უბის წიგნაკის ერთ გვერდზე ნაჩქარევად მიწერილია ახლად დაბადებული სტრიქონი, „ბახტრიონს თათრის შვილებსა დღე გაუთენდეთ მწარია" (კ. გოგიავა, 1975:164).

კ. გოგიავა აქ პოემის დაბეჭდვისა და ცალკე წიგნად გამოცემის ისტორიას ურთავს ძალზე ორიგინალურად.

ლუხუმის სახეში საქართველოს თავისუფლების სიმბოლიკას ისე დამაჯერებლად წარმოადგენს ავტორი, რომ იგი სწორედ ამ მოგონებით გავრცელდება სასკოლო სახელმძღვანელოებში.

ხშირად კ. გოგიავას რომანში შეაქვს მოულოდნელობის ფაქტიც: „ვაჟა მალე ავადმყოფობამ დაჯაბნა". უცბად ოქროს ძიების ფაქტსაც ჩაურთავს, მაგრამ ძალზე ორიგანულად.

ძალზე საყურადღებოა ვაჟა-ფშაველას ერთ გამოუქვეყნებელი თარგმანის, შილერის „ორდეანული ქალწულის", ბედი, კულმინაციას პოეტის ავადმყოფობით აღწერს და ბოლოს გარდაცვალებითაც: „დღეს საქართველო მარხავს ერთს თავის საუკეთესო მებუკეს-ვაჟასა. ვაჟამ დასტოვა მთა... ვაჟამ დააობლა ბარი... ვაჟამ სიკვდილით შეაკრთო ჩვენი ქვეყანა". (კ. გოგიავა, 1975).

თუმცა უამრავ მასალას იყენებს კ. გოგიავა, არსადაა სქოლიო ან გამოყენებული ლიტერატურის სია. ამდენად მოგონება თუ საარქივო მასალა მხატვრული ტექსტის ორგანულ ნაწილად ისახება და ვაჟას პიროვნების, მისი ცხოვრება-შემოქმედების მხატვრული ბურანიდან ამოდის.

გიგი ხორნაულის ტექსტი „ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი“ უფრო დოკუმენტურისაკენ იხრება. ავტორი თავად არის მეცნიერი, კაცი ვაჟას ჩარგლის მეზობელი სოფლიდან: „ამას გარდა, ვიცნობდი და ურთიერთობა მქონდა ვაჟას თანამედროვეებთან, მის ჩამომავლებთან, რომელთაგან ბევრი რა მომისმენია და ჩამიწერია ვაჟას შესახებ. თვით ჩვენ ოჯახშიც ხსოვნა იყო შემონახული ვაჟა-ფშაველას ხშირი სტუმრობისა პაპაჩემთან, გიორგი ხორნაულთან, ვაჟას მტერ-მოყვარესთან, ფშავ-ხევსურეთის პირველ და იმ დროს ერთადერთ მეტყევესთან („აბეშიკთან“), „ბლოელ აფშინას“ პროტოტიპთან“ (გ. ხორნაული, 2008:3). ავტორი თავადაც გრძნობს, რომ ყველაფერს ვერ გადმოსცემს, ისე „როგორც ვაჟას ეკადრება“, მაგრამ მაინც ეჭიდება ამ საქმესა და ფეხდაფეხ მისდევს მოგონებას ჩაწერილ, გამოქვეყნებულს, ცოცხალ მთქმელებს, საარქივო მასალას, შეუფარავი, ხევსურული პირდაპირობით აანალიზებს ნათქვამს, ფაქტს, ამბავს. მის წიგნში ბევრი ისეთი ფაქტიცაა აღნუსხული, რასაც სხვა ავტორი ან არ იტყოდა, ან შეფარვით. გ. ხორნაული კი პირდაპირ წერს. საოცარი პირდაპირობით, ამავდროულად ღრმა გულის-ტკივილით ვაჟას გარემოსა და ეპოქის სიდუხჭირის გამო. წერს, არაიშვიათად აღწერს საკუთარ შეხედულებას, ამოწმებს, უარყოფს ან ბრალდებას იძლევა. იშვიათად თუ შეიძლებოდა ასე აშკარად მოთხრობა ვაჟას უფროსი შვილის, ლევანის, მის შთამომავალთა ტრაგიკულ ისტორიაზე, იქ, მოგონებებში, გაელვებულ ეჭვებზე, დაპირისპირებაზე. გ. ხორნაული პირუთვნელი მემატიანეა და ეს ტექსტიც უფრო ნარატივია დოკუმენტური...

ვაჟას მარტო პიროვნებისა კი არა, პოეზიის შეფასებასაც არაიშვიათად იძლევა ავტორი: „მთიდან მოწყვეტილ ზვავსა ჰგავს ეს ლექსი, არც ძალა აკლია და არც აზრი, მაგრამ ჩანს, ვაჟამ მაინც ბოლომდე ვერა თქვა ყველაფერი, ბევრ რამეზე თავი შეიკავა, ბევრი სიტყვა ენიდან გაექცა. ეს ენიდან მოწყვეტილი სიტყვები ნაწილობრივ მაინც თქვა შემდგომში უმისამართოდ დაწერილ ლექსში“. (გ. ხორნაული, 2008:355).

განსაკუთრებით საინტერესოა წიგნში მოყვანილი ინფორმაცია ვაჟასა და სტალინის ურთიერთობაზე. აქაც შეუფარავად წერს ავტორი და ცდილობს გაამყაროს ნათქვამი ფაქტებით. ტექსტის დასაწყისი ვაჟას წარმომავლობაზე მოგვითხრობს, ისტორიასა და ლეგენდებზე დაყრდნობით. შემდგომ კი იკვეთება ვაჟა იმ გარესამყაროში, რომელიც თრგუნავდა ფინანსური სიდუხჭირით ისედაც დაღდასმულ ავტორს, რომელიც, გრძნობდა რა თავის სიმაღლეს, მაინც მხოლოდ ვაჟკაცურ პრობლემებში გადაწყვეტისას აჩენდა პირვანდელ „მე“-ს. ამიტომ თვალს ჭრის თითქოს ჩვეულებრივი დასათაურება თავებისა, როგორიცაა „უქაღალდობა“, „ვაჟას ქომაგნი“ და სხვ. ტექსტის დასასრული ვაჟას „ნაწილიანობაზე“ კიდევ ერთი მინიშნებაა: „თმიანი დაბადებულა ვაჟა, გრძელი თმა თვალებზე ჰქონია ჩამოფარებული. უთქვამთ: „ნაწილიანიაო“, „ღმერთთან წილნაყარიაო“. ასე იყო ალბათ „დაწერილი“ - ხორცით უნდა გვემულიყო. ბოლოს კი, ამქვეყნიური მისიის შესრულების შემდეგ, თავისივე პირით უნდა ეთქვა ცოდვილი ქვეყნისათვის: „მე ავიწიე ზეცადო“ და ...ამაღლდა“ (გ. ხორნაული, 2008:433).

გ. ხორნაული მეცნიერია, ამიტომ დამოწმებულ ლიტერატურასთან ერთად ლექსიკონსაც ურთავს ტექსტს, რაც კიდევ უფრო დოკუმენტურობას მატებს მას.

გ. ხორნაულის დოკუმენტური ტექსტის გმირი ვაჟა-ფშაველა პერსონაჟია, კაცია, ადამიანი თავისი უარყოფით-დადებითი კუთხეებით და, ამავდროულად, გამორჩეული, დაუფასებელი თითქოს, მაგრამ ამაღლებულიც.

მიხო მოსულიშვილის წიგნიც იმავე ხაზს მიჰყვება, მხოლოდ ერთგვარი მწერლური ოსტატობით თედო რაზიკაშვილის არქივში შემონარჩუნებულ მამის, პავლე რაზიკაშვილის, ჩანაწერებს, „მოკლე მოთხრობა ჩემი წინაპრით ჩამომავლობაზედ, მათ ზნე-ჩვეულებებზედ“, ეყრდნობა და მათი გაშლით უკან ბრუნდება კითხვებზე, საიდან მოდის ვაჟა? - პასუხის აღმოსაჩენად.

წიგნის ავტორი დასაწყისშივე (2011 წლის 3 თებერვალს) მიანიშნებს, რა გამოიყენა და როგორ: „მხატვრული და დოკუმენტური (მოგონებებიდან მხოლოდ ის გამოვიყენე, რომლებიც უფრო სანდოდ ვცანი) ჩანაწერების სახით წარმოდგენილი ეს ბიოგრაფიული წიგნი საუკუნე-ნახევრის ვაჟა-ფშაველას ძნელს, მაგრამ ღირსეულად და პირნათლად გავლილ ცხოვრებაზე მოგვითხრობს“ (მ. მოსულიშვილი, 2011:10-11) ნაწარმოებში ჭარბობს მხატვრულობა, რაც ავტორის სტილში მჟღავნდება, გაჯერებულია უამრავი ცნობილ-უცნობი ფოტოთი, ამიტომ შედის „ილუსტრირებული ბიოგრაფიების“ მე-8 ტომში და სრულდება ნაწყვეტით გოეთეს საუბრებიდან ეკერმანთან. მ. მოსულიშვილი კი ცდილობს გამოკვეთოს ის ფაქტი, რომ თავად ვაჟასა და მისი გმირების სამყარო „სულ სხვანაირი საზოგადოება არის მართვის საკუთარი მოდელით“ (მ. მოსულიშვილი, 2011:372), აქედან გამომდინარე, ავტორი ცდილობს

გაამართლოს ეს ყოფა, სადაც მინიმუმამდეა დაყვანილი უსამართლობა. „ვფიქრობ, რომ ეს და სხვა პოემებსი გადმოცემული ამბებიც ძველი ხსოვნიდან არის, იმ ძველი და დიდი იბერიის ხსოვნიდან, ინდოევროპელებმა რომ დაანგრიეს და ალაგ-ალაგღა შემორჩა ნატეხებად თანამედროვე სამყაროს: შოტლანდია-ირლანდიად, ბასკებად, კორსიკად და სიცილიად და აქეთ- საქართველოდ“ (მ. მოსულიშვილი, 2011:373). მ. მოსულიშვილი გამოკვეთს იმასაც, რომ სისხლს ახსოვს ქვეყანა, სადაც გვიწვევენ ვაჟას გმირები. ამიტომ აკეთებს ავტორი დასკვნას: „ვაჟა სულ სხვაგან არის, ჩვენ კი სულ სხვაგან დავეძებთ“ და ვერ გვიპოვნია ჯერ... ვერც ვიპოვნით... ვაჟა-ფშაველა მომავალში დაელოდება თავის მპოვნელს“ (მ. მოსულიშვილი, 2011:374).

წიგნის რედაქტორი, ტრისტან მახური სამართლიანად აღნიშნავს: „წინამდებარე წიგნის ავტორს, მიხო მოსულიშვილს მეტად რთული საქმე უტვირთია, მაგრამ მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ კარგად ართმევს თავს დასახულ პრობლემას, იგი მყარ დოკუმენტურ მასალაზე აგებს წიგნს. თხრობა მხატვრულია, მაგრამ არსად გადახვევა რეალური ფაქტებიდან“ (მ. მოსულიშვილი, 2011:380).

რედაქტორი მას სინთეზურ წიგნად მიიჩნევს და განსაკუთრებულ ყურადღებას „ოქროს კვეთის“ პრინციპების მოსულიშვილისეულ კვლევაზე ამახვილებს, რაც, სავარაუდოდ, ქართული პოეტური აზროვნების ჯერ კიდევ შეუსწავლელ შესაძლებლობებს წარმოაჩენს, ამიტომაც, მეტი დოკუმენტურობისათვის გამოყენებულ ლიტერატურის სიასაც ურთავს.

თუმცა წინამდებარე სტატიაში ნაკლებად ვიმსჯელეთ ტექსტების მხატვრულ თავისებურებებზე, მაგრამ გამოიკვეთა ფაქტი, რომ არ დასრულებულა ვაჟალოგიაში მისი ცხოვრება-შემოქმედების კვლევა, რაც მისი მითოსური სახის გაგრძელების აუცილებლობის ერთგვარი დადასტურებაცაა.

ლიტერატურა:

1. ნ. გაფრინდაშვილი, მ. მირესაშვილი, „ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები“, თბ., 2008;
2. მ. კვარაცხელია, „კლიმენტი გოგიავას ბიოგრაფიული რომანი „ილიაობა“, კრებულიდან გსსუ VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის, „განათლება, ეკონომიკა და მდგრადი განვითარება“, მასალები, გორი, 2015;
3. კლიმენტი გოგიავა, „მთების სიმღერა“, „მერანი“, თბილისი, 1975;
4. გიგი ხორნაული, „ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი“, „ეროვნული მწერლობა“, თბილისი, 2008;
5. მიხო მოსულიშვილი, „ვაჟა-ფშაველა“ (ილუსტრირებული ბიოგრაფიები 8), „პეგასი“, 2011.

რეზიუმე

ვაჟა-ფშაველას ცხოვრების მხატვრული ასახვა არაერთგზის გამხდარა სხვადასხვა პერიოდის მწერალთა, ლიტერატურათმცოდნეთა შთაგონების წყარო, რომლებიც გავაერთიანეთ მხატვრულ-დოკუმენტური რომანის ჟანრის ქვეშ. ესენია: კლიმენტი გოგიავას (1975) „მთების სიმღერა“, გიგი ხორნაულის „ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი“ და მიხო მოსულიშვილის ილუსტრირებული ბიოგრაფია „ვაჟა-ფშაველა“ (2011).

თუ პირველი რომანი საოცარი მხატვრულობით აცოცხლებს პოეტის ცხოვრება- შემოქმედებას, საარქივო მასალებსა და მოგონებებზე დაყრდნობითა და ჩართვით, მეორე უკვე იმ ავტორის „მონათხრობია“, „ვინც გაიზარდა იმავე მთებში და თითქმის იმავე გარემოში, როგორშიც ვაჟა-ფშაველამ გაატარა მთელი ცხოვრება“. მესამე რომანი ვაჟას მამის, პავლე რაზიკაშვილის „მოკლე მოთხრობაზე“ დამყარებით ხსნის ვაჟა-ფშაველას შემოქმედებით ბიოგრაფიას.

სამივე ტექსტი, თუმცა, თითქმის ერთი და იმავე ფაქტების მხატვრული რეტროსპექცია, განსხვავებულია და საგულისხმო, როგორც წერის მანერის, ისე ავტორთა მიერ მოძიებული მიდგომის კუთხით და მნიშვნელოვანია „ვაჟალოგიისათვის“.

THE TEXT OF THREE DIFFERENT PERIODS ABOUT VAZHA PSHAVELA'S LIFE AND CREATIVITY

Tamar Gogoladze, Professor

RESUME

Artistic reflection of Vazha-Pshavela's life has repeatedly become the source of inspiration for writers and literary experts of various periods, which have been united under the genre of artistic-documentary novel. These are: "Mountains' Song" by Climenti Gogiava (1975), "Life of Vazha Pshavela " by Gigi Khoranauli and illustrated biography- "Vazha-Pshavela" by Mikho Mosulishvili (2011).

If the first novel revives the poet's life-creativity, based on archival materials and memoirs, the other is the "narrative" of the author "who grew up and spent all his lifein the same mountains and almost in the same environment as Vazha-Pshavela." The third novel explains Vazha-Pshavela's creative biography based on "short story" by Pavle Razikashvili, Vazha-Pshavela's father.

All three texts, however, feature artistic restoration of the same facts, are different and important as in terms of writing and authors' approach and are important for "the study of Vazha's works".

ინსტიტუტი - რომანის მთავარი პერსონაჟი (ოთარ ჩხეიძის რომანი „ჩემი სავანე“)

მარინე ცერცვაძე, პროფესორი

ოთარ ჩხეიძის რომანი „ჩემი სავანე“, ავტორის მიერ, ერთი ინსტიტუტის ამბად არის ჩაფიქრებული, თუმცა, მხოლოდ გორის პედაგოგიური ინსტიტუტის სრული სურათი არ არის, აქ მწერალი „საერთოდ ინსტიტუტს იგულისხმებდა, ადამიანთა დაჯგუფებას ერთი საქმიანობის გარშემო“ [2, გვ. 12].

ირმა რატიანი, განიხილავს რა თანამედროვე ქართული მწერლობის კონტურების ფორმირებას, წერს: „50-იანი, 60-იანი წლების მიჯნაზე ქართული მწერლობის ღირებულ ფრთას უკვე დაძლეული აქვს იდეოლოგიურ რეჟიმთან მწვავე დაპირისპირების - ბრძოლის, ლიკვიდაციისა და კვლავ აღორძინების ეტაპები. ის....- უფრო გამოცდილი, ვიდრე 20-30-იან წლებში, გამობრძმედილი, ადაპტირებულიც კია, მაგრამ არავითარ შემთხვევაში - დამორჩილებული“ [5, გვ. 215]. ამ ღირებულ ფრთაში აუცილებლად მოიაზრება ოთარ ჩხეიძე, რომელიც, „მთელი ცხოვრება დინების საწინააღმდეგოდ მიდიოდა. იგი ყოველთვის შემოქმედებით კანონებს, ესე იგი, ღვთიურ კანონებს ემორჩილებოდა როგორც თავისი პროზის ოკეანეში, ისე ყოველდღიურ ცხოვრებაში“ [3, გვ. 218].

რომანის კომპოზიციური ჩარჩო ერთი ინსტიტუტის ამბად ჩაიფიქრა ავტორმა, ინსტიტუტისა, სადაც 30 წელი მოღვაწეობდა. როსტომ ჩხეიძე მოგვიანებით დაწერს „გაურკვეველი ფორმის თხზულებად უფრო ესახებოდაო“ [2, გვ. 14]. მაგრამ თხზულებამ „საკმაო ტანი შეიძინა“ და ბოლოს რომანის სახე მიეცა.

რომანი, როგორც ვთქვით, გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ერთ-ერთი რიგითი თანამშრომლის თვალით დანახული რეალობაა. ეს არის დიდი სიყვარულით, დიდი სინანულით და დიდი სითბოთი დაწერილი წიგნი. აკი ჩანაწერებში აღნიშნავდა: „დაზოგვით დავზოგავ ყველასა, უარესს რო არც გამოვეკიდები, უკეთესს ავყვები“ [2, გვ. 13], არადა ისე ატკინეს გული, რომ რამდენიმე თვეც ვერ გაძლო, სასწავლო წელიც კი არ ჩაათავა, ისე წამოვიდა საყვარელი ინსტიტუტიდან, მაგრამ სიმართლესაც ხომ ვერ უღალატებდა; რაც არ უნდა ყოფილიყო, წიგნი მაინც მოგონებებზე იყო აშენებული და როგორ გინდა დაზოგო ზოგიერთი მაინც, ვინც არა მარტო მას, ინსტიტუტსაც მტრობდა, მაგრამ მტკიცედ გადაეწყვიტა: „ვეცდები ბოლომდის არ გავიმეტო. ვეცდები. ვეცდები.“ [2, გვ. 14].

იმასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ მოვლენებიდან დროა გასული, მართალია რამდენიმე წელი, მაგრამ ეს საკმარისია იმისათვის, რომ „გაევლო ყველაფერს პირადულსა, სურათები რომ პირუთვნელი გამოსულიყო, ობიექტური რო ყოფილიყო ნაწარმოები“ [2, გვ. 14]. წიგნის სათაური

მიგვანიშნებს, რომ მწერალი ჯერაც ვერ შელევია იმ სავანეს - „მოსასვენებელ ადგილს“ (აკაკი), წლების შემდეგაც ისევ თავისად მიაჩნია, სადაც მიუხედავად იმ წინააღმდეგობებით აღსავსე საინსტიტუტო ცხოვრებისა, ყველა პროფესორს რომ თავისი ამბიციის დაკმაყოფილება სურდა, მაინც ისვენებდა ადამიანი, რომელსაც რომანები დაუჩეხეს, არასაიმედო, „ძნელადწასაკითხ“ (მაკა ჯოხაძე) მწერლად შერაცხეს, დიდი ძალისხმევით შექმნილი, სამსათაურგამოცვლილი ჟურნალი საბოლოოდ დაუხურეს და რამდენი ერთი დიდი გულისტკივილი გავიხსენოთ.

ხასიათები და პორტრეტები - აზუსტებს ავტორი სათაურს. ეს ხასიათები მწერლის თვალწინ, ჩვენი, სტუდენტების თვალწინ ყალიბდებოდნენ, ეს პორტრეტები ჩვენ თვალწინ იქმნებოდნენ. ყველას თვალწინ მზადდებოდა სპექტაკლი - ტრაგედია გორის პედაგოგიური ინსტიტუტის „გადაკეთებისა“. მწერალი ურთულესი ამოცანის წინაშე დგას - რომანში მოიხსენიოს ყველა პერსონაჟი საკუთარი გვარ-სახელით, ყველას როლი პირუთვნელად წარმოაჩინოს, ამიტომაც წერს წინასიტყვაობაში - ეს მოგონებები არ არისო, მოგონებებში ასე თუ ისე იპარება სიმპათია-ანტიპატია პიროვნებების მიმართ, ამ დაზუსტებით ავტორი თავს იზღვევს პირადი შეხედულებებისგან და ფიქრობს იმაზე, რომ მომავალ თაობას, რომელიც აუცილებლად დაინტერესდება ამ საკითხით, დაუტოვოს პირუთვნელი სურათი პერიპეტიებისა, რომლებიც ამ ინსტიტუტში თამაშდებოდა. ამიტომაც ეს რომანი ღირსეულ ადგილს იკავებს ოთარ ჩხეიძის მიერ შექმნილ ციკლში „მატიანე ქართლისაი“, რომელიც მოიცავს XX საუკუნის ქართლის ცხოვრების უწყვეტ ქრონიკას - თავისი 24 რომანით, მოთხრობათა კრებულებით, პიესებით, ესეისტიკითა და პუბლიცისტიკით, გამოკვლევებით, თარგმანებით ინგლისურენოვანი ლიტერატურიდან.

კამილო ხოსე სელას, ნობელის პრემიის ლაურეატს, მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ესპანეთის ყველაზე პოპულარულ და დაფასებულ მწერალს, არ მიაჩნია, რომ მხატვრული შემოქმედება რაღაც გარკვეული ამოცანის გადაჭრას უნდა ექვემდებარებოდეს, რომ შესაძლოა, ადამიანი თავისთვის წერს, რომ გათავისუფლდეს რაღაცისაგან, რაღაც ტვირთისგან. ჩემს თავზეო, წერს ის, შემიძლია ვთქვაო, რომ მე არასოდეს მიცდია ჩემი წიგნებით სამყაროს გამოსწორებაო. მწერლის აზრით, კავშირი ლიტერატურასა და სინამდვილეს შორის საკმაოდ პირობითია, ისევე, როგორც კავშირი ავტორის ცხოვრებისეულ გამოცდილებასა და მისი ნაწარმოების ხარისხს შორის. ნამდვილი მწერალი შეიძლებაო გახდეს მხოლოდ ის, ვისაც აქვს უნარი შეერწყას მისთვის საჭირო პერსონაჟებს.

ოთარ ჩხეიძეზე ბევრს წერენ, იბეჭდება ურთიერთგამომრიცხავი წერილები, ოთარ ჩხეიძის შემოქმედების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია ამ საუკუნის ლიტერატურული პროცესის სრულყოფილად წარმოდგენა. აკაკი ბაქრაძე აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ 50-იან წლებში, ბევრი ახლადგამოსული ნაწარმოები დარჩა კრიტიკის ყურადღების გარეშე, ოთარ ჩხეიძის ყველა რომანი კი გამოსვლისთანავე საყოველთაო მსჯელობის საგნად იქცეოდა, არცერთი მათგანი არ დარჩენილა აღუნიშნავი და შეუფასებელი, თუმცა შეფასებები ყოველთვის ორსახოვანი იყოო.

ისევე, როგორც კამილო ხოსე სელას, არც ოთარ ჩხეიძეს აქვს იმედი, რაიმეს გამოსწორებისა მისი წიგნის გამოსვლის შემდეგ, მით უმეტეს, ამდენი ხანი გასულა. მასაც დიდი სურვილი აქვს გათავისუფლდეს იმ ტვირთისგან, რომელიც წლების განმავლობაში არ ასვენებდა და ხშირად შეახსენებდა პასუხისმგებლობას იმ პროცესებზე, რაც ინსტიტუტის კედლებში მიმდინარეობდა. ის, არათუ ცდილობს შეერწყას მისთვის საჭირო პერსონაჟებს, არამედ თვითონვეა მთავარი პერსონაჟი.

მიხეილ ჯავახიშვილს ჰქონია სურვილი ერთი მოთხრობის დაწერისა, სადაც ყველა მისი გმირი ერთ ოთახში შეგროვდებოდა და მწერალს სასამართლოს გაუმართავდა. თან იცოდა რაც მოელოდა: ვინ იცის რა დღეს დამაყრიან, რამდენ საყვედურს მეტყვიან, მაგრამ საინტერესოა და როგორმე ამისთვის მოვიცლიო.

ოთარ ჩხეიძე ხელიდან არ უშვებს შესაძლებლობას განახორციელოს ეს საინტერესო ჩანაფიქრი, მაგრამ განსხვავებით მიხეილ ჯავახიშვილისგან, მისი პერსონაჟების უმრავლესობა ცოცხალი იყო მაშინ, როცა წიგნი გამოვიდა. ძნელი იყო მათი პერსონაჟებად გადაქცევა. რომანში „კრიალოსანივით ჩამოიმარცვლება მინიატურებისა თუ იუმორესკების ციკლი... რომელთა შინაარსის განმსაზღვრელი ჯერ პერსონაჟის ხასიათია და მერე მწერლის განწყობილება. ოღონდ ხასიათი არა შეთხზული პერსონაჟის, არამედ რეალური ადამიანების, გორის ინსტიტუტის ლექტორების“ [2, გვ. 21].

რაც შეეხება ჩემი და, ალბათ, ჩემი თაობის ყველა სტუდენტის განწყობას წიგნის კითხვისას შეიძლება გადმოიცეს ბორენა ჯაჭვლიანის სიტყვებით: „რარიგ სასიამოვნოა მოგონებების მინდვრებზე ხეტიალი, ყოველი მხრიდან თითქოს თბილი ნიავი გიბერავს, სურნელსაც გრძნობ იმ ყვავილების,

რომლებზეც მიაბიჯებ, თან გენანება ფეხის დაკარება, გეშინია, ძალაუნებურად რომელიმე მათგანი შენს ფეხქვეშ არ გაითელოს, ცოდვის გეშინია. სინანულით გახედავ პეიზაჟს და გიხარია, შენი მოგონებების დიდი ნაწილი სამუდამოდ რომ შეინარჩუნე. იქ ჩასახლდი და ჩაისახლე ის ადამიანებიც, რომლებთანაც ერთად იყავი, თუ დღემდე ხარ“.

მე ამ ადამიანების გვერდით ვიყავი და დღესაც მათთან ვარ. ოთარ ჩხეიძემ ამ წიგნის დაწერით ყველას სათქმელი თქვა და არა მარტო თავისი თავი გაითავისუფლა, ყველა გაგვათავისუფლა ჩვენი წილი პასუხისმგებლობისაგან იმ პროცესებზე, რაც მაშინ ხდებოდა. დასკვნა კი ერთია - ასეთი რამ აღარ უნდა განმეორდეს.

2011 წელს გამოდის როსტომ ჩხეიძის წიგნი „ორი მდინარის შესაყარზე“, რომელსაც მწერალი „ჩემი სავანის“ თემებზე ვარიაციებად ჩაიფიქრებს. წიგნში საუბარია ხილვაზე, რომელიც აღმოჩნდა პირველბიძგი მწერლისათვის რომანის დასაწერად. ეს იყო მწერლის წარმოსახვაში გაერთიანებული ორი ექსპედიცია უფლისციხის მიდამოებში: ბუნებისმეტყველ თედო ჟორდანიასი და ისტორიკოს სერგი მაკალათიასი, გორის პედაგოგიური ინსტიტუტის თანამშრომლებისა, რომლებიც, თუმცა არასდროს შეხვედროდნენ ერთმანეთს ექსპედიციაში, მაგრამ როგორც როსტომ ჩხეიძე დაწერს, იმ კაცისგან, „ვისთვისაც მწერლობა სწორედაც ბედისწერა გახლდათ და არა პროფესია“, შეუძლებელი არაფერია და შემოდის ასეთი ხილვა, როგორ დაიჭირა უხსენებლის უნიკალური ეგზემპლარი ბუნებისმეტყველმა, როგორ გამოჩნდა ისტორიკოსი თავისი სტუდენტებით, როგორ მოიმზღვლა კლდე და ჩაიკარგა უიშვიათესი ეგზემპლარი. საინტერესოა ამ ისტორიის გაგრძელება, როცა ისტორიკოსი განრისხებულია იმის ხილვით, როგორ აეზიდა უხსენებელი და „როგორ აღრჩობდა მზეს“ და იმით განრისხებული ბუნებისმეტყველი, რა უდროოდ გამოჩნდა ის თავისი სტუდენტებით და გახდა საბაბი იშვიათი ეგზემპლარის დაკარგვისა: „იგონებდა და არც ავიწყდებოსა: თუ როგორ შემდგარიყო კლდის წვერზედა, თუ როგორ აღემართა მკლავები, თუ როგორ მოზნექილიყო წყეული იმ მკლავთა შორისა, თუ როგორ გამოეყო თავი მზესა, თუ როგორ მოსდებოდა გველი ყელზედა“ [2, გვ. 9].

ეს პასაჟი და მრავალი სხვაც, ოთარ ჩხეიძის ჩანაწერებშია -„დროდადრო“ რომ დაერქმევა. ეს ქალიშვილის მიერ ნაჩუქარ თურქულ რვეულში გაკეთებული ჩანიშვნებია, რომლებშიც „უშუალო კვალზე მისდევდა დრამატულსა და აბურდულ მოვლენებს“ და დროდადრო ავსებს ჩანაწერებით. შემდეგ კი „პირდაპირ გადაჰქონდა რომანების თხრობაში ყველაფერი, რასაც შეესწრებოდა“[2, გვ. 19], მისთვის დამახასიათებელი დოკუმენტური მანერით. „ჩემი სავანეც“ ერთ-ერთი მხატვრული დოკუმენტური თხზულებაა, მაგრამ ის ავტორის ნებით რომანადაც ჩამოყალიბდა და „ავტობიოგრაფიული ყაიდის თხზულებაც გამოვიდა“ [2, გვ. 20].

როსტომ ჩხეიძე ხატოვნად გვიყვება იმ ეპიზოდებზე, დღიურებში და ჩანაწერებში რომ დაუფიქსირებია მწერალს და რომანში არ შესულა, რადგან რომანი მაინც საგანგებოდ მოკრებილ სახალისო ამბების, „ხასიათების და პორტრეტების მოზაიკური ასხმულა მოიფიქრა კომპოზიციურ სტრუქტურად.... ეს მხატვრული მეთოდი მიიჩნია გორის ინსტიტუტის თემაზე გაშლილი რომანისთვის ყველაზე შესაფერის კომპოზიციურ ქარგად“ [2, გვ. 22].

„ვარიაციები“ გაცილებით დიდი ფორმატისა გამოვიდა, ვიდრე „ჩემი სავანე“. ნაშრომის ფორმატი ორივეს შესახებ დაწვრილებით საუბრის საშუალებას არ გვაძლევს, მაგრამ ორივე იძლევა იმის საშუალებას, რომ მათზე გაცილებით მეტი ვწეროთ და უფრო დაწვრილებით ვიკვლიოთ ის პროცესი, გორის ინსტიტუტში (და როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, არა მარტო გორის ინსტიტუტში) მიმდინარეობდა და რომლის პირუთვნელ აღწერასაც, ბევრი ფიქრის შემდეგ ოთარ ჩხეიძემ თავისი მხატვრული მატიანის ციკლში მიუჩინა ადგილი.

ლიტერატურა:

1. ჩხეიძე ოთარ, „ჩემი სავანე“ (ხასიათები და პორტრეტები), თბ., 1998.
2. ჩხეიძე როსტომ, „ორი მდინარის შესაყარზე „(ვარიაციები „ჩემი სავანის“ თემებზე), თბ., 2011.
3. ჯოხაძე მაკა, გამარჯვება შიშზე (ესსეისტურ-პუბლიცისტური წერილები), თბ., 1999.
4. მიეძღვნა ოთარ ჩხეიძეს - თელავის სამეცნიერო კონფერენცია, თბ., 2013.
5. ქართული ლიტერატურა (ისტორია საერთაშორისო ლიტერატურული პროცესების პრიზმაში), ნაწილი II, თბ., 2016.

რეზიუმე

ნაშრომში განვიხილეთ ოთარ ჩხეიძის რომანი „ჩემი სავანე“, რომელშიც მწერალმა გორის პედაგოგიური ინსტიტუტის თანამშრომელთა ხასიათები და პორტრეტები დაგვიხატა და თუმცა თავიდან არ მოისაზრებდა, მაგრამ „ერთ დღესაც“ აღმოაჩინა, რომ ეს თხზულება ძალდაუტანებლად შეიძლებოდა ჩართულიყო „მატიანე ქართლისას“ ციკლში.

MAIN CHARACTER OF THE NOVEL (OTAR CHKHEIDZE NOVEL "MY HABITAT")

Marine Tsertsvadze, Professor

RESUME

We discussed Otar Chkheidze's novel 'My Savannah' in this essay, where the writer described portraits and characters of the people who worked in Pedagogic Institute of Gori. And although it was not considered at first, but 'one day he discovered' that this work could be included in the in the cycle 'Chronicles of Kartli" without any tension.

ერთი ეპოქა ერთი ქალაქის სამზერიდან
(ელგუჯა თავბერიძის წიგნის - „ქარის ფრთების“ მაგალითზე)

გიორგი ხორბალაძე, ასოცირებული პროფესორი

ჩვენთვისაც და ვფიქრობთ ზოგადად, ქართული ლიტერატურის მკვლევართათვის, ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ ინტერესის სფეროს წარმოადგენს მიმდინარე სალიტერატურო პროცესის ანალიზი და მასზე, პრაქტიკულად, უწყვეტი თვალის მიდევნება. ამჯერად, საკვლევ თემად შევარჩიეთ ელგუჯა თავბერიძის წიგნი ,,ქარის ფრთები“, რამდენადაც ავტორი განსხვავებული სტილისა და ჟანრის მოთხრობებს გვთავაზობს და აერთიანებს აღნიშნულ კრებულში. აღსანიშნავია, რომ წიგნი, როგორც მას ავტორი დასაწყისშივე წარადგენს მკითხველის წინაშე, ,,ძველი ამბების ქრონიკას“ აერთიანებს და ერთგვარი გაგრძელებაა ელგუჯა თავბერიძის ,,ძველი ამბების ქრონიკის“ ციკლის პირველი წიგნისა - ,,ხეზე ასვლა“. აღნიშნულიდან გამომდინარე, ზოგადი შეფასებები, რომლებიც ჩვენ მიერ არის გაკეთებული წინამდებარე ნარკვევში, თანაბრად მიესადაგება მოთხრობათა ორივე კრებულს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი დამოწმებანი თუ მაგალითები მხოლოდ ,,ქარის ფრთებიდან“ იქნება წარმოდგენილი; მსგავსი გადაწყვეტით შესაძლებლობა გვეძლევა უკეთესი კონცენტრირება მოვახდინოთ გარკვეულ საკითხებზე და საამისოდ, კვლევის ფარგლებიც ზომიერად შემოვსაზღვროთ. როგორც თავად ავტორი აღნიშნავს (და ჩვენი აზრით, შეფასებაში უნდა მოვიაზროთ ორივე კრებული ინდივიდუალურადაც და მათი ერთობლიობაც): ,,დოკუმენტურობით ქალაქისა და ეპოქის იგივეობით, ერთი მთლიანი თხზულებაა, რომელშიც სათქმელ-სატკივარი სხივივით იშლება“.

სათაურშიც გამოიკვეთეთ, რომ ჩვენი კვლევა წარიმართა მიმართულებით - როგორ ჩანს ერთი ქალაქის სამზერიდან მთელი ეპოქა და როგორ იტევს ერთი ქალაქის სამზერიდან დანახული რეალობა, მთელი ქვეყნის რეალობას; რამდენად გადადინდება ქვეყნის სუნთქვა და მაჯისცემა მის ყოველ კუთხეს, მხარესა თუ ქალაქში. პრობლემატიკა, რომელსაც ძველი ამბების ქუთაისური ქრონიკები ამოიტანენ ზედაპირზე, მიუხედავად იმისა, რომ ცალსახად ქუთაისური ნიშათია დაბეჭდილი და ქუთაისურ კოლორიტს უტრიალებს ერთთავად, უნდა ითქვას, რომ მაინც ძალიან ზოგადია ჩვენი ქვეყნის იმ ეპოქისათვის, რომელიც წიგნშია წარმოდგენილი და, ზოგ შემთხვევებში, ზოგადსაკაცობრიოც კი გახლავთ. აქედან გამომდინარე, ერთი ქალაქის ნიშანი უფრო აქსესუარს წარმოადგენს, რომელიც

სიტუაციებს შთამბეჭდავ მხატვრულობას კი სძენს, თუმცა ზოგადი სურათის კონსტრუქციას მაინც არაფრით არ არღვევს.

და მაინც, რა არის ამ მოთხრობათა ძირითადი გამაერთიანებელი და ერთია იგი თუ რამდენიმე: პირველი, მეორე და მესამე, ავტორის ზემოთ დამოწმებულ ციტატაში ცხადდება დოკუმენტურობა, ქალაქი, ეპოქა. ეს ის ნიშნებია, რომლებიც შეუნიღბავი თვალითაც შეიმჩნევა, თუმცა ერთიანობის ეს სამი ფუნდამენტური ნიშანი სულაც არ გახლავთ სრული ჩამონათვალი. ამ ცალკეული ქრონიკების, კიდევ ერთი (ჩვენი აზრით მთავარი), გადამყვანი ერთ ლიტერატურულ, თუ გნებავთ იდეურ ყალიბში, ადამიანებში ადამიანურობის ძიება გახლავთ, სწორედ ამიტომაა, რომ ავტორი ყოველ ამბავს რუბიკის კუბიკივით ატრიალებს და ყოველი წახნაგიდან ცდილობს რეალურთან მაქსიმალური სიახლოვის შენარჩუნებას. ყოველ ამბავს ეტყობა, რომ იგი ჰაიჰარად მოგონილი კი არ არის, ძებნისმიერადაა ნაპოვნი და ამიტომაც ეძვირფასება ავტორს. ამ კონტექსტში აუცილებლად გაგახსენდება როსტომ ჩხეიძის ,,მხატვრული კვლევები“ (როგორც მას ჩვენ ერთ ჩვენს ნარკვევში ვუწოდეთ), რომლის მდინარებამაც ელგუჯა თავბერიძის ძველი ამბების ქრონიკებშიც შესანიშნავად მოირგო შედარებით სახეცვლილი, ოღონდ იგივე კალაპოტი. კერძოდ, როსტომ ჩხეიძის შემთხვევაში ჩვენ გვაქვს გამოჩენილი ადამიანების ცხოვრების ქრონიკები, შედარებით ცნობილი, ნაკლებად ცნობილი, თუ სრულიად უცნობი მასალების მხატვრულ სიბრტყეში გადმოტანით და ელგუჯა თავბერიძის ძველი ამბების ქრონიკის უკვე ორწიგნიანი ციკლი, სადაც ფართო საზოგადოებისთვის უცნობი ადამიანები შემოდიან მხატვრულ სივრცეში და საკუთარი, მეტად ადამიანური, თავგადასავლებითა თუ მწერლის მიერ გახსნილი შინაგანი იდუმალებით ხატავენ ეპოქის სურათს.

საინტერესოა, ასევე, თვალი მივადევნოთ კონკრეტული ეპოქის პრობლემატიკას, რომელიც თუ ზოგჯერ ერთი ეპოქისთვისაა დამახასიათებელი, არცთუ იშვიათად, ეპოქებისდა მიუხედავად, გადმოინცვლებენ ხოლმე კონკრეტული ისტორიული პერიოდების საზღვრებს მიღმაც და, შესაბამისად, ისინიც უკვე ეპოქის პრობლემატიკას კი არა, ეპოქის ჭრილში დანახულ ზოგადსაკაცობრიო პრობლემას წარმოადგენენ.

ამ შემთხვევაში, ძირითად ლიტერატურულ ტილოზე დატანილია მეცხრამეტე საუკუნის ქუთაისის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ კულტურული სურათი და ჩვენი მიზანია, ამ სურათის დეტალებზე დაყრდნობით, წავიკითხოთ მეტი, ვიდრე უბრალოდ ამბავია.

რა არის ნამდვილად მნიშვნელოვანი და ფასეული და რას აღიქვამს საზოგადოება ასეთად? მაგალითად, სელიანას სახელი ყველას ეუცნაურება და კითხვის დასმის ჩვეულებაში გადასული ყოველდღიურობა, რა სახელია და საიდან ჰქვია პერსონაჟს, იმიტომ კი არ არის ყოველდღიური, რომ ვინმეს მართლა აინტერესებს, უბრალოდ დასმული ერთი და იგივე კითხვა ათასთაგან, მხოლოდ გაოცების, განქიქების, და ზოგჯერ, განკითხვის გამოსახატავად სჭირდებათ, თორემ პასუხს ძირითადად არც უცდიან და ვერც გაიაზრებენ, არადა რა ბედენაა კაცის სახელის წარმომავლობა დაიმახსოვროს ერთმა პატარა ქალაქმა, სადაც ძირითადად ყველა ერთმანეთის ნაცნობია? მაგრამ აქ, მთავარი ,,თვალში თითის ტაკებაა“ საზოგადოების უმრავლესობისათვის, განკითხვა თანაგრძნობის გარეშე, თორემ ხომ მარტივად დასამახსოვრებელი ამბავია: კაცმა საყვარელი ადამიანის სახელი დაარქვა შვილს, სახელის უცხო წარმომავლობით ისარგებლა და საყვარელი ქალის სახელი ვაჟიშვილს დაარქვა, ერთი საყვარელი ადამიანი მეორეში ჩაასახლა. თავისთავად, ესეც ხომ ამაღელვებელი ისტორიაა, მაგრამ ვაჟი რომ არც ისე ურიგო და ,,უსახელო“ (ყოველ შემთხვევაში მის გარშემო მოტრიალე პირთა წრე მასთან დიდი ვერაფერი უპირატესობით დაიკვეხნიდა) კაცი გაიზარდა, უცნაურ სახელს მისი ღირსებისთვის რამე მოეკლო, ეს კიდევ საკითხის მეორე მხარეა. ცხოვრობდა სელიანა, მამა-პაპის წეს-ჩვეულებებს, ზნე-ადათს ითავისებდა, ვაზს და ღვინოს, რიონსა და მის სიპ ქვებს თავისებურად ეფერებოდა, ,,შურით გადარეულ კაცს ერიდებოდა“, როგორც ეზეკი ბაბუამ ასწავლა, და - სახელი რანაირი გქვიაო? - უკვირს ავტორს, რადგან ანგელოსი თუ არ იყო სელიანა, მაინც ჰქონდა იმდაგვარი მხარეები, საიდანაც უკეთ გამოიყურებოდა, მაგრამ ,,რაღაცნაირი“ სახელი ზედაპირზეა, სხვა რამეები საძებნია და ადამიანებს ხომ ძირითადად არ გვცალია ასეთი ,,ძებნისათვის“.

რადგან პარადოქსებითაა სავსე სამყარო და, შესაბამისად, ამ სამყაროს პატარა ადაპტია ჩვენი ქვეყანაც და ქუთაისიც მისი ძველი ამბების ქრონიკებით, ყოველი ამბავი ასეთივე უკიდურესობების განცდას იტევს და, შესაბამისად, ბორანზე გადასასვლელ ფიცრზე ერთმანეთს გზას რომ არც გრაბოვსკი დაუთმობს და არც ბესარიონ ლორთქიფანიძე, ადგებიან და მინაგო მანაგაძეს გააციმბირებენ. ასე ხდება, როცა ადამიანის წინააღმდეგობებით და პატივმოყვარეობით გაჯერებულ ბუნებას ეპოქა და რეჟიმიც შეუბანებს და საბოლოოდ მოაქცევს აბსურდის ქარგაში.

ქუთაისი და მისი გამორჩეული კოლორიტულობა ელგუჯა თავბერიძის უდიდესი შთგონების წყაროა, ქუთაისდან შეიგრძნობს ავტორი სამშობლოს, ისეთი სრულყოფილი განცდა ჩანს მშობლიური ქალაქისა და მისგან, განზოგადოებულად აღქმული სამშობლოსი, რომ თავად ქალაქის თემა კიდევ ქვეთემებად შეიძლება დაიყოს და მეტი დაკვირვებით ამოიტანოს მკითხველმა ზედაპირზე. მაგალითისათვის რიონის თემაც კმარა, რიონი, რომელიც ყველა მდინარეზე მეტია, ყველა მდინარეზე მჩქეფარე, ყველაზე თბილიც და, ამავდრულად, ყველაზე მკაცრიც ავტორისთვის და ასეთი მისებურად განსაკუთრებული ,,ყველა მდინარეზე მჩქეფარე მდინარეც“ ხომ ყველას ჩვენ ჩვენი გვაქვს, ამიტომ, რიონი ამ წიგნში ყველა იმ მდინარის სიმბოლოა, რომელიც რიონის ხსენების პარალელურად თავის სახელსაც შეახსენებს მკითხველს. ამ კონტექსტში, თუნდაც მებორნე, მინაგოს ბაბუას, ნასწავლი სარიონო ლოცვა რად ღირს გასახსენებლად: ,,ილოცე, რიონია ჩვენი დამრჩენი და გადამრჩენიო“ - ასე მოძღვრავს ბაბუა შვილიშვილს, რაც, რა თქმა უნდა, ცრურწმენისადმი გარკვეულ იუმორისტულ განწყობასაც გამოხატავს ავტორისა, თუმცა, თავისთავად, ამდაგვარი ლოცვის არსებობა, სიყვარულის ფორმაც უდავოდ არის. აქვე, არ შეიძლება ხაზი არ გაესვას ავტორისეულ დამოკიდებულებას წინაპრებისადმი, ტრადიციისადმი, წეს-ადათებისადმი, თითქოს ამაზე პირდაპირ არავინ საუბრობს, მაგრამ სხვას რას უნდა ნიშნავდეს, რომ ყველა მნიშვნელოვანი თვისებათაგანი, რომელიც წიგნის პერსონაჟებს ახასიათებთ, ხშირად, ბაბუას დანაბარები და ჩაგონებულია. შეიძლება იყოს კიდეც ამა თუ იმ ნასწავლ-დაბარებულის ჭეშმარიტებაში ეჭვის შეტანის საფუძველი, მაგრამ, დამოკიდებულება, რომ ბაბუას ნასწავლი გზა ავტორისთვის არის განსაკუთრებული საკრალურობის მატარებელი, ესეც, პრაქტიკულად, ავტორის პოზიციას და მრწამსს წარმოადგენს. მას ხომ შეეძლო ისე დაეხატა, რომ ვისთვისაც და სადაც უნდოდა იქ ესწავლებინა ამა თუ იმ პერსონაჟისთვის, ესა თუ ის სიტყვა ან ქმედება? მრავალფეროვნებასაც შემოიტანდა და მხატვრული ფანტაზია რომ არ აკლია, ამაზე მისი ხელხვავიანი შემოქმედებითი მონაგარიც მეტყველებს, მაგრამ სელიანასაც მაინცდამაინც ეზეკი ბაბუამ ასწავლა ,,რიონის ქვებით ღვინის დაყენება“ და მინაგოსაც მაინცადამაინც ბაბუამ ასწავლა ,,სარიონო ლოცვა“, რამდენად სკეპტიკოსები უნდა ვიყვეთ, რომ ეს შემთხვევითობას დავაბრალოთ - ძნელი წარმოსადგენია.

მაინც რა არის მწერლის ძიების მთავარი საგანი ამ წიგნში და რა აერთიანებს მოთხრობათა ამ თავისებურ კრებულს? ,,ადამიანი სულია, ტანი უსულოდ მკვდარია, კეთილი საქმეებისთვის წმინდა სული გვჭირდება, გვჭირდება, მაგრამ სადაა?!“ - სვამს კითხვას ავტორი მოთხრობაში - ,,ბაღში, ბუჩქზე ერთი ვარდი (ვაი და ვუი, მაგრამ)“ და სწორედ ეს არის ის მთავარი შეკითხვა, ღრმა ჩაფიქრებას და ძიებას რომ იწვევს ყველა ამბავის ირგვლივ. ამავე მოთხრობაში კვლავ გრძელდება ადამიანებში სულიერების ძიება და ეპოქის ყოფის აბსურდულობის ტრაგიზმს მორიგ პასაჟში გამოააშკარავებს მწერალი, რამდენადაც: ,,მოსამართლე უსამართლოა, პროკურორი - უგანაჩენო, ვექილი - დაქექილი, პრისტავი - ხისთავიანი, ჩინიანი - უჩინო, მოხელე - ხელსაპყარი, მაზრის უფროსი - ბაზრის უფროსი, წინამძღოლი - წინგამძღომი, მარშალი - ფარშავი, განათლებული - გაწითლებული, მღვდელი - მგელი“. ეს, ერთგვარი, საინტერესო სიტყვებით თამაში, ზედმიწევნით და ლაკონიურად ხატავს ეპოქასაც, ქალაქის რეალობასაც და, განზოგადოებულად, ქვეყნის უკუღმართ სვე-ბედსაც, რომელიც, სწორედ ამ პარადოქსულ რეალობაშია. არის კი ეს აბსურდული მდგომარეობა ერთი ეპოქის და ერთი ქალაქის მასშტაბებში ჩატევადი? - ისმება კითხვა, ბუნებრივია არა, რადგან მიუხედავად იმისა, რომ მოქმედების არეალი, მოთხრობათა ციკლშიც და ამ კონკრეტულ პასაჟშიც, ერთი ქალაქის ფარგლებში ვითარდება, ზოგადი სურათი იმდენად ფართო პალიტრას წარმოადგენს, რომ ქუთაისი, ამ შემთხვევაშიც, მთელი ქვეყნის ადაპტად გვესახება. პრობლემატიკა და თემატიკა კი, მიუხედავად იმისა, რომ იგი ძალიან კონკრეტულ სიტუაციებსა და ამბებს მოიცავს, იმ ჭრილიდან იხსნება, საიდანაც, თითოეული საკითხი, სწორედ პრობლემათა მასშტაბურობას დაანახვებს მკითხველს; ამბები ამბებადაა საინტერესო, ისინი ქრონიკების წიაღიდან იღებენ სათავეს, მაგრამ მწერლის ოსტატობის ძირითადი შტრიხი, ჩვენი აზრით, ზუსტადაც რომ საკითხის ფართო ჭრილში გადმოტანის უნარიდან გამოიკვეთება განსაკუთრებულად. აქვე, ცალკე უნდა აღვნიშნოთ, ელგუჯა თავბერიძის პროზისთვის დამახასიათებელი იუმორიც, რომელიც ინდივიდუალურ მანერასა და ინტელექტუალურ სარკაზმშია კონსტრუირებული და აქაც შესაძლოა ითქვას, რომ იგი, მწერლის სტილის ერთ საინტერესო შტრიხთაგანს წარმოადგენს: ,,შლეიფიანი ქალი გამატარებინა ქუთაისის ქუჩებში და მომკლა მერე, ოჰ, ოჰ, რას დაგვის, რას დახვეტავს, რას ამოისუნთქვებს ქალაქი. უთვალავნაჭრიანმა შლეიფებმა შეიძლება ტალახიც გადაწმინდონ, მაშინ ნახეთ შვება, რაც ღმერთმა ვერ ქნა, იმას იზამს დალოცვილი შლეიფი. ქუთათურ ბაზარშიც მინდოდა რამდენიმე შლეიფიანი გამეტარებინა, გადავიფიქრე, სწორად მოვიქეცი. იქ იმდენი მტვერია, ისეთი ნაგავია, აღრიალებული რიონი თუ წაიღებს, თორემ შლეიფი რას დააკლებს, შეიძლება ადამიანებს ხველა აუტყდეთ, ხველით დახრჩობას მტვერში გოგმანი ჯობია“. ამ პასაჟში, რომელშიც, ერთი შეხედვით,

იუმორით გაზავებული, გაცხადებული სურვილია გამოკვეთილი, ერთი კარგად დასუფთავდეს პერსონაჟის (ავტორის) საყვარელი ქალაქის ქუჩები, რამდენიმე საინტერესო დასკვნის გაკეთება შეიძლება: პირველი, როგორც ეს აღვნიშნეთ, ელგუჯა თავზერიძის ოსტატური იუმორია, რომელიც ხუმრობასა და სერიოზულობას შორის თანაბრად ვითარდება და მეტად საინტერესო იუმორისტულ ნაკადს ქმნის მთელს კრებულში. მეორე - ეს ქალაქის (თუკი ჩვენ ქუთაისი ზემოთ უკვე მივიჩნიეთ მთელი ქვეყნის ადაპტად), შესაბამისად, - ქვეყნის სიყვარული და მასზე ზრუნვის დაუცხრომელი წყურვილია. მესამე - და ერთ-ერთი ძირითადი ხაზია, როგორც ამ ციტატაში, ისე მთელს კრებულში, მდინარე რიონი და მისი, ერთგვარი, საკრალური დანიშნულება ქუთათურებისათვის, ხოლო მეოთხე უკვე, ჩვენი ვარაუდია, რაც ზემოთ დამოწმებული სხვა ციტატების გათვალისწინებით, ვფიქრობთ, რეალობისგან შორს არ უნდა გახლდეთ და შემდგომში მდგომარეობს: სინამდვილეში ავტორის ფიქრთა ნაკადი არა მხოლოდ მტვრიანი და ტალახიანი ქალაქის დასუფთავებაზე ოცნებას შეჰფოფინებს, არამედ, უფრო ღრმა ფილოსოფიური ფესვები უნდა ჰქონდეს ამ დასუფთავებაზე ოცნებას, აქ ისეთი ,,დასუფთავებაა“ ჯერ ,,რაც ღმერთმა ვერ ქნა“ და მწერლის საოცნებო რეალობად გადაქცეულა. ამიტომ, გვგონია, რომ სწორედ იმ პარადოქსული რეალობის, იმ ადამიანთა შინაგანი სამყაროს დასუფთავებაც უნდა მოიაზრებოდეს ამ ზედაპირულ დაგვა-დახვეტვაზე ოცნების მიღმა, რომელზეც ზემოთ შევნიშნავდით მწერლის განწყობა-დამოკიდებულებას.

იუმორის თავისებურ მანერაზე ვმსჯელობდით და ამ იუმორში შეფარებული საინტერესო საკითხებიც იქვე მიმოვიხილეთ; ელგუჯა თავზერიძის იუმორის იმდაგვარად აღსაქმელად როგორადაც შევაფასეთ, დამადასტურებელი მაგალითები საძებნიც კი არ არის, იმდენადაა თვალსაწიერზე, მაგრამ კვლევის ფარგლებში ერთი-ორი ასეთი იუმორისტული პასაჟის დამოწმება მაინც მოგვიწევს, რამდენადაც ეს ნაკადი მნიშვნელოვნად არის თვალშისაცემი, მეტიც, ზოგჯერ პირდაპირ ავტორისეული იუმორით იხსნება მოთხრობა და სასტარტო ფრაზიდანვე განგვაწყობს, რომ საქმე გექნება სერიოზულ, მაგრამ ალაგ-ალაგ იუმორით მოპირკეთებულ ტექსტებთან; მაგალითად, მოთხრობა - ,,მე ივანე აბაშიძე“ შემდეგი წინადადებით იღებს სათავეს: ,,არტისტისგან ენაზე კბილის დაჭერა ვის გაუგონია. რაც არ იციან, იმას ჰყვირიან, რაც იციან, შვილი რომ მოუნათლო, მაინც გაამხელენ“. - მწერალი ერთი წინადადებით განგაწყობს, როგორც სასუბროდ ძირითად თემაზე, რომელიც, პერსონაჟის საიდუმლოს უნდა უკავშირდებოდეს, ამავდროულად, გამზადებს, რომ მოთხრობას ნაწილობრივ იუმორისტული განწყობა მიადევნო, რაც დასაწყისის ერთი წინადადებით არცთუ მარტივი გასაკეთებელია ნიჭიერი მწერლისთვისაც კი. მწერლის ინდივიდუალურ სტილს ჰქმნის პერსონაჟების სამეტყველო ენაც, რომელიც, იმ ინდივიდების ხასიათებზეა მორგებული, რომლებსაც ავტორი სხვა კომპონენტებთან ერთად სწორედ მათი საუბრის მანერით ხატვს და სრულყოფს. ზოგჯერ კი, მიუხედავად იმისა, რომ ხატოვანი გამოთქმები სულაც არ არის მოსალოდნელი ამა თუ იმ პერსონაჟისაგან, ავტორი პოულობს საჭირო კონტექსტებს, სადაც იგი პერსონაჟის ენით ძალიან საინტერესო სიტყვათშეთანხმებებსა თუ ხატოვან წინადადებებს მოარგებს სიტუაციებს და, კიდევ, უფრო თვალნათლად გამოკვეთს მწერლისეულ სტილსა და მანერას. მოთხრობაში ,,ცუცუნია“ - სადაც ცუცუნია ერთი ბედარეული ქალია, და საკუთარ, გაურკვევლობაში გადასულ ცხოვრებას ჰყვება, ძალიან საინტერესოდ გაწყობილ წინადადებებს მხატვრული ლაზათით ალაგებს, მიუხედავად იმისა, რომ თავად მისი ცხოვრება ტრაგიკული და პარადოქსული უფროა, ვიდრე მხატვრული და რომანტიული. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ, თუ როგორ გამოიყურება, მის მიერ დახასიათებული ერმილიჩი: ,,იქ რას იზამდა, აქ არაფრის მაქნისი, გულშავი, დღემძინარა, ღამემღვიძარა, პირგამტეხი, დღემეხვალიე, მოყიალე და ალიკვალდაბნეული“; ან საკუთარ ახალგაზრდობისდროინდელ მომხიბვლელობას როგორ იხსენებს ცუცუნია: ,,იმისთანა ქალი ვიყავი, ახლობლები და შორებლები მშვენიერთა ტურფას მეძახდნენ. გვერდს გავუვლიდი, ქარს გაექროლოს, ჩავუვლიდი, შემონიავება ეონათ. რა ქარნიავი დააყენეო, - მიბრაზდებოდნენ.“ მონოლოგის ერთ ნაწილში კი ამბობს: ,,მთვარისას - ყველაფერს, კაცისას ვერაფერს გაიგებ“, შორს აღარ გავყვებით, მხოლოდ რამდენიმე შტრიხად დავახარისხებთ: პერსონაჟის მიერ სხვისი დახასიათება, საკუთარი თავის შესახებ მოგონება, ზოგადი დასკვნა საპირისპირო სქესისადმი და მისგან დახატულ ცუდ ამინდს გამოვანაპირებთ ძირითადი ტექსტიდან, რომ ჩვენი შემჩნევა უფრო მისადაგებულად დავანახოთ მკითხველს: ,,ჭექა-ქუხილი უცვარუნამოდ არ ჩაივლის. ელვამ გაკვესა, ცა აგრგვინდა, ამქუხარდა, გეგონებოდათ, სახურავს დაეცა მოგრიალე ნამსხვრევიო.“ - ამგვარად, ელგუჯა თავზერიძის პერსონაჟი, რომლის მონოლოგიც წარმოადგენს მოთხრობის ძირითად ნაწილს, იმ ცხოვრებისეული პრობლემების, ბედისა თუ უიღბლობის დემონსტრირების კვალდაკვალ, გამოიკვეთება ენაწყლიან მოსაუბრედაც, ამ დროს კი, მისი ენაწყლიანობის საფუძველი სწორედ, მწერლის გონებამახვილობასა და ნიჭიერებზე გადის.

როგორც დასაწყისშიც აღვნიშნეთ, ჩვენი განსაკუთრებული დაინტერესება ელგუჯა თავბერიძის ჩვენ მიერ განხილული წიგნისადმი, გამოიწვია იმ ფაქტორმა, რომ ,,ძველი ამბების ქრონიკის" ლიტერატურული ტრანსფორმაციის ამდაგვარი შეთავაზება მკითხველისათვის საინტერესო სიახლეს წარმოადგენს, თუმცა გულწრფელად უნდა იქნას აღიარებული, ჩვენი მხრივ, რომ ვხედავდით გარკვეულ რისკ-ფაქტორსაც, რამდენადაც, მონაკვეთური და, ამავდროულად, დოკუმენტური ისტორიები, თუ ბიოგრაფიული ნაწილები, არ უნდა ჩარჩენილიყო საინტერესო, ნაკლებად საინტერესო თუ დიდად საინტერესო ამბების პრიზმაში, მას აუცილებლად უნდა ჰქონოდა სხვა ფართო დანიშნულება და შინაარსი, რომელიც ამ ამბების ერთიანობითა და მათსავე სტრიქონების ნიუანსებში უნდა გამოხატულიყო. შესაბამისად, რამდენადაც ჩვენ ვხედავთ შესაძლებლობას, ამ წიგნის საფუძველზე განგვეხილა ერთი ეპოქა ერთი ქალაქის ჭრილში, ერთი წიგნისა და ერთი ავტორის ფარგლებში, ვფიქრობთ, ამით თავადვე გავეცით ამომწურავი პასუხი საკუთარ სკეპტიციზმს და, შეძლებისდაგვარად, შევეცადეთ, უფრო საინტერესოდ წარმოგვეჩინა ამ განსხვავებული ჟანრის მოთხრობათა კრებულის მნიშვნელობაც.

რეზიუმე

ჩვენთვისაც და ვფიქრობთ ზოგადად, ქართული ლიტერატურის მკვლევართათვის, ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ ინტერესის სფეროს წარმოადგენს მიმდინარე სალიტერატურო პროცესის ანალიზი და მასზე, პრაქტიკულად, უწყვეტი თვალის მიდევნება. ამჯერად, საკვლევ თემად შევარჩიეთ ელგუჯა თავბერიძის წიგნი ,,ქარის ფრთები", რამდენადაც ავტორი განსხვავებული სტილისა და ჟანრის მოთხრობებს გვთავაზობს და აერთიანებს აღნიშნულ კრებულში. აღსანიშნავია, რომ წიგნი, როგორც მას ავტორი დასაწყისშივე წარადგენს მკითხველის წინაშე, ,,ძველი ამბების ქრონიკას" აერთიანებს და ერთგვარი გაგრძელებაა ელგუჯა თავბერიძის ,,ძველი ამბების ქრონიკის" ციკლის პირველი წიგნისა - ,,ხეზე ასვლა".

ჩვენი განსაკუთრებული დაინტერესება ელგუჯა თავბერიძის წიგნისადმი „ქარის ფრთები" გამოიწვია იმ ფაქტორმა, რომ ,,ძველი ამბების ქრონიკის" ლიტერატურული ტრანსფორმაციის ამდაგვარი შეთავაზება მკითხველისათვის საინტერესო სიახლეს წარმოადგენს, თუმცა გულწრფელად უნდა იქნას აღიარებული, ჩვენი მხრივ, რომ ვხედავდით გარკვეულ რისკ-ფაქტორსაც, რამდენადაც, მონაკვეთური და, ამავდროულად, დოკუმენტური ისტორიები, თუ ბიოგრაფიული ნაწილები, არ უნდა ჩარჩენილიყო საინტერესო, ნაკლებად საინტერესო თუ დიდად საინტერესო ამბების პრიზმაში, მას აუცილებლად უნდა ჰქონოდა სხვა ფართო დანიშნულება და შინაარსი, რომელიც ამ ამბების ერთიანობითა და მათსავე სტრიქონების ნიუანსებში უნდა გამოხატულიყო. შესაბამისად, რამდენადაც ჩვენ ვხედავთ შესაძლებლობას, ამ წიგნის საფუძველზე განგვეხილა ერთი ეპოქა ერთი ქალაქის ჭრილში, ერთი წიგნისა და ერთი ავტორის ფარგლებში, ვფიქრობთ, ამით თავადვე გავეცით ამომწურავი პასუხი საკუთარ სკეპტიციზმს და, შეძლებისდაგვარად, შევეცადეთ, უფრო საინტერესოდ წარმოგვეჩინა ამ განსხვავებული ჟანრის მოთხრობათა კრებულის მნიშვნელობაც.

AN EPOCH FROM ONE TOWN`S PERSPECTIVE
(ON THE EXAMPLE OF ELGUJA TAVBERIDZE BOOK "THE WINGS OF THE WIND")

Giorgi Khorbaladze, Associate Professor

RESUME

We strongly believe that not only for us, but, generally for the literature researchers as well, one of the large-scale interest spheres is the current process of literature analysis and its constant observation. This time we chose Elguja Tavberidze‘s book "The wings of the wind" as a research topic, because the author offers the stories of different style and genre, and gathers them in one book. It is noteworthy, that the book is the sequel of the Elguja Tavberidze first book "Climb the Tree" of the cycle "Old News Chronicles".

The fact that caused our special interest of the Elguja Tavberidze book "The wings of the wind" is that he offered the literary transformation of the book "Old News Chronicles", which appeared a fascinating novelty for the reader. However, we should admit that we notice a certain risk-factor, because episodic and at the same time, documentary stories or biographic parts should not be left in the prism of interesting, less interesting or more interesting stories; it should have more broad purpose and contents, which should be expressed by the unity of the stories and in-line nuances. Thus, as much as we had the possibility, we analyzed one epoch in one town`s perspective within one book and one author. We believe, we gave an exhaustive answer to our own skepticism, and tried to reveal the contents of the stories of different genre in a more interesting way.

განათლება
Education

ინტერაქტიული სწავლების გამოწვევები

ციური ბაქრაძე, ასოცირებული პროფესორი

ინტერაქტიული სწავლება ფართო ცნებაა და თავის თავში გულისხმობს ეფექტური სწავლების ისეთ სტრატეგიებს, როგორიცაა თანამშრომლობითი ჯგუფური მუშაობა, საკლასო დისკუსია, დებატები, როლური თამაშები და სხვა. ინტერაქტიული სწავლების დროს სასწავლო პროცესი სახალისო და სასიამოვნოა, მოსწავლეები გაკვეთილის პროცესში აქტიურად არიან ჩართული და სასწავლო მიზნები მაქსიმალურად მიღწეულია.

ინტერაქტიულ გაკვეთილებზე მნიშვნელოვანია მასწავლებელმა ისეთი ხერხები გამოიყენოს, რომლებიც გაკვეთილის პროცესში მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას უზრუნველყოფს. სასურველია, რომ კლასში იყოს მაქსიმალურად პოზიტიური და რაც შეიძლება მოსწავლის მიმართ ნაკლებად კრიტიკული გარემო.

ჰ. ლ. ანდერმანი მიუთითებს, რომ „შეფასების გამოყენება მოსწავლეთა ურთიერთშედარებისთვის (ყველაზე წარმატებული მოსწავლის საჯაროდ გამოყოფა, საკლასო რეიტინგის შედგენა და ა.შ.) ნეგატიურად აისახება მოსწავლეთა თვითშეფასებასა და ჩართულობაზე სასწავლო პროცესში" [1. 15].

მკვლევართა დიდი ნაწილის აზრით, გაკვეთილი სასურველია იწყებოდეს გავლილი მასალის მიმოხილვით. ეს გაკვეთილის პირველი ნაწილია, სადაც გამოკითხვა გადამწყვეტ როლს თამაშობს.

ახალი მასალის მიწოდება სასურველია მოხდეს ეტაპობრივად და თითოეულ ეტაპს მოჰყვებოდეს პრაქტიკული მუშაობა, რომლის დროსაც მოსწავლეები გაიმყარებენ მიღებულ ცოდნას, ხოლო მასწავლებელს შესაძლებლობა ექნება შეამოწმოს, თუ რამდენად აითვისეს მოსწავლეებმა მასალა. გამოკითხვა გაკვეთილის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია რამდენიმე მიზეზის გამო:

- მასწავლებელი მოკლე დროში იღებს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რამდენად აითვისეს მოსწავლეებმა აღნიშნული მასალა;
- გამოკითხვა თავად მოსწავლეს ეხმარება განვლილი თემის უკეთ ათვისებაში, რის შემდეგაც მასწავლებელს საშუალება ეძლევა გადავიდეს ახალ მასალაზე;
- კითხვებზე სწორი პასუხების გაცემა მოსწავლეებს კმაყოფილების განცდას უჩენს, რაც, თავის მხრივ, დადებითად აისახება თვითშეფასებაზე და ამზადებს მათ ახალ მასალაზე გადასასვლელად;
- კითხვებზე პასუხის გაცემის დროს მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ, საკუთარი სიტყვებით გადმოსცენ აზრი, გაანალიზონ ახალი ინფორმაცია და ცნებები.

მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. არსებობს რთული და მარტივი კითხვები, რომლებიც სხვადასხვა საფეხურის კოგნიტური უნარების გამოყენებას მოითხოვს. კითხვები ერთმანეთისაგან ფორმითაც განსხვავდება, მაგ.; ღია და დახურული კითხვები. დახურულს ერთი კონკრეტული პასუხი აქვს. ღია შეკითხვას რამდენიმე. კვლევებმა აჩვენა, რომ რაც უფრო

ეფექტურია მასწავლებელი, მით უფრო ხშირად იყენებს რთულ კითხვებს, თუმცა მაღალი და დაბალი საფეხურის კითხვების შეფარდება დამოკიდებულია გაკვეთილის შინაარსზე. სასურველია, რომ მასწავლებელი მაღალი საფეხურის კითხვის დასმის შესაძლებლობებს მაქსიმალურად იყენებდეს, რათა მოსწავლეების აზროვნების უნარის განვითარებას შეუწყოს ხელი.

ნ. კოდუა აღნიშნავდა, რომ „დაშვებული შეცდომა და სწორი პასუხის აღმოჩენის სურვილი მოსწავლისათვის ხშირად ახალი ცოდნის მიღების, საკუთარი უნარებისა და შესაძლებლობების გაუმჯობესების ბიძგი ხდება“ [2. 60].

შედეგზე ორიენტირებული კითხვებით მასწავლებელი იგებს, თუ რამდენად შეუძლია მოსწავლეს კონკრეტული პრობლემებისათვის გამოსავლის მოძებნა, ხოლო პროცესზე ორიენტირებული კითხვების დროს მასწავლებელი არკვევს რამდენად გაიგო მოსწავლემ ის პროცედურები და წესები, რომლებიც სწორი პასუხის დასადგენად გამოიყენება. შეიძლება ითქვას, რომ შედეგზე ორიენტირებული შეკითხვები, როგორც წესი, დახურული და დაბალი საფეხურისაა, როცა პროცესზე ორიენტირებული შეკითხვები ძირითადად ღიაა და მაღალი საფეხურის კატეგორიას განეკუთვნება.

- როგორ უნდა მოიქცეს მასწავლებელი, თუ მოსწავლე შეკითხვაზე სწორ პასუხს გასცემს? ამ შემთხვევაში მასწავლებელმა მაშინვე უნდა დაადასტუროს პასუხის სისწორე, მაგრამ გადამეტებული და ემოციური შექება საჭირო არ არის. მოსწავლეთა ასაკის გათვალისწინებით, ზოგჯერ მასწავლებლის მხრიდან თავის დაკვრა ან რაიმე დამადასტურებული ჟესტიც საკმარისია.
- როგორ უნდა მოიქცეს მასწავლებელი, თუ მოსწავლე შეყოვნდება, მაგრამ მაინც სწორ პასუხს გასცემს? ამ დროს საჭიროა მასწავლებელმა დადებითი უკუკავშირი მიაწოდოს. მკაფიო და დადებითი უკუკავშირი დაეხმარება მოსწავლეს იმის დახსომებაში, რომ მან ნამდვილად სწორი პასუხი გასცა. შემდგომში, როცა იგივე კითხვა იქნება დასმული, მოსწავლე მეტი თავდაჯერებით გასცემს პასუხს.

თუ მოსწავლეები ხშირად ყოვნდებიან კონკრეტული საკითხის ირგვლივ კითხვებზე პასუხის გაცემისას, მასწავლებელმა უნდა დაადგინოს ამის მიზეზი და შეიძლება საჭირო გახდეს ამ მასალის ხელახლა ახსნა.

- როგორ უნდა მოიქცეს მასწავლებელი, თუ მოსწავლე შეკითხვაზე არასწორად უპასუხებს? ამ შემთხვევაში შესაძლოა არასწორი პასუხები, რომლებიც განპირობებულია დაუდევრობით, სიჩქარით ან არასაკმარისი დაფიქრებით, ან იმით, რომ მოსწავლეს არ ესმის, ან ვერ გაიგო მასალა. ორივე შემთხვევაში მასწავლებელმა ყოველგვარი კრიტიკის გარეშე უნდა აღნიშნოს, რომ პასუხი არასწორია, ამ შემთხვევაში კრიტიკა ნაკლებად ეფექტურია, შეიძლება მოსწავლე უარყოფითად განეწყოს მასწავლებლის მიმართ და უფრო ნაკლები ძალისხმევა გამოიჩინოს კონკრეტული საგნის ასათვისებლად. მას შემდეგ, რაც მასწავლებელი აღნიშნავს, რომ მოსწავლემ შეკითხვას არასწორი პასუხი გასცა, მან მაშინვე ყურადღება უნდა გადაიტანოს სხვა მოსწავლეზე. მასწავლებელი უნდა ეცადოს, რომ თვითონ კი არ გასცეს კითხვას სწორი პასუხი, არამედ სხვა მოსწავლეს მისცეს საშუალება გაასწოროს მცდარი პასუხი.

საკლასო დისკუსია ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია, რომლის გამოყენებაც ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას სასწავლო პროცესში და ხელს უწყობს მათი სოციალური და ინტერპერსონალური უნარების განვითარებას. დისკუსია შესაძლოა წარიმართოს: თანამშრომლობითი ჯგუფური მუშაობის დროს მოსწავლეებს შორის, ან მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის. დისკუსია ხელს უწყობს სწავლების რამდენიმე ძირითად მიზანს: 1. დაეხმაროს მოსწავლეებს, აქტიური მონაწილეობა მიიღონ გაკვეთილის მსვლელობაში საკუთარი აზრის გამოხატვის გზით; 2. დაეხმაროს მოსწავლეებს ზოგადად, კრიტიკული აზროვნების განვითარებაში; 3. ხელი შეუწყოს სასწავლო მასალის ათვისებაში მისი კრიტიკული გააზრების გზით; 4. დაეხმაროს მოსწავლეებს კომუნიკაციის უნარის განვითარებაში.

დისკუსია უნდა იყოს კარგად მომზადებული, სასურველია ეფუძნებოდეს განვლილ მასალას, თუმცა, შესაძლებელია ახალი თემის ირგვლივაც. ასევე შესაძლებელია დისკუსია გაიმართოს პრეზენტაციის დროსაც. მერხების წრიული განლაგება მასწავლებელს მისცემს საშუალებას, დაინახოს მთელი კლასი და გააკონტროლოს, რამდენად არის ყველა მოსწავლე დისკუსიაში ჩართული.

იმისათვის, რომ დისკუსია ეფექტური იყოს, საჭიროა ის ფოკუსირებული იყოს კონკრეტულ მიზანსა და სფეროზე. მასწავლებელმა უნდა განუმარტოს დისკუსიის მიზანი. სასურველია მასწავლებელმა დისკუსია დაიწყოს რამდენიმე მიმანიშნებელი კითხვით და დაუკავშიროს განვლილ მასალასაც.

წარმატებული დისკუსიისათვის მნიშვნელოვანია, რომ კლასში მოსწავლეები ერთმანეთის შეხედულებებს პატივს სცემდნენ. დისკუსია, ისე როგორც ჯგუფური მუშაობის მეთოდი, მოითხოვს გაკვეთილის დაწყებამდე საორგანიზაციო საკითხების მოგვარებას. ინტერაქტიული სწავლების დროს

მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო პროცესში ყველა მოსწავლე იყოს ჩართული, მაგრამ ზოგჯერ მორცხვ ბავშვებს დისკუსიაში ჩართვის სურვილი არა აქვთ, შესაძლოა საკუთარ თავში დაურწმუნებლობა.

ამ პრობლემის თავიდან აცილება შესაძლებელია მასწავლებლის სწორი რეაგირების შემთხვევაში. მან უნდა აკონტროლოს და ყველა მოსწავლე ჩართოს დისკუსიაში. ამისთვის რამდენიმე მეთოდი არსებობს, მასწავლებელს შეუძლია სწრაფად დაუსვას ყველას კითხვები.

ასევე შესაძლებელია, რომ მასწავლებელს თავის მაგიდაზე ჰქონდეს მოსწავლეთა სია, რომელშიც ჩაინიშნავს, თუ რომელმა მოსწავლემ გასცა პასუხი კითხვაზე და ამით გააკონტროლებს თითოეული მოსწავლის ჩართულობას სწავლის პროცესში. მასწავლებელმა შედარებით სუსტ მოსწავლეებს არ უნდა დაუსვას რთული კითხვები, ვინაიდან თუ მოსწავლე ხშირად ვერ გასცემს კითხვაზე სწორ პასუხს, ეს მის თვითშეფასებასა და თავდაჯერებულობაზე უარყოფით გავლენას იქონიებს.

ი. კუტალაძის შეხედულებით: „სიმულაციისა და როლური თამაშების გამოყენება სასწავლო პროცესში ერთ-ერთი საინტერესო და გამოსადეგი სტრატეგიაა, რომელიც განსაკუთრებით ახალისებს სასწავლო პროცესს“ [3. 35]. ამ სტრატეგიებს მასწავლებელმა შესაძლოა მიმართოს რთული თემის ასახსნელად. სიმულაცია გულისხმობს ხელოვნური სიტუაციის შექმნას, რომელიც რეალობის მსგავსია, იგი არის მოდელი იმისა, რაც არსებობს ან შეიძლება არსებობდეს რეალურ ცხოვრებაში.

კ. დ. მური აღნიშნავს: „სიმულაცია არის რეალობის გათამაშება. საკლასო გარემოში ძირითადად ორი ტიპის სიმულაცია გამოიყენება: სიმულაცია ადამიანების მონაწილეობით და სიმულაცია კომპიუტერის მეშვეობით. სიმულაციას ადამიანის მონაწილეობით როლურ თამაშებს უწოდებენ“ [4. 20].

რითი განსხვავდება სიმულაცია თამაშებისაგან? თამაშის პროცესი ყოველთვის გამარჯვებულს გულისხმობს, მაშინ, როდესაც სიმულაციას არ სჭირდება გამარჯვებული, როლური თამაშის დროს ხდება ისტორიული, ლიტერატურული ან გამოგონილი პერსონაჟების ქცევის გათამაშება. ამ თამაშის დროს მოსწავლე „ხდება“ სხვა ინდივიდი, ამ როლით იგი უფრო უკეთესად წვდება იმ ადამიანის ბუნებას, მოტივაციასა და ხასიათს, რომელსაც განასახიერებს. სასურველია როლურ თამაშში რამდენიმე ან მოსწავლეთა მცირე ჯგუფი მონაწილეობდეს. ეს მეთოდი ადამიანის ქცევის თავისებურებებსა და მის მოტივებს აცნობს და ასწავლის. ამ გზით უვითარდებათ პრობლემის გადაჭრის, ასევე გადაწყვეტილების მიღების უნარი.

სიმულაციისა და როლური თამაშების გამოყენებას სასწავლო პროცესში ბევრი დადებითი ეფექტი აქვს:

- თამაშში მოსწავლე ყოველთვის ხალისით ერთვება;
- მოსწავლეებს კომუნიკაციის უნარები უვითარდებათ;
- მოსწავლეები უკუკავშირს მაშინვე იღებენ;
- ანალიტიკურ და კრიტიკულ აზროვნებას უწყობს ხელს;
- უვითარებს თანაგანცდის უნარს.

გარდა დადებითი ეფექტებისა, არსებობს თამაშების სირთულეები:

- როლური თამაშები მოსწავლისაგან და მასწავლებლის მხრიდან წარმოსახვის უნარს მოითხოვს;
- ამ თამაშების დროს მოსწავლესა და მასწავლებელს შორის განვითარებულმა ურთიერთობამ შეიძლება ზედმეტად არაფორმალური ხასიათი მიიღოს, რამაც შესაძლებელია კლასის მართვასთან დაკავშირებული პრობლემები შექმნას.

საგნის სწავლებასთან ერთად მასწავლებელი ხშირად მოსწავლეებს იმასაც ასწავლის, თუ როგორ ისწავლონ. კ. დ. მური მიუთითებს, რომ “მასწავლებელს კლასი მოსწავლეების სამ კატეგორიად ხვდება: მოსწავლეები, რომლებიც სხვისი დახმარების გარეშე სწავლობენ, რომლებსაც სჭირდებათ მცირე დახმარება და რომლებსაც მნიშვნელოვანი დახმარება სჭირდებათ” [4. 35]. მასწავლებლის მიზანია, ხელი შეუწყოს იმ მოსწავლეებს, რომლებსაც დახმარების გარეშე უჭირთ სწავლა და განუვითაროს მათ დამოუკიდებლად მუშაობის ჩვევები. ამისთვის მასწავლებელი უამრავ მეთოდსა და სტრატეგიას იყენებს, რომელთაგან ზოგიერთი მოსწავლეზე პირდაპირ და ზოგჯერ არაპირდაპირ გავლენას ახდენს.

მკვლევრები განასხვავებენ სწავლების ორ ტიპს: პირდაპირ და არაპირდაპირ სწავლებას. პირდაპირი სწავლება სწავლების უფრო ტრადიციული ფორმაა, პირდაპირი სწავლებისას ცოდნა მასწავლებლის გავლით გადაეცემა მოსწავლეს, ხოლო არაპირდაპირი სწავლებისას მოსწავლეებს ეძლევათ ინფორმაცია ან მითითებები ინფორმაციაზე, რომელზე დაყრდნობითაც თავად აგებენ ცოდნას. საგულისხმოა ისიც, რომ პირდაპირი და არაპირდაპირი სწავლების მეთოდებს შორის მკაცრი ხაზის გავლება მიზანშეწონილი არ არის.

ხშირად ორივე სტრატეგია ერთი და იგივე გაკვეთილის განმავლობაში შეიძლება გამოიყენოს მასწავლებელმა. მაგალითად მასწავლებელმა გაკვეთილი შეიძლება ლექციური მეთოდით დაიწყოს და ამ

გზით მიაწოდოს ინფორმაცია მოსწავლეებს, ხოლო გაკვეთილის მეორე ნახევარში გამოიყენოს მცირე ჯგუფებში მუშაობის მეთოდი. ის, თუ რომელი მიდგომა და მეთოდი უნდა გამოიყენოს მასწავლებელმა ამა თუ იმ გაკვეთილზე, დამოკიდებულია უამრავ ფაქტორზე, როგორიცაა მაგალითად: საგანი, მოსწავლეთა ასაკი, კონკრეტული სასწავლო მიზანი, სწავლების საფეხური, კლასი და ა.შ. ამასთან სწავლების სტრატეგიების ცვლა დადებითად მოქმედებს მოსწავლეთა მოტივაციაზე და სასწავლო პროცესს უფრო სახალისოს ხდის.

ამდენად, ეფექტური სწავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა ინტერაქტიული სწავლების მეთოდების გამოყენება. შედეგზე ორიენტირებული კითხვების დროს, მასწავლებელი იგებს, თუ რამდენად შეუძლია მოსწავლეს კონკრეტული პრობლემისათვის გამოსავლის მოძებნა, ხოლო პროცესზე ორიენტირებული კითხვების დროს მასწავლებელი არკვევს, რამდენად კარგად გაიგო მოსწავლემ ის პროცედურები და წესები, რომლებიც სწორი პასუხის დასადგენად გამოიყენება.

შ. ჩხარტიშვილის აზრით: „მოსწავლეთა მოტივაციაზე ზრუნვა არ უნდა იფარგლებოდეს კონკრეტული საკლასო ოთახით. მამოტივირებელი გარემო უნდა იქმნებოდეს მთელი სკოლის მასშტაბით. წინააღმდეგ შემთხვევაში მასწავლებლის მიერ გამოყენებული შესაბამისი სტრატეგიები ვერ მოიტანს სასურველი შედეგს“ [5. 61].

ლიტერატურა:

1. Anderman H, L, 8 Midgley, motivation and Middle School Students, ERGIC Digest, Retrived on December 1, 2010.
2. კოდუა ნ., სოციოლოგია, II ნაწ., თბ., 1999.
3. კუტალაძე ი., ეფექტური სწავლება, თბ., 2010.
4. Movre K. D., Effective Instructional Strategies From Theory to Practice, 2009.
5. ჩხარტიშვილი შ., სწავლების მოტივაციის სტრუქტურა, თბ., 1998.

რეზიუმე

ინტერაქტიულ გაკვეთილზე მნიშვნელოვანია მასწავლებელმა ისეთი ხერხები გამოიყენოს, რომლებიც გაკვეთილის პროცესში მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას უზრუნველყოფს. სასურველია, რომ კლასში იყოს მაქსიმალურად პოზიტიური და რაც შეიძლება მოსწავლის მიმართ ნაკლებად კრიტიკული გარემო.

კვლევებმა აჩვენა, რომ რაც უფრო ეფექტურია მასწავლებელი, მით უფრო ხშირად იყენებს რთულ კითხვებს, თუმცა მაღალი და დაბალი საფეხურის კითხვების შეფარდება დამოკიდებულია გაკვეთილის შინაარსზე. სასურველია, რომ მასწავლებელი მაღალი საფეხურის კითხვის დასმის შესაძლებლობებს მაქსიმალურად იყენებდეს, რათა მოსწავლეების აზროვნების უნარის განვითარებას შეუწყოს ხელი.

ეფექტური სწავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა ინტერაქტიული სწავლების მეთოდების გამოყენება შედეგზე ორიენტირებული კითხვების დროს, მასწავლებელი იგებს, თუ რამდენად შეუძლია მოსწავლეს კონკრეტული პრობლემებისთვის გამოსავლის მოძებნა.

INTERACTIVE LEARNING CHALLENGES

Tsira Bakradze, Associate Professor

RESUME

Interactive teaching is a broad term and implies effective teaching strategies such as collaborative group work, class discussion, debates, role-playing games and etc. In interactive lessens it is important that teachers use the methods. Which provide active involvement of students during the lesson. The majority of researchers believe that it is desirable to be asked the past material at the beginning of the lesson. By asking result – oriented questions the teacher can understand how the student can. Find the solution to the specific problems. However during the process – oriented questions the teacher can find out tow well the student understood about the processes and rules which are used to determine the correct answer.

სამოდელო გაკვეთილის მიზანი ბუნებისმეტყველების სწავლებაში

თინათინ იოსებიძე, ასოცირებული პროფესორი

თანამედროვე ეტაპზე ქვეყნისა და მთელი კაცობრიობის წინაშე მდგარი სამეცნიერო– ტექნიკური პროცესის ამოცანები განსაზღვრავენ ბიოლოგიური განათლების უდიდეს როლს. მოსწავლე სისტემატურ ინფორმაციას და ცოდნას გარემოსა და ცოცხალ ორგანიზმში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესების შესახებ სკოლაში საბუნებისმეტყველო დისციპლინების (ბოტანიკა, ზოოლოგია, ანატომია, ზოგადი ბიოლოგია, ბუნებისმეტყველება, ქიმია, ფიზიკა, ასტრონომია) საშუალებით იღებს. ამ საპასუხისმგებლო მისიას - სასწავლო პროცესის სწორად ორგანიზებას, სწავლების აქტიური, ინოვაციური ფორმებისა და მეთოდების დანერგვას, ახალი სამეცნიერო მიღწევების გათვალისწინებას და შესაბამისი ბიოლოგიური განათლების გადაცემას, მხოლოდ მომზადებული, გამოცდილი მასწავლებელი შეძლებს. თანამედროვე გაკვეთილის ეფექტურობა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, მასწავლებელმა უნდა გაითავისოს, რომ მაღალი შედეგი მხოლოდ თანმიმდევრული, გააზრებული, დაგეგმილი აქტივობით მიიღება.

თანამედროვე გაკვეთილი სკოლაში უნდა პასუხობდეს შემდეგ მოთხოვნებს: გამოყენებული იყოს მეცნიერების უახლესი მიღწევები; გარემო ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობებისა და მოთხოვნილებების შესაბამისი შემეცნებითი ინტერესების განვითარებას; უნდა მოხდეს პიროვნული სფეროს მოტივაცია და აქტივიზაცია, მოსწავლეთა ცოდნის დონეზე დაყრდნობით საგნისა და საგანთაშორისი კავშირების დადგენა; სასწავლო პროცესის ყველა ეტაპის ემოციური და ლოგიკური თანმიმდევრობა; სასწავლო რესურსების ეფექტური მოხმარება/გამოყენება; მოსწავლეთა პირადი გამოცდილების დაკავშირება ყოფა-ცხოვრებასთან; ცოდნის მიღების წყურვილის გაღვივება; თითოეული გაკვეთილის გულმოდგინე დიაგნოსტიკა, პროგნოზირება, დაგეგმვა/კონსტრუირება.

მაგალითად მოგვყავს სამოდელო გაკვეთილის ჩატარების ტექნოლოგიები ბიოლოგიაში. როგორც ცნობილია, სამოდელო გაკვეთილის ტიპებია:

- პრობლემაზე ორიენტირებული;
- ინოვაციური;
- გამჭოლი კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული გაკვეთილი;
- ინტეგრირებული გაკვეთილი.

სამოდელო გაკვეთილებიდან მნიშვნელოვანია ინტეგრირებული გაკვეთილი. ინტეგრირებული გაკვეთილის დაგეგმვა ბიოლოგიაში შესაძლებელია ყველა დისციპლინასთან, რომლის თემატიკა თავსებადია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, საგნის პროგრამასთან, მაგალითად - ქიმია, ფიზიკა, გეოგრაფია, მშობლიური ლიტერატურა, თუმცა შესაძლებელია ,,კონტრასტ“ საგნებთანაც - მუსიკა, სპორტი, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება და სხვა. თუმცა, საყოველთაოდ ცნობილია, რომ მეცნიერებას და ხელოვნებას თითქმის თანაბარი წვლილი მიუძღვის ადამიანის გარე სამყაროს აღქმაში. მათი ასეთი კავშირები ეფექტურად შეიძლება გამოვიყენოთ ბუნებისმეტყველების გაკვეთილებზე. მეცნიერების სხვადასხვა სფეროში მიღებული ცოდნის გაერთიანების უნარის გარეშე ძნელია მრავალი პრობლემური სიტუაციის მოგვარება. ამ მეთოდის საშუალებით მასწავლებელი უკეთ აფასებს მოსწავლის ცოდნასა და შესაძლებლობებს, ხელს უწყობს ახალი, არასტანდარტული ფორმების და მეთოდების ძიებას სწავლებაში. საგანთაშორისი პრინციპები მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, მთლიანობაში აღიქვან სამყარო, რაც პრობლემის გონივრულად გადაჭრას ემსახურება.

წარმატებული გაკვეთილის საფუძველი კარგად ჩამოყალიბებული გაკვეთილის გეგმაა, რომელიც შეიძლება წარმოვადგინოთ ამ ფორმით - გაკვეთილის მიზანი; ამოცანები; შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმის სტანდარტთან; კლასი; წინასწარი ცოდნა; თემა; სწავლების საფეხური; მოსწავლეთა რაოდენობა; სსმ მოსწავლეთა რაოდენობა; მასწავლებელი: გაკვეთილის ტიპი; გაკვეთილის ხანგრძლივობა: უნარ-ჩვევები: შეფასება; დასკვნითი ნაწილი.

ნიმუშად ავიღეთ ინტეგრირებული (ბიოლოგია-ხელოვნება) გაკვეთილი VII კლასში მზესუმზირა, როგორც კულტურული მცენარე. გაკვეთილის მიზანი: მცენარის მორფოლოგიური აღწერა, გავრცელება და ვან გოგის ნახატის „მზესუმზირების“ განხილვა და მოსწავლეებისათვის სრულიად სხვა (ბუნებისმეტყველის) თვალით დანახვა.

მოსწავლემ ნახატის საშუალებით უნდა შეძლოს მცენარის სასიცოცხლო ციკლის აღწერა, აგრეთვე ხელოვნების ნიმუშების აღქმის, ანალიზის უნარის ჩამოყალიბება და ამ ნიადაგზე მუდმივი ინტერესისა

და სიყვარულის გაღვიძება ხელოვნებისადმი. მსოფლიო კულტურულ ფასეულებებთან ზიარება, სამყაროს ერთიანობის განცდის ჩამოყალიბება.

გაკვეთილის მიზანი განსაზღვრავს შედეგს - რას უნდა მიაღწიონ მოსწავლეებმა გაკვეთილის განმავლობაში? რა არის გაკვეთილის პერსპექტიული მიზნები? რა მიზნები გვაქვს კონკრეტულ გაკვეთილზე? რას ველით მოსწავლეებისაგან? რა ცოდნასა და უნარ-ჩვევებს შეიძენენ გაკვეთილის ბოლოს? შეფასების რა კრიტერიუმები გამოიყენება მოსწავლეთა მიღწევების შესაფასებლად? როგორ მოხდება მიღებული ცოდნისა და შეძენილი უნარ-ჩვევების დემონსტრირება? სწორედ ამ კითხვებით ახდენს მიზნის ფორმირებას მასწავლებელი. მან ამოცანების განსაზღვრით უნდა ჩამოაყალიბოს, რას გააკეთებენ მისი მოსწავლეები გაკვეთილის მსვლელობისას, საგნის სწავლა-სწავლებისას მოსწავლე ჩართული იქნება აქტივობებში, რომლებიც მას მოვლენების არსის გაგებაში, ახალი ცოდნის შექმნასა და ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებაში დაეხმარება. სწავლების რომელი დონეა გათვალისწინებული გაკვეთილზე ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით: ცოდნა, გაგება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი, თუ შეფასების რა კრიტერიუმები გამოიყენება მოსწავლეთა მიღწევების შესაფასებლად? როგორ მოხდება მიღებული ცოდნისა და შეძენილი უნარ-ჩვევების დემონსტრირება?

მნიშვნელოვანი მოთხოვნაა შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმის სტანდარტთან:

ბუნ. VII . მოსწავლეს შეუძლია დაახასიათოს მცენარის აგებულება, თესლი, მისი გავრცელება, მნიშვნელობა. ხელოვნება. VII . მიმდინარეობა პოსტიმპრესიონიზმი, მხატვარი ვან გოგი.

მასწავლებელი ახალ მასალას აგებს წინარე ცოდნაზე: ბიოლოგია - მცენარეთა აგებულება; ხელოვნება - მიმდინარეობა პოსტიმპრესიონიზმი.

მნიშვნელოვანი მომენტია შეფასება: პრაქტიკული სამუშაო (დაკვირვება და აღწერა, მუშაობა ნახატზე); ჩართულობა; ამ ნაწილში აისახება მიღწეული შედეგები. სასურველია, თავი მოვუყაროთ მოსწავლის მიერ ამ თემაზე შესრულებულ ნამუშევრებს (საშინაო დავალებების, პლაკატების, ნახატების და სხვა). ყოველთვის შესაძლებელია მოსწავლეთა ცოდნის შეფასება სხვადასხვა გზით: (რუბრიკები, ტესტი, საქაღალდე, ზეპირი გამოკითხვა და სხვა). როგორ შეაფასებთ დასახულ მიზნებს? იციან თუ არა მოსწავლეებმა, როგორ, რა კრიტერიუმებით შეაფასებს მათ მასწავლებელი?

დასახული მიზნის განხორციელება დამოკიდებულია სასწავლო რესურსებზე, საჭირო მასალაზე: სახელმძღვანელო; წინასწარ მომზადებული პრეზენტაცია (ფოტოილუსტრაციებით); ვიდეო მასალა მზესუმზირის აგებულებასა და გამოყენებაზე; პროექტორი, კომპიუტერი, მარკერი, საღებავები, ფუნჯები, ფორმატი, ფერადი ფურცლები, დაფა, ცარცი და სხვა და ასევე აქტივობებზე - ის, თუ რა აქტივობები გამოიყენება ახსნილი მასალის ასათვისებლად?

მნიშვნელოვანია გაკვეთილის დასკვნითი ნაწილი - რას გამოვიყენებთ აზრების შეჯამებისათვის გაკვეთილის ბოლოს? როგორ განვახორციელებთ უკუკავშირს მოსწავლეებთან (მაგალითად ხარვეზების შესავსებად და ცოდნის გასამტკიცებლად)?

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელი ახალი მასალის ახსნამდე სვამს კითხვებს (რა იციან მცენარე მზესუმზირის შესახებ? რომელია მისი სამშობლო? რომელ გვარსა და ოჯახს ეკუთვნის? როგორი ნაყოფი აქვთ? რისთვის იყენებენ?) და შემდეგ გადადის ახალ მასალაზე.

მზესუმზირა (Helianthus), მარცვლოვანი, ტექნიკური და ამავე დროს ზეთოვანი, ერთწლოვანი მცენარე, ეკუთვნის რთულყვავილოვანთა ოჯახს, მისი სამშობლო ჩრდილოეთ ამერიკაა. მზესუმზირა საქართველოში უმეტესად მოჰყავთ კახეთის რაიონებში (სიღნაღი, დედოფლისწყარო, გურჯაანი).

მზესუმზირას ღერო სწორმდგომია და 5 მ-მდე იზრდება, დაფარულია უხეში ბეწვებით. აქვს წაწვეტებულბოლოიანი ოვალურ-გულისებრი დიდი ფოთლები. ყვავილედი კალათაა (დიამეტრი 15-20 სმ). მზესუმზირა ჯვარედინმტვერიაა. ნაყოფი წაგრძელებული სოლისებრი თესლურაა. შედგება ნაყოფსაფარისა და გულისაგან, რომელიც შეიცავს 29-57% ზეთს. თესლურას ფერი, ფორმა და ზომა ჯიშების მიხედვით სხვადასხვაგვარია. მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით განარჩევენ ზეთის, საკნატუნებელ და შუალედურ მზესუმზირას. მზესუმზირა ტენის, სითბოსა და სინათლის მოყვარულია, გვალვასაც უძლებს და ხანმოკლე სუსხსაც იტანს.

მოსავალს იღებენ კალათების ძირითადი მასის (80-90%) მურა-ყვითლად ან მურად შეფერვისას. ზეთს იყენებენ კულინარიაში, მზესუმზირას ნაცრისაგან მიღებულ პოტასიუმს ხმარობენ ქიმიურ მრეწველობაში, ჩენჩოსაგან დამზადებულ ფურფუროლს - პლასტმასის, ხელოვნური ბოჭკოსა და არამტვრევადი მინის დასამზადებლად. ჩენჩოზე 10%-იანი სინთეზური წებოს დამატებით და დაწნეხით იღებენ მოზაიკურ, ძვირფას საავეჯო ფილებს და სხვა ნივთებს. კოპტონი, ჩენჩო, ბზე და სილოსი ცხოველთა საკვებია.

ბიოლოგიური მასალის ახსნის შემდეგ მასწვლებელი გადადის ხელოვნების გაკვეთილის თემაზე და სვამს შეკითხვებს: თუ გაქვთ ნანახი რომელიმე მხატვრის ნამუშევარი მზესუმზირებზე? ვინ იყო ვან გოგი? რომელი ნახატები აქვთ მოსწავლეებს ნანახი და რა შთაბეჭდილება მოახდინა მათზე?, რომელი მიმდინარეობის წარმომადგენელია? კიდევ რომელი პოსტიმპრესიონისტი მხატვრების შემოქმედებას იცნობენ?

მასწავლებელი მოკლედ მიმოიხილავს ვან გოგის შემოქმედებას და რომ მასზე დიდი გავლენა მოახდინეს იმპრესიონისტებმა, განსაკუთრებით კი ედუარდ მანემ, ოგუსტ რენუარმა და კამილ პისარომ. იმპრესიონისტთა მიზანი იყო სალონური აკადემიზმის დაძლევა და ხელოვნებაში ყოველდღიურობის სილამაზის და სინამდვილის დამკვიდრება. ღია ცის ქვეშ მუშაობამ იმპრესიონისტებს საშუალება მისცა აესახათ ბუნება მთელი მისი რეალური სიცხოველით. პოსტიმპრესიონიზმი კი მხატვრული მიმდინარეობაა, რომელიც XIX ს-ის II ნახევარში წარმოიშვა ფრანგულ ფერწერაში. მისთვის დამახასიათებელია სამყაროს აღქმასთან დაკავშირებული ხელოვანის წუთიერი შაბეჭდილებების, სულიერი განწყობილების გადმოცემა. პოსტიმპრესიონისტმა მხატვრებმა - პოლ სეზანმა, პოლ გოგენმა, ვინსენტ ვან გოგმა, ანრი ტულუზ ლოტრეკმა - საკუთარი ღირსეული ადგილი დაიმკვიდრეს მსოფლიო ხელოვნების ისტორიაში. მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს ვან გოგის შედევრს ,, მზესუმზირები“.

ბიოლოგია არის მეცნიერება სიცოცხლის შესახებ. დედამიწაზე ცოცხალი მატერიის განვითარება მიმდინარეობს თაობათა უსასრულო მონაცვლეობით. სიცოცხლე განუყრელადაა დაკავშირებული ორგანიზმთა გამრავალებასთან. ცოცხალი სამყაროს შესწავლა იყო და არის ადამიანის მოღვაწეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფერო. გერმანელ ფილოსოფოს ნიცშესთვის უმაღლეს ღირებულებას სწორედ სიცოცხლე, მისი ძალა წარმოადგენს.

ცოცხალი ორგანიზმი სამყაროსთან ურთიერთობას იწყებს დაბადების მომენტიდან და წყვეტს გარდაცვალებისთანავე. “დაბადება”, “გარდაცვალება”, “სიცოცხლე”, “სიკვდილი” — ადამიანის მიერ შექმნილი ის ხატოვანი სიტყვებია, რომლითაც იგი შეეცადა უფრო მკაფიო და ნათელი გაეხადა მასში ნაგულისხმევი პროცესები. რაც შეეხება სამყაროს, იგი ისეთი მოვლენაა, რომელსაც არ გააჩნია არც საწყისი და არც სასრული, შესაბამისად მისთვის უჩვეულოა ისეთი ცნებები, როგორიცაა სიცოცხლე და სიკვდილი. მიუხედავად იმისა, რომ ცოცხალი ორგანიზმები მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, როგორც აგებულებით, ასევე განვითარებით, ცხოვრების ნირით, მათ მაინც აქვთ საერთო - ყველა მათგანს ახასიათებს სიცოცხლისათვის დამახასიათებელი ნიშნები სუნთქვა, კვება, გაღიზიანებადობა, მოძრაობა, ზრდა, გამრავლება, თვითრეგულაცია. ეს კი გამოყოფს მათ არაცოცხლისგან.

ვან გოგის მზესუმზირები, მისი სავიზიტო ბარათია. მან 11 სერია შექმნა და იმპასტოს საშუალებით სასწაულებრივად ასახა მზესუმზირები, როგორც ცოცხალი არსებები, მუდმივ მოძრავნი. შინაგანი ენერგიით სავსე დამძიმებული ყვავილებით, დრეკადი, მოქნილი ღეროებით, სიცოცხლისათვის დამახასიათებელ ყველა ნიშნით და მისი განითარების ფაზებით. ისინი იზრდებიან, ყვავილობენ, ფეთქავენ, იბერებიან, მწიფდებიან და ჭკნებიან.

ვან გოგი, როგორც ცნობილია, პრინციპულ განსხვავებას ვერ ხედავდა უსულო და სულიერ მატერიას შორის და გარე სამყაროს აღიქვავდა, როგორც ცოცხალს. მზესუმზირის „სული“ კი მხატვრისთვის საოცრად თანახმოვანი იყო. მზესუმზირა ჰელიოტროპული მცენარეა, ანუ ის ყოველთვის მზისკენ მიისწრაფის და მისი სულიდან ყოველთვის მზის სხივებით გაჯერებული სამყაროს ოქროსფერი ბრწყინვალება იფრქვევა.

ერთი და იგივე შემოქმედებითი ძალა, რომელიც ახორციელებს მსოფლიოს განახლებას, აძლევს მცენარეებს სიკაშკაშეს და მწიფობას, ამავე დროს წარმოადგენს დაშლის, სიბნელის და განადგურების წყაროს. მაგალითად მზის სხივების ქვეშ იზრდება და მწიფდება ყველა ცოცხალი არსება, მაგრამ როგორც ცნობილია, ყველა ნებისმიერ ყვავილობას, ბუნებრივია, აუცილებლად მოსდევს ჭკნობა, ისევე, როგორც სინათლეს - სიბნელე, სიცოცხლეს სიკვდილი. ამ მარტივ ჭეშმარიტებებს ვან გოგი მთელი თავისი არსებით შეიცნობდა.

სამყაროს ერთიანობის შეგრძნება - ეს იყო მხატვარის არა განყენებული ფილოსოფიური კონცეფცია, არამედ ძლიერი, მტკივნეული, ზოგჯერ აუტანელი განცდა. ვინსენტ ვან გოგისთვის ,,მზესუმზირები“ სიმბოლოა სილამაზისა და ამავე დროს ჩვენი ტრაგიკული ცხოვრების კვინტესცენციაა. ყვავილები, რომლებიც იბადებიან, მწიფდებიან და ბერდებიან, ცოცხალი არსებები არიან - ეს ჩვენი სამყაროს ყოფაა, ყოფა მისი განუწყვეტელი წრებრუნვისა.

ნახატი იწვის ფერებით და სავსეა სიცოცხლით. ვან გოგისათვის ყვითელი ფერი სიმბოლოა ცხოვრების, სიხარულის, სიცოცხლისუნარიანობის, თავისუფლების, იმედის. ყვითელ ფერს იდუმალ სამყაროში გადავყევართ.

ვან გოგის ,,მზესუმზირები" გასაოცარია კიდევ იმით, რომ ისინი ფორმით თითქოს ადამიანებს წააგავს. მზესუმზირის ნაყოფის - კალათის შუაგული ადამიანის თავს მოგვაგონებს, ნათელი ყვითელი ყვავილები თმებია, ღერო სხეულია.

არა სიკვდილი - მხოლოდ სიცოცხლე და მისი წრებრუნვა. ვან გოგმა ეს სიტყვები თითქოს ლოცვასავით დაგვიტოვა თავის უკანასკნელ მზესუმზირებში. იგი თავისი შედევრით თვითონ გახდა მზესუმზირები და მზე, უკვდავი, როგორც მისი შემოქმედება.

ამრიგად, ინტეგრირებული გაკვეთილი ერთი სასწავლო საგნის თემის მეორესთან დაკავშირების, ცოდნის გამთლიანების, შეძენილი ცოდნისა და უნარების ერთი სფეროდან მეორეში გადატანის, მოსწავლეთა სწავლის მოტივაციის ამაღლების, ინტელექტუალური განვითარების, საგანმანათლებლო მასალის ემოციური აღქმის და დამახსოვრების გაძლიერების, ერთი და იგივე საკითხის სხვადასხვა კუთხით წარმოჩენის საშუალებას იძლევა.

მასწავლებელი გაკვეთილის დასასრულს საშინაო დავალებას აძლევს მოსწავლეებს, ინტერნეტით მოიძიონ ინფორმაცია მზესუმზირის წარმოშობაზე, ამერიკიდან ევროპაში და საქართველოში მის გავრცელებაზე, გამოყენებაზე; ასევე ვან გოგის სურათების მოძიებაზე, „მზესუმზირების" შეძლებისდაგვარად დახატვაზე და პატარა საკლასო გამოფენის მოწყობაზე.

ლიტერატურა:

1. ეროვნული სასწავლო გეგმა, 2018-2024 წწ.
2. სამოდელო გაკვეთილების დაგეგმვა და შეფასება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, თბ., 2016.
3. ინტერაქტიული მეთოდები, მასწავლებლის ბიბლიოთეკა, თბ., 2015, გვ. 110.
4. მასწავლებლის წიგნი, ინტერაქტიული მეთოდები პრაქტიკაში, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2016, გვ. 205;
5. ლ. ბურდილაძე, მ. ბაგალიშვილი, ქ. მაღრაძე, ბიოლოგია 7(მოსწავლის წიგნი), თბ., 2006;
6. თ. იოსებიძე. ინტეგრირებული გაკვეთილი, როგორც ესთეტიკური აღზრდის ერთ-ერთი საშუალება ბიოლოგიის სწავლებაში, გორის უნივერსიტეტის შრომათა კრებული, გორი, 2017.
7. რ. თედორაძე, გაკვეთილის დაგეგმვა ბიოლოგიაში, 27 სექტემბერი, 2015 mastavlebeli. ge

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია სამოდელო გაკვეთილის ერთ-ერთი ტიპი - ინტეგრირებული (ბიოლოგიისა და ხელოვნების) გაკვეთილი მეშვიდე კლასში, რომლის მიზანია მოსწავლემ ნახატის საშუალებით შეძლოს მცენარის სასიცოცხლო ციკლის აღწერა, აგრეთვე შეძლოს ხელოვნების ნიმუშების აღქმის, ანალიზის უნარის ჩამოყალიბება და ამ ნიადაგზე მუდმივი ინტერესისა და სიყვარულის გაღვიძება ხელოვნებისადმი, მსოფლიო კულტურულ ფასეულებებთან ზიარება, სამყაროს ერთიანობის განცდის ჩამოყალიბება.

ბიოლოგიის საგაკვეთილო თემაა - კულტურული მცენარე მზესუმზირა, ხოლო ხელოვნების საგაკვეთილო თემად შერჩეული იქნა ჰოლანდიელი პოსტიმპრესიონისტი მხატვრის ვან გოგის ნახატი „მზესუმზირები". მოსწავლეები ეცნობიან მზესუმზირის კულტურას, ისტორიას, გავრცელებას, ბიოლოგიას, განვითარების ფაზებს, ჯიშებს, კლასიფიკაციას, სამეურნეო მნიშვნელობას. ასევე ვან გოგის შედევრის ,,მზესუმზირების" განხილვას, მის დაკავშირებას მზესუმზირის კულტურასთან, ხელოვნების ნიმუშების აღქმის, ანალიზის უნარის ჩამოყალიბებას, მსოფლიო კულტურულ ფასეულებებთან ზიარებას, სამყაროს ერთიანობის განცდის ჩამოყალიბებას და ამ ნიადაგზე მუდმივი ინტერესისა და სიყვარულის გაღვიძებას ხელოვნებისადმი.

სამოდელო გაკვეთილის ერთ-ერთი ტიპი - ინტეგრირებული გაკვეთილი ერთი სასწავლო საგნის თემის მეორესთან დაკავშირების, ცოდნის გამთლიანების, შეძენილი ცოდნისა და უნარების ერთი სფეროდან მეორეში გადატანის, სწავლის მოტივაციის ამაღლების, ბავშვის ინტელექტუალური განვითარების, საგანმანათლებლო მასალის ემოციური აღქმის და დამახსოვრების საშუალებას იძლევა. მოსწავლეებში სამოდელო ინტეგრირებული გაკვეთილი სხვადასხვა სასწავლო დისციპლინების - ბიოლოგიის და ხელოვნების - ინტეგრირებით წარმოდგენილი პრობლემების საინტერესო კუთხით დანახვაა.

THE GOAL OF MODEL CLASSES IN NATURAL SCIENCES

Tinatin Iosebidze, Associate Professor

RESUME

One of the type of model classes, the integrated class (biology and art)in the 7th grade is discussed in the work, its goal is to give the student ability to describe the life cycle of the plant, also to perceive the art works, create the analyzing skills and establish constant interest towards art, along with getting know with world cultural wealth and desire of creation of universe unity. The topic of the biology lesson is the cultivated plant of sunflower and as a topic of the art class was chosen the Dutch postimpressionist artist's, Van Gogh, painting "Sunflowers".

The students get acknowledged with sunflower culture, history, extension, biology, development phases, cultivars, classification, agricultural importance, discussion of the masterpiece "Sunflowers" by Van Gogh, its integration to sunflower culture, formation of perception and analysis skills of artwork, familiarization with world cultural value, desire of creation of universe unity and stimulation of interests and passion towards art.

One of the types of model class gives opportunity and enables fixation of one educational subject's topic with another one, ties the knowledge unity, transfers the knowledge and skills from one sphere to another one, raises studying motivation, supports child's intellectual development, sensitive perception of educational information and memorability. Within the students the model integrated class reflects the identification of distinctive problems through interesting point of view by integrating different disciplines, biology and art.

ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
Exact and Natural Sciences

რადიონუკლიდების მოხვედრა კვებით ჯაჭვში

ნელი გოგინაშვილი, პროფესორი

მაიონიზებელ გამოსხივებას ახასიათებს გარკვეული ბიოლოგიური მოქმედება, რაც შემჩნეული იყო რენტგენის სხივების აღმოჩენისთანავე 1895 წელს. უკვე 1896 წელს ი. თარხნიშვილმა აღწერა რენტგენის სხივებით ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანება, ხოლო 1930 წელს ე. ლონდონმა დაადგინა ქსოვილთა და ორგანოთა სხვადასხვა რადიომგრძნობელობა. 1904 წელს პირველად აღწერეს სისხლის ცვლილებები და სხივური ლეიკემია [1, 2].

გამოსხივება (რადიაციული ფონი) არის კოსმოსური, დედამიწის, ატმოსფეროს და რაც მთავარია, მზის გამოსხივება. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია მაიონიზებელ გამოსხივებას, რაც დაკავშირებულია ცოცხალ მატერიაში მათი შეღწევისა და ენერგიის გადაცემის მაღალ უნართან. მაიონიზებელი გამოსხივება ატომთა ელექტრონული გარსების ცვლილებებს იწვევს, მოქმედებს ქიმიურ რეაქციებზე, რომელთაც რიგ შემთხვევაში ორგანიზმისათვის მძიმე შედეგები მოაქვთ. მაიონიზებელ რადიაციას მიეკუთვნება რენტგენის ნეიტრონები, გამჭოლი და კორპუსკულური გამოსხივების ყველა სახე (α- და β-გამოსხივებები და სხვ.) [3].

α ნაწილაკი ორმაგი დადებითი მუხტის მქონე ჰელიუმის ბირთვია, რომელსაც ნივთიერებაში შეღწევის მცირე უნარი გააჩნია, მაგრამ იონიზაციის დიდი უნარი აქვს, ამიტომ მისი მოხვედრა ორგანიზმში საშიშია. β სხივები ელექტრონების ნაკადია, ქსოვილებში მცირე შეღწევადობით ხასიათდება. γ სხივები ელექტრომაგნიტური სხივებია და ხასიათდება ნივთიერებაში მაღალი შეღწევის უნარით. მისი სრული შეკავება ხდება 15 სმ-იანი ტყვიის ეკრანით. რენტგენის სხივების ნივთიერებაში შეღწევის უნარი საკმაოდ მაღალია. მისი მსგავსია ნეიტრონული გამოსხივება, რომელიც ნეიტრონების ნაკადს წარმოადგენს. მას დიდი ბიოქიმიური მოქმედების უნარი აქვს, რადგან ელექტრონეიტრალობის გამო ხასიათდება ქსოვილებში განუსაზღვრელი განმავლობის უნარით [4].

მაიონიზებელი რადიონუკლეიდები, რომლებიც ფართოდაა გავრცელებული ატმოსფეროში, წყალში, ნიადაგში, ადვილად ხვდება მცენარეებში, ცხოველებსა და ადამიანის ორგანიზმში. რადიაციული დაზიანება აღმოჩენილია ნუკლეინის მჟავებში, ცილებში, აღინიშნება H, C, N-ს შორის ბმების გაწყვეტა, ლიპიდების რადიაციულ-ქიმიური გარდაქმნები. ასეთ პირობებში საგრძნობლად ქვეითდება ნივთიერებათა ცვლის პროცესები. ამავდროულად რადიონუკლიდებს გააჩნიათ კანცეროგენული თვისებები. ამის საილუსტრაციოდ ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის (**აეს-**ის) ავარიაც კმარა, რომელიც მოხდა 1986 წლის 26 აპრილს და ტ.ა. აკიმოვას და სხვ. [5] მიხედვით XX საუკუნის ტექნოგენური კატასტროფების რიცხვშია. სტატისტიკური მონაცემებით 1986-1990 წლებში დასავლეთ საქართველოში (სადაც რადიაციამ მკვეთრად აიწია) საგრძნობლად იმატა ანემიურმა დაავადებამ, სიმსივნით დაავადებულთა რიცხვმა, სისხლის სხვადასხვა დაავადებებმა და სხვ. [2].

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გარემოს ანთროპოგენური დაბინძურების ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა ტოქსიკური ნივთიერებებით, მათ შორის რადიონუკლიდებით დაბინძურება. ამ უკანასკნელთა კონცენტრაცია ბიოსფეროში მატულობს (განსაკუთრებით გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან) და შესაბამისად შეინიშნება რადიაციული ფონის მკვეთრი ზრდა, რაც უპირველეს ყოვლისა დაკავშირებულია ტექნოგენეზთან, მათ შორის, როგორც აღვნიშნეთ, ატომური იარაღის გამოცდასა და ატომური ელექტროსადგურების ავარიულ სიტუაციებთან.

ადამიანის დასხივების ძირითადი წყაროებია: ბუნებრივი და ხელოვნური. ბუნებრივი წყაროებიდან აღსანიშნავია კოსმოსიდან, ატმოსფეროდან, ნიადაგიდან, ჰიდროსფეროდან და სხვ. მიღებული დასხივება. აღნიშნულ დასხივებას ადამიანის ორგანიზმი ღებულობს გარეგანი და შინაგანი დასხივების გზით. გარეგანს ეკუთვნის კოსმოსიდან მიღებული დასხივება, შინაგანს - ჰაერიდან (რომლითაც ადამიანი სუნთქავს), წყლიდან (რომლის გარეშე ადამიანს არსებობა არ შეუძლია), ნიადაგიდან (საიდანაც ადვილად ხვდება მცენარეში და საბოლოოდ ცხოველურ ორგანიზმში), საკვებიდან (მცენარეული და ცხოველური).

რადიონუკლიდები მცენარის ქსოვილებში ძირითადად ორი გზით ხვდება: ჰაერიდან უშუალო დალექვით, როდესაც რადიაქტიური ნაწილაკები მცენარის მიწისზედა ნაწილებზე ილექება, მის ზედაპირზე მაგრდება და აღწევს ქსოვილებში; ან არაპირდაპირი გზით, როდესაც ნიადაგში მოხვედრილი რადიონუკლიდები სხვა საკვებ ნივთიერებებთან ერთად ფესვთა სისტემით შეითვისება. თუ ნუკლიდები უხსნადია, მაშინ ისინი მცენარეს ზედაპირულად აბინძურებენ, ხსნადი კი შთაინთქმება ფოთლებით, მწვანე ღეროებითა და ნაყოფებით. მცენარის პროდუქტიულ ნაწილებში ბუნებრივი რადიონუკლიდები უფრო მეტად გროვდება, ვიდრე ვეგეტატიურ ორგანოებში [3].

რადიოიზოტოპებისა და იონიზებული გამოსხივების მოქმედება მცენარეებზე განიხილება ორი მიმართულებით: პირველი მოიცავს მცირე დოზით რადიოიზოტოპებისა და იონიზებული გამოსხივების დადებით მოქმედებას მცენარეების ზრდა-განვითარებაზე; მეორე დაკავშირებულია მცენარეთა ორგანიზმის დაზიანება-განადგურებასთან.

ზოგიერთი მკვლევარის [6] მონაცემებით, ბუნებრივი რადიაქტიური ელემენტის მცირე დოზა ბიოლოგიურად საჭიროა როგორც მცენარეებისათვის, ისე ცხოველებისათვის; ზოგიერთი მეცნიერის [7] მიხედვით კი, რადიაქტიური ელემენტი მცირე დოზით დამატებამ უარყოფითად იმოქმედა მცენარეთა ზრდა-განვითარებასა და შესაბამისად - პროდუქტიულობაზე. მკვლევართა ნაწილი [8, 9, 10] მიუთითებენ რენტგენის სხივებით დასხივების უარყოფით მოქმედებას სუნთქვის, ფოტოსინთეზის, მინერალური კვების, მცენარეში აზოტისა და ნახშირწყლების ცვლაზე. რადიაქტიური ნივთიერების უარყოფითი მოქმედება გამოვლინდა აგრეთვე მცენარეთა გენერაციულ ორგანოებზე [11].

რადიაქტიური ელემენტები დედამიწაზე დაცემისას გადადიან ნიადაგში (70% - ზედა-5სმ ფენაში, 30% - 0-15 სმ ფენაში) და ერთვებიან კვებით ჯაჭვში:

ნიადაგი → მცენარე → ცხოველი → ადამიანი

ტოქსიკურ ნივთიერებათა კონცენტრაცია კვებითი ჯაჭვის ქვედა ტორფული დონეებიდან ზედა დონეებზე კანონზომიერად იზრდება. ადამიანი შეიძლება განვიხილოთ, როგორც კვებითი ჯაჭვის უმაღლესი რგოლი - „სუპერმტაცებელი“. თუ გავითვალისწინებთ, რომ მისი კვებითი რაციონი უაღრესად მდიდარია, ადვილია იმის წარმოდგენა, თუ როგორი შეიძლება იყოს მასში სხვადასხვა ტოქსიკანტის, მათ შორის რადიონუკლიდების კონცენტრაცია. სამწუხაროდ, ამ საკითხთან დაკავშირებული ოფიციალური ცნობები მეტად მცირეა [12].

გარემოში მოხვედრილმა ყველა რადიონუკლიდმა ამა თუ იმ დონით შეიძლება საბოლოო ჯამში კვების პროდუქტები დააბინძუროს და ამ გზით დასხივების შინაგან წყაროდ იქცეს. კვებითი ჯაჭვები, რომელთა საშუალებითაც რადიონუკლიდები მცენარეულ და ცხოველურ საკვებში შეიძლება მოხვდეს,

ძირეულად განსხვავდებიან წყლოვანი გარემოს კვებითი ჯაჭვებისაგან. კერძოდ, ხმელეთზე დალექილი ნივთიერებები შეიძლება პირდაპირ მოხვდეს ადამიანისა და ცხოველის კვებით პროდუქტებში, რაც გამორიცხულია რადიოაქტიური ნივთიერებების წყლოვან სისტემაში მოხვედრისას. ორგანიზმში მოხვედრამდე, ისინი მეტ-ნაკლებად წყალში არსებულ ნივთიერებებს ერევა და ხდება მათი განზავება. ამასთან, გადატანის პროცესები ხმელეთზე იმდენად სწრაფად მიმდინარეობს, რომ შედარებით ხანმოკლე სიცოცხლისუნარიანი რადიონულიდებიც კი მნიშვნელოვანი რაოდენობით შეიძლება დაგროვდეს კვების პროდუქტებში, წყლოვან კვებით პროდუქტებში ასეთი მოვლენა ნაკლებად საალბათოა. თუმცა წყლოვან კვებით ჯაჭვებს ანგარიში უნდა გაეწიოს იმ ადგილებზე, რომლებზეც ბირთვული დანადგარები ფუნქციონირებენ და თხევადი რადიაქტიური ნარჩენები იღვრება [3].

დასხივებისას ორგანიზმზე მიყენებული ზიანის გამო, ტოქსიკანტების ანალოგიურად, აუცილებელია შემუშავდეს ზღვრულად დასაშვები დოზები. სხივური დაავადებისას არ არსებობს ზღვრული მნიშვნელობები და ხშირად ხელმძღვანელობენ დასხივების იმ დოზების განუსაზღვრელი შეფასებებით, რომელიც ადამიანისათვის უხიფათოა.

1986 წლის 26 აპრილის ჩერნობილის **აეს**-ის ავარიამ უდიდესი ზიანი მოიტანა. კატასტროფის რიცხვში შედის არა მარტო ის ასობით ადამიანი, რომელიც დაიღუპა, არამედ ისინიც, ვინც მომავალ ათწლეულებში სიმსივნური დაავადებებით დაიღუპებიან. უეჭველია დასხივებულ მოსახლეობაში მუტაციური ცვლილებების აღძვრაც, რაც აუცილებლად გამოვლინდება მომდევნო თაობებში.

ლიტერატურა:

1. ქაჯაია გ. გარემოს დაცვის ეკოლოგიური პრინციპები. ინტელექტი, თბილისი, 2008.
2. ჟორჟოლიანი ც., გორდაძე ე. სამედიცინო ეკოლოგია. ქუთაისი, 2006.
3. გორდეზიანი მ., კვესიტაძე გ. ეკოლოგიის ქიმიური საფუძვლები. თბილისი, 2000.
4. Бак З., Александр П. Основы радиобиологии. Изд-во иностранной литературы. М., 1963.
5. Акимова Г.А., Кузьмин А.П., Хаскин В.В. Экология, Природа–Человек–Техника. М., 2001.
6. Кузин А.М. Природный радиоактивный фон и его значение в возникование и существование биосфер (Сб. вопрос теоретической и прикладной радиобиологии), М., 1960.
7. მდივნიშვილი ო., თავართქილაძე ჯ. რადიაქტივობა და სოფლის მეურნეობა. თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1977.
8. ბიბილური ე., ჩანქსელიანი ზ., მაჭარაშვილი გ. მესხეთ-ჯავახეთის სავარგულების რადიონუკლიდებით შესაძლო დაბინძურების პირობებში სარეაბილიტაციო ღონისძიებების საკითხებისათვის. რადიაციული გამოკვლევები. ტ. IX, 2000.
9. პოპიაშვილი ნ., ივანიშვილი ნ., გოგებაშვილი მ. გამა-რადიაციის გავლენა სამკურნალო მცენარეული ქსოვილების ამინომჟავურ შემადგენლობაზე. რადიოლოგიური და აგროეკოლოგიური გამოკვლევები. ტ. I, თბილისი, 2005.
10. Кузин А.М. Радиационная экология. В кн.: Основы радиационной биологий. М., Наука, 1964.
11. Влияние ионизирующих излучение на наследственность. Под. ред. Н.П. Дублина. М., Наука, 2000.
12. ქაჯაია გ. ეკოლოგია (გამოყენებითი ეკოლოგიის საკითხები). თბილისი, 1999.

რეზიუმე

ნაშრომში ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით განხილულია გარემოს ანთროპოგენური დაბინძურების ერთ-ერთი მწვავე პრობლემა - რადიონუკლიდებით დაბინძურება, მათი მცენარეულ თუ ცხოველურ ორგანიზმში და საბოლოოდ კვებითი ჯაჭვების საშუალებით ადამიანის ორგანიზმში მოხვედრის გზები.

INTRODUCTION OF RADIONUCLIDES INTO THE FOOD CHAIN

Neli Goginashvili, Professor

RESUME

Based on the literary sources, the paper is concerned with one of the urgent problems of anthropogenic pollution of the environment - pollution by radionuclides, their introduction into plant or animal body, and finally, getting into the human`s body by means of food chain.

ქალთა ფიზიკური აღზრდა თანამედროვე პერიოდში

ალექსანდრე იაშვილი, პროფესორი

თანამედროვე სპორტი არის საზოგადოებრივი ცხოვრების შემადგენელი ნაწილი, რაც გულისხმობს კავშირურთიერთობას შრომით საქმიანობასთან, გონებრივ შრომასთან, ოჯახთან და ცხოვრების ყველა სფეროსთან.

დღევანდელ პირობებში ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ქალები მამაკაცების დონეზე მონაწილეობდნენ სპორტულ საქმიანობაში, რაც მოითხოვს ქალთა ფიზიკური მომზადების დონის ამაღლებას.

შეიძლება ითქვას, რომ დიდი ხნის განმავლობაში სათანადო ყურადღება არ ეთმობოდა სპორტში ქალთა ფართო მასების ჩაბმის საქმეს.

ცნობილია, რომ ძველ საბერძნეთში ქალებს არ ჰქონდათ უფლება მონაწილეობა მიეღოთ სპორტულ შეჯიბრებებში, უფრო მეტიც, მათ აკრძალული ჰქონდათ შეჯიბრებების პროცესში სტადიონზე შესვლა.

ევროპის კონტინენტზე კი ქალთა სპორტში მეცადინეობას მხოლოდ ერთი საუკუნის ისტორია აქვს. დღეისათვის კი ქალები აქტიურად არიან ჩაბმული სპორტის სხვადასხვა სახეობების სექციურ წრეებში. გარდა ამისა, ფიზიკური აღზრდა ოჯახში ჯანმრთელი თაობის აღზრდის ერთ-ერთი საშუალებაა.

XX და XXI საუკუნეების ტექნიკურმა პროგრესმა ახალი პრობლემები დააყენა მსოფლიოს ცივილიზებული ქვეყნების ადამიანთა წინაშე. ფიზიკური შრომა შეცვალა თანამედროვე ტექნიკამ. ადამიანთა ინტენსიური გონებრივი შრომისა და მოზღვავებული ინფორმაციის პირობებში, კიდევ უფრო იგრძნობა ფიზიკური აქტივობისა და ჯანმრთელობის დაქვეითება, გავრცელდა ეგრეთ წოდებული საუკუნის სისხლძარღვთა დაავადება. ამ პრობლემის დაძლევაში თავისი სიტყვა უნდა თქვას ფიზიკურმა აღზრდამ და სპორტმა, ამიტომ იგი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმედ არის აღიარებული.

პიროვნების ჰარმონიულ განვითარებაში იზრდება ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ყოველდღიურ ცხოვრებაში დანერგვის მნიშვნელობა, საჭიროა ადამიანებს ჰქონდეთ სათანადო ცოდნა ჰიგიენისა და სამედიცინო დახმარების დარგში, ეწეოდეს ჯანსაღ ცხოვრებას.

სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ერთ-ერთი საუკეთესო ფორმა არის საოჯახო პირობებში ყოველდღიური ვარჯიშისა და სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნების შესრულება, ძილის წინ სუფთა ჰაერზე გასეირნება, მსუბუქი მოძრაობებისა და სუნთქვითი ვარჯიშების შესრულება. რადგან ქალების დიდ ნაწილს (განსაკუთრებით დიასახლისებს) საშუალება არა აქვთ აქტიურად ჩაებან სპორტულ-გამაჯანსაღებელ საქმიანობაში, მათთვის საჭიროა ისეთი სპეციალური ვარჯიშების შერჩევა, რომლის სისტემატური გამოყენება ხელს შეუწყობს მათი ჯანმრთელობის განმტკიცებას, ნორმალური წონის შენარჩუნებას, მოხდენილი აღნაგობის ჩამოყალიბებას და თავიდან აიცილებს ნაადრევ სიბერეს.

ანატომიური აგებულებით, ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური თავისებურებებით ქალები განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ, რადგანაც მათ ჯანმრთელობაზე, ფიზიკურ და ფუნქციურ მონაცემებზე დიდად არის დამოკიდებული ოჯახის კეთილდღეობა, ჯანმრთელი მომავალი თაობის აღზრდა.

ამიტომ საჭიროა ქვეყნის მასშტაბით დაიგეგმოს და ჩატარდეს ისეთი სპორტული ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ქალთა ჯანმრთელობის დაცვას, მრავალშვილიანობას და ნაადრევი სიბერის აცილებას.

როდესაც ქალთა ყოველდღიურ ცხოვრებაში ფიზიკური ვარჯიშების შერჩევასა და მის გამოყენებაზე ვსაუბრობთ, აუცილებელია ქალთა ორგანიზმის თავისებურებების გათვალისწინება.

ქალი მამაკაცთან შედარებით უფრო ნაზი, ტანმორჩილი და ფიზიკურად ნაკლებად განვითარებულია. საშუალოდ ქალი მამაკაცზე 10-12 სანტიმეტრით ტანმორჩილია, ხოლო წონით 7-8 კილოგრამით ნაკლები. ქალის ორგანიზმში ნაკლებად არის განვითარებული კუნთოვანი სისტემა, რომელიც ტანის საერთო წონის 30 პროცენტს შეადგენს, მამაკაცებში კი იგი 45 პროცენტია. ქალის ორგანიზმში ჭარბობს კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილი, რომელიც ორგანიზმის წონის 28 პროცენტია, მამაკაცებში კი - 18 პროცენტი.

ქალის კუნთოვანი ძალის სისუსტე იმით აიხსნება, რომ მისი კუნთის ბოჭკოები შედარებით წვრილია და ჭარბობს ცხიმოვან ბოჭკოთა შრეები, მიუხედავად ამისა ქალი გაცილებით უკეთ ასრულებს იმ სამუშაოებს, რომლებიც მოძრაობის რიტმულობას, სიზუსტესა და კოორდინაციას საჭიროებს.

მნიშვნელოვნად განსხვავდება ძვალსახსროვანი, გულსისხლძარღვთა და სასუნთქი ორგანოების სისტემაც, ქალის გულის მოცულობა მამაკაცთან შედარებით 10-15 პროცენტით ნაკლებია. ქალის გული თავისი მცირე ტევადობის გამო ყოველი შეკუმშვისას სისხლის ნაკლებ რაოდენობას გადაისვრის სისხლს მიმოქცევის სისტემაში. ამიტომ ქალის გულის კუნთი ნორმალურ მდგომარეობაში უფრო ხშირად იკუმშება (ქალის მაჯისცემა საშუალოდ 72-78-ს უდრის, მამაკაცისა - 66-70), რათა საჭირო რაოდენობის სისხლი მიაწოდოს ორგანიზმს.

ქალის სუნთქვის სიხშირე უფრო მეტია და ამასთანავე ზერელე, ეს იმით არის გამოწვეული, რომ მისი ფილტვების სასიცოცხლო ტევადობა მამაკაცთან შედარებით 1000 კუბური სანტიმეტრით ნაკლებია.

ამგვარად, ქალის ორგანიზმი ანატომიურ-ფიზიოლოგიური თავისებურებებით მნიშვნელოვნად განსხვავდება მამაკაცის ორგანიზმისაგან, რაც აუცილებლად ყურადსაღებია მათი ფიზიკური ვარჯიშების დროს.

ყოველგვარი ფიზიკური დატვირთვა ქალში მაჯისცემის გახშირებასთან ერთად იწვევს სისხლის წნევის მომატებას, ამასთან ფიზიკური ვარჯიშის დაწყებამდე არსებული დონის აღდგენითი პერიოდი უფრო დიდხანს გრძელდება.

ქალის ცხოვრებაში ყოველი ასაკობრივი ეტაპი თავის მხრივ ხასიათდება მორფოლოგიური და ფუნქციური თავისებურებებით, რომლებიც აგრეთვე მხედველობაშია მისაღები.

ხშირად ასაკობრივ ცვლილებებს თან სდევს ცენტრალური ნერვული სისტემის მოქმედების ზოგიერთი ცვლილება, ყოველივე ეს იწვევს ნივთიერებათა ცვლისა და ორგანიზმში ჟანგვის პროცესების დაქვეითებას, რის გამოც ადგილი აქვს ცხიმების დაგროვებას. ხანშიშესულობის პერიოდში ძვალსახსროვანი და კუნთოვანი სისტემა, მასში მარილების დაგროვების გამო, ნაკლებად ელასტიკურია, კუნთოვანი ძალა მნიშვნელოვნად მცირდება და ორგანიზმი ნაკლებად მოძრავი ხდება.

სისტემატურად ვარჯიშების შესრულება იწვევს ცენტრალური ნერვული სისტემის აგზნებადობას, რის გამოც იზრდება მისი გავლენა სხვადასხვა ორგანოსა და მათ სასიცოცხლო ფუნქციებზე.

სისტემატური ვარჯიში დადებით ზეგავლენას ახდენს გულის კუნთის განვითარებაზე, რომელიც ხანდაზმულობამდე არ კარგავს ელასტიკურობას და შრომისუნარიანობას.

ცნობილია, რომ გულსისხლძარღვთა დაავადებებს შორის ყველაზე გავრცელებულია ჰიპერტონია, ათეროსკლეროზი და გულსისზლძარღვთა იშემია.

აღნიშნულ დაავადებათა პროფილაქტიკურ ღონისძიებათა შორის მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ფიზიკურ ვარჯიშებს.

მეცნიერული გამოკვლევებით დადგენილია, რომ ფიზიკური აქტივობა კეთილსასურველ გავლენას ახდენს ქალის ორგანიზმზე ფეხმძიმობისა და დედობის პერიოდში. ქალები, რომლებიც სისტემატურად გამოიყენებენ ფიზიკურ ვარჯიშებს, უფრო იოლ ფორმებში მშობიარობენ, ადგილი არა აქვს მშობიარობის შემდგომ გართულებებს, ამასთანავე ნაყოფიც ჯანმრთელია.

ფიზიკური ვარჯიშების კეთილსასურველი გავლენა არ ამოიწურება: იგი განამტკიცებს ნერვული სისტემის მოქმედებას, აუმჯობესებს გუნება-განწყობას, აყალიბებს სიდინჯეს, ადამიანს მატებს სიმხნევეს და უნერგავს საკუთარი შესაძლებლობის რწმენას დასახულ ამოცანათა შესასრულებლად.

ფიზიკური ვარჯიშების მეშვეობით ორგანიზმში ყალიბდება სისწრაფე, ძალა, მოქნილობა და გამძლეობა. რადგან ქალები თავიანთი ანატომიური და ფიზიოლოგიური თვისებებით მამაკაცებთან შედარებით უფრო ნაზი ბუნებისანი არიან, სასურველია სპორტის ისეთ სახეობაში მეცადინეობდნენ, რომლებიც არ მოითხოვს ფიზიკურ გამძლეობას და ძალისმიერ მოძრაობათა შესრულებას.

ქალებმა, განსაკუთრებით კი დიასახლისებმა, რომლებიც მთელი დღის განმავლობაში საოჯახო საქმიანობით არიან დაკავებული, უნდა გამოიყენონ ყოველდღიური ტანვარჯიში. ქალები, რომლებიც სისტემატურად გამოიყენებენ სხვადასხვა სახის აქტივობებს, ვალდებული არიან პერიოდულად გაიარონ სამედიცინო შემოწმება, დაიცვან თვითკონტროლის და ჰიგიენის წესები.

მეცადინეობა უნდა ტარდებოდეს რეგულარულად, რადგან ფიზიკური ვარჯიშების ყოველდღიური გამეორება ხელს უწყობს ორგანიზმში კეთილსასურველ ფიზიოლოგიურ ცვლილებათა განვითარებას.

ქალთათვის ფიზიკური ვარჯიშების კომპლექსების შერჩევა უნდა მოხდეს ფიზიკური მდგომარეობის, ასაკის, სხეულის წონის, მოძრაობის უნარისა და ინდივიდუალური მონაცემების შესაბამისად.

ფიზიკური ვარჯიშების ეფექტურობა ძირითადად იმაზეა დამოკიდებული, თუ რა ინტენსივობითა და სისტემატურობით სრულდება ვარჯიშები. საჭმლის მიღებიდან 1-2 საათზე ადრე ფიზიკური ვარჯიშების შესრულება რეკომენდებული არ არის. აუცილებელია ფიზიკური ვარჯიშების კომპლექსების შერჩევისას დაცული იქნას შემდეგი წესები:

1. შერჩეული იქნას ისეთი ვარჯიშები, რომლებიც ხელმისაწვდომია პიროვნების ფიზიკური მდგომარეობისათვის;

2. ვარჯიშები უნდა სრულდებოდეს ჰიგიენურ მოთხოვნათა დაცვით;

3. თითოეული აქტივობის ინტენსივობა უნდა რეგულირდებოდეს მომეცადინეთა შესაძლებლობების მიხედვით;

4. აქტივობის ინტენსივობა უნდა დარეგულირდეს ტემპის მომატებით ან შემცირებით;

5. აქტივობის დროს სასურველ შედეგის მიღწევის მიზნით ყურადღება უნდა მიექცეს შესრულებულ მოძრაობათა მრავალფეროვნებას.

მიზანშეწონილია ქალის ორგანიზმის ანატომიური და ფიზიოლოგიური თვისებებიდან გამომდინარე ქალთა სპორტულ აქტივობაში ჩაბმა მოხდეს ისეთი სპორტის სახეობაში, როგორიცაა: სპორტული და მხატვრული ტანვარჯიში, ცურვა, მძლეოსნობა, სათხილამურო სპორტი, კალათბურთი, ხელბურთი, ფრენბურთი, ჩოგბურთი და ნიჩბოსნობა.

ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი სპორტის შესახებ, თბილისი, 1996.
2. საქართველოში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარების კონცეფცია (2003-2015 წლები), თბილისი, 2002.
3. www.msy.gov.ge

რეზიუმე

ნაშრომში წარმოდგენილია რეკომენდაციები თანამედროვე ტექნიკური პროგრესის პერიოდში გავრცელებულ დაავადებათა პროფილაქტიკის მიზნით ქალთა ორგანიზმის ანატომიური აგებულების, ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით, სპეციალურ ფიზიკურ ვარჯიშთა შერჩევისა და ჩატარების მეთოდიკა.

WOMEN'S PHYSICAL EDUCATION IN MODERN PERIOD

Aleksandre Iashvili, Professor

RESUME

The paper presents recommendations on the prevention of diseases spread during modern technological progress. It gives us Methods for selection and holding of special physical exercises, taking into consideration anatomical structure of women's body, psychological and physiological peculiarities.

მოქნილობის განვითარება არის აუცილებელი პირობა თავისუფალ ჭიდაობაში დონის ასამაღლებლად

გიორგი მძინარაშვილი, ასისტენტ-პროფესორი

ოსტატის თავისუფალ ჭიდაობაში ჩამოყალიბება ეს არის რთული მრავალწლიანი პროცესი. მწვრთნელებმა და ყველა სპეციალისტმა, რომლებიც არიან ჩართული სასწავლო-საწვრთნო მუშაობაში, უნდა გაითვალისწინონ ყველა არსებული გარემოება, პირობები, მონაცემები, ზოგადად სპორტის და, კერძოდ, ჭიდაობის თეორიის საფუძვლები და პრაქტიკული გამოცდილება.

თავისუფალი ჭიდაობა, სპორტის სხვა სახეობასთან შედარებით, დომინირებს ილეთების რაოდენობით, რომლებიც შედის მის ტექნიკურ-ტაქტიკურ არსენალში. ამ ილეთებს შორის შეიძლება გამოვყოთ:

1) საიერიშო ანუ თავდასხმითი ილეთები;

2) კონტრშეტევითი ილეთები ანუ ილეთები, რომლებიც სრულდება მოწინააღმდეგის მიერ შესრულებული ილეთის შემდეგ;

3) დაცვითი ილეთები.

მოჭიდავეების მომზადების მხარეებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფიზიკური მომზადების მხარეს, რომელიც ითვალისწინებს მათში შემავალ ხუთი ფიზიკური თვისების განვითარებასა და სრულყოფას. ფიზიკურ თვისებებს შორის დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს მოქნილობას. მოქნილი მოჭიდავე მეტი ამპლიტუდით ასრულებს მოძრაობას, იოლად ითვისებს მთელ რიგ ილეთებს. ამისათვის იყენებენ სხვადასხვა სახის ვარჯიშების კომპლექსს.

მოქნილობაში იგულისხმება საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის მორფოფუნქციური თავისებურებანი, რომელნიც განსაზღვრავენ მისი რგოლების მოძრაობაუნარიანობის დონეს. მოქნილობის საზომია მოძრაობის მაქსიმალური ამპლიტუდა. მას, ჩვეულებრივ, გამოსახავენ კუთხური ან ხაზოვრივი განზომილებით.

თავისუფალ ჭიდაობაში ტექნიკური მოქმედებების ჩატარება მოითხოვს სპორტსმენებისაგან სახსრების მოძრაობის გარკვეულ ხარისხამდე განვითარებასა და მოქნილობას. ეს ფიზიკური თვისება საშუალებას აძლევს სპორტსმენს ეფექტურად აითვისოს ტექნიკური მოქმედება.

თავისუფალი ჭიდაობა გამოირჩევა მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი ტექნიკურ-ტაქტიკური მოქმედებებითა და ილეთებით, რაც მოჭიდავისაგან მოითხოვს სახსრების, ხრტილებისა და კუნთების ელასტიურობას. ამ შემთხვევაში სპორტსმენს განვითარებული უნდა ჰქონდეს არსებულ თვისებებთან ერთად ფიზიკური მოქნილობა. ამ ფიზიკური თვისების განვითარება ხელს უწყობს ისეთი ფიზიკური თვისებების განვითარებას, როგორიცაა ძალა, სისწრაფე, სიმარჯვე. როცა სპორტსმენი მოქნილია, ის დაზღვეულია ტრამვებისგან. გორში, გორის რაიონში და ფალავანთა კლუბში ჩვენ მიერ ჩატარებულმა დაკვირვებებმა მოგვცა იმის პირობა, რომ ჩაგვეტარებინა პატარა ექსპერიმენტი. ექსპერიმენტის ძირითადი მიზანი იყო ვარჯიშების არჩევა და გამოყენება, რომლებიც ხელს შეუწყობს ჭიდაობაში არსებული ტექნიკურ-ტაქტიკური ილეთების შესრულებასა და სრულყოფაში. სხვადასხვა ილეთების დამუშავებაში და მათ შესრულებაში განსაკუთრებით თავისუფალ ჭიდაობაში, მრავალრიცხოვანი ილეთებიდან გამომდინარე მეტად სასურველი და საჭიროა მოქნილობის სათანადო მდგომარეობაში ყოფნა. რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია ფსიქოლოგიური, ტაქტიკური, ტექნიკური და ინტელექტუალური მომზადების მხარეები. თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში არსებობს ილეთების კატეგორიები თავისი სირთულით და ბიომექანიკური სტრუქტურით. რა თქმა უნდა ეს ილეთები განსხვავდება მათთვის საჭირო გამოსაყენებელი ძალით, სისწრაფით და მოქნილობით.

სხვადასხვა მასალებზე და მონაცემებზე დაყრდნობით ჩვენ სასწავლო-საწვრთნო პროცესში ვიყენებდით და ვიყენებთ მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან ვარჯიშებს მოქნილობის განსავითარებლად. ამ ვარჯიშებმა საგრძნობლად გაზარდეს მოქნილობის მხრივ ჩვენი მოსწავლეების მონაცემები. ჩვენი მოსწავლეები კარგად ასრულებდნენ და ასრულებენ ტექნიკურ მოქმედებებს, წარმატებულად გამოდიან რესპუბლიკურ ტურნირებსა და ჩემპიონატზე, ვარჯიშისა და შეჯიბრების პროცესში არ იღებენ ტრამვებს.

მოქნილობაზე ვარჯიშის პროცესში იზრდება და უმჯობესდება აქტიური, ასევე პასიური სახსრების მოძრაობა.

სახსრებში მოძრაობა შეიძლება გავზარდოთ ვარჯიშებით გაწელვაზე და შევამოწმოთ ნორმატივების სახით, რომელსაც ჩვენ ვატარებდით ეტაპობრივად ორი, ოთხი და ცხრა თვის მანძილზე. მეტად ეფექტურია ძალისმიერი ვარჯიშები, რომლებიც სრულდება დიდი ამპლიტუდითა და დიდი დაძაბვით მუშაობის რეჟიმში.

ყველაზე სასურველი ასაკი მოქნილობის განვითარებისათვის არის 10-16 წელი. თანდათან მოქნილობა კლებულობს, ამიტომ მაღალკვალიფიციურმა სპორტსმენებმა უწყვეტად უნდა იმუშაონ მოპოვებული მოქნილობის შენარჩუნებასა და სრულყოფაზე.

ასაკისა და მოჭიდავეების კვალიფიკაციის გათვალისწინებით ჩვენ სასწავლო საწვრთნო პროცესის დასაწყისში, შუალედში და ბოლოს ვიყენებთ საკონტროლო ნორმატივებს ყველა ფიზიკურ თვისებაში.

ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით საწვრთნო პროცესის მიმდინარეობისას მოქნილობაზე ვარჯიშის დროს სასურველია ხერხემლის სახსრებზე ერთი ვარჯიშის 100-მდე გამეორება, მენჯ-ბარძაყის

სახსრების გასავითარებლად 70 გამეორება, მხრის სახსრის - 60-ჯერ, წვივის სახსრის - 25 გამეორება. ვარჯიშების შესრულება შესაძლებელია სერიებად 10-15-ჯერ.

ჩვენ მიერ ჩატარებულ სასწავლო-საწვრთნო მუშაობაში გამოყენებული იყო როგორც აქტიური, ასევე პასიური ვარჯიშები მოქნილობის განვითარებისათვის, სადაც ჩვენ ვიყენებდით, ძირითადად, პარტნიორის დახმარებას, ვარჯიშებს - სატანვარჯიშო და საჭიდაო ლეიბზე, ვარჯიშებს შვედური კედლის გამოყენებით, ჟგუტებითა და ბურთების გამოყენებით.

საწვრთნო პროცესში გამოყენებულმა ვარჯიშებმა ეფექტური შედეგი მოგვცა მოქნილობის განვითარებაში. ეტაპობრივად ჩატარებულმა ნორმატივებმა ცხადყო, რომ ეტაპიდან-ეტაპამდე მოქნილობის პარამეტრები იზრდებოდა. ეს, რა თქმა უნდა, აძლევდა მოსწავლეებს საშუალებას მეტი ხარისხით შეესრულებინათ, როგორც მარტივი, ასევე რთულად კოორდინირებული ილეთები ვარჯიშზე შეჯიბრების პროცესში.

ჩვენი აზრით, სასწავლო-საწვრთნო პროცესში ფიზიკური მომზადების დაგეგმვისას აქტიურად უნდა იყოს ჩართული საკითხი მოქნილობის ამაღლების პრიორიტეტულ მნიშვნელობაზე.

ქვემოთ წარმოდგენილია სურათები, რომელსაც ჩვენ ვიყენებდით.







ლიტერატურა:

1) ლ. პ. მატვეევი, სპორტული წვრთნის საფუძვლები, თბილისი, 1987.
2) Г. С. Туманян, Спортивная борьба, М., ФИС, 1985.
3) А. В. Медведь., Е.И. Кочурко., Совершенствование подготовки мастеров спортивной борьбы, Минск, „Полымя“ ,1985.
4) ლ. პ. მატვეევი., ა.დ. ნოვიკოვი. ფიზიკური აღზრდის თეორია და მეთოდიკა, თბილისი, 1979.
5) Л. П. Матвеев., А. Д. Новиков. Теория и методика физического воспитания, М, Фис, 1976.
6) გ. ა. მძინარაშვილი, პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, თავისუფალი ჭიდაობის ტექნიკური მოქმედებების მოცულობისა და თანამიმდევრობის ექსპერიმენტული დასაბუთება (სწავლების საწყის ეტაპზე), თბილისი, 2006.

რეზიუმე

მოგეხსენებათ, მოქნილობა არის ერთ-ერთი ფიზიკური თვისება. ეს თვისება საშუალებას აძლევს სპორტსმენს მეტი ამპლიტუდით შეასრულოს ილეთი და ამასთან ერთად არ მიიღოს ტრამვა. ჩვენ ყოველთვის დიდ ყურადღებას ვაქცევდით და ვაქცევთ ამ ფიზიკური თვისების განვითარებასა და სრულყოფას.

ჩვენ მიერ გამოყენებულმა ვარჯიშებმა მოგვცა დადებითი ეფექტური შედეგი, რომელიც აისახა როგორც სასწავლო საწვრთნო პროცესში, ასევე შეჯიბრებაზე.

DEVELOPMENT OF FLEXIBILITY IS A REQUIRED CONDITION TO ACHIEVE HIGH LEVEL IN FREESTYLE WRESTLING

Giorgi Mdzinarashvili, Assistant Professor

RESUME

As it is commonly known, flexibility is one of the physical characteristics. This feature enables sportsmen to perform different methods with greater amplitude and without getting traumas. We have always given much attention to the development and perfection of this physical characteristic.

The exercises used by us resulted a positive effect, which were depicted within the training process as well as at the competition.

ОСОБЕННОСТИ ФИЗИЧЕСКОГО РАЗВИТИЯ И СОСТОЯНИЕ УМСТВЕННО ОТСТАЛЫХ ШКОЛЬНИКОВ 7–9 ЛЕТ

***Мариами Убирия**, приглашенный специалист, доктор*

Проблема ранней помощи детям с отклонениями в умственном развитии в настоящее время входит в круг особо важных (А.П. Зарин, Л.С. Петрова, 2003). К сожалению, в современной научно – методической литературе крайне редко встречаются исследования подобного рода. Известно, что для учащихся с отклонениями в умственном развитии характерна быстрая утомляемость, резкие колебания работоспособности, неустойчивость эмоционально – волевой сферы. Подобные изменения обычно связаны с недостаточным развитием двигательных способностей и состоянием физической подготовленности.

Анализ показателей уровня физической подготовленности умственно отсталых детей 11 – 12 лет позволил выявить, например, что показатель ловкости у мальчиков в среднем соответствовал 16,2 с, у девочек – 17,06 с. Достоверных различий а показателях ловкости у данного контингента обследуемых обоего пола не выявлено ($t = 0,02$; $p > 0,05$).

В проявлении скоростных и силовых качеств мальчики опережают девочек на 33,7 см. Средний результат мальчиков 7 –- 9 лет в прыжках в длину составил 149 см, девочек – 115,3 см. Выявлены достоверные различия в проявлении данного качества ($t = 5,1$; $p < 0,05$) между обследуемыми мальчиками и девочками.

Умственно отсталые девочки 7 – 9 лет незначительно опережают мальчиков данного возраста в проявлении силовой выносливости, но достоверных различий не выявлено ($t = 0,07$; $p > 0,05$). Средний результат в упражнении на силовую выносливость у мальчиков составил 12,8 раза, у девочек – 13,1 раза.

Наблюдалось превосходство обследуемых девочек в проявлении гибкости. Их результат в среднем был на 2,8 см лучше, чем у мальчиков. Средний результат наклона вперед из положения стоя у мальчиков составил 2,9 см, у девочек – 5,8 см. Достоверных различий не выявлено ($t = 1,25$; $p > 0,05$).

В проявлении ловкости здоровые девочки и мальчики незначительно уступали умственно отсталым сверстникам, соответственно на 2,2 и на 1 с. Достоверных различий в проявлении данного качества здоровыми и умственно отсталыми детьми 11 – 12 лет не выявлено ($t = 0,02$; $t = 0,05$; $p > 0,05$).

В проявлении силовой выносливости выявлено достоверное ($t = 2,2$; $p < 0,05$) превосходство умственно отсталых мальчиков над здоровыми. Средний результат в упражнении на силовую выносливость у здоровых мальчиков составил 4,5 раза, а у умственно отсталых – 12,8 раза. В то же время выявлено, что умственно отсталые девочки незначительно уступают здоровым сверстницам в проявлении силовой выносливости (на 3,2 раза). Средний результат в упражнении на проявление данного физического качества у здоровых девочек составил 16,3 раза, у умственно отсталых – 13,1 раза. Достоверных различий между здоровыми и умственно отсталыми девочками в показателях силовой выносливости не обнаружено ($t = 1,8$; $p > 0,05$).

В ходе исследования было выявлено значительное превосходство здоровых мальчиков и девочек над умственно отсталыми детьми 7 – 9 лет в проявлении гибкости, соответственно, на 7,6 и на 12,2 см, а также определена достоверность различий между здоровыми и умственно отсталыми детьми в данном физическом качестве у представителей обоих полов ($t = 5,36$; и $t = 5,1$; $p < 0,05$). Средний показатель гибкости у здоровых мальчиков составил 10,5 см; у девочек – 12,3 см.

Умственно отсталые мальчики незначительно превосходят здоровых в проявлении скоростно-силовых качеств, ловкости (достоверных отличий не выявлено, p> 0,05). В проявлении силовой выносливости установлено достоверное (p <0,05) превосходство умственно отсталых мальчиков над здоровыми.

Здоровые девочки в проявлении скоростно-силовых качеств и силовой выносливости незначительно опережают умственно отсталых девочек, в то время как умственно отсталые девочки незначительно превосходят здоровых сверстниц в проявлении ловкости. Между показателями здоровых и умственно отсталых девочек не выявлено достоверных различий в проявлении скоростно-силовых качеств, ловкости и силовой выносливости (p> 0,05).

Показатели физического развития в совокупности со всеми клиническими данными являются объективными критериями оценки состояния здоровья ребенка. Это обусловлено многогранным и глубоким содержанием, определяющим данное понятие. Физическое развитие как один из показателей здоровья в то же время свидетельствует об уровне и эффективности лечебно-оздоровительных мероприятий в школе и отражает влияние многочисленных факторов внешней и внутренней среды на организм человека (К.П. Дорожнова, 1975). Кроме того, физическое развитие школьников тесно связано с совершенствованием психических процессов (А.Ц. Пуни, 1966; Г.А. Арина с соавт.,1995). Следовательно, нарушение соматического здоровья зачастую сказывается на развитии психики ребенка, на его способности к обучению (Н.Т. Лебедева с соавт.,1986). Поэтому физическому развитию детей специалисты придают очень важное значение.

При исследовании антропометрических признаков умственно отсталых детей 7 – 9 лет получены результаты, указывающие на их возрастно-половые различия. Анализ полученных результатов свидетельствует, что по показателям длины тела мальчики превосходят девочек на 8,1 см, средний рост у мальчиков составляет 142,4 см, у девочек 134,3см, при этом установлены достоверные различия по данному признаку у умственно отсталых детей обоего пола (t = 3,5; p <0,05). Средние показатели массы тела у мальчиков- 33,6 кг, у девочек- 34,2 кг, что указывает на незначительное (0,6 кг) превосходство девочек по массе тела, достоверных различий по данному признаку между обследованными детьми обоего пола не обнаружено (t = 0,3; p> 0,05). По показателям окружности грудной клетки (ОГК) достоверных различий между умственно отсталыми мальчиками и девочками 11-12 лет не выявлено (t = 1,7; p >0,05). Средние показатели ОГК у мальчиков составили 67,2 см, у девочек - 64,1 см, что указывает на незначительное превосходство (3,1 см) мальчиков в сравнении с девочками данного возраста. Средние показатели жизненной емкости легких (ЖЕЛ) у мальчиков составили 2000 см^3, у их сверстниц – 1600 см^3. Выявленное достоверное различие (t = 4,4; p<0,05) по данному признаку указывает на превосходство мальчиков (на 400 см^3) над девочками.

У детей с отставанием в умственном развитии нарушена нервная регуляция мышечной деятельности, в результате чего своевременно не формируется система обратных связей, запаздывает формирование координационных способностей, возникает сложность в формировании произвольных движений. Поэтому при достаточно раннем начале коррекционной работы, пока нервная система наиболее пластична, есть возможность добиться существенных результатов в повышении уровня физической подготовленности детей с ограниченными умственными способностями.

Проведенное первичное исследование уровня сформирования координационных способностей (КС) умственно отсталых детей позволяет отметить следующие нарушения: крайне низкую точность движений в пространстве, частую неточную дифференциацию мышечных усилий, невысокую реагирующую способность, значительное запаздывание зрительно-моторной реакции, низкий уровень развития способности к сохранению равновесия, искажение форм и амплитуд двигательного акта, низкую способность к анализу собственных действий.

При проведении сравнительного анализа показателей уровня развития различных видов КС у умственно отсталых и здоровых школьников выявлено отставание первых по всем тестам. Умственно отсталые школьники не достигают результатов, показываемых школьниками того же возраста учащимися общеобразовательных школ.

Показатели уровня развития различных видов координационных способностей у умственно отсталых школьников (мальчиков)

№	ПОКАЗАТЕЛИ	7 лет	8 лет	9лет
1.	Реагирующая способность, тест «Ловля линейки», см	30	28	24
2.	Способность к сохранению равновесия (проба Ромберга «Аист»), с	2	3	5
3.	Комплексный координационный тест, баллы	4	4	6
4.	Способность к ориентации в пространстве (челночный бег), с	19	18	16
5.	Способность к дифференцированной координации, град	9	8	7
6.	Способность к max. частоте движения кистью (за 5 сек)	21	23	25
7.	Способность к согласованию движений (прыжок с поворотом), град	110	150	210
8.	Способность к координации зрительно-моторного действия (ловля мяча), количество раз	2	4	5

Специфика координационных упражнений позволяет обеспечить овладение большим разнообразием двигательных умений. Чем шире и разнообразнее круг движений, которыми овладевают дети, тем лучше и

многостороннее развита координация движений, тем проще ребенку овладевать новыми видами деятельности, еще не встречавшимися ему.

ВЫВОДЫ.

1. Анализ показателей физического развития (длина и масса тела, ОГК, ЖЕЛ) умственно отсталых детей в сравнении с здоровыми школьниками выявил, что росто-весовые данные умственно отсталых и здоровых мальчиков ничем не отличаются между собой. В то же время здоровые девочки превосходят умственно отсталых (р <0,05). Показатели ЖЕЛ у умственно отсталых девочек ниже, чем у здоровых сверстниц (р <0,05).

2. Исследование уровня сформированности координационных способностей у умственно отсталых детей обнаружило у них крайне низкую точность движений в пространстве, низкий уровень сохранения равновесия, значительное запаздывание зрительно-моторной реакции.

3. Анализ физической подготовленности умственно отсталых детей выявил превосходство мальчиков над девочками по всем показателям, кроме гибкости. По физической подготовленности здоровые дети незначительно превосходят умственно отсталых школьников (р> 0,05).

ЛИТЕРАТУРА:

1. Горская И.Ю., Карпеев А.Г. Анализ уровня развития базовых координационных способностей у школьников с нарушениями интеллекта в сравнении со здоровыми сверстниками. Материалы международной научно-практической конференции 22-27 января 2001 г. Омск, 2001, с. 36-37.
2. Горская И.Ю., Филатова Н.П. Возрастные закономерности и сенситивные периоды развития базовых способностей у детей с нарушением речи в сравнении со здоровыми школьниками 8-15 лет //Теория и практика физической культуры. 2000, № 10, с. 15-18
3. Горская И.Ю., Синельникова Т.В. Сравнительный анализ возрастной динамики развития статической координации у умственно отсталых детей и учащихся общеобразовательных школ 8-15 лет // Состояние и перспективы совершенствования физической культуры в системе образования. Ч. 2. – Омск: СибГАФК, 1998, с. 113-117.

გონებაშეზღუდული 7-9 წლის მოსწავლეების მდგომარეობის შესახებ და მათი ფიზიკური აღზრდის თავისებურებანი

მარიამი უბირია, მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ის აქტუალური საკითხები, რომლებიც ეხება გონებაშეზღუდული 7–9 წლის მოსწავლეების ფიზიკური განვითარების დარღვევებს. გამოკვლევებმა ცხადყო, რომ მათი საკოორდინაციო შესაძლებლობები საგრძნობლად დაქვეითებულია, ხოლო რაც შეეხება ფიზიკური განვითარების მაჩვენებლებს (სიმაღლე, წონა, გულმკერდის გარშემოწერილობა, ფილტვების სასიცოცხლო ტევადობა), ისინი არ განსხვავდებიან ჯანმრთელი მოსწავლეების მონაცემებისაგან.

PECULIARITIES OF PHYSICAL DEVELOPMENT AND STATE OF MENTALLY RETARDED SCHOOLCHILDREN 7-9 YEARS

Mariami Ubiria, Invited Specialist, Doctor

RESUME

Recently a number of schoolchildren, who have different diseases and abnormal changes in their organism, particularly children having abnormalities in their intellectual development, has greatly increased owing to the unfavourable ecological conditions and economic-social shocks in the society. The objective of the humanitarian society is to help the children in the question of adaptation to ambient reality. The children having the given disease are primarily limited in their movements. The working out of adapted pedagogical curriculums on the development and correction of motor abilities of the given schoolchildren category is the purpose of our issue.

კარატეს შეტევითი მოძრაობების ბიომექანიკური საფუძვლები

პაატა ქურდაძე, ასოცირებული პროფესორი

სანამ გადავიდოდეთ უშუალოდ კარატეს მოძრაობების განხილვაზე, მოკლე ექსკურსი გავაკეთოთ აღმოსავლური ორთაბრძოლების ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურ საწყისებზე.

აღმოსავლური ორთაბრძოლების აკვნად გვევლინება ძველი ინდოეთი და ჩინეთი. ინდოეთში აღმოსავლური ორთაბრძოლების საფუძვლად ითვლება: ვედების მსოფმხედველობა და ბუდისტური დოგმები, რომლებიც შემდგომ გადავიდნენ გარკვეული სახეცვლილებით ჩინეთში. ჩინური შემეცნება ეყრდნობა ადამიანისა და სამყაროს ერთიანობის პრინციპს. ჩინელმა მოაზროვნეებმა, კერძოდ ლაო-ძიმ მოგვცა მოძღვრება, სადაც აღწერილია ევროპული ცნობიერებისაგან განსხვავებით საკმაოდ არაჩვეულებრივი მოძღვრება ადამიანსა, კოსმოსსა და იმ ძალებს შორის ურთიერთქმედებისა, რომლებიც მართავენ ადამიანთა ქმედებას. მოკლედ რომ ვთქვათ, ამ მოძღვრების მიხედვით, კოსმიური წესრიგი განაპირობებს ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებას. ამ მოძღვრების მიხედვით ადამიანი წარმოადგენს მიკროკოსმოსს, რომელიც მხოლოდ მთლიანი სამყაროს გაგრძელებაა. მიკროკოსმოსის, ანუ ადამიანის სასიცოცხლო ენერგია არის მხოლოდ ნაწილი სამყაროს ერთიანი ენერგიისა. თუ ადამიანი ამ ენერგიას მისცემს საშუალებას თავისუფლად გადმოდინდეს მის არსსა და სხეულში, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ეს მუდმივი კოსმიური ენერგია იმოქმედებს მასზე და ამოქმედებს მას.

აღმოსავლური ორთაბრძოლები იყოფა ორი ძირითადი სტილის ბრძოლებად. ესენია: 1. გარეგანი სტილის ორთაბრძოლები: ა) წმინდა გარეგანი სტილის, რომელთა ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური ფესვები მომდინარეობს ბუდისტური მსოფლმხედველობიდან და ბ) ცხოველების სტილის ორთაბრძოლები კონ-ფუ-ცის ფილოსოფიის საფუძველზე, რომელშიც ძირითად კანონზომიერებად ითვლება ბუნებისადმი შესაბამისობა. 2. შინაგანი სტილის ორთაბრძოლები, სადაც ყურადღება გამახვილებულია შინაგან ძალებზე: ტაიძი, დაიში და უდანის მთის ორთაბრძოლები, რომლებიც ცნობილია, როგორც „უდან-პაის“ სტილის ბრძოლები. შემდგომში ჩინური ორთაბრძოლების გარეგანი სტილის მიმართულებებმა (მაგალითად, ,,შაოლინის'' მონასტრის სტილის ორთაბრძოლამ) განვითარება ჰპოვა ჯერ კუნძულ ოკინავაზე, ხოლო იქიდან გადავიდა იაპონიაში „კარატე“-ს სახელწოდებით, რომელიც ოკინავაზე „ოკინავატედ“ იწოდებოდა (4, 7-12). ასეთი მოკლე ექსკურსის შემდეგ გადავიდეთ კონკრეტულად კარატეს მოძრაობების, ანუ ბიომექანიკის განხილვაზე.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ნებისმიერი ორთაბრძოლის სახეობებში შემტევი და თავდაცვითი მოძრაობები თავის არსენალში შეიცავენ როგორც წინსვლით, ასევე ბრუნვით მოძრაობებს. ეს ორი მოძრაობა, მიმდინარე ერთდროულად, წარმოშობენ რთულ მოძრაობას, ამასთანავე, წინსვლითი და ბრუნვითი მოძრაობები სხვადასხვა დროს შეიძლება წარმოდგენილ იქნას სხვადასხვა პროცენტული თანაფარდობით.

ასევე ცნობილია, რომ არათუ რთული, არამედ მარტივი მოძრაობის დროსაც კარატეს შემტევ მოძრაობებში მონაწილეობს მრავალი ჯგუფის კუნთები, რომელთაც დინამიკაში მოჰყავთ ადამიანის სხეულის სხვადასხვა ნაწილები შესაბამისი მორფოლოგიური, ფიზიოლოგიური და ფუნქციოლოგიური თავისებურებების მიხედვით. ამის გამო, სპორტსმენის მოძრაობებს ორთაბრძოლებში გააჩნიათ გარკვეული სივრცული, დროითი და სიჩქარული დინამიკური მახასიათებლები. ამიტომ ამ მოძრაობათა არეალი მეტად ნაირსახოვანია და შეიძლება ითქვას, რომ ამ ნაირსახებას არ აქვს საზღვარი. მიუხედავად ამისა, მაინც ფრიად შესაძლებელია, სპორტსმენის ძირითადი მოძრაობების შესწავლა, თუ განსაზღვრული გვექნება ამ მოძრაობათა ბრუნვის ღერძები და სპორტსმენის მოძრაობის საწყისი საყრდენი წერტილები. აქ უნდა გავითვალისწინოთ ის მომენტი, რომ საყრდენი წერტილის განხილვისას, აუცილებლად ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ მომენტს, რომ ადამიანის სხეულის ქვემონაწილის მონაწილეობა შეტევით მოძრაობაში მიმდინარეობს კინემატიკური თვალსაზრისით სამ საფეხურებრივად: ტერფი, წვივი, თეძო. ეს კინემატიკური ჯაჭვი ანიჭებს სხეულის ზედატანს წინსვლით აჩქარებულ მოძრაობას, რასაც ძირითადად განაპირობებს მენჯის იმპულსური ბრუნვითი მოძრაობა შემდეგნაირად: როდესაც საყრდენად გვევლინება მარცხენა ფეხი, მაშინ ბრუნვითი მოძრაობა მიმდინარეობს მარცხენა ფეხიდან, მის მარცხენა ტერფიდან და მარცხენა მენჯის ფოსოდან, ხოლო მარჯვენა ფეხის საყრდენის შემთხვევაში პირიქით. საერთოდ აღმოსავლურ და არა მარტო აღმოსავლურ ორთაბრძოლებში ფეხით დარტყმებისას ძალა მოდის ჯერ ტერფიდან წვივზე გადაცემით და შემდეგ საყრდენი ფეხის თეძოს გავლით, (მენჯის გავლით) გადადის დამრტყმელი ფეხის წვივსა და ტერფზე.

ხელით დარტყმების შემთხვევაში კი საყრდენი ფეხის ტერფიდან ძალა გადაეცემა წვივს, მენჯს, სხეულის ზედა ნაწილს, მხარს, მხრის ქვემოთა ძვალკუნთოვან სისტემას, იდაყვს და ბოლოს დარტყმის ზედაპირს, ხელის მტევანს. რაც შეეხება ხტომში დარტყმებს, ისინი მიმდინარეობს ერთ, რომელიმე ფეხზე ახტომით, შემდგომ მასში ერთვება ზემოთ ნახსენები შესაბამისი კინემატიკური ჯაჭვი. დარტყმა დასრულებულია ხელის მტევნის, ან ტერფის გარკვეული ზედაპირით. დარტყმების შესრულების დროს მეტად მნიშვნელოვანია ტანის სპეციფიკური მოტრიალება ვერტიკალური ღერძის ირგვლივ. ეს თავისებური შემობრუნება საშუალებას იძლევა გაიზარდოს შეტევაში მონაწილე კიდურების მოძრაობის საწყისი სიჩქარე; ერთდროულად ამ მომენტში იქმნება შესაძლებლობა გაკეთდეს დარტყმა, ანუ შეტევა მეორე ხელით ან ფეხით. ამ დროს მოძრაობაში მონაწილე ძვალ-კუნთოვანი ცალკეული ჯგუფები ერთვება მოძრაობაში თანმიმდევრობით ტალღისებურად შემდეგი თანმიმდევრობით: მსხვილი (შედარებით „ნელი“) - კუნთოვანი ჯგუფიდან უფრო წვრილი (შედარებით „სწრაფი“) კუნთოვანი ჯგუფის ჩართვით. ამ შემთხვევაში, როგორც წესი, პირველად მოძრაობას იწყებენ სხეულის შუა ნაწილის კუნთები, მენჯის შემობრუნების შედეგად. ეს კუნთოვანი სისტემა ყველაზე ძლიერია, მაგრამ ამასთანავე ყველაზე „ნელი“. შემდგომში აქ წარმოშობილი ბრუნვის იმპულსი გადაეცემა ზურგის კუნთების გავლით ხელების კუნთოვან სისტემას. ამასთანავე, მნიშვნელოვანია ის იმპულსური „აფეთქების“ მსგავსი ტალღა, რომელიც ამ დროს წარმოიშობა მენჯის სფეროში და მიმართულია ქვემოდან ზემოთ. იმისათვის, რომ უფრო ნათელი გახდეს ამ რთული მოძრაობების ბიომექანიკა, განვიხილოთ კარატეს დარტყმითი მოძრაობები გრაფიკულად, შემდეგი ბიომექანიკური სქემების მიხედვით.



სურათი N1

ფეხით დარტყმა (მაე-გერი), სურათი პირველი. ეს არის ფრონტალური დარტყმა წინ ქვემოდან ზევით, სრულდება საწყისი დგომიდან. დარტყმის ზედაპირებად გვევლინება ტერფის თითებს ქვემოთ განლაგებული „ბალიში“, ან ქუსლი. მოძრაობა სრულდება შემდეგნაირად. ჯერ ძირითადი დგომიდან წინა, ან უკანა ფეხის ტერფი მოგვაქვს საწინააღმდეგო ფეხის მუხლთან. შემდეგ პაუზის გარეშე, მუცლის ქვემო კუნთების ძლიერი შეკუმშვის ხარჯზე, დამრტყმელი ფეხის ტერფი გაიტყორცნება წინ და ზევით, მიაღწევს რა მიზანს, დარტყმის შემდეგ ტერფი უბრუნდება მეორე ფეხის მუხლთან მდგომარეობას და იქიდან ეშვება პირვანდელ მდგომარეობაში, იატაკზე ძირითად დგომში.

გვერდითი დარტყმა ფეხით (იოკო-გერი-კეაგე), სურათი N2. ეს არის აღმავალი დარტყმა ფეხით ქვემოდან-ზემოთ. ამ შემთხვევაში დამრტყმელი ფეხის მუხლი გვევლინება ბრუნვის ცენტრად. სრულდება სამ დონეზე სხვადასხვა დგომიდან. საწყისი დგომიდან დამრტყმელი ფეხის ტერფი აირეკლება რა იატაკიდან, მუხლი იწევა პირდაპირ და გვერდზე, 45 გრადუსიანი კუთხით, ან პირდაპირ მოიერიშის წინ (პირდაპირი, სწორი) კუთხით. ამ პერიოდში ტერფი ისეთნაირად არის ფორმირებული, რომ ტერფი დახრილია, ანუ მობრუნებულია შიგნითა ბრუნვის ღერძის მიმართულებით სხეულისაკენ, ხოლო ტერფის გვერდი ქუსლის გასწვრივ მიმართულია დარტყმის მიზნისკენ. ამ შემთხვევაში ტერფის ასეთნაირი შემობრუნება, გარკვეულად კეტავს მთელ ტერფს კოჭის სახსარში და ის წვივის გასწვრივ გარდაიქმნება ერთ მთლიან ნაწილად. შემდეგ კორპუსის საწინააღმდეგო მხარეზე გადაწევის გარეშე, ტერფი მუხლიდან განაგრძობს მოძრაობას ქვემოდან-ზევით რკალზე. ამ შემთხვევაშიც ბრუნვის ცენტრად გვევლინება მუხლის არე. მოძრაობის იმპულსის საფუძველს ამ დროს წარმოადგენს



სურათი N2

დამრტყმელი ფეხის გასწვრივი მენჯის ზევით მოძრაობა. დარტყმის ბოლო ფაზაში ტერფი არ ფიქსირდება, არამედ დარტყმის შემდეგ მაშინვე ბრუნდება საწყის პოზიციაში. დარტყმის ბოლო ფაზაში ტერფი უბრუნდება საყრდენ მუხლს. შემდეგი დარტყმა გვერდით სრულდება, ან ტერფით, ან ქუსლით (იოკო-გერი-კეკომი) სურათი N3 სრულდება უკანა, ან წინა ფეხით საბაზო დგომის შესაბამისად შემდეგნაირად:



სურათი N3

აირეკლება რა იატაკიდან დამრტყმელი ფეხი, ის ადის მუხლის დონეზე, მუხლის გასწვრივ, ხოლო მუხლი ადის მკერდის დონემდე ისე, რომ წინასწარ სხეული არ გადაიხრება გვერდზე და დამრტყმელი ფეხის მენჯი არ აიწევა ზევით. შემდგომ დამრტყმელი ფეხის მუხლი იწყებს მოხრას და ეშვება ოდნავ ქვევით, ხოლო ტერფი მიისწრაფვის მიზნისაკენ. ამ დროს საყრდენი ფეხი შემობრუნდება შეტევის ხაზის, ანუ ბრუნვის ღერძის გარშემო დარტყმის საწინააღმდეგო მიმართულებით. განსხვავება ამ დარტყმის წინა გვერდითი დარტყმისაგან (იოკო-გერი-კეკომი) მდგომარეობს იმაში, რომ მენჯი ერთგვარად იმპულსურად მიჰყვება დამრტყმელ ფეხს და ქმნის ერთიან შემტევ სისტემას. აქაც, მცირე დროით ფიქსაციის შემდეგ, დარტყმის ბოლო სტადიაში, ფეხი სწრაფად ეშვება საწყის პოზიციაში.

ბიძგებითი, ანუ მიბჯენითი დარტყმა ქუსლით, ან ტერფის წიბოთი უკან (უშირო-გერი-კეკომი). სურათი N4



სურათი N4

სრულდება სამივე დონეზე. ასევე შესაძლებელია მისი შესრულება ადგილიდან (წინა ფეხის ირგვლივ შემოტარებით საწყისი პოზიციიდან) და უკან. შესრულების თანმიმდევრობა ასეთია: საწყის დგომში, ვინარჩუნებთ რა სხეულის ვერტიკალურ მდგომარეობას, მაღლა ვწევთ მუხლს. ხელები ამ დროს ჯერ მიდიან სხეულის უკან, ხოლო შემდეგ აჩქარებულად სხეულის წინ გადახრის პოზაში, გაიტყორცნებიან წინ და ქვემოთ რკალზე, თავი ტრიალდება დამრტყმელი ფეხის მხარეს რკალზე ისეთნაირად, რომ მზერა მიმართულია უკან, დარტყმის მიზნისაკენ, ხოლო კორპუსი იმყოფება ჰორიზონტალურ მდგომარეობასთან მიახლოებულ მდგომარეობაში. შემდგომ ხდება დამრტყმელი ფეხის გასწორება მუხლის სახსარში და ქუსლი მიიმართება მიზნისაკენ. ამ შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანია შევინარჩუნოთ კურპუსის წინ გადახრილი მდგომარეობა და მენჯის კუნთების და მთლიანი მენჯის დარტყმის ვექტორის მიმართულებით წანაცვლება. დარტყმა შეიძლება განხორციელდეს როგორც ფიქსაციით, ანუ მიზნის მიღწევის შემდეგ წამიერად შეჩერებით მიზანთან კონტაქტში, ან უკან სწრაფი დაბრუნებით.

ფეხის ბრუნვითი „შოლტისებური“ დარტყმა წინ ჰორიზონტალურ სიბრტყის გასწვრივ (მავში-გერი) სურათი N5(ა) და 5 (ბ) სრულდება ყველა დონეზე ტერფით, ან თითების ფუძით. ამ დარტყმის შესრულების აუცილებელ პირობებად ითვლება მენჯის სახსრების ელასტიური მოძრაობა რკალის მიმართულებით. დარტყმის მოძრაობის ბიომექანიკურ საფუძველს წარმოადგენს სხეულის გრეხვითი მოძრაობა, რომელსაც თან ახლავს მენჯის ზემოთა და ქვემოთა ნაწილების ურიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით სვლა. სურათი N5 ა) და ბ)



სურათი N5 ა (გვერდითი ხედი)



სურათი N5 ბ (ხედი წინიდან)

ამ დარტყმის რამდენიმე ვარიანტი არსებობს. 1. მენჯის ვერტიკალური მდგომარეობიდან გამოყვანისა და წინ რკალზე მოძრაობის გარეშე (კლასიკური) ფორმა. 2. მენჯის სხეულის ვერტიკალური მდგომარეობიდან გამოყვანით და შემობრუნებით. 3. დამრტყმელი ფეხის მუხლის სხვადასხვა მდგომარეობიდან დარტყმის წინა ფაზაში (ეგრეთწოდებული ოკინავის ვარიანტი, რომელიც შემორჩენილია სოტოკანის სტილში, რაც მდგომარეობს სხეულის კონტურიდან მუხლის გვერდზე გამოყვანაში).

დარტყმის შესრულება ხდება შემდეგნაირად: ავწიოთ მუხლი ზუსტად გვერდით მდგომარეობაში, ამ დროს წვივი მიტანილია თეძოსთან, ხოლო ტერფი უკვე ჩამოყალიბებულია დარტყმით პოზიციის შესაბამისად, სხეულის მთელი კორპუსი უნდა გვეჭიროს ვერტიკალურ მდგომარეობაში. გამოვიყვანოთ დამრტყმელი ფეხის მუხლი შეტევის ხაზზე, ამავე დროს, მხრის შემოწერილობა მოვაბრუნოთ მუხლის მოძრაობის შემხვედრათად. სასურველია, ამ დროს საყრდენი ფეხის ტერფი არ მოვაბრუნოთ შეტევის მხარეს, დარტყმის მომენტში დასარტყმელი ფეხის „მოსახელე“ მხარი აკეთებს მუხლთან, წვივთან და ტერფთან ერთად მკვეთრ იმპულსურ მოძრაობას რკალზე მიზნის მხარეს, ასრულებს რა შოლტისებურ დარტყმას, სწრაფად ბრუნდება საწყის პოზიციაში.

ამრიგად, ჩვენ ზემოთ განვიხილეთ ,ბიომექანიკური საფუძვლები კარატეს შემტევი მოძრაობის მხოლოდ ერთ ნაწილში, რომელიც წარმოვადგინეთ ფეხით შეტევის ზოგიერთი ძირითადი მაგალითის სახით. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ზემოთ განხილული საკმაოდ რთული მოძრაობების შესრულება მხოლოდ მაშინ აღწევს სასურველ შედეგს, როდესაც ამ მოძრაობების სწორ ბიომექანიკას თან ერთვის შესაბამისი სუნთქვითი და კონცენტრაციის ციკლი. მიგვაჩნია, სტატია საინტერესო იქნება ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელთათვის, ასევე ის შეიძლება გამოდგეს, როგორც მეთოდური დამხმარე ლიტერატურა სპორტის სპეციალობაზე მოდულის ბიომექანიკის კურსისათვის, როგორც დამატებითი მეთოდური ლიტერატურა.

ლიტერატურა:

1. Г. Фунакоши Карате-до Кохин Техника. Ката. Духовни смисл Карате Курс от новичка до 5 дана М 1997 г.
2. Динамика Карате. Масамотоши Накаяма М., 2003.
3. Боевая школа Брюса Ли Брюс ли М. Уехара Л 1997.
4. Философско-психологичесие Аспекты восточных единоборств О. А. Рудешко Хабаровск, 2013.
5. The Essence of Karate, Gichin Funakoshi Foreword by Hirokazu Kanazawa, Tokyo. New York. London. 2007.

რეზიუმე

სტატიაში განხილულია აღმოსავლური, კერძოდ კარატეს შემტევითი მოძრაობების ბიომექანიკა, რამდენიმე საბაზო დარტყმების მაგალითზე როგორც ხელით, ასევე ფეხით. ხაზგასმულია ის მომენტი, რომ კარატეში მოძრაობების ეფექტურობისათვის გამოყენებულია რთული მოძრაობები, სადაც ერთმანეთს ენაცვლება: წინსვლითი, წრფივი და ბრუნვითი მოძრაობები, სხვადასხვა ბრუნვების

ღერძების მიმართ. ასევე ეს მოძრაობები შეიცავს სპორტსმენის მთელი სხეულის, განსაკუთრებით მუცლის ქვედა, შუა და ზემო კუნთების სპეციფიკურ დაძაბვებს, სათანადო სუნთქვითი და ფიქსაციების ფონზე, რაც მთლიანობაში წარმოადგენს კარატეს და საერთოდ აღმოსავლური ორთაბრძოლების ძირითად სპეციფიკას და განსხვავებას სხვა სტილის ორთაბრძოლებიდან.

THE BASIS OF BIOMECHANICS BASIS IN ATTACKING MOVES OF KARATE

Paata Kurdadze, Associate Professor

RESUME

Biomechanics of attacking moves of karate is discussed in this article on the example of some basic hits with hands as well as with legs. In karate for more effectiveness difficult movements are used one after another: forward, linear and rotating moves. Also these moves contain, with appropriate breathing and fixation, specific tension of the whole body of a sportsman, especially - muscles of upper, middle, and lower abdomen. Overall, this is the main specification of karate and the oriental fight in general and that differs them from other kinds of fights.

ბიზნესი და მართვა
Business and Management

ტურისტული რესურსები, როგორც რეგიონული ტურიზმის განვითარების ფაქტორი

მაია აზმაიფარაშვილი, *ასოცირებული პროფესორი*

ტურიზმი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია, ხოლო ტურიზმის განვითარების უმნიშვნელოვანეს პირობას ტურისტული რესურსების პოტენციალი წარმოადგენს. ტურისტული რესურსების ცნება შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: ბუნებრივი, ისტორიულ-კულტურული, შემეცნებითი და სოციალურ-საყოფაცხოვრებო რესურსების და ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურის ერთობლიობა, რომელიც აკმაყოფილებს ტურისტის მოთხოვნილებებს. ტურისტული რესურსები განიხილება, როგორც ტურიზმის სექტორისათვის ეკონომიკური ღირებულების მქონე მატერიალური ობიექტები.

ტურისტულ რესურსად შეიძლება ჩაითვალოს ის გეოგრაფიული ელემენტები, რომლებიც განკუთვნილია ქვეყანაში ან რეგიონში დანიშნულების ადგილზე შემოსული ვიზიტორის კეთილგანწყობის, კომფორტისა თუ სიამოვნების მისაღებად. რესურსების ტურიზმის მიზნით გამოყენება შეზღუდულია, რადგან იგი ტურისტების ფიზიკურ უსაფრთხოებასა და ჰიგიენური ნორმების მაქსიმალურ დაცვას უნდა უზრუნველყოფდეს. ტურისტული რესურსის კონცეფცია ფართო ცნებაა, თუმცა კოტლერისა და სხვების აზრით იგი არის პროდუქტი, რომელიც ტურისტისთვის შეიძლება შეთავაზებული იქნეს მისი აუცილებელი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, იქნება ეს რაიმე სახის ობიექტები, გარკვეული ადგილები თუ იდეა (Fernandez, 2008).

ნებისმიერ რაიონს შეიძლება ჰქონდეს ტურისტული პოტენციალი – ხელსაყრელი ჰავა, მიმზიდველი პეიზაჟი, სტუმართმოყვარე ხალხი და რესურსების მთელი რიგი, რომელიც აღმოჩენის მოლოდინშია. და მაინც, ის ღირებულ ტურისტულ დესტინაციად ვერ იქცევა თუ: მინიმუმ ერთი ატრაქცია, რომელიც მხარდაჭერილი იქნება, როგორც უნიკალური გასაყიდი შეთავაზება (Unique Selling Proposition – USP), დამხმარე საშუალებები (მაგალითად, განთავსების საშუალებები); ტურისტების გენერატორი ძირითადი ქვეყნების მისადგომობა; განვითარებისთვის ხელსაყრელი წინაპირობები, რაც

გულისხმობს საბაზისო ინფრასტრუქტურის, ტურისტული ორგანიზაციის და პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფას.

,,ტურისტული რესურსების არსებობა და თავისებურება მნიშვნელოვანია რეგიონში ტურისტული ინდუსტრიის განვითარებისათვის, ხოლო რეგიონული ტურიზმი დიდ ეკონომიკურ და სოციალურ გავლენას ახდენს თვითონ რეგიონის განვითარების ყველა ეტაპზე. სხვადასხვა სახის ტურისტული რესურსები შეიძლება ითქვას თვითონ გვკარნახობს რეგიონის განვითარების პროფილს, ისევე როგორც სამთო ტურიზმის მიმართულება თოვლიანი რეგიონისთვის, ეკო ტურიზმი მაღალმთიან რეგიონებში, და რეგიონები, რომელსაც აღნიშნული რესურსების გარდა გააჩნია ასევე ზღვა და ზღვის სანაპირო. აღნიშნული რესურსების რეალიზებისა და განვითარების საწყის ეტაპებზე უკვე შეიმჩნევა რეგიონში ტურისტების ნაკადის ზრდისა და ზოგადად რეგიონის განვითარების ახალი მიმართულებები“ (MacCallum, Baert, Rosato, 2010).

ბუნებამ უხვად დააჯილდოვა საქართველო ტურისტულ-რეკრეაციული რესურსებით. საქართველოს თითქმის ყველა რეგიონი ერთმანეთისაგან განსხვავებულ ტურისტულ რესურსს ფლობს. მსოფლიოში არ მოიძებნება ისეთი ადგილები, სადაც ისეთ მცირე ტერიტორიაზე, რაც ჩვენს ქვეყანას გააჩნია, განლაგებულია ამდენი ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული ლანდშაფტი. ამიტომ საქართველო, თავისი უნიკალური ბუნებრივ-ეკონომიკური პირობებით, იძლევა ერთ-ერთ ძლიერ ტურისტულ სახელმწიფოდ გადაქცევის შესაძლებლობას. ჩვენს ქვეყანაში უდიდესი საშუალებებია თავმოყრილი ტურიზმის განვითარებისათვის: კოლხეთის დაბლობის სუბ-ტროპიკული ზონა (განუმეორებელი საზღვაო ლანდშაფტით), კავკასიის მთიანეთი (ენით აღუწერელი საზამთრო-საზაფხულო კურორტებით), აღმოსავლეთის მშრალი კლიმატის ჰავა და ა. შ. მსოფლიოში იშვიათია ისეთი ქვეყანა, რომელიც ბუნებრივ-კლიმატური და რეკრეაციულ-ბარნეოლოგიური რესურსებით ასე უხვად იყოს ღვთისაგან “დაჯილდოებული” (ქათამაძე, 2013).

რეგიონში ტურიზმის განვითარების წინაპირობებია: რეკრეაციული რესურსები, ადამიანური რესურსები, კაპიტალი და სისტემის მართვა. მაგალითად, აჭარის რეგიონისთვის ტურისტულ რესურსებად შეიძლება ჩაითვალოს შავი ზღვისა და მაღალმთიანი ლანდშაფტის თანაარსებობა, ასევე სუბტროპიკული ჰავა და სამთო-სათხილამურო კურორტების პოტენციალი; კახეთის რეგიონში კი უდაბნოსთან ერთად ვაზის უამრავი ჯიშისა და ღვინის უძველესი კულტურის არსებობა; ასევე კავკასიონის ფერდობზე ცხოველთა უნიკალური ჯიშების არსებობა და ეკოტურიზმის განვითარება ამ რეგიონში; ისევე როგორც, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მინერალური წყლების და სამკურნალო ტალახების საკმაოდ დიდი რესურსების არსებობა და ა.შ.

საქართველოს ტერიტორიის ნახევარზე მეტი მთიანია. სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, აჭარის მთიანეთი, სამცხე-ჯავახეთი, მთათუშეთი, ხევსურეთი, ფშავი, მთიულეთი, ხევი და სხვები, ეს ის ადმინისტრაციული რაიონებია, რომლებიც ნაკლებ გამოსადეგია ეკონომიკის ტრადიციული დარგების განსავითარებლად, სამაგიეროდ ამ რაიონებს (და არა მხოლოდ მათ) ტურიზმის განსავითარებლად საკმაოდ დიდი პოტენციალი გააჩნიათ.

უნდა აღინიშნოს, რომ დღეს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 70% იქმნება დედაქალაქში, მაშინ როდესაც რეგიონების უმრავლესობა წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს მკვდარ ზონებს.

საქართველოს რეგიონული განვითარების მეორე სამთავრობო დოკუმენტი - პროგრამა 2015-2017 წლებისთვის ითვალისწინებს ტურიზმის განვითარებას. ამ პროგრამაში ტურიზმი მე-4 პრიორიტეტად არის მიჩნეული და აღნიშნულია ამ სექტორის განვითარების მაღალი პოტენციალი საქართველოში და ჩამოთვლილია ღონისძიებები: ტურიზმის რესურსების და თითოეული რეგიონის პოტენციალის, მათ შორის, კულტურული და ბუნებრივი რესურსების კვლევა; შიდა და საერთაშორისო ტურიზმის პოპულარიზაცია; ტურიზმის საინფორმაციო ცენტრების ქსელის განვითარება; ტრენინგების გზით, ტურიზმში მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება; მცირე მასშტაბიანი ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება და სხვა, რომელთა განხორციელებაზეც სავარაუდოდ უნდა დაიხარჯოს ბიუჯეტიდან 30 მლნ ლარი, ამავე პროგრამაში არა მხოლოდ მიზანია დასახული, არამედ მის მისაღწევად საჭირო ღონისძიებები და ბიუჯეტური დაფინანსებაც. ანუ რეგიონული განვითარების მთელი პროგრამისთვის გამოყოფილი თანხის 3501,5 მლნ ლარის - მხოლოდ 0,8%. ასეთ დროს, აზერბაიჯანის სახელმწიფომ მარტო საერთაშორისო ტურიზმისთვის 2014 წელს დახარჯა 3,8 მლრდ აშშ დოლარი. ვსვამთ კითხვას: თუ ეს ქვეყანა ასეთი დიდი მოცულობის კაპიტალს ხარჯავს საერთაშორისო ტურიზმის განვითარებისთვის, საქართველო, რომელიც სხვა დანარჩენი რესურსებით უღარიბესია მასთან შედარებით, და, რომლისთვისაც სწორედაც ტურიზმი იქნება სიღარიბის დაძლევის ერთადერთი საშუალება (ყოველ შემთხვევაში მთიანი რეგიონებისთვის მაინც), შეიძლება წელიწადში მის

განვითარებაზე მხოლოდ 10 მლნ ლარის ხარჯვას ვარაუდობდეს? ვფიქრობთ, ტურიზმის განვითარებას საქართველოში ხელისუფლების მხრიდან მეტი მზრუნველობა და ყურადღება სჭირდება.

ტურისტულ რესურსებს სამი ძირითადი მახასიათებელი აქვთ:

1. ტურისტული რესურსები, ჩვეულებრივ, განიხილება, როგორც ტურიზმის სექტორისათვის ეკონომიკური ღირებულების მქონე მატერიალური ობიექტები. ამიტომ სექტორმაც და თვითონ ტურისტმაც უნდა იცოდეს, რომ ვიდრე ადგილი, ლანდშაფტი ან ბუნებრივი კომპონენტი ტურისტულ რესურსად იქცევა, მას აქვს ღირებულება.

2. ტურისტული რესურსებით, ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ ტურისტები არ სარგებლობენ. გარდა საკურორტო რაიონებისა თუ თემატური პარკებისა, სადაც ტურიზმი მიწათსარგებლობის დომინანტია, იგივე რესურსებით სარგებლობს სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, წყალმომარაგება და იქაური მოსახლეობა, რომელიც ადგილობრივ რესურსებს იყენებს. ტურიზმი მნიშვნელოვანი მიწათმოსარგებლეა, მაგრამ იშვიათადაა ერთადერთი, რის გამოც სხვადასხვა მოსარგებლეებს შორის შეიძლება კონფლიქტი წარმოიქმნას. ტურიზმს, როგორც „დაგვიანებით მოსულს“, სხვა მიწათმოსარგებლეებთან შეგუება უხდება.

3. ტურისტული რესურსები არამდგრადია. ტურისტული ზეწოლის გამო მათ ცვლილება და ნგრევა ემუქრებათ. ასევე შეუძლებელია „შეინახო“ და სხვა დროს გამოიყენო ტურისტული მომსახურების ზოგიერთი ფორმა (მაგალითად, სასტუმროს საწოლები ან გასასეირნებელი ადგილები თემატურ პარკებში). გამოუყენებელი ტურისტული რესურსები არ ინახება და იკარგება (პავლიაშვილი, 2010).

ამრიგად, რეგიონის ფუნქციონირების სოციალურ-ეკონომიკურ პირობებზე ტურიზმის მზარდი ზემოქმედების უზრუნველყოფა მოითხოვს მთელი რიგი კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტას, რომელთა შორის აღსანიშნავია: რეგიონის რესურსული უზრუნველყოფისა და ტურისტული შესაძლებლობების შეფასება, ტურისტული ინტერესის განსაკუთრებით ღირებული და უნიკალური ობიექტების გამოვლენა და ა.შ. შესაბამისად, რეგიონული ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა ტურისტული რესურსების მართვის სტრატეგიის შემუშავება, რომლის საფუძველშიც უნდა იყოს კონკრეტიზირებული ტერმინოლოგიური აპარატი, რომელიც ასახავდა ტურისტული რესურსების არსსა და ხასიათს, მათ ურთიერთკავშირს ტურიზმის განვითარების შედეგებთან, აგრეთვე ემპირიული კვლევის შედეგები, რომლებიც ასახავენ რეგიონში ტურიზმის განვითარებაზე ტურისტული რესურსების გავლენის ხარისხს.

საქართველოსათვის ტურიზმის მიმართ რეგიონული მიდგომა, მიუხედავად მისი მცირე ტერიტორიისა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ტურიზმი უნდა ვითარდებოდეს მდგრად, კონტროლირებად და კომპლექსურ საფუძველზე, გონივრული დაგეგმვის პრინციპების გამოყენებით. ამგვარი მიდგომით ტურიზმს შესაბამისი რეგიონისათვის მნიშვნელოვანი მოგების მოტანა შეუძლია, რაიმე სერიოზული ეკოლოგიური და სოციალური პრობლემების წარმოშობის გარეშე.

ლიტერატურა:

1. პავლიაშვილი ნ., ტურისტულ–რეკრეაციული რესურსების გეოგრაფია, 2010, გვ. 12
2. ქათამაძე დ., საერთაშორისო ტურიზმი, 2013, ბსუ, გვ. 364-365
3. 2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა. http://www.mrdi.gov.ge/g
4. ხოტენაშვილი ბ., საქართველოს რეგიონებში ტურიზმის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები, 2016, გვ. 28-29.
5. Fernández R.N., ,,Management of tourism in heritage sites'', 2008 p.14-15, UNESCO World Heritage Centre www.ama.org
6. MacCallum N., Baert T., Rosato P., ,, Sustainable tourism and local development in apulia region", Italy 2010. p.74
7. Boniface B., Cooper Ch. Worldwide Destinations. The Geography of Travel and Tourism. IV Edition, 2005, გვ.31-87. 2. Williams Stephen. Tourism Geography. A New Synthesis. Case Studies, II Edition. 2009.

რეზიუმე

ტურიზმი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია, ხოლო ტურიზმის განვითარების უმნიშვნელოვანეს პირობას ტურისტული რესურსების პოტენციალი

წარმოადგენს. ტურისტული რესურსების არსებობა და თავისებურება მნიშვნელოვანია რეგიონში ტურისტული ინდუსტრიის განვითარებისათვის, ხოლო რეგიონული ტურიზმი დიდ ეკონომიკურ და სოციალურ გავლენას ახდენს თვითონ რეგიონის განვითარების ყველა ეტაპზე. სხვადასხვა სახის ტურისტული რესურსები შეიძლება ითქვას თვითონ გვკარნახობს რეგიონის განვითარების პროფილს. რეგიონის განვითარებისთვის არ არის საკმარისი მხოლოდ ინვესტიცია, საჭიროა მისი განვითარების პროგრამების ეფექტური ადმინისტრირება და მტკიცე მენეჯმენტი, ანუ მნიშვნელოვანია წინა პლანზე წამოიწიოს საქართველოს რეგიონებში ტურიზმის სწორი მენეჯმენტის საკითხი.

TOURIST RESOURCES AS A REGIONAL TOURIZM DEVELOPMENT FAQTOR

Maia Azmaiparashvili, Associate Professor

RESUME

Tourism is one of the most important priorities of the country's economy, and the vital promotion of tourism development is the potential for tourism resources. Almost every region of Georgia owns a different tourist resource. Regional tourism has great economic and social impact on all stages of development of the region itself. Different types of tourism resources can be distinguished by the development of the region's development profile. Regional approach towards tourism in Georgia, regardless of its small area, is particularly important. Almost every region of Georgia owns a different tourist resource. Only the investment is not enough for the development of the region, effective management and sustainable management of its development programs are needed. It is important to raise the issue of proper management of tourism in Georgia's regions.

უმუშევრობის პრობლემა საქართველოში

თეა ანესაშვილი, *მოწვეული სპეციალისტი*
მანია გოგიძე, *მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი*

უმუშევარია ადამიანი, თუკი ის სასურველ სამუშაოს, სასურველი ანაზღაურებით ვერ პოულობს. მონათმფლობელურ და ფეოდალურ (ბატონყმურ) წყობილებებში უმუშევრობა, ფაქტობრივად, არ არსებობდა, რადგან ადამიანს არ ჰქონდა უფლება, მუშაობაზე უარი ეთქვა. უარის შემთხვევაში ის დაისჯებოდა ან შიმშილით დაიღუპებოდა. თუ ადამიანებს ვაიძულებთ, უხელფასოდ ან სასურველზე დაბალი ხელფასისთვის იმუშაონ – ყველას დასაქმება მოხერხდება. უმუშევრობა შრომის კომერციალიზაციამ ანუ შრომაში სასურველი ანაზღაურების (ხელფასის) მოთხოვნის თავისუფლებამ წარმოშვა. შესაბამისად, თუ ქვეყანაში არასასურველი ეკონომიკური მდგომარეობაა და საკმარისად ანაზღაურებული (ხშირ შემთხვევაში ანაზღაურება საარსებოდ საჭირო თანხასაც კი ვერ ფარავს) სამუშაო ადგილების ნაკლებობაა, ხოლო ადამიანებს თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა აქვთ, მოსახლეობის ნაწილს არ უღირს დაბალი ხელფასისთვის დაქირავებულად მუშაობა და ცდილობს, სხვა ქვეყანაში იპოვოს უკეთესი სამსახური, ან სოფელში, მიწაზე მუშაობით მოიპოვოს არსებობისთვის საჭირო მინიმალური შემოსავალი (ხშირად – ნატურალური პროდუქტის სახით). საქართველოსთვის ორივე სიტუაცია დამახასიათებელია – ემიგრაციაც და მიწაზე მუშაობაც. თუ ადამიანს არც მიწა აქვს და ვერც საზღვარგარეთ მიდის, ის სოციალურ ან უმუშევრობის დახმარებას იღებს. ბევრ ქვეყანაში უმუშევრობის დახმარება სოლიდურია და კონკურენციას უწევს დაბალანაზღაურებად სამსახურს.

ადამიანის მიერ საკუთარი უმუშევრობის აღქმა ხშირად არ ემთხვევა ოფიციალური სტატისტიკური მეთოდოლოგიით განსაზღვრულ უმუშევრობას. მაგალითად, ბევრი, ვისაც სასურველი სამსახური არა აქვს, მაგრამ მუშაობს, თვლის, რომ უმუშევარია. ასევე მიაჩნია, თუკი უმაღლესი განათლება აქვს და შესაფერის ადგილზე არ მუშაობს. ხშირად ადამიანი თავს მხოლოდ მაშინ აღიქვამს დასაქმებულად, თუ

ხელფასი აქვს დანიშნული (დაქირავებულია). ასე გაჩნდნენ „უმუშევარი“ ტაქსის მძღოლები, საცალო ვაჭრობით დაკავებული ფიზიკური პირები, სოფლის მეურნეობაში საკუთარ მიწაზე დასაქმებულები და ა.შ. ოფიციალური სტატისტიკით კი ისინი უმუშევრებად არ ითვლებიან.

დღეისათვის გაეროს ყველა წევრ ქვეყანაში, და მათ შორის საქართველოშიც, უმუშევრობის სტატისტიკის საერთაშორისო მეთოდოლოგია გამოიყენება, რომელიც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO – გაეროს შვილობილი ორგანიზაცია) მიერ არის შემუშავებული. საერთაშორისო მეთოდოლოგიებს პირველ რიგში ის დანიშნულება აქვს, რომ სხვადასხვა ქვეყნის მონაცემები შესადარისი იყოს. მაგალითად, თუ საქართველოსა და სომხეთში უმუშევრობის დონის დათვლის მეთოდოლოგია განსხვავებული იქნება, მიღებული შედეგების შედარება არ მოგვცემს საშუალებას, ვთქვათ, რომელ ქვეყანაში უფრო მაღალია უმუშევრობის დონე. გარდა ამ მიზნისა, უმუშევრობის დათვლის მეთოდოლოგიის მთავარი ამოცანაა, სწორად განაწილდეს უმუშევრობის დახმარება, არ მიიღოს დახმარება მან, ვინც რეალურად უმუშევარი არ არის და საკუთარი შრომითი შემოსავალი აქვს. აქედან გამომდინარე, უმუშევარი ადამიანის დასადგენად საკმაოდ მკაცრი კრიტერიუმებია შემუშავებული. საქართველოში უმუშევრობის დახმარება არ არის, მაგრამ, რადგან გაეროს წევრი ვართ, ვალდებულება გვაქვს, რომ ჩვენც მათი მეთოდოლოგია გამოვიყენოთ. ამასთან, უმუშევრობაზე დაკვირვება გვეხმარება, განვსაზღვროთ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ტენდენციები და თუ რამდენად უმჯობესდება/უარესდება სოციალური ფონი ქვეყანაში.

ახლა კი დაწვრილებით იმის შესახებ, თუ როგორ თვლის საქსტატი დასაქმება-უმუშევრობის მაჩვენებლებს. დათვლა ხდება შინამეურნეობის (ოჯახების) კვლევის გზით. გამოკვლევა მიმდინარეობს ყოველკვარტალურად, რომლის დროსაც ხორციელდება დაახლოებით 3,400 შინამეურნეობის 15 წლისა და უფროსი ასაკის წევრების გამოკითხვა, გარდა: 1. იმ პირებისა, რომლებიც არ იმყოფებიან შინამეურნეობაში 12 თვისა და მეტი პერიოდის განმავლობაში; 2. სამხედრო პირებისა, რომლებიც ცხოვრობენ ყაზარმებში 3. საპატიმროებში, ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში, მოხუცთა თავშესაფრებში, ინტერნატებსა და სხვა ინსტიტუციურ დაწესებულებებში მცხოვრები პირებისა.

ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციების გათვალისწინებით, საქართველოში ზედა ასაკობრივი ზღვარი არ არის დაწესებული, რადგან საპენსიო ასაკის მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობა საკმაოდ მაღალია. პენსიონერიც შეიძლება უმუშევრად ჩაითვალოს.

დასაქმებულად ითვლება 15 წლისა და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში მუშაობდა (სულ მცირე, ერთ საათს მაინც) შემოსავლის (ხელფასის, ნატურალური შემოსავლის, მოგებისა და ა.შ.) მიღების მიზნით, უსასყიდლოდ ეხმარებოდა სხვა შინამეურნეობის წევრებს, ან რაიმე მიზეზით არ იმყოფებოდა სამუშაოზე, თუმცა ფორმალურად ირიცხებოდა მომუშავედ.

უმუშევრად ითვლება 15 წლისა და უფროსი ასაკის პირი, რომელიც არ მუშაობდა (ერთ საათსაც კი) გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში, ეძებდა სამუშაოს ბოლო 4 კვირაში და მზად იყო მუშაობის დასაწყებად მომავალი 2 კვირის განმავლობაში. შესაბამისად, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულები, რეპეტიტორები, კერძო ტაქსის მეპატრონეები, საცალო ვაჭრობით დაკავებული ფიზიკური პირები და ა.შ. თუ გამოკითხვის მომენტის წინა შვიდი დღის განმავლობაში ერთ საათს მაინც მუშაობდნენ შემოსავლის (ხელფასის, ნატურალური შემოსავლის, მოგებისა და ა.შ.) მიღების მიზნით, საქსტატის მეთოდოლოგიის თანახმად, დასაქმებულად ითვლებიან.

რადგან საქართველოში უმუშევრობის დახმარება არ არის, უმუშევრობის სტატისტიკას მხოლოდ ეკონომიკური სიტუაციის ანალიზის დანიშნულება აქვს.

საქსტატის მონაცემებით, 2014 წელს 2013 წელთან შედარებით უმუშევრობის დონე 2.2% პუნქტით შემცირდა და 14.6% შეადგინა. 2015 წელს 14,1%, 2016 წელს 14,0%, ხოლო 2017 წელს კი 13,9%.

ერთია, რომ ოფიციალური მეთოდოლოგიით 1,7 მილიონი ადამიანი ითვლება დასაქმებულად და 246 ათასი უმუშევრად, მაგრამ თუ განვიხილავთ შიდა შრომის ბაზარზე სამუშაოს მაძიებელთა რიცხვს, სამსახურს ეძებს არა მხოლოდ 246 ათასი კაცი, არამედ თვითდასაქმებულების უმეტესობაც, რომლებიც სასურველი სამსახურის პოვნამდე სხვადასხვა გზით ცდილობენ შემოსავლის მიღებას. შესაბამისად, როდესაც საქართველოში ჩნდება ახალი სამუშაო ადგილები, არ ნიშნავს, რომ ამ ადგილებს აუცილებლად ოფიციალური გაგებით უმუშევრები დაიკავებენ. თეორიულად შესაძლოა, ახალი ადგილები თვითდასაქმებულებმა სრულად შეავსონ და უმუშევართა რაოდენობა არ შემცირდეს. გარდა ამისა, საქართველო ბოლო ათწლეულში გადის ტექნოლოგიური ცვლილების პერიოდს, რასაც შედეგად ახლავს ხელით შრომის კომპიუტერებითა და ციფრული ტექნიკით ჩანაცვლება. მაგალითად, ფულის ჩასარიცხმა

აპარატებმა გააქრო ათასობით მოლარისა და ოპერატორის სამუშაო ადგილი. ინტერნეტიზაცია, კომპიუტერიზაცია და კომპიუტერული პროგრამების მრავალფეროვნების ზრდა შესაძლებელს ხდის, ერთმა ადამიანმა გააკეთოს იმდენი საქმე, რასაც კომპიუტერის გარეშე რამდენიმეჯერ მეტი ადამიანის შრომა დასჭირდებოდა.

საქართველოს შრომის ბაზარი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალურია: არ არის დაწესებული მინიმალური ხელფასის სავალდებულო ზღვარი, იოლია სამუშაოზე აყვანა-გათავისუფლება, არ არის უმუშევრობის დახმარება, სამუშაო საათების მაქსიმალური რაოდენობა განსაზღვრულია, მაგრამ მკაცრად არ კონტროლდება. ამის შედეგად საქართველო ბევრჯერ გამხდარა ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების კრიტიკის საგანი, მაგრამ წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით და დასაქმების მაჩვენებლის ამაღლებისათვის რეგულაციებისგან თავისუფალი შრომის ბაზარი უკეთესია.

საქართველოში უმუშევრობას (დიდწილად თვითდასაქმებულობასაც) ორი მნიშვნელოვანი მიზეზი აქვს: მცირე ეკონომიკა და სამუშაო ძალის არასასურველი კვალიფიკაცია. დღეისათვის ფიზიკურად არ არსებობს საქართველოში იმდენი სამუშაო ადგილი, რამდენი სამუშაოს მსურველიც არის გარკვეული ხელფასის სანაცვლოდ. შესაბამისად, მოკლევადიან თუ გრძელვადიან პერიოდში, უმუშევრობის შემცირების ერთადერთი გზა საქართველოს ეკონომიკის ზრდა და, აქედან გამომდინარე, სამუშაო ადგილების მატებაა. საქართველოში საშუალო და უმაღლესი განათლების არასასურველი ხარისხის გამო პრობლემაა საშუალო და მაღალკვალიფიციური კადრების მოძიება. ასიათასობით უმუშევარს არა აქვს ის კვალიფიკაცია და ცოდნა, რაც ხშირად ამა თუ იმ ვაკანსიის დასაკავებლადაა საჭირო. 21-ე საუკუნეში კი გლობალიზაცია და თანამედროვე ტექნოლოგიები გაძლევს საშუალებას, მხოლოდ შენი ქვეყნის შიდა შრომის ბაზარზე არ ჩაიკეტო და ბევრ სხვა ქვეყანაში მოძებნო გაცილებით მაღალანაზღაურებადი სამსახური.

ვაკანსიების ვებგვერდ Jobs.ge-ზე სამსახურს ყოველკვირეულად საშუალოდ, 17 000 -ზე მეტი პირი ეძებს. როგორც წესი, სამსახურის მაძიებლები აღნიშნავენ, რომ კომპანიების სტანდარტებს შორის, ერთ-ერთი რთულად დასაკმაყოფილებელი გამოცდილების მოთხოვნაა. მართლაც, ძირითად ვაკანსიებზე კომპანიები მინიმუმ 6 თვიან და მაქსიმუმ 5 წლიან გამოცდილებას ითხოვენ, რაც ახალგაზრდებისთვის პრობლემას წარმოადგენს. ასეთი სტანდარტები, როგორც წესი, სუპერმარკეტებსა და სხვა ტიპის მაღაზიებს არ აქვთ, სადაც ძირითადი მოთხოვნები კომუნიკაბელურობა და სტრესულ გარემოში მუშაობის უნარია.

ბოლო 6 თვეში **თბილისში** 5674 ვაკანსია გამოცხადდა. სოციალური მომსახურების სააგენტოსა და ევროკავშირის კვლევის მიხედვით, პროფესიათა შორის ძირითადად დაბალკვალიფიციური კადრების საჭიროების მქონე პოზიციებია, რომლებზეც საშუალო თვიური ანაზღაურება 350-დან 500 ლარამდე მერყეობს. გამოკითხვაში მონაწილე ორგანიზაციებში ყველაზე დაბალი ხელფასი 50 ლარი ფიქსირდება მედიცინასა და საკვების წარმოების სფეროში, საშუალოდ კი ორგანიზაციები მინიმალურ ხელფასად 326 ლარს მიუთითებენ, ყველაზე მაღალი მინიმალური ხელფასი მშენებლობაშია და 700 ლარს შეადგენს

ყველაზე მაღალანაზღაურებადი ვაკანსია **აჭარაში** არის ფასადებზე მომუშავე მღებავების პოზიცია, სადაც თვიური ანაზღაურება 7000 ლარს შეადგენს და უკავშირდება იმ მაღალ რისკს, რაც ამ საქმიანობასთან არის დაკავშირებული. მაღალანაზღაურებად პოზიციებს შორის არის სამოქალაქო მშენებლობის ინჟინრები და მშენებლები (საშუალო ანაზღაურება 3400 ლარი), კომპიუტერული ტექნიკის სპეციალისტ-პროფესიონალები (საშუალო ანაზღაურება 2250 ლარი), პროდუქციის გასაღებისა და მარკეტინგის განყოფილების მენეჯერები (საშუალო ანაზღაურება 1355 ლარი).

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში გამოკითხული 16 ორგანიზაციიდან 7 ორგანიზაცია მომდევნო 6 თვის განმავლობაში გეგმავს 48 ახალი კადრის აყვანას, აღნიშნულიდან 30 ვაკანსია მიმტანებისა და ბარმენების იქნება. ყველაზე დაბალანაზღაურებადი პროფესია არის დამლაგებლის, სადაც დამსაქმებლები საშუალოდ 180 ლარის გადახდას ითვალისწინებენ. დაბალი ანაზღაურებით გამოირჩევა მომხმარებლებთან მომუშავე მოსამსახურეები (300 ლარი), ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს არაკვალიფიციური მუშები (300 ლარი), არაკვალიფიციური მუშები (391.6 ლარი), მიმტანები (450 ლარი). კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ყველაზე მაღალანაზღაურებადი ვაკანსია მცხეთა-მთიანეთის რეგიონში არის ელექტრული მოწყობილობის მექანიკოსი/ამწყობი, სადაც დამქირავებელი 2000 ლარის ანაზღაურებას სთავაზობს დასასაქმებლებს. პარადოქსულია, რომ ამ პოზიციებზე ანაზღაურება გაცილებით მაღალია, ვიდრე მენეჯერების ვაკანსიებზე, სადაც საშუალოდ 1000 ლარის გადახდას ვარაუდობენ.

რაც შეეხება **კახეთს**, გამოკითხვაში მონაწილე ორგანიზაციებში ყველაზე დაბალი ხელფასი 100 ლარი ფიქსირდება მედიცინასა და სოფლის მეურნეობაში, ყველაზე მაღალი მინიმალური ხელფასი - 375 ლარი - ფიქსირდება მშენებლობაში, საშუალოდ კი ორგანიზაციები მინიმალურ ხელფასად 262 ლარს მიუთითებენ. მაქსიმალური ხელფასი საშუალოდ 3191 ლარია, ამათგან ყველაზე დაბალი ზღვარი მაქსიმალური ხელფასისა (500 ლარი) ფიქსირდება სოფლის მეურნეობაში, ხოლო ყველაზე მაღალი მაქსიმალური ხელფასი (7 000 ლარი) არის მედიცინაში.

საქართველოში, როგორც აღვნიშნეთ, უმუშევრობის მიზეზი მცირე ეკონომიკაა და, შესაბამისად, პრობლემის გადაჭრის გზაც ეკონომიკის ზრდაა. აქვე არ დაგვავიწყდეს, რომ კარგი განათლების მქონე ადამიანს არა მხოლოდ გაუიოლდება სამუშაოს პოვნა, ის სხვა ადამიანებისთვისაც შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს. რეცეპტი ნაპოვნია: მეტი განათლება, უკეთესი ეკონომიკური პოლიტიკა და უკეთესი ბიზნესგარემო.

რეალურად, საქართველოში რომ უმუშევრობის პრობლემა მწვავედ დგას, ეს ფაქტია. უმუშევრობის გამო ხდება საწარმოო პოტენციალის არასრული გამოყენება, ანუ იკარგება პროდუქცია, რომლის მიღება შესაძლებელი იქნებოდა უმუშევართა დასაქმების შემთხვევაში.

მთავრობას უმუშევრობის პრობლემის თანდათანობით გადასაჭრელად ერთადერთი გზა რჩება: ხელი შეუწყოს ქვეყნის მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპის მიღწევას და პარალელურად განათლების ხარისხის გაუმჯობესებაზე იზრუნოს. ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა კი მრავალ კომპონენტს გულისხმობს, როგორიცაა: პოლიტიკური სტაბილურობა, უსაფრთხოება, კერძო საკუთრების უკეთესად დაცვა, მაკროეკონომიკური სტაბილურობა, საერთაშორისო სავაჭრო-საინვესტიციო ურთიერთობების გაფართოება და ა.შ.

ლიტერატურა:

http://www.geostat.ge
/http://forbes.ge/blog/
http://forbes.ge/news/960/umuSevrobis-problem
https://gtuc.ge

რეზიუმე

უმუშევრობის პრობლემა საქართველოში მწვავედ დგას. ამისი მიზეზი კი მცირე ეკონომიკაა და, შესაბამისად, პრობლემის გადაჭრის გზაც ეკონომიკის ზრდაა. უმუშევრობის გამო ხდება საწარმოო პოტენციალის არასრული გამოყენება, ანუ იკარგება პროდუქცია, რომლის მიღება შესაძლებელი იქნებოდა უმუშევართა დასაქმების შემთხვევაში.

მთავრობას უმუშევრობის პრობლემის თანდათანობით გადასაჭრელად ერთადერთი გზა რჩება: ხელი შეუწყოს ქვეყნის მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპის მიღწევას და პარალელურად განათლების ხარისხის გაუმჯობესებაზე იზრუნოს. ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა კი მრავალ კომპონენტს გულისხმობს, როგორიცაა: პოლიტიკური სტაბილურობა, უსაფრთხოება, კერძო საკუთრების უკეთესად დაცვა, მაკროეკონომიკური სტაბილურობა, საერთაშორისო სავაჭრო-საინვესტიციო ურთიერთობების გაფართოება და ა.შ.

აქვე არ დაგვავიწყდეს, რომ კარგი განათლების მქონე ადამიანს არა მხოლოდ გაუიოლდება სამუშაოს პოვნა, ის სხვა ადამიანებისთვისაც შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს. რეცეპტი ნაპოვნია: მეტი განათლება, უკეთესი ეკონომიკური პოლიტიკა და უკეთესი ბიზნეს გარემო.

UNEMPLOYMENT PROBLEM IN GEORGIA

Tea Anesashvili, Invited specialist
Mania Gogidze, Invited specialist, PhD

RESUME

The Unemployment problem is acute in Georgia. The reason is a small economy, accordingly, the solution of the problem is economic growth. Unemployment causes an incomplete use of production potential. Products are lost, which would be available if the unemployed were employed.

The only way for the government to solve the unemployment problem is to promote the country's high economic growth rate and to improve the quality of education in parallel. The promotion of economic growth means multi-component, such as political stability, safety, better protection of private property, macroeconomic stability, expansion of international trade-investment relations, etc.

And don’t forget, that people with good education will not only find the work, he also can create new jobs for the other people. Recipe is found: more education, better economic policy and better business environment.

ეკონომიკური განვითარების ზოგადი ტენდენციები

ეკატერინე აფხაიძე, უფროსი მასწავლებელი

ეკონომიკური განვითარება შეიძლება განვიხილოთ როგორც მრავალმხრივი პროცესი, რომელიც იწვევს რადიკალურ ცვლილებებს საზოგადოებრივ ინსტიტუტებში, სოციალურ სტრუქტურაში, ადამიანთა ქცევებში; ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას, უთანასწორობის შემცირებას, დასაქმების ამაღლებას. განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკური განვითარების არსია ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების ყველა ასპექტის მოდერნიზაცია, რომელშიც იგულისხმება: 1) ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირების მოქნილი ეკონომიკური მექანიზმის შექმნა; 2) ეკონომიკური და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება; 3) ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია; 4) ურბანიზაცია; 5) მოსახლეობის კულტურული და საგანმანათლებლო დონის ამაღლება.

ამ ამოცანების წარმატებით გადაჭრა დროის მცირე მონაკვეთში შეუძლებელია საკუთარი რესურსების ხარჯზე. ამ მხრივ უმნიშვნელოვანესია საერთაშორისო მხარდაჭერა, მაგრამ ამ მხარდაჭერას იმ შემთხვევაში შეუძლია სარგებლის მოტანა, თუ მოცემული ქვეყანა აქტიურად ქმნის თავისი განვითარების პირობებს. ამ ამოცანების გადაჭრით ქვეყნის ეკონომიკა ქმნის წარმოების გადიდების მეტ შესაძლებლობას და ამაღლებს ცხოვრების საერთო დონეს, ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია კაპიტალის დაგროვება. ამ ცნებაში ინვესტიციური საქონელი იგულისხმება. რაც უფრო მეტ და სრულყოფილ ტექნიკას გამოიყენებს ადამიანი, მით უფრო მეტი იქნება მისი შრომის შედეგი, როცა ქვეყნის შიგნით კაპიტალის დაგროვება ეკონომიკური განვითარების დასახული მიზნის მისაღწევად არასაკმარისია, მაშინ ყურადღება გარედან მიღებულ დახმარებაზე გადაიტანება. წარმოშობის მიხედვით ის შეიძლება იყოს როგორც კერძო, ისე სახელმწიფოებრივი. ეს კაპიტალი ძირითადად ინფრასტრუქტურის (ჯანდაცვის, განათლების, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის) განსავითარებლად გამოიყენება. უცხოეთიდან მიღებული სუბსიდიები და სესხები ქვეყნის შიგნით კაპიტალის დაგროვებას განაპირობებს და მან ,,მოჯადოებული წრიდან“ გამოსვლაში შეიძლება გადამწყვეტი როლი შეასრულოს. უცხოეთიდან მიღებული დახმარება შეიძლება იყოს პირდაპირი და არაპირდაპირი. ცალკეული სახელმწიფოებისაგან მიღებული დახმარება (სუბსიდიები და სესხები) პირდაპირია, ხოლო როდესაც ეს საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით ხდება, დახმარება არაპირდაპირია. ,,მესამე სამყაროს“ ქვეყნები დახმარებას იღებენ კერძო კაპიტალის ფორმითაც. საქართველო იღებს მნიშვნელოვან ფინანსურ დახმარებას როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი ფორმით. უცხოური ინვესტიციები ეროვნული ეკონომიკის ზრდის ერთ-ერთი წყაროა. მიუხედავად იმისა, რომ უცხოური კაპიტალით შექმნილ საწარმოთა მოგების ნაწილი გადის საზღვარგარეთ, უნდა აღინიშნოს, რომ დაფინანსების საზღვარგარეთული წყაროები ხელს უწყობენ ქვეყნის საწარმოო პოტენციალის გადიდებას, შრომის მწარმოებლურობისა და ეკონომიკური ზრდის ტემპების ამაღლებას. უცხოური ინვესტიციები შესაძლებლობას აძლევს განუვითარებელ ქვეყნებს მრეწველურად აითვისონ მრეწველურად განვითარებულ ქვეყნებში შემუშავებული და გამოყენებული ყველაზე მოწინავე ტექნოლოგიები. ამ მიზეზით განუვითარებელი ქვეყნების მთავრობათა ეკონომიკური სექტორის ხელმძღვანელები აქტიურად უჭერენ მხარს უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პოლიტიკას.

საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ პოსტკომუნისტური ქვეყნები ძალიან რთულ და არახელსაყრელ სივრცეში აღმოჩნდნენ. ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა მეტად მძიმე პროცესი აღმოჩნდა. მათ წილად ხვდათ მოშლილი ეკონომიკა, დეფიციტური ბიუჯეტი, მაღალი ინფლაცია, საწარმოო რესურსების დეფიციტი, უმუშევრობის ზრდა და სხვა ნეგატიური მოვლენები.

საქართველომ, როგორც პოსტკომუნისტურმა ქვეყანამ, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კვალდაკვალ მეტად რთული და საინტერესო გზა გაიარა. საბაზრო ეკონომიკა - ეს სხვა არაფერია, თუ არა საბაზრო სტრატეგიით და საბაზრო მექანიზმით მართული ეკონომიკა. იგი არავითარ შემთხვევაში არ არის უმართვადობით თავაშვებული ეკონომიკა, რომელიც ყველას და ყველაფერს გადათელავს. ამიტომ ,,თავისუფალი“ საბაზრო ეკონომიკა არ არის უმართვადი, არამედ იგი თავისუფალია მართვის ადმინისტრირებით-მბრძანებლობითი უხეში, მოუქნელი მექანიზმისგან და მმართველობითი ბიუროკრატიზმისაგან. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეკონომიკა რეგულირდება საბაზრო კანონების შესაბამისად, სახელმწიფო კი რეგულატორის ფუნქციას ასრულებს. ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევა ობიექტური აუცილებლობაა და არა ვინმეს ნება-სურვილი, მაგრამ ბუნებრივად ჩნდება კითხვა, თუ რა ზომით და რა ფარგლებში უნდა ჩაერიოს სახელმწიფო საბაზრო ეკონომიკაში. ამ მხრივ თანაბრად საზიანოა ორი უკიდურესობა: 1) ეკონომიკაში ჩარევის ზომის გადამეტება ისეთ სფეროებში, რომლებსაც წარმატებით არეგულირებს თვითონ საბაზრო მექანიზმი; 2) მხოლოდ საბაზრო მექანიზმის იმედზე ყოფნა იმ სფეროებში, სადაც სახელმწიფოს ჩარევა აუცილებელია, სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ფუნქცია კონკურენციის დაცვაა.

კონკურენციის დაცვის მეთოდია ანტიმონოპოლიური ღონისძიებები და კანონმდებლობა. ისეთი კანონები, რომლებიც ან საერთოდ კრძალავს მონოპოლიების არსებობას (ზოგიერთ დარგში), ან ზღუდავს მონოპოლიების ისეთ საქმიანობას, რომელიც ზიანს აყენებს კონკურენციას და პროგრესს. ქვეყნისთვის განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკური დამოუკიდებლობის, დემოკრატიზაციის, საბაზრო ეკონომიკის თანდათანობით სრულყოფის პროცესს. ცხოვრების დონის, შემოსავლების მიხედვით საქართველო ჯერჯერობით ღარიბი ქვეყნების ჯგუფშია, მაგრამ განათლების დონით, ანუ ადამიანისეული კაპიტალით, იგი საშუალოდ განვითარებული ინდუსტრიული ქვეყნის ჯგუფს განეკუთვნება. ქვეყნის ამოცანაა, თუ როგორ გამოიყენებს იგი არსებულ პოტენციალს. აღსანიშნავია რომ,

ჩვენი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ცხოვრობს და მოღვაწეობს საზღვარგარეთ. საქართველო დიდი ისტორიისა და კულტურის ქვეყანაა. მიუხედავად იმისა, რომ მცირერიცხოვანი ერი ვართ, უამრავი ნიჭიერი და ინტელექტუალური ადამიანი გვყავდა და გვყავს. ჩვენი ვალია ისეთი გარემოს შექმნა, რომ ჩვენი ინტელექტუალური პოტენციალი მაქსიმალურად გამოვიყენოთ და ე.წ. ,,ტვინების გადინება" შევანელოთ.

დღეს ეკონომიკური საკითხების განხილვა შეუძლებელია გლობალიზაციის გვერდის ავლით, გლობალურ პროცესებში ჩართულია თითქმის მთელი მსოფლიო. გლობალიზაციამ სახელმწიფოები ახალი ეკონომიკური გამოწვევების წინაშე დააყენა. როცა ვსაუბრობთ გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესში საქართველოს მონაწილეობის შესახებ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ნებისმიერ სახელმწიფოზე გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესი ახდენს როგორც დადებით, ისე უარყოფით გავლენას. დადებითი ეფექტი, უპირველეს ყოვლისა, მდგომარეობს გასაღების ბაზრის გაფართოებაში. გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესი ჩვენს ქვეყანას აძლევს დიდ შესაძლებლობებს, გააფართოვოს შიდა და გარე ბაზარი ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებების გამოყენებით. ბაზრის გაფართოება კი გადამწყვეტ როლს თამაშობს ინვესტიციების მოცულობის ზრდაში. ეს მოიზიდავს უცხოელ ინვესტორებს, რომლებიც ჩვენ ქვეყანაში დააბანდებენ და შემოიტანენ ახალ ტექნოლოგიებს. საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, არ შეიძლება არ იქნეს გამოყენებული ქვეყნის მსოფლიო მნიშვნელობის გეოპოლიტიკური მდებარეობის რესურსები. ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი ის ძირითადი სატრანსპორტო არტერიებია, რომლებითაც საქართველო უკავშირდება შავიზღვისპირეთის ნავსადგურებს, ჩრდილოეთ კავკასიას, აზერბაიჯანს, მთელ მსოფლიოს დასავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით. ეს სატრანსპორტო დერეფანი უდიდეს პერსპექტივებს უსახავს საქართველოს. უკვე ორ ათეულ წელზე მეტია, რაც რთული ეკონომიკური და სოციალური პირობების მიუხედავად, საქართველო მაინც ლიბერალური ეკონომიკის მშენებლობის გზას ადგას. ყველა თვითრეგულირებადი ეკონომიკური სისტემა, შეიძლება ითქვას, შერეული მოდელია, სადაც სახელმწიფო და საბაზრო სისტემები თანაფუნქციონირებენ და სადაც მთავრობა საბაზრო სისტემის ფუნქციონირების ხელშეწყობის, სამართლებრივი ბაზის უზრუნველყოფის, თავისუფალი კონკურენციის დაცვის, დასაქმებისა და ინფლაციის კონტროლის მიმართულებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებაში. სოციალური კუთხით საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი პროექტები განახორციელა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია საყოველთაო უფასო ჯანდაცვის პროექტი, სასოფლო-სამეურნეო პროექტები, უფასო სახელმძღვანელოების გამოშვება, თანაინვესტირების ფონდის შექმნა. დემოკრატიული განვითარება, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, მსოფლიოს ახალი წესრიგის ჩამოყალიბება საქართველოს განვითარებისათვის სრულიად ახალ შესაძლებლობებს წარმოშობს. ქვეყანას აქვს დიდი ინტელექტუალური და ყველა სხვა რესურსი იმისთვის, რომ ახლო მომავალში დაძლიოს ჩამორჩენა და მაღალგანვითარებული ქვეყნების რიგს შეუერთდეს. ჩვენი ქვეყნის უახლოესი და შორეული მომავალი, უწინარეს ყოვლისა, იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორი წარმატებული იქნება ქვეყანაში მიმდინარე რეფორმები, როგორ შეძლებს ქვეყანა კონკრეტული უპირატესობის დაუფლებას მსოფლიო მეურნეობის სისტემაში და მასში ეფექტიან ინტეგრაციას.

გლობალიზაციის პირობებში ეროვნული ეკონომიკის აღორძინება ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნების მთავარი ატრიბუტია. საქართველომ ,,ღია ეკონომიკის" პირობებში უნდა მოძებნოს ის ,,ოქროს შუალედი", რომელიც მას არც გლობალიზაციის პროცესიდან ამოაგდებს და თავის ეროვნულ თვითმყოფადობას შეუნარჩუნებს.

ქვეყნის მომავალი წინსვლისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ წარმატებით შესრულდა საქართველო-ევროკავშირის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა, რის შედეგადაც საქართველოს მოქალაქეები ევროპაში უვიზოდ გადაადგილდებიან. წარმატებული რეფორმების შედეგად ყოველწლიურად იზრდება ევროკავშირის დახმარება, უმსხვილესი ინვესტორების მიერ განხორციელდა 2 მილიარდი აშშ დოლარის ინვესტიცია. ასევე მსხვილ ინვესტიციას ახორციელებს საქართველოს თანაინვესტირების ფონდი.

ქვეყანა წარმატებით ახორციელებს სოციალურ და ეკონომიკურ პროექტებს. ქვეყნის ეკონომიკური წინსვლისთვის ისევ პრიორიტეტულია ტურიზმის განვითარება და ხელშეწყობა. საქართველოს ეკონომიკაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრა და სწორ გზაზე გასვლა ვერ მოხერხდება თვითდინებით. მთავარი ყურადღება ეკონომიკურ განვითარებაზე, ანუ ეკონომიკის თვისებრივ სრულყოფაზე უნდა იქნეს გადატანილი. ეს კი განხორციელდა ქვეყანაში ახალი, ანუ ინოვაციური ეკონომიკის მშენებლობის გზით. პოსტკომუნისტური საქართველო, მიუხედავად თავისი მძიმე

ეკონომიკური მემკვიდრეობისა, ცდილობს ღირსეული ადგილი დაიკავოს მსოფლიო გლობალურ სივრცეში.

ლიტერატურა:
1. თეთრაული ც. ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმი. ინსტიტუტის დაარსებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების აქტუალური პრობლემები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი. 2014.
2. თეთრაული ა. საბაზო ეკონომიკაზე გადასვლისა და ბიზნესის განვითარების კანონზომიერებანი საქართველოში. ნაწ. 1. თბილისის მაცნე. 1992.
3. აბესაძე რ. ინოვაციები - ეკონომიკური განვითარების მთავარი ფაქტორი. ინსტიტუტის დაარსებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი. 2014.
4. პაპავა გ. საბაზრო ეკონომიკაზე საქართველოს გადასვლის საფუძვლები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტთან არსებული ცენტრი ,,ეკონომიკური განათლება“. ბიზნესისა და მარკეტინგის უმაღლესი სკოლა ,,ენა“. თბილისი. 1991.

რეზიუმე

სტატიაში განხილულია საქართველოს, როგორც პოსტკომუნისტური ქვეყნის ეკონომიკური განვითარების არსი და ტენდენციები. განიხილება ქვეყნის მიერ განხორციელებული ეკონომიკური რეფორმები ქვეყნის განვითარებისთვის.

GENERAL TENDENCIES OF ECONOMIC DEVELOPMENT

Ekaterine Apkhaidze, Senior Teacher

RESUME

The article analyzis the essence and tendencies of economic development on the example of post communist country. Are discussed economic reforms done by the state to improve country development.

ადამიანური რესურსების ეფექტიანი მართვის სტრატეგია

ლია ბიბილაშვილი, ასოცირებული პროფესორი

როგორც ცნობილია, ტერმინი ,,მენეჯმენტი“ სამეურნეო პრაქტიკაში დამკვიდრდა XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში. მან საკმაოდ ფართო გავრცელება პოვა მომდევნო პერიოდებში და დღეს ის უკვე აქტიურად გამოიყენება არასამეურნეო მართვის სისტემებშიც. მენეჯმენტში მთავარ ფიგურას წარმოადგენს ადამიანი. მენეჯერი გულისხმობს ადამიანებისა და მათი ჯგუფების მართვას შესაბამისი სტიმულებისა და ანტისტიმულების გამოყენებით. თუ ეს მარტივი ჭეშმარიტება კარგადაა ცნობილი ქართული კომპანიების მენეჯერებისთვის და მათ ასევე სიღრმისეულად გაცნობიერებული

აქვთ ტერმინის ,,მენეჯმენტი" მნიშვნელობა, მაშინ, რასაკვირველია, ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეთ პერსონალის მართვის ინსტრუმენტები, უპირველეს ყოვლისა, მათი დახარჯული შრომის რაოდენობის, ხარისხის შეფასებისა და ანაზღაურების საკითხები. ყოველივე ეს რომ არ იყოს მხოლოდ რიტორიკული მსჯელობა, არგუმენტად შეგვიძლია მოვიყვანოთ საქართველოს რიგ ორგანიზაციებში პერსონალის შრომის წახალისების ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზისა და შრომის ანაზღაურების დებულებებთან დაკავშირებული წყაროების სიმწირე. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ თანამედროვე დაწესებულებების კადრები აღჭურვილები უნდა იყვნენ შესაბამისი ცოდნით და აუცილებელია მათ გააჩნდეთ სათანადო დაინტერესება, აქტიურად ჩაერთონ ამ პროცესში, შეასრულონ ის დაკვეთა, რომელსაც ისინი იღებენ გარემოდან. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მოხდება ინდივიდების მამოძრავებელი საზოგადოებრივ-ორგანიზაციული და პიროვნული ინტერესების შეჯერება.

ნებისმიერი დაწესებულების საკადრო პოლიტიკა წარმოადგენს მთლიანად ქვეყნის განვითარების საერთო პოლიტიკის ნაწილს. მაშასადამე, ის სრულიად შეესაბამება ორგანიზაციის განვითარების კონცეფციას. დაწესებულების სამომავლო ამოცანების ფორმირებისთვის გამოიყენება პერსონალის მართვის სხვადასხვა სახეები. ესენია: **პასიური, რეაქტიული, პრევენციული** და **აქტიური.**

უნდა ითქვას ისიც, რომ თანამედროვე წამყვანი ორგანიზაციები ძირითადად უპირატესობას ანიჭებენ **აქტიური** საკადრო პოლიტიკის განხორციელებას, რომელსაც დაწესებულებების მართვის პრაქტიკულ სისტემაში მუდმივად იყენებენ და მიმართავენ ჩვენი ქვეყნის მოწინავე კომპანიებიც. თუმცა, ამასთან, შეინიშნება ოთხივე სახის მიდგომის პრაქტიკა, რაც, მსოფლიო გამოცდილებიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, დასაშვებია, რადგან ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შესაძლებელია ორგანიზაციაში კადრებით უზრუნველყოფის ფორმის გამოყენება. ასევე არ არის გამორიცხული, რომ ქართულ დაწესებულებებში კადრების სელექციის ისეთი სახეები იქნეს გამოყენებული, როგორიცაა **რაციონალური** და **ავანტიურისტული** საკადრო პოლიტიკა, რადგან რიგ ორგანიზაციებს დღემდე არ გააჩნიათ სტრატეგიული ხედვა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს პერსონალის თაობების ცვლის პროცესის მართვა სტრატეგიული პერიოდის გათვალისწინებით.

ორგანიზაციის პერსონალის მართვის სტრუქტურა განისაზღვრება საკადრო პოლიტიკის სტრატეგიით, რომელიც მოიცავს მართვის სხვადასხვა ფორმებსა და მეთოდებს. უფრო მეტიც, სწორედ საკადრო პოლიტიკის სტრატეგია განსაზღვრავს დაწესებულების კადრების მართვის სტრატეგიას. სპეციალურ მენეჯერულ ლიტერატურაში გამოყოფენ საკადრო პოლიტიკის სტრატეგიის სამ კონცეფციას. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი.

პირველი კონცეფცია გულისხმობს, რომ პერსონალის მართვის სტრატეგია განისაზღვრება ზოგადი სტრატეგიის საფუძველზე, რომლის შემადგენელი ნაწილია თანამშრომლების განვითარების სტრატეგია: მოწვევა (დაქირავება), მომზადება, გადამზადება, მატერიალური და მორალური სტიმულირება, მათთვის ღირსეული შრომითი პირობების შექმნა-შენარჩუნება.

მეორე კონცეფციის მიხედვით, პერსონალის მართვის სტრატეგია არის ცენტრალური, დამოუკიდებელი ფუნქცია და ის მეტ-ნაკლებად ითვალისწინებს ორგანიზაციის განვითარებას. დაწესებულებაში დასაქმებული კადრი განიხილება, როგორც დამოუკიდებელი რესურსი, რომელიც, მისი მომზადების ხარისხისა და უნარ-ჩვევებიდან გამომდინარე, შეძლებს სხვადასხვა ამოცანის გადაწყვეტას. მოცემულ შემთხვევაში საკადრო პოლიტიკა დამოკიდებულია არსებულ ან პოტენციურ საკადრო რესურსებზე;

მესამე კონცეფცია წარმოადგენს ზემოთ აღწერილი კონცეფციების სინთეზს. ორგანიზაციის განვითარების სტრატეგიის დაპირისპირებით, არსებული და პოტენციური საკადრო რესურსებით განისაზღვრება მისი შესაბამისობა საკადრო პოლიტიკის სტრატეგიის მიმართულებებთან. ასეთი დაპირისპირების შედეგად შეიძლება მთლიანად დაწესებულების საქმიანობის სტრატეგია და მისი საკადრო პოლიტიკა შეიცვალოს.

ჩვენი მოსაზრებით, **მესამე კონცეფცია** უფრო მისასალმებელია, რადგან იგი მიუთითებს სტრატეგიული გეგმის განმსაზღვრელ სუბიექტებს, რომ შემოქმედებითად მიუდგნენ მართვის პრობლემების გადაწყვეტას, შემუშავებასა და რეალიზაციას.

ზოგადად, ორგანიზაციის პერსონალის მართვის პროცესი მრავალმიმართულებიან ასპექტებს მოიცავს: სტრატეგიასა და ტაქტიკას მათი რეალიზაციის პერიოდების მიხედვით, პერსონალის შერჩევას, სწავლებას, კვალიფიკაციის ამაღლებას, შრომითი საქმიანობის შეფასებას, წახალისების ფორმების, მეთოდების სრულყოფასა და კადრების მომზადებას.

კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მნიშვნელოვნად იზრდება ცოდნის როლი, რომლის მატარებელია ინდივიდი. აქედან გამომდინარე, ადამიანური რესურსი საზოგადოების

ცხოვრების ყველა სფეროში გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს. ამიტომაა, რომ უმთავრეს ამოცანას პერსონალის სწორად შერჩევა და მათი შესაბამის თანამდებობებზე სამართლიანი გადანაწილება წარმოადგენს. თუ კადრები გრძნობენ, რომ მათ შრომას აფასებენ, გასამრჯელოს მუშაობის შესაბამისად უხდიან და პერსონალს შრომისთვის ყველანაირ პირობებს უქმნიან, ისინი ცდილობენ საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებას დაწესებულებების ეფექტიანი მიზნების მისაღწევად. ხოლო თუ თანამშრომლები გრძნობენ, რომ მათ შრომას სათანადოდ არ აფასებენ, მაშინ ისინი, ბუნებრივია, გაცილებით უფრო ნაკლები ინტერესით ეკიდებიან მოვალეობების შესრულებას და ეძებენ ახალ სამსახურს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ თანამედროვე ორგანიზაციებში არსებობდეს პერსონალის შერჩევის სტრატეგიული ხედვა და მათთვის მოცემული საქმიანობის აღმძვრელი სტიმულები.

დღეს ორგანიზაციის მართვის თეორია ეფუძნება ადამიანური რესურსების თეორიას, რომელიც გულისხმობს, რომ ინდივიდების უდიდესი ნაწილისთვის შრომას მოაქვს კმაყოფილება. ისინი ცდილობენ საკუთარი წვლილი შეიტანონ დასახული მიზნების რეალიზაციაში. ადამიანების უდიდეს ნაწილს გააჩნია დამოუკიდებელი მოქმედების, შემოქმედებისა და თვითკონტროლის უნარი. ასეთ შემთხვევაში ორგანიზაციის ხელმძღვანელის როლს, სხვა დანარჩენი პირობების შექმნასთან ერთად, წარმოადგენს ადამიანური რესურსების მართვის მუდმივი სრულყოფა.

ლიტერატურა:

1. Dessler Gary, “Human Resource Management. 9th ed. Florida International University, NJ: Pearson/prentice-Hall, 2004, 799 pages.
2. Пугачев В.П., Руководство персоналом организации, М., Аспект Пресс, 1998, 276 с.
3. Оптимизация состава персонала Журнал: „Справочник кадровик год 2010“.
4. Жданова М.Г., Особенности управления персоналом в условиях новой Экономики, М., 2013.

რეზიუმე

სამეცნიერო სტატიაში განხილულია, რომ ეფექტიანი პერსონალის მართვა უნდა ეფუძნებოდეს სტრატეგიული დაგეგმვისა და მენეჯმენტის განვითარებას, რომლის მნიშვნელოვანი ტენდენცია არის მოტივაციის ფაქტორების ამოქმედება. ასეთი სტრატეგიული გეგმა მხოლოდ ქვეყნის განვითარების სტრატეგიას მიჰყვება, რომელიც არის მისი ფრაგმენტის ნაწილი და მისი პარამეტრების ფარგლებში განხორციელებული.

EFFECTIVE MANAGEMENT STRATEGY FOR HUMAN RESOURCES

Lia Bibilashvili, Associate Professor

RESUME

This scientific article explores that, effective personnel management should be based on the development of strategic planning and management, whose significant trend is the enactment of motivating factors. Just such strategic plan follows the country’s development strategy, which is – one of its fragment and carried out within the framework of its parameters.

საბანკო აუდიტის როლი ბანკის მდგრადობის და კონტროლის საქმეში

დავით ბიძინაშვილი, პროფესორი

შესავალი (აქტუალობა): საქართველოს საბანკო სისტემის ფინანსური მდგრადობა ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მექანიზმია. იგი, გარდა იმისა, რომ უდიდეს ზეგავლენას ახდენს ეროვნული ეკონომიკის შემდგომ განვითარებაზე, ამასთანავე გულისხმობს: კაპიტალის საკმარისობის გაძლიერებას, აქტივების ხარისხის ამაღლებას, რისკების მართვის თანამედროვე პრინციპების დანერგვას, ლიკვიდობის, დეპოზიტების დაზღვევის უზრუნველყოფისათვის საჭირო პირობების შექმნის და საბანკო საიდუმლოების დაცვის სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობას.

საკრედიტო სისტემის მდგრადობისა და საიმედობის ხარისხის ამაღლება განაპირობებს არა მარტო ბანკების და მათი კლიენტების, არამედ საზოგადოების იმ ინტერესების დაცვასაც, რაც ბიზნესის და მთლიანად ეკონომიკის დინამიურ განვითარებას უკავშირდება. ხშირ შემთხვევებში ბანკის საიმედოობის სინონიმად იგულისხმება მისი მდგრადობა. თუმცა, მდგრად ბანკში უფრო ფუნდამენტური აზრია ჩადებული. საიმედოობა ბანკის მდგრადობის გამოვლენის უმნიშვნელოვანესი ფორმაა. საიმედო ბანკი, რა თქმა უნდა, მდგრად და მყარ ბანკს წარმოადგენს.

კომერციული ბანკის საიმედოობაში დიდ როლს ასრულებს ეკონომიკური ფაქტორები, რომელთა შორის განსაკუთრებით საყურადღებოა ნებისმიერი ეკონომიკური სტრუქტურის ფინანსური მდგრადობის ისეთი პირობები, როგორიცაა: კაპიტალის საკმარისობა, აქტივებისა და პასივების ხარისხი, შემოსავლიანობა და ლიკვიდობა. ბანკების ფინანსური მდგრადობა გარდა იმისა, რომ უდიდეს ზეგავლენას ახდენს ეროვნული ეკონომიკის შემდგომ განვითარებაზე, ამასთან გულისხმობს შემდეგს: კაპიტალის საკმარისობის გაძლიერებას, აქტივების ხარისხის ამაღლებას, რისკების მართვის თანამედროვე პრინციპების დანერგვას, ლიკვიდობის, დეპოზიტების დაზღვევის უზრუნველყოფისათვის საჭირო პირობების შექმნისა და საბანკო საიდუმლოების დაცვის სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობას.

ძირითადი ტექსტი (მსჯელობა): აუდიტი წარმოადგენს სპეციალურ ცოდნათა სისტემას საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფუნქციონირებადი ეკონომიკური სუბიექტების სამეურნეო პროცესებისა და ფინანსური ოპერაციების კანონიერების, უტყუარობის და ეკონომიკური მიზანშეწონილობის შესწავლის პრინციპებისა და ხერხების შესახებ, რაც მიიღწევა სააღრიცხვო-საანგარიშგებო და სხვა ეკონომიკური ინფორმაციის, აგრეთვე კონტროლის ობიექტურობის ფაქტიური მდგომარეობის გამოკვლევის საფუძველზე. აუდიტორული საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია შიდა აუდიტის პროცესის მართვა საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციებში. შიდა აუდიტი ორგანიზაციის ფარგლებში დამოუკიდებელი, ე.წ. "მარწმუნებელი" საქმიანობის ერთ-ერთი სახეა. აღნიშნული სამსახურის ამოცანებს განეკუთვნება ორგანიზაციის წინაშე წარმოქმნილი რისკების შეფასება, მათგან დასაცავად კონტროლის ღონისძიებების ადეკვატურობის თვალსაზრისით გადასინჯვა და კონტროლის მექანიზმების დასახულ მიზნებთან შესაბამისობის შემოწმება.

არსებობს შიდა კონტროლის სხვადასხვა სახეები, რომლებსაც შიდა აუდიტორების პრაქტიკაში შეიძლება შეხვდეთ. მაგალითად, ცენტრალურ ბანკში რისკების მართვისთვის გამოიყენება შიდა კონტროლის შემდეგი მექანიზმები:

- **თანამშრომლებზე კონტროლი**
  - ✓ საკმარისი და შესაბამისი გამოცდილება;
  - ✓ ადეკვატური პროფესიული მომზადება;
  - ✓ კადრების საკმარისი რაოდენობა;
  - ✓ ღია ურთიერთობები.
- **ოპერაციების შესრულებაზე კონტროლი**
  - ✓ უფლებამოსილებათა დელეგირება;
  - ✓ დროის ლიმიტი;
  - ✓ აუცილებელია ორი ხელმოწერა ფულადი სახსრების გადარიცხვაზე;
  - ✓ შემაჯამებელი მაჩვენებლების შემოწმება ციფრების უტყუარობის დასადასტურებლად.
- **კონტროლი გარიგებათა დადებაზე**
  - ✓ გარიგების დადების ოპერაციათა გამიჯნვა ანგარიშსწორების აღრიცხვის ოპერაციებისაგან;

✓ ანგარიშსწორების ინსტრუქციების შემოწმება SWIF-ის სისტემის საშუალებით;
✓ გარიგებათა ლიმიტები;
✓ ვერიფიკაციის პროცედურების გამიჯვნა ანგარიშსწორების პროცედურისაგან;
✓ ანგარიშგება დადგენილი ლიმიტების დარღვევის განსაკუთრებულ შემთხვევებთან დაკავშირებით;
✓ დილერთა სატელეფონო საუბრების ჩაწერა.

- **ფასეულობათა კონტროლი**

✓ ფასეულობათა საცავში დაშვების ორმაგი კონტროლი, როგორც წესი, ხორციელდება ორი გასაღების მეშვეობით, რომლებიც ინახება სხვადასხვა პირებთან;
✓ რეგულარული ინვენტარიზაცია და საბალანსო მონაცემებთან შედარება;
✓ ფასეულობათა დაცვის ოპერაციების გამიჯვნა მათი აღრიცხვისაგან;
✓ საცავის ვიდეოაპარატურით აღჭურვა.

- **კომპიუტერული სისტემების კონტროლი**

✓ ინფორმაციის დამატებითი ასლების შექმნა ცენტრალურ კომპიუტერში შენახული ინფორმაციის დაკარგვის შემთხვევისათვის;
✓ ძირითადი საცავისაგან დაშორებული დამხმარე საცავის არსებობა ხანძრის გაჩენის შემთხვევისათვის;
✓ სისტემების საჭირო დოკუმენტაციით უზრუნველყოფა, რათა ტექნიკოსებს აპარატურის გაუმართაობის ადვილად გამოვლენის საშუალება მიეცეთ;
✓ ელექტროენერგიის შეუფერხებელი მიწოდება კრიტიკულად მნიშვნელოვანი სისტემებისათვის;
✓ პაროლის გამოყენება კომპიუტერულ სისტემაში დასაშვებად;
✓ პროგრამის შეცვლის პროცესზე მკაცრი კონტროლის დაწესება;
✓ შიფრის გამოყენება ქსელში არასანქცირებული შეღწევის რისკის შესამცირებლად;
✓ ფიზიკური კონტროლის დაწესება კომპიუტერების საცავში შესვლაზე.

შიდა აუდიტორული საქმიანობის ზოგადი და კონკრეტული სტანდარტები მოიცავს დამოუკიდებლობის, პროფესიული უზრუნველყოფის, სამუშაოს მასშტაბის, აუდიტორული სამუშაოს შესრულებისა და შიდა აუდიტორული სამსახურის მართვის საკითხებს.

აუდიტის სამსახურის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია გამოავლინოს სარისკო მომენტები და მისცეს რეკომენდაციები მათ გამოსასწორებლად.

ბანკისთვის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ მიცემული რეკომენდაცია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

უნდა ეხებოდეს პრობლემის არსს; უნდა იყოს რეალური; არ უნდა იყოს ზედმეტად ზოგადი და ამასთანავე არ უნდა იყოს ზედმეტად კონკრეტული. როგორც წესი, რეკომენდაცია უნდა აჩვენებდეს პრობლემის გადაჭრის გზას, თუმცა საბოლოო ტექნიკური დეტალები უნდა შეიმუშაოს რეკომენდაციის მიმღებმა;

➢ რეკომენდაციას უნდა ჰყავდეს ცალსახა შემსრულებელი;
➢ რეკომენდაციას უნდა ჰქონდეს კონკრეტული შესრულების ვადა. აუდიტორისთვის ყურადსაღებია მთლიანი სისტემის სრულყოფილად აღქმა და კონტროლი, რათა სრული სურათის საფუძველზე მოამზადოს დასკვნა და შეაფასოს მეთოდოლოგიის პრაქტიკულობა. შიდა აუდიტს ორი ფუნქცია აკისრია, რომელიც ერთმანეთთანაა დაკავშირებული და პრაქტიკაში გამოიყენება. პირველი, საბჭოს ან მსგავს ორგანოს არწმუნებს, რომ ორგანიზაციის რისკები სათანადოდ იმართება და შიდა კონტროლის მნიშვნელობა ხაზგასმულია. მეორე, შიდა აუდიტმა უნდა უზრუნველყოს ორგანიზაციის რისკის მართვის და შიდა კონტროლის სისტემების გაუმჯობესება, ასევე მათი ოპტიმიზაცია სწრაფად ცვალებადი გარემოს შესაბამისად.

ხშირ შემთხვევაში რეკომენდაციის მიცემა ხდება არასწორად. ყველაზე გავრცელებული შეცდომის მაგალითია კონტროლის მექანიზმის გაძლიერების შესახებ რეკომენდაცია. ცალსახაა, რომ როდესაც არსებობს რაიმე პრობლემა, ეს გამოწვეულია შიდა კონტროლის მექანიზმის სისუსტით. ასე რომ, შიდა კონტროლის მექანიზმის გაძლიერების რეკომენდაცია არ ეხება პრობლემის არსს და იმდენად ზოგადია, რომ არ შეიძლება ჩაითვალოს რეკომენდაციად. როგორც წესი, ასეთი ტიპის რეკომენდაციებს არ აქვთ არანაირი ეფექტი და რჩებიან შეუსრულებელ რეკომენდაციებად. აქედან გამომდინარე აუცილებელია, რომ რეკომენდაცია ეხებოდეს პრობლემის არსს. ზუსტად იგივე პრობლემაა, როდესაც აუდიტის რეკომენდაცია არ არის რეალური და შესაბამისად შეუსრულებადია.

ზედმეტად ზოგადი რეკომენდაციები, როგორც წესი, მუდმივად რჩება შეუსრულებელ რეკომენდაციად, რადგან შემსრულებელი უბრალოდ ვერ ხვდება რა უნდა გააკეთოს. ასევე პრობლემატურია ზედმეტად დაკონკრეტებული რეკომენდაციის მიცემა. ზედმეტად დაკონკრეტებულში იგულისხმება ისეთი რეკომენდაციები, რომლებიც ეხება ძალიან სპეციფიკურ დეტალებს (მაგალითად ცხრილის სტრუქტურას). ასეთი ტიპის რეკომენაციები არაეფექტურია, რადგან უმეტესობა შემთხვევაში რეკომენდაციის შემსრულებლებმა უკეთესად იციან თავიანთი საქმის დეტალები, მათ უბრალოდ სწორი მიმართულების მიცემა სჭირდებათ. აქედან გამომდინარე, რეკომენდაცია არ უნდა იყოს არც ზედმეტად ზოგადი და არც ზედმეტად კონკრეტული. ხშირად რეკომენდაციიდან არ ჩანს თუ ვინ არის მისი შემსრულებელი. ან მაგალითად ერთი რეკომენდაცია უნდა შეასრულოს ორმა ან სამმა დეპარტამენტმა ერთად. ასეთ შემთხვევებში ყველაფერი იმით მთავრდება ხოლმე, რომ რეკომენდაცია არ სრულდება და ფაქტიურად შეუძლებელია დამნაშავის დადგენა, რადგან ყველა ერთმანეთს აბრალებს რეკომენდაციის შეუსრულებლობას. აქედან გამომდინარე, რეკომენდაციას უნდა ჰყავდეს ცალსახა შემსრულებელი. იმ შემთხვევებში, როდესაც ერთი რეკომენდაცია უნდა შეასრულოს რამდენიმე ადამიანმა, უმჯობესია ამ რეკომენდაციის რამდენიმე ნაწილად დაყოფა, ისე რომ თითოეულ ნაწილს ჰყავდეს ცალსახა პასუხისმგებელი შემსრულებელი.

აუდიტის ამოცანებზე დასკვნების მომზადებისას, შიდა აუდიტორებმა უნდა გაითვალისწინონ, რა კონკრეტული პრობლემა შეიძლება იყოს და ვისთვისაა გამიზნული აუდიტის ანგარიში. მათ მკაფიოდ უნდა მიუთითონ თავიანთი მოსაზრება არსებული სისტემების ხარისხის შესახებ, გააშუქონ კონტროლის ის სუსტი სფეროები, სადაც, მათი აზრით, ორგანიზაცია მაღალი რისკის წინაშეა. მაგრამ, ასევე, უნდა უზრუნველყონ ადეკვატური კონტროლის სფეროების აღიარებაც. შიდა აუდიტორებმა უნდა წარმოადგინონ დაბალანსებული ანგარიშები, რომლებიც განსაზღვრავს უფრო მენეჯმენტის კარგ პრაქტიკას, ვიდრე მათ მიერ განსაზღვრული ანგარიშგების სისუსტეს. აუდიტორული სამუშაოს შედეგად შიდა აუდიტორებმა უნდა მოახდინონ საერთო დასკვნის ფორმირება, რომ არსებული კონტროლის სისტემები იძლევა ადეკვატურ რწმუნებას და ყველა მნიშვნელოვანი რისკი, სისტემის ამოცანების შესრულებასთან დაკავშირებით, ეფექტურად იმართება. დინამიურად განვითარებად საბანკო სექტორს ესაჭიროება ასევე დინამიურად განვითარებადი შიდა აუდიტის სამსახურები. აუდიტის სამსახურის ფუნქცია - დაიცვას ბანკები შესაძლო დანაკარგებისგან და მოახდინოს რისკების მინიმიზაცია, კომერციული ბანკის ფუნქციონირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, მაგრამ სწრაფად მზარდი საბანკო სისტემა სულ ახალ-ახალი რისკების წინაშე დგას. იმისთვის, რომ შიდა აუდიტის სამსახურმა მოახდინოს ამ რისკების მინიმიზება, აუცილებელია პირველ რიგში მათი დროული იდენტიფიცირება. აქედან გამომდინარე, აუცილებელია აუდიტის პროცესის ისე აწყობა, რომ შესაძლებელი იყოს შიდა აუდიტის სამსახურის წინაშე მდგარ გამოწვევებზე დროული რეაგირება. ამასთან მნიშვნელოვანია აუდიტის პროცესის ყოველი ეტაპი, რადგან მხოლოდ ამ ეტაპების ეფექტურად წაძღოლის და ურთიერთქმედების შედეგად შესაძლებელია მთლიანად სამსახურის ეფექტური მუშაობა.

<u>დასკვნა:</u> საბანკო სისტემის დინამიკური განვითარების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ისეთი პროგრამის შემუშავება, რომელშიც ნათლად იქნება ჩამოყალიბებული ის ძირითადი პრინციპები, რომლებსაც უნდა ეფუძნებოდეს საბანკო სისტემის ფუნქციონირება და უნდა დაისახოს მისი განვითარების კონკრეტული გზები.

საქართველოში ფინანსური რესურსების მობილიზება და მათი საინვესტიციო რესურსებად გარდაქმნა უპირატესად საბანკო ინსტიტუტების და არა ფასიანი ქაღალდების ბაზრის, მეშვეობით ხდება. სავარაუდოდ, ასეთი ვითარება საქართველოში უახლოესი წლების განმავლობაში მკვეთრად არ შეიცვლება. შესაბამისად, საბანკო სისტემას ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპის დაჩქარების თვალსაზრისით უმთავრესი როლი ეკისრება. ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრესი პრიორიტეტია ეკონომიკური ზრდის მაღალი და მდგრადი ტემპების უზრუნველყოფა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად ეკონომიკაში საბანკო სექტორის როლის ამაღლება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა. საბანკო სექტორის განვითარება მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული ქვეყანაში შექმნილ საინვესტიციო კლიმატზე, საბანკო საქმიანობის რეგულირებაზე, საფინანსო სისტემის სხვა სეგმენტებში არსებულ მდგომარეობასა და დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ფუნქციონირების ეფექტიანობაზე.

ქვეყანაში საბანკო სისტემის შემდგომი განვითარებისა და თითოეული კომერციული ბანკის სტაბილურობისათვის აუცილებელია მხოლოდ კარგად კაპიტალიზებული, გამჭვირვალე და

ფინანსურად ჯანსაღი საბანკო ინსტიტუტების არსებობა. ბანკების კაპიტალიზაციის დონის ამაღლების უმთავრესი მექანიზმია კაპიტალის მიმართ მინიმალური მოთხოვნების დაწესება.

საბანკო სისტემის განვითარების ხელშეწყობის მიზნით მნიშვნელოვანია საბანკო ზედამხედველობის სისტემის სრულყოფა და საბანკო აუდიტის, როგორც შიდა კონტოლის ეფექტიანი სისტემის დახვეწა და შემდგომი განვითარება.

შიდა აუდიტს ორი ფუნქცია აკისრია, რომელიც ერთმანეთთანაა დაკავშირებული და პრაქტიკაში გამოიყენება. პირველი, საბჭოს ან მსგავს ორგანოს არწმუნებს, რომ ორგანიზაციის რისკები სათანადოდ იმართება და შიდა კონტროლის მნიშვნელობა ხაზგასმულია. მეორე, შიდა აუდიტმა უნდა უზრუნველყოს ორგანიზაციის რისკის მართვის და შიდა კონტროლის სისტემების გაუმჯობესება, ასევე მათი ოპტიმიზაცია სწრაფად ცვალებადი გარემოს შესაბამისად.

შიდა აუდიტის სამსახურის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია გამოავლინოს სარისკო მომენტები და მისცეს რეკომენდაციები მათ გამოსასწორებლად. ნაშრომში გაანალიზებულია თუ როგორი უნდა იყოს ეფექტური რეკომენდაცია და როგორ უნდა გაკონტროლდეს მისი შესრულება. ასევე ნაჩვენებია თუ როგორ უნდა იმუშაოს შიდა აუდიტის სამსახურმა სამუშაოს დაგეგმვის, შემოწმების პროგრამის შედგენის, შემოწმების ჩატარების, შემოწმების აქტის შედგენის (დასკვნის გაკეთებისას) თუ აუდიტორული პროცესის ნებისმიერ სხვა ეტაპზე. აქედან გამომდინარე, შიდა აუდიტორებმა თავიანთი დავალების შესაბამისად უნდა მიიღონ ორი შედეგი. პირველი, მკაფიო მოსაზრება ან დასკვნა აუდიტორულად შემოწმებული შიდა კონტროლის სისტემის ხარისხის შესახებ. მეორე, კოტროლის ამ სისტემის გაუმჯობესებასა და ორგანიზაციის წინაშე არსებული რისკების შემცირებაზე მიმართული რეკომენდაციების სერია. აღნიშნული მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისგან. თუმცა, დასკვნა არ გულისხმობს რეკომენდაციების შეჯამებას. აუდიტის დასკვნა არსებული კონტროლის სისტემების შესახებ მკაფიო გზავნილი უნდა იყოს მენეჯმენტის ზედა რგოლისა და საბჭოსათვის, რათა ამ უკანასკნელმა ადეკვატურად მოაგვაროს ძირითადი რისკები, რომლებსაც ორგანიზაცია საკუთარი ამოცანების განხორციელების პროცესში აწყდება.

კვლევისას გამოიკვეთა, რომ შიდა აუდიტის სამსახურის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული შიდა აუდიტის საქმიანობის სტანდარტების სწორედ გაგება და პრაქტიკაში სრულყოფილად დანერგვა. დადგინდა ისიც, რომ შიდა აუდიტის სამსახურის განვითარებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს კადრების სწორად შერჩევასა და მომზადებას. რადგან აუდიტის სამსახურის ფუნქცია - დაიცვას ბანკები შესაძლო დანაკარგებისგან და მოახდინოს რისკების მინიმიზაცია მოითხოვს აუდიტორებისაგან ინიციატივისა და გულმოდგინების გამოჩენას, მათ უნდა გააჩნდეთ წამოწყებული საქმის ლოგიკურ დასასრულამდე მიყვანის უნარი და ამისთვის უნდა გამოავლინონ შეუპოვრობა. მათთვის აუცილებელია ტაქტი და დიპლომატია, რათა მოიპოვონ პატივისცემა და მხარდაჭერა შესამოწმებელ პირთა მხრიდან. აუდიტორებს უნდა ჰქონდეთ იმ დასკვნების გააზრების, გაანალიზებისა და პრეზენტაციის უნარი, რომლებიც სისტემის საქმიანობასა და კონტროლის მექანიზმების მდგომარეობას ეხება. ისინი სწრაფად უნდა ორიენტირებდნენ და სხვადასხვა სიტუაციაში ადვილად ახდენდნენ ადაპტაციას, რადგან მათ ხშირად უხდებათ ერთდროულად რამდენიმე განსხვავებულ საკითხზე მუშაობა. ამ თვისებების გარეშე აუდიტის სამსახური ვერ შეძლებს მის წინაშე მდგომი ამოცანების შესრულებას. ამასთან აუცილებელია კომერციული ბანკების მდგრადობაზე მოქმედი ისეთი შიდასაბანკო ფაქტორების გაუმჯობესება, როგორებიცაა:

- მენეჯმენტისა და პერსონალის კომპეტენცია;
- კომერციული ბანკის პოლიტიკა;
- სპეციალისტების მომზადების სისტემა;
- საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- ბანკის ტექნიკური ბაზა;
- ინფორმაციული უზრუნველყოფის დონე.
- 2008 წელს შესული ცვლილების, რომელიც ეროვნულ ბანკში საბუღალტრო აღრიცხვის წარმართვის საფუძვლად აღიარებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს, შესაბამისად განახორციელოს საბუღალტრო ანგარიშების ანალიზი, რაც პროგნოზის დამუშავებას ხელს შეუწყობს.

ამრიგად, ზემოთ ჩამოთვლილი პროცესებისა და სტანდარტების სწორად წაძღოლა არის წინაპირობა შიდა აუდიტის სამსახურის ეფექტურად ფუნქციონირებისა. შიდა აუდიტის სამსახური თანამედროვე ქართულ კომერციულ ბანკებში უნდა იყოს მუდმივად განვითარებადი და

ინოვაციისკენ მიმართული, მხოლოდ ასეა შესაძლებელი ბანკების დაცვა მათ წინაშე მდგარი რისკებისგან.

ლიტერატურა:

1. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2015 წლის 10 მარტის 25/04 ბრძანებით დამტკიცებული დებულება - ,,კომერციულ ბანკებში შიდა აუდიტორული საქმიანობისადმი მოთხოვნების შესახებ“;
2. საქართველოს კანონი - ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“; 08..06.2016წ; 5386-IIს;
3. საქართველოს კანონი - ,,სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“; 26.03.2010წ; 179-რს;
4. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 დეკემბრის დადგენილება - ,,შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“;
5. სახელმწიფო სექტორის შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის სტრატეგიული ხედვა, საქართველოს მთავრობა, თბილისი, 2009 წელი;
6. http://sao.ge/
7. https://saras.gov.ge/
8. http://www.mof.ge/

რეზიუმე

კონტროლის მექანიზმების განვითარებამ, ორგანიზაციების მისწრაფებამ თვითრეგულირებისაკენ მოითხოვა, რომ ობიექტურად შეფასებულიყო ეკონომიკური საქმიანობის ეფექტიანობა, რამაც ბიძგი მისცა კონტროლის ახალი ინსტრუმენტის აუდიტორული საქმიანობის შექმნას და დანერგვას პრაქტიკაში. აუდიტორული საქმიანობა, როგორც არასახელმწიფოებრივი კონტროლის საყოველთაოდ აღიარებული და ცხოვრებაში პრაქტიკით შემოღებული ფორმა, ფართო მასშტაბურ გამოყენებას პოულობს ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობათა პრინციპებზე მოწყობის პირობებში.

საქართველოს ეკონომიკის ფუნქციონირების მიმდინარე ეტაპზე ქვეყნის ეკონომიკის ყველაზე მზარდი განვითარების სეგმენტად საბანკო სისტემა განიხილება. ფინანსური სისტემის მონეტარული სეგმენტის დინამიური განვითარება და ზრდის მაღალი ტემპები, თავის მხრივ, ეკონომიკური ზრდის კატალიზატორის ფუნქციას ასრულებს. საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე დაიწყო საბანკო სისტემის ტრანსფორმირების პროცესი - შეიქმნა სათანადო საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზა, რომლის საფუძველზეც ჩამოყალიბდა ორიარუსიანი უნივერსალური საბანკო სისტემა: ერთი მხრივ, საქართველოს ეროვნული ბანკი, როგორც ქვეყნის მონეტარული პოლიტიკის წარმმართველი და საბანკო სისტემის მარეგულირებელი ორგანო, მეორე მხრივ კი, კომერციული ბანკების სისტემა.

THE ROLE OF BANKING AUDIT IN THE BANK'S STABILITY CONTROL

Davit Bidzinashvili, Professor

RESUME

The banking system is considered as the most growing development segment of the country's economy at the ongoing stage of Georgian economy. The dynamic development of the financial system of the financial system and the high rate of growth increases the function of the catalyst of economic growth in turn. Georgia won independence in the process of transforming the banking system - set up the appropriate legislative and regulatory framework, which led to the establishment of the universal two-tier banking system: on the one hand, the central bank, as the country's monetary policy makers and regulatory body of the banking system, on the other side Yes, commercial banks in the system.

Audit of special knowledge system functioning market economy, the economic entities, agricultural processes and financial operations legality, authenticity and economic feasibility study of the principles and practices for setting accounting and reporting dressing-economic information, as well as the control object Robbie actual state basis. One of the most important parts of audit activity is the management of internal audit process in financial-credit organizations. Internal Audit within the organization of the independent, so called "Assertive" is one of the activities. The objectives of this service include the assessment of risks arising before the organization, to review the adequacy of control measures and to monitor compliance with the objectives set by the controls.

ახალი აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელი

გიული გიგუაშვილი, პროფესორი

გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში სულ უფრო დიდ როლს თამაშობს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, რომელმაც მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია და სამართლიანად დაიმკვიდრა მსოფლიოს მეორე უდიდესი ეკონომიკის სტატუსი. ბოლო 25 წლის განმავლობაში არ ყოფილა წელი, რომ ჩინეთის ეკონომიკა 6.5%-ზე ნაკლებით გაზრდილიყოს, რაც მართლაც საუკეთესო მაჩვენებელია. ჩინეთის პრეზიდენტ სი ძინპინის შეფასებით, ეკონომიკური ზრდის არსებული ტემპის შენარჩუნება აუცილებელია ქვეყნის უმნიშვნელოვანესი მიზნის შესასრულებლად, რომელიც 2020 წლამდე ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის გაორმაგებას ითვალისწინებს. ჩინეთი კვლავ აქტიურად აგრძელებს ეკონომიკის სტიმულიზაციას: მშპ-ს 2017 წლის მაჩვენებელმა მოსალოდნელს გადააჭარბა და 6.9% შეადგინა, რაც 2016 წლის მაჩვენებელს 0.2%-ით, ხოლო 2017 წლის პროგნოზირებულ დონეს 0.4%-ით აღემატება. 2018 წლის მონაცემებით, ჩინეთში მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი (მშპ) 6.5 პროცენტია, რაც ხარისხისა და ეფექტურობის კარგი მაგალითია. აღსანიშნავია, რომ ეკონომიკისა და ბიზნეს–კვლევების ბრიტანული ცენტრის (The Centre for Economics and Business Research) პროგნოზით, ზრდის ტემპი შენარჩუნდება და ჩინეთის ეკონომიკა 2032 წელს მსოფლიოში უმსხვილესი გახდება. [1]

ჩინეთის ეკონომიკა ძირითადად ექსპორტზეა ორიენტირებული. ექსპორტის უდიდესი ნაწილი ევროპის ქვეყნებში საზღვაო გზით ხვდება. ჯერ კიდევ 2013 წლის 7 სექტემბერს ჩინეთის პრეზიდენტმა სი ძინპინმა პირველად გაახმოვანა ახალი აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის (Silk Road Economic Belt) კონცეფცია, რომელიც ითვალისწინებს ჩინეთის ცენტრალური და დასავლეთის რეგიონების სახმელეთო ტრანსპორტით დაკავშირებას ცენტრალურ აზიასთან, ახლო აღმოსავლეთთან და ევროპის ქვეყნებთან. ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული პროექტით ჩინეთის დაინტერესება რამდენიმე ფაქტორით არის განპირობებული: ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ჩინეთის ეკონომიკური ზრდა ძირითადად მის აღმოსავლეთ და სამხრეთ პროვინციებზე აისახა, რადგან აღნიშნულ რეგიონში წარმოებული საქონლის გადაზიდვა საზღვაო ტრანსპორტით ევროპისა და ამერიკის მიმართულებით გაცილებით მარტივია. შესაბამისად, ჩინეთი ნაკლებად განვითარებული დასავლეთ პროვინციების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე ზრუნავს და ახალი სავაჭრო კავშირების შექმნა სურს, რაც, თავის მხრივ, აღნიშნულ პროვინციებს გამოაცოცხლებს. ასევე, საზღვაო გადაზიდვისთვის საჭირო შედარებით დიდი დრო ჩინურ პროდუქციას რიგ შემთხვევაში ნაკლებად კონკურენტულს ხდის ევროპულ ბაზარზე. [2]

აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელი და 21-ე საუკუნის საზღვაო აბრეშუმის გზა – ცნობილია აგრეთვე, როგორც ინიციატივა „ერთი სარტყელი, ერთი გზა“ (OBOR). იგი მიზნად ისახავს ევრაზიის კონტინენტზე მდებარე ქვეყნების თანამშრომლობის გაღრმავებას, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას და სავაჭრო ურთიერთობების გაფართოებას. აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელი მოიცავს ისტორიული აბრეშუმის გზის ქვეყნებს ცენტრალურ აზიაში, დასავლეთ აზიაში, ახლო აღმოსავლეთსა და ევროპაში. გარდა აბრეშუმის გზის ისტორიული ქვეყნებისა, პროექტი ასევე მოიცავს სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას. პროექტის თანახმად, ახალი აბრეშუმის გზა ცენტრალური ჩინეთიდან, სიანიდან დაიწყება, შეუერთდება განსუს პროვინციის დედაქალაქ ლანჭოუს, გაგრძელდება ურუმჩიში (სინძიანის პროვინცია) და ხორგასში (სინძიანის პროვინცია), საიდანაც დატოვებს ჩინეთის საზღვრებს და ყაზახეთისკენ აიღებს გეზს. შემდეგ გზა გადის ცენტრალური აზიიდან ირანის ჩრდილოეთამდე, საიდანაც გრძელდება ერაყში, სირიასა და თურქეთში. სტამბულიდან ბოსფორის სრუტის გავლით გადადის ევროპაში – ბულგარეთში, რუმინეთში, ჩეხეთის რესპუბლიკასა და გერმანიაში. გერმანიაში დუისბურგიდან გრძელდება ჰოლანდიაში, კერძოდ კი როტერდამში, იქედან კი იტალიაში – ვენეციაში, სადაც უერთდება ამავე პროექტის მეორე განშტოებას – 21-ე საუკუნის საზღვაო აბრეშუმის გზას.

რაც შეეხება 21-ე საუკუნის საზღვაო აბრეშუმის გზას, ეს არის პროექტი რომელიც მიმართულია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას, ოკეანეთსა და ჩრდილოეთ აფრიკას შორის ურთიერთობების გაღრმავებაზე და ვაჭრობის განვითარებაზე სამხრეთ ჩინეთის ზღვის, წყნარი ოკეანის და ინდოეთის ოკეანის გავლით. თავისი მარშრუტით ეს გზა მოიცავს ცუანჭოუს (ფუძიანის პროვინცია), გუანჭოუს (გუანდუნის პროვინცია), პეიხაის (გუანსის პროვიცნია), ხაიკოუს (ხაინანის პროვინცია), კუალა ლუმპურს, ნაირობის,

საიდანაც ის აფრიკაში გადადის, შემდეგ ათენში ინაცვლებს და ბოლოს ვენეციაში უერთდება აბრეშუმის გზის ეკონომიკურ სარტყელს. [3]

წყარო: The Economist

აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის პროექტი, რომელსაც სახმელეთო აბრეშუმის გზასაც უწოდებენ, შეესაბამება ისტორიულ აბრეშუმის გზას და საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის ექვსი დერეფნის შექმნას მოიაზრებს. ესენია: ახალი ევრაზიული სახმელეთო ხიდი, დერეფანი „ჩინეთი - მონღოლეთი - რუსეთი“, დერფანი „ჩინეთი - ცენტრალური აზია - დასავლეთ აზია“, დერეფანი „ჩინეთი - ინდო-ჩინეთის ნახევარკუნძული“, დერეფანი „ჩინეთი - პაკისტანი“ და დერეფანი „ბანგლადეში - ჩინეთი - ინდოეთი - მიანმარი“. აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის მთავარი მიზანი ახალ და არსებულ სატრანსპორტო დერეფნებში ინვესტირებით, ჩინეთსა და ევროპას შორის არსებული მანძილის შემცირებაა. [4]

ამჟამად, საქართველო პირდაპირ არის ჩართული ჩინეთი-ცენტრალური აზია-დასავლეთ აზიის დერეფანში, რომელიც SREB-ის ექვსი შემადგენელი დერეფნიდან ერთ-ერთი დერეფანია და აღმოსავლეთით ჩინეთს, ხოლო დასავლეთით თურქეთსა და შავ ზღვას აკავშირებს. საქართველო უზრუნველყოფს თურქეთთან სახმელეთო მიმოსვლას, განსაკუთრებით ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის დახმარებით. რკინიგზის მშენებლობის დასრულების შემდეგ, ბოსფორის სრუტეზე აზიის ევროპასთან დამაკავშირებელ იავუზ სულთან სელიმის ხიდთან ერთად საქართველოს ევროპასთან უწყვეტი სარკინიგზო კავშირი ექნება. საქართველოს ასევე შეუძლია ევროპაში საზღვაო გასასვლელის უზრუნველყოფა ბათუმის, ფოთის და ანაკლიის პორტების მეშვეობით. [5]



წყარო : http://accent.com.ge/ge/news/details/33654

ჩინეთი-ცენტრალური აზია - დასავლეთ აზიის დერეფანი ევროპა - კავკასია -აზიის სატრანსპორტო დერეფნის (TRACECA) მიერ შექმნილ სატრანსპორტო ხაზს ეფუძნება, რომლის წევრიც საქართველო 1993 წელს გახდა. „სარტყელისა და გზის“ ინიციატივა საქართველოსთვის წარმოადგენს შესაძლებლობას გახდეს ორი ახლადშექმნილი რეგიონული ფორმატის GUAM-ისა და აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის სამმხრივი თანამშრომლობის ინიციტივის დამაკავშირებელი ცენტრი. GUAM-ის ფარგლებში საქართველოს უნიკალური ადგილმდებარეობა აქვს შავი ზღვის პორტით ჩინეთის უკრაინასთან და მოლდოვასთან დასაკავშირებლად. [6]

ექსპერტთა ერთი ნაწილის შეფასებით, ჩინეთი ახალი აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის პროექტში საქართველოს საკვანძო როლის შემსრულებელ ერთ-ერთ ქვეყნად მიიჩნევს. სამთავრობო წრეები ვარაუდობენ, რომ საქართველო ჩინური პროდუქციისათვის ერთგვარი ჰაბი უნდა გახდეს და ამის საფუძველს წარმოადგენს არა მარტო ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა და მისი როლი ისტორიულ აბრეშუმის გზაზე, არამედ ისიც, რომ სულ უფრო ფართოვდება სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ჩინეთთან და ევროკავშირთან; მსოფლიო ბანკის მონაცემებით კი ჩვენი ქვეყანა უცხოელ ინვესტორებს საუკეთესო პირობებს სთავაზობს: საქართველოში ნაკლებია ბიუროკრატიული ბარიერები, ჩამოყალიბებულია სახელმწიფო ინსტიტუტები, არ არის კორუფცია, გამარტივებულია ბიზნესის დაწყების პროცედურები, ეკონომიკა მდგრადია და სტაბილურად იზრდება. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ჯერ კიდევ 2014 წლის ივნისში საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას მოაწერა ხელი, 2017 წლის მაისში კი თბილისმა და პეკინმა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება გააფორმეს, კიდევ უფრო მეტ დამაჯერებლობას იძენს ოპტიმისტური მოლოდინი, რომ საქართველოს მართლაც შეუძლია შეასრულოს მნიშვნელოვანი როლი ახალი აბრეშუმის გზის მეგაპროექტში. თუმცა, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ სკეპტიკოსთა მოსაზრებების შესახებაც. ექსპერტთა ნაწილი თვლის, რომ საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის მიმართ ჩინეთი უმნიშვნელო დიპლომატიურ და სტრატეგიულ ინტერესს გამოხატავს. ჩინეთი უმთავრესად ყურადღებას ამახვილებს სავაჭრო ურთიერთობებსა და ინფრასტრუქტურულ ინვესტიციებზე. ამასთან, ახალი აბრეშუმის გზის არცერთ გამოქვეყნებულ რუკაზე საქართველო მონიშნულიც კი არ არის. [7]

ბუნებრივია გვაინტერესებს როგორია დღეისათვის არსებული რეალობა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოსა და ჩინეთს შორის სულ უფრო იზრდება სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები. ბოლო წლების განმავლობაში ჩინეთი სტაბილურად იკავებს ადგილს საქართველოს ხუთ უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორთა შორის. 2017 წლის ბრუნვის მიხედვით, მასზე მოდის ექსპორტის 7,6% და იმპორტის 9,2%. 2018 წლის იანვარ-მაისის ბრუნვის მიხედვით კი ჩინეთზე მოდის ექსპორტის 4,6% და იმპორტის 9,4%.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში იზრდება ჩინური ინვესტიციებიც, კერძოდ, 2002 წლიდან 2017 წლამდე ჩინურმა პირდაპირმა ინვესტიციებმა საქართველოში თითქმის ნახევარ მილიარდ დოლარს მიაღწია (489 მილიონი აშშ დოლარი), რომლის 91% ბოლო ხუთ წელიწადზე მოდის (444 მილიონი აშშ დოლარი). ჩინური ინვესტიციების 3/4-ზე მეტი უძრავ ქონებასა და მშენებლობაზეა გადანაწილებული, მაღალტექნოლოგიურ და ცოდნატევად დარგებში კი ინვესტიციები ფაქტობრივად არ არსებობს. [8]

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციები ჩინეთიდან
(ათასი აშშ დოლარი)

წლები	2011	2012	2013	2014	2015	2016*	2017 წლის I კვ.*	ჯამი
სულ	9,643	36,126	89,874	217,944	66,948	27,379	6,575	454,489

აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის პროექტის ფარგლებში 2015 წლის სექტემბერში მსოფლიოში ერთ-ერთმა უმსხვილესმა კომპანიამ, ჩინეთის რკინიგზის მშენებლობის კორპორაციამ (CRCC) საქართველოს რკინიგზასთან გააფორმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. განხორციელდა პირველი სატვირთო სარკინიგზო რეისი ჩინეთიდან საქართველოში, რომელიც საქართველოში ჩამოვიდა სარეკორდო დროში – ცხრა დღეში მაშინ, როცა იმავე მარშრუტით საზღვაო გადაზიდვას სჭირდება დაახლოებით 45-60 დღე. სამომავლოდ კი იგეგმება ამ სექტორის კიდევ უფრო დახვეწა და განვითარება. 2017 წლის ოქტომბერში გაიხსნა ახალი, ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო ხაზი, რომელიც აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის ტერიტორიაზე გადის და ევროპასა და ჩინეთს შორის მგზავრობას 45-ის ნაცვლად 14 დღეში ხდის შესაძლებელს. სატრანსპორტო შესაძლებლობები საკმაოდ მომხიბვლელია: საქართველოდან ჩინეთში ტვირთის ჩატანა 10 დღეშია შესაძლებელი, ხოლო ევროპის ნებისმიერ წერტილში ოთხ დღეში. [9]

საქართველომ მტკიცე მხარდაჭერა გამოუცხადა ახალი აბრეშუმის გზის იდეას. 2017 წლის ნოემბრის თვეში თბილისში გაიმართა რიგით მეორე ,,აბრეშუმის გზის ფორუმი" (აღნიშნულ ფორუმს საფუძველი 2015 წელს ჩაეყარა და მასში მონაწილეობა 34 ქვეყნის ოფიციალურმა პირმა და 50 ქვეყნის ბიზნესის წარმომადგენელმა მიიღო). ფორუმზე დასასწრებად საქართველოს 34 ოფიციალური დელეგაცია და 60-ზე მეტი ქვეყნის 2000-მდე დელეგატი ეწვია. ფორუმის ფარგლებში განხილული იქნა ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიცაა: ვაჭრობის ხელშეწყობა, ელექტრონული კომერციის განვითარება, ციფრული კავშირი, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, ენერგეტიკის სფეროში რეგიონთაშორისი შესაძლებლობები და ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალი.

აბრეშუმის გზის რიგით მეორე ფორუმის ფარგლებში ხელი მოაწერეს 10-მდე მემორანდუმს. აღსანიშნავია, რომ თბილისი ერთადერთი ადგილია ჩინეთის საზღვრებს გარეთ, სადაც ,,ერთი სარტყელი - ერთი გზის" თემატიკაზე ფორუმი გაიმართა. სხვა მნიშვნელოვან გარიგებებთან ერთად, ფორუმის ფარგლებში საქართველოსა და ჩინეთის ხელმძღვანელმა პირებმა ხელი მოაწერეს მემორანდუმს თავისუფალი ეკონომიკური ზონის მშენებლობის შესახებ. მემორანდუმის მიზანია ჩინელი ინვესტორების ისეთ მნიშვნელოვან პროექტებში ჩართვა, როგორიცაა ანაკლიის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა. 2020 წლისთვის იგეგმება ახალი, 185 კმ-იანი აღმოსავლეთ-დასავლეთ ჩქაროსნული ავტომაგისტრალის დასრულება. [10]

ამრიგად, ჩინეთი საქართველოს საკმაოდ სოლიდურ პარტნიორად ყალიბდება. რაც შეეხება „ერთი სარტყელი, ერთი გზა“ ინიციატივას, პროექტს უკვე შეუერთდა 100-ზე მეტი ქვეყანა და საერთაშორისო ორგანიზაცია. ინიციატივა „ერთი სარტყელი, ერთი გზა“ ჩაირთო ან აისახა გაეროს გენერალური ასამბლეას, გაეროს უსაფრთხოების საბჭოს და აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის დოკუმენტებსა და რეზოლუციებში. გასული სამი წლის განმავლობაში მოხდა მთელი რიგი პროექტების რეალიზაცია ტრანსპორტის, ენერგიისა და კავშირგაბმულობის სფეროში. მათ შორისაა მრავალფუნქციური ხიდი „პარმა“ იმავე დასახელების მდინარეზე ბანგლადეშში (Padma Bridge), ეკონომიკური დერეფანი „ჩინეთი - პაკისტანი“, საერთაშორისო სარკინიგზო სატვირთო გადაზიდვების მარშრუტები „ჩინეთი - ევროპა“; რკინიგზის ხაზები შენდება აფრიკაში, მიმდინარეობს პორტების განვითარება აღმოსავლეთ აფრიკაში, საბერძნეთში, პაკისტანსა და შრი-ლანკაში. ნავთობის და ბუნებრივი აირის მილსადენები გაჰყავთ აზიაში. [11]

„ერთი გზა, ერთი სარტყელის ინიციატივა“ წარმოადგენს ერთ-ერთ უმსხვილეს ინფრასტრუქტურულ და საინვესტიციო მეგა-პროექტს, რომელიც მსოფლიოს მოსახლეობის 65%-ს და 2017 წლის მშპ-ს 40%-ს შეადგენს. პროექტის ფარგლებში, 2017 წლის აპრილის მდგომარეობით, ჩინეთს ხელი აქვს მოწერილი 130-ზე მეტ ორმხრივ და რეგიონალურ სატრანსპორტო ხელშეკრულებაზე; ჩინეთმა გახსნა 356 საერთაშორისო საავტომობილო მარშრუტი როგორც მგზავრთა გადაყვანის, ისე სატვირთო გადაზიდვების წარმოებისათვის; ის საზღვაო ტრანსპორტით უკავშირდება ყველა ქვეყანას და კვირაში დაახლოებით 4200 პირდაპირი საჰაერო რეისი სრულდება ჩინეთსა და „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ გასწვრივ განლაგებულ 43 ქვეყანას შორის; ჩინეთსა და ევროპას შორის ექსპლუატაციაში გაშვებულია 39

სარკინიგზო მარშრუტი; ჩინეთსა და „ერთი სარტყლის, ერთი გზის“ გასწვრივ განლაგებულ ქვეყნებს შორის ვაჭრობის მოცულობამ 2016 წელს დაახლოებით 913 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია და გადააჭარბა ჩინეთის საგარეო ვაჭრობის მთლიანი მოცულობის მეოთხედს. [12]

ჩინეთმა, აზიაში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების დაფინანსებისთვის, 2015 წელს 40 მილიარდამდე აშშ დოლარი გამოუყო აბრეშუმის გზის ფონდს და დააფუძნა აზიის ინფრასტრუქტურული განვითარების ბანკი. დღეისათვის აზიის ინფრასტრუქტურული განვითარების ბანკში 70 წევრია გაერთიანებული. 2017 წელს აღნიშნული ბანკის მიერ გაცემული კრედიტების საერთო მოცულობამ 2 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა. [13]

ამრიგად, ახალი აბრეშუმის გზის ინიციატივა ახალ შესაძლებლობებს ქმნის არა მარტო ჩინეთისთვის, არამედ მასში მონაწილე ყველა ქვეყნისათვის და მათ შორის საქართველოსთვის. ვფიქრობთ, მისასალმებელია საქართველოს მთავრობის ყველა მცდელობა საქართველო ჩინური პროდუქციისათვის ერთგვარი ჰაბი გახდეს. საქართველომ უნდა მოახერხოს განვითარების სახელმწიფო სტრატეგიის კოორდინაცია ინიციატივასთან „ახალი აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელი“, რათა უფრო ძლიერად და უფრო ფუნდამენტურად ჩაერთოს მაღალი სტანდარტების რეგიონალურ თანამშრომლობაში.

ლიტერატურა:

1. აზიის ეკონომიკა დომინანტი გახდება, https://m2b.ge/post/176169-aziis-ekonomika-dominanti-gaxdeba, 28 დეკემბერი 10:56, 2017 წელი,
2. გიორგი ნარმანია, აბრეშუმის გზის მოლოდინში, 25 იანვარი, 2016. http://forbes.ge/news/1099/abreSumis-gzis-molodinSi
3. რევაზ თოფურია, ახალი აბრეშუმის გზა – ჩინური მითი თუ სამომავლო რეალობა? 14, 10,2015.
4. «The Belt and Road Initiative». HKTDC Research, 21 Jan 2016. http://china-trade-research.hktdc.com/business-news/article/The-Belt-and-Road-Initiative/The-Belt-and-Road-Initiative/obor/en/1/1X000000/1X0A36B7.htm
5. გიული გიგუაშვილი, ახალი აბრეშუმის გზა და საქართველო, “ჩვენი სულიერების ბალავარი“, X საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 18-19 მაისი, 2018, გვ. 186-195.
6. ჯოზეფ ლარსენი, საქართველო-ჩინეთის ურთიერთობები: “სარტყელისა და გზის” გეოპოლიტიკა, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი 2017.
7. აბრეშუმის დიდი გზის" ახალი პროექტი და საქართველოს მნიშვნელობა პეკინის მეგაპროექტში, https://www.kvirispalitra.ge/politic/39236-qabreshumis-didi-gzisq-akhali-proeqti-da-saqarthvelos-mnishvneloba-pekinis-megaproeqtshi.html?device=xhtml, 28-12-2017.
8. ვახტანგ ჭარაია, საქართველოსა და ჩინეთს შორის სავაჭრო და საინვესტიციო ურთიერთობები, https://www.researchgate.net/publication/321945289
9. ჩინეთის რკინიგზის მშენებლობის კორპორაციამ საქართველოს რკინიგზასთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა, http://www.epn.ge/?id=10952, 2015-09-11
10. „ევრონიუსი“: „საქართველო აბრეშუმის გზის სტრატეგიული ნაწილია“, http://www.euronews.com/2017/12/05/georgia-wants-to-become-a-hub-along-the-new-silk-road
11. დათო გოჩავა, რას უნდა მოველოდეთ ფორუმიდან „ერთი სარტყელი და ერთი გზა საერთაშორისო თანამშრომლობისათვის“, 2017-05-08 13:20:35 http://accent.com.ge/ge/news/details/33654
12. «China signs over 130 transport pacts with Belt and Road countries». CGTN, 2017-04-20. https://news.cgtn.com/news/3d4d6a4d31557a4d/share_p.html
13. «China-led investment bank attracts 25 new members». Financial Times, JANUARY 24, 2017. https://www.ft.com/content/671d8ac4-e18a-11e6-8405-9e5580d6e5fb

რეზიუმე

ჩინეთის ლიდერის სი ცზინპინის (Xi Jinping) ინიციატივით 2013 წელს შეიქმნა აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის და 21-ე საუკუნის საზღვაო აბრეშუმის გზის ერთობლივი პროექტი. აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელი მოიცავს ისტორიული აბრეშუმის გზის ქვეყნებს ცენტრალურ აზიაში, დასავლეთ აზიაში, ახლო აღმოსავლეთში და ევროპაში. ინიციატივა მიზნად ისახავს ევრაზიის

კონტინენტზე მდებარე ქვეყნების თანამშრომლობის გაღრმავებას, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას და სავაჭრო ურთიერთობების გაფართოებას. გარდა აბრეშუმის გზის ისტორიული ქვეყნებისა, პროექტი ასევე მოიცავს სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას. ჩინეთი მიიჩნევს, რომ საქართველო ახალი აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყლის პროექტში ერთ-ერთი მთავარი მოთამაშეა. საქართველო არის ერთ-ერთი საუკეთესო ბიზნესგარემოს მქონე ქვეყანა რეგიონში და ის შეიძლება გახდეს რეგიონის ლოჯისტიკური, სავაჭრო და სატრანზიტო ცენტრი. საქართველოს შეუძლია შეასრულოს ერთგვარი ეკონომიკური ჰაბის როლი პროექტში, რადგან მას უკვე აქვს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები როგორც ევროკავშირთან, ისე ჩინეთთან.

NEW SILK ROAD ECONOMIC BELT

Giuli Giguashvili, Professor

RESUME

Chinese leader Xi Jinping in 2013 raised the initiative of jointly building the Silk Road Economic Belt and the 21st-Century Maritime Silk Road. Essentially, the "belt" includes countries situated on the original Silk Road through Central Asia, West Asia, the Middle East, and Europe. The initiative calls for the integration of the region into a cohesive economic area through building infrastructure, increasing cultural exchanges, and broadening trade. Apart from this zone, which is largely analogous to the historical Silk Road, another area that is said to be included in the extension of this 'belt' is South Asia and Southeast Asia. China considers Georgia as one of the key players in the new Silk Road Economic Belt project. Georgia is a country with one of the best business climates, not only in this region but throughout the world, and it can become a logistics and trade and transit hub for this region. Georgia can play the role of an economic hub in project as it already has free trade agreements in place with both the EU as well as China.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დამსაქმებლებს შორის ურთიერთკავშირის აუცილებლობა თანამედროვე ეტაპზე

ლეილა მამულაშვილი, პროფესორი

ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი ამოცანაა საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და საწარმოებს - დამსაქმებლებს შორის მჭიდრო ურთიერთობების ორგანიზება. უნივერსიტეტები, წარმოადგენენ რა ქსელური ურთიერთქმედების ცენტრებს, ყურადღებას უთმობენ შიდა ინტეგრაციის განვითარებას, რომელიც მიზნად ისახავს განათლების ხარისხის გაუმჯობესებას, უწყვეტი სწავლის სისტემის ორგანიზებას და კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულების მომზადებას. დღეისათვის შრომის ბაზარზე არსებული პრობლემების სპექტრი გაფართოვდა და მისმა სტრუქტურულმა ცვლილებებმა, კომპანიების ტექნოლოგიურმა სიახლეებმა, ინოვაციურმა ცვლილებებმა ახალი მოთხოვნები წაუყენა სამუშაო ძალას. გაიზარდა უფსკრული კვალიფიციურ და არაკვალიფიციურ სამუშაო ძალაზე მოთხოვნას შორის.

ასევე მწვავე კონკურენტული ურთიერთობები აიძულებს კომპანიებს შეამცირონ საერთო ხარჯები, რომელიც განათლებაში, ტრეინინგებსა და შრომითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში კაპიტალდაბანდებების ზრდის გზით ხორციელდება. პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ცენტრალური გეგმური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში საწარმოების რესტრუქტურიზაციის შედეგად უმუშევრობა ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემა გახდა. საქართველოს ეკონომიკის სექტორის დინამიურად განვითარებად საწარმოებს მსოფლიო ბაზრებზე გასვლის წარმატებული საქმიანობისათვის სჭირდებათ ინოვაციური ტექნოლოგიური რევოლუცია, ამიტომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ საჭიროა მობილური, კვალიფიციური პროფესიონალების მომზადება საინფორმაციო საზოგადოებაზე გადასვლის პროცესში, რომელიც საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის საკვანძო ამოცანას წარმოადგენს.

აღნიშნული პირობები განსაზღვრავენ ეროვნული პრიორიტეტების ფორმირების აუცილებლობას ინოვაციური განათლების სფეროში მსოფლიო ტენდენციების გათვალისწინებით, რომელიც განსაზღვრავს მომავალი სპეციალისტების პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებას. განათლება განხილულ უნდა იქნას, როგორც ორგანიზებული სოციალიზაციის თანამედროვე საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ქვესისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის მიერ სისტემატიზებული ცოდნის და უნარების მიღების პროცესს, საკუთარ პროფესიულ საქმიანობაში მათი შემდგომი ეფექტური გამოყენებისათვის. დამსაქმებლებისა და სახელმწიფოს მონაწილეობაც გადამწყვეტია სოციალური დიალოგის საკადრო მომსახურების თვალსაზრისით. სოციალური დიალოგის წარმართვისთვის, აუცილებელია მისი ინსტიტუციონალიზაცია და შესაბამისი გარემოს ფორმირება.

სპეციალისტების მომზადების ხარისხის დონე უნივერსიტეტის სტატუსის განმსაზღვრელი ძირითადი მაჩვენებელია, ამიტომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პოზიციონირება საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე დიდადაა დამოკიდებული მისი სოციალური პარტნიორობის ეფექტურობაზე ეკონომიკის რეალური სექტორის საწარმოებთან - მომავალი კურსდამთავრებულების დამსაქმებლებთან. საგანმანათლებლო ორგანიზაციები დაინტერესებულნი არიან ეკონომიკის რეალური სექტორის ორგანიზაციებთან ურთიერთკავშირით, როგორც მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მოსამზადებლად საჭირო აქტუალური ინფორმაციის და დამატებითი არასაბიუჯეტო სახსრების წყაროსთან. ქსელური ურთიერთქმედების ორგანიზება საგანმანათლებლო ინსტიტუტებსა და ეკონომიკის რეალური სექტორის საწარმოებს შორის შესაძლებელს ხდის ინფორმაციული, ტექნოლოგიური ინოვაციური სამეცნიერო რესურსების შევსებას, კვალიფიციური კადრების პროფესიონალური მომზადებისათვის პრინციპულად ახალი ხარისხის მისაღწევად შრომის რეგიონალური ბაზრის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების გათვალისწინებით. საშუალო პროფესიული განათლების სისტემისათვის სამრეწველო საწარმოებთან სოციალური პარტნიორობა წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფუნქციონირების ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ ფორმას.

საწარმოები შეიძლება იყოს არა მხოლოდ საგანმანათლებლო ორგანიზაციების კურსდამთავრებულთა დამკვეთები და მომხმარებლები, არამედ ისინი დაინტერესებულნი უნდა იყვნენ ერთობლივი სამეცნიერო კვლევებით. საწარმოები უნდა გახდნენ დოქტორანტების, მაგისტრანტების კვლევის ობიექტები, რომლებიც განახორციელებენ კვლევას საწარმოებისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე და რეალურ პრაქტიკულ სარგებელსაც მოუტანენ. საგანმანათლებლო ორგანიზაციებისა და დამსაქმებელთა ურთიერთობის პრობლემა, როგორც თანამედროვე ეკონომიკის ისეთი საკითხების, როგორიცაა კვალიფიციური კადრების გამოშვება, დასაქმება და უნივერსიტეტების მიერ დამატებითი ფინანსური სახსრების მოზიდვა აქტუალურს წარმოადგენს მთელი მსოფლიოსათვის. ნორვეგიის, ჩინეთის, გერმანიის, საფრანგეთის, ბრაზილიის, იაპონიის მეცნიერთა სამეცნიერო ნაშრომებზე დაყრდნობით ჩატარებული ანალიზის შედეგად მკაფიოდ განისაზღვრა, რომ აღნიშნული პრობლემის გადაჭრის გზების ძიება საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში წარმოადგენდა მრავალი განვითარებული და განვითარებადი ქვეყნის მეცნიერების კვლევის სფეროს.

უცხოურ პრაქტიკაში გამოიყოფა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ეკონომიკის რეალური სექტორის პარტნიორობის სამი ძირითადი მოდელი.

- სახელმწიფო გეგმავს, ახორციელებს და მართავს პროფესიულ განათლებას (საფრანგეთი, შვედეთი). ამ ტიპის მოდელისათვის პირველ რიგში, დამახასიათებელია პროფესიული განათლების სფეროში სახელმწიფო რეგულირების მაღალი დონე. საფრანგეთში პროფესიული განათლების ხარისხის კონტროლი ხორციელდება ძირითადად სახელმწიფო ორგანოების მიერ, მაგრამ სოციალური პარტნიორები მონაწილეობას იღებენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამმხრივი საკონსულტაციო ორგანოების მეშვეობით. შვედეთს ახასიათებს შრომითი რესურსების აქტიური მხარდაჭერის პოლიტიკა, რომელიც კურსდამთავრებულთა გეოგრაფიული მობილობის უზრუნველყოფაში, მონაცემთა ბაზის შექმნასა და კერძო კომპანიებში ახალგაზრდების სამუშაოების დაფინანსებაში გამოიხატება.

- პროფესიული განათლებისა და სწავლების განხორციელებაში სახელმწიფო კერძო საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის ურთიერთობისას ახდენს საერთო ჩარჩოს განაწილებას. ასეთი მოდელი დამახასიათებელია გერმანიის, ნიდერლანდების და დანიისათვის. საგანმანათლებლო რესურსების კონცენტრაცია და ინტეგრაცია დამახასიათებელია გერმანიისთვის. მრავალი პროგრამა შემუშავდა კურსდამთავრებულთა წარმატებული დასაქმების პრობლემის მოსაგვარებლად. ნიდერლანდებში ჩამოყალიბდა არასახელმწიფო ეროვნული საბჭოები პროფესიული პროფილებისათვის. მათი მიზანია

პროფესიული მომზადების ხარისხის და დამსაქმებელთა მოთხოვნების ურთიერთშესაბამისობის გაზრდა. სოციალურ პარტნიორებთან ერთად ეროვნული საბჭოები განსაზღვრავენ კურსდამთავრებულებისათვის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისობას სასწავლო პროგრამის შინაარსთან.

- სახელმწიფოს როლი უმნიშვნელოა დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში. ამერიკის შეერთებულ შტატებში საგანმანათლებლო ბაზრისა და საწარმოების ურთიერთკავშირის თავისებურება გამოიხატება ერთი მხრივ, საგანმანათლებლო სივრცის ფორმირებისას ბიზნესის სექტორის მიერ დაგროვილი პრაქტიკული ცოდნის მნიშვნელობაში, ხოლო მეორე მხრივ, უნივერსიტეტში სწავლების მაღალი ხარისხის გარეშე წარმატებული კარიერის შეუძლებლობაში. უმაღლესი პროფესიული განათლების დაწესებულებები უმეტესად დამოუკიდებელია სახელმწიფოსაგან როგორც დაფინანსების წყაროების, ასევე საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების თვალსაზრისით. ინგლისში, უმაღლესი პროფესიული განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკა ხშირ შემთხვევაში რეგიონალურ დონეზე განისაზღვრება და ძირითად როლს მომავალ კურსდამთავრებულთა დამსაქმებლები ასრულებენ. დამსაქმებელთა მონაწილეობა მიმართულია სამუშაო ადგილების მოთხოვნის ფორმალიზებასთან, კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის და პროფილური საგანმანათლებლო სტრუქტურების განვითარებასთან.

უცხოური ქვეყნებისგან განსხვავებით, რომელთაც მიღწეული აქვთ გარკვეული წარმატებები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დამსაქმებლებს შორის ურთიერთკავშირში, საქართველოში ჯერ კიდევ არსებობს გარკვეული პრობლემები აღნიშნულ საკითხში. საქართველოში ეფექტური ურთიერთკავშირის გზები ამ ორ სფეროს - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს და საწარმოებს შორის ჯერ კიდევ არაა სრულად განსაზღვრული.

თანამედროვე ეტაპზე გავრცელებულია ორგანიზაციების ხელმძღვანელების საკმაოდ ცივი ურთიერთობა ინტელექტუალურ მოდელებთან. ამიტომ მათი დანერგვისათვის აუცილებელია კონკრეტული ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს დადებით ურთიერთკავშირს პრაქტიკაში. ასეთ კავშირში საკმაოდ მნიშვნელოვანია უმაღლესი დაწესებულების მონაწილეობის მოქმედი მოდელის ფორმირების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკის ინოვაციურად მდგრად განვითარებას. საგანმანათლებლო დონის ზრდამ გამოიწვია რიგი ცვლილებები ხელისუფლებასა და დამსაქმებლების ურთიერთობებში. ერთ-ერთი ასეთი ცვლილება იყო დასაქმებულებში "სოციალური მოთხოვნების ზღვარის" დადგენა, რომელიც გამოწვეულია ეკონომიკური ფაქტორებით. კომპიუტერული ტექნიკის განვითარებამ და მაღალავტომატურმა სამუშაო სისტემებმა შეამცირა გარკვეული კატეგორიის თანამშრომლებზე მოთხოვნა. ისეთი გლობალური პროცესები, როგორიცაა კაპიტალისა და სამუშაო ძალის გადინება, დიდ გავლენას ახდენს დასაქმების პირობებზე და შრომით ურთიერთობების ფორმირებაზე.

უნივერსიტეტებისა და ეკონომიკის რეალური სექტორს შორის პარტნიორობის კიდევ ერთ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს ზოგიერთი საგანმანათლებლო დაწესებულებების მხრიდან შრომითი ბაზრის ანალიზის ეფექტური სისტემის არარსებობა, რაც სერიოზული დაბრკოლებაა კვალიფიციური სპეციალისტების ჩამოყალიბების პროცესში. მაგრამ ეს არ არის მხოლოდ ერთადერთი პრობლემა, რომელიც უნდა გადაწყდეს დაინტერესებული მხარეების მხრიდან საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების და კვალიფიციური კადრების ფორმირების პროცესში.

ერთობლივი საგანმანათლებლო საქმიანობის ორიენტაციისას ეკონომიკის რეალურ სექტორზე აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი საკითხები:

ა) უნივერსიტეტები უზრუნველყოფილი უნდა იყოს თანამედროვე ინფრასტრუქტურით. ის არ უნდა იქცეს მცირე საწარმოდ, რომელიც იმუშავებს მხოლოდ ეკონომიკის ცალკეული სექტორების საჭიროებებზე. მიუხედავად ამისა, მცირე ბიზნესი და ბიზნესი მთლიანად, ინფორმაციის გამოყენების საგანმანათლებლო სისტემა, კვლევითი ლაბორატორიები, ხდიან მათ ეფექტურს, როგორც ეკონომიკის, ასევე უმაღლესი დაწესებულების მხრიდან.

ბ) საინფორმაციო, ინოვაციური, ტექნოლოგიური რესურსების ხელმისაწვდომობა, რომელიც ემყარება უნივერსიტეტებსა და სამრეწველო საწარმოებს შორის სოციალურ პარტნიორობას.

გ) სისტემატური მუშაობა სოციალურ პარტნიორებთან კავშირების მოძიებისათვის როგორც უნივერსიტეტებში, ასევე საწარმოების შიგნით. ერთობლივი სამეცნიერო კვლევები, სპეციალისტების მიზნობრივი მომზადება ხელს შეუწყობს აღნიშნულ სექტორებს შორის ურთიერთკავშირის გაუმჯობესებას.

სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ეკონომიკის რეალურ სექტორთან ერთობლივი საქმიანობის ნებისმიერი მმართველობითი და ფინანსური სტიმულირება დადებით ფაქტორს წარმოადგენს ორივე მხარისათვის, რადგან ინტელექტუალური რესურსების გაერთიანება ზრდის მათი საქმიანობის ეფექტურობას.

ლიტერატურა:

1. ანთაძე ც., უთანასწორობა შრომის სფეროში (საქართველო). ნაშრომში "გლობალიზაციის ახალი გამოწვევები მემარცხენეობისთვის: ზოგადი ტენდენციები და საქართველო", თბ., 2007.
2. ბალცეროვიჩი ლ., "თავისუფლება და ეკონომიკა. თავისუფალი ბაზრის ეკონომიკა", თბ., 2004.
3. დათუნაშვილი ლ., დასაქმების პრობლემა საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში, ნაშრომში "საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში", სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. 4, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი, მეცნიერება, თბ., 2004.
4. საქართველოში სამუშაო ძალაზე დამსაქმებელთა მოთხოვნა, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, 2007.
5. თორია მ., შრომის ბაზარი: დასაქმება და უმუშევრობა (თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები), თბილისი, "უნივერსალი", 2007.

ინტერნეტ-რესურსები:

1.https://sangu.ge/images/elmeladze.pdf
2. usgeorgia.edu.ge/wp-content/uploads/2018/05/ივერონი_N10_2018.pdf
3. http://stroymnogo.com/science/economy/aktualnye-problemy-vzaimodeystviya-/

რეზიუმე

ნაშრომში მოცემულია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დამსაქმებლებს შორის ურთიერთკავშირის აუცილებლობა თანამედროვე ეტაპზე. ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი ამოცანაა საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და საწარმოებს - დამსაქმებლებს შორის მჭიდრო ურთიერთობების ორგანიზება. უნივერსიტეტები, წარმოადგენენ რა ქსელური ურთიერთქმედების ცენტრებს, ღია სისტემებია, რომლებიც ყურადღებას უთმობენ შიდა ინტეგრაციის განვითარებას, რომელიც მიზნად ისახავს განათლების ხარისხის გაუმჯობესებას, უწყვეტი სწავლის სისტემის ორგანიზებას და კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულების მომზადებას.

NECESSITY OF INTERRELATION BETWEEN HIGHER EDUCATIONAL INSTITUTIONS AND EMPLOYERS AT THE PRESENT STAGE

Leila Mamulashvili, Professor

RESUME

You are about to re-enter your email address and try again. One of the most important tasks of economic development is the organization of close relations between educational institutions and employers. Universities are network centers that are open systems that pay attention to the development of internal integration aimed at improving the quality of education, the organization of a continuous system of education and the preparation of competent and competitive graduates.

ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების თავისებურებები ბიზნესში

თამარ ნადირაძე, მოწვეული სპეციალისტი

თანამედროვე სამყაროში, ტექნოლოგიების განვითარების პარალელურად, ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციის როლი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი. განვითარებულ ქვეყნებში ბიზნესი სულ უფრო მეტ დროს უთმობს მარკეტინგული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით შემოსავლების გაზრდას და ამასთანავე კომპანიის იმიჯისა და რეპუტაციის შენარჩუნებას.

ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაცია ქართულ რეალობაში თითქმის არ არის გამოკვლეული. ამდენად, ძალიან მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით მუშაობის დაწყება. დღეისთვის მარკეტინგის სპეციალისტები თანხმდებიან, რომ ბრენდის წარმატება მეტწილად არის დამოკიდებული ინტეგრირებულ მარკეტინგულ კომუნიკაციაზე. მარკეტინგული კომუნიკაციის მიზანი უნდა იყოს გასაგები, იგულისხმება ძლიერი შეტყობინების გაგზავნა სწორ დროსა და ადგილას, სწორი აუდიტორიის მისამართით.

ინტეგრირებულ მარკეტინგულ კომუნიკაციას, როგორც ტერმინს, ხშირად მიმართავენ პოლიტიკოსები, ჟურნალისტები, არასამთავრობო თუ სამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, სტუდენტები, ბიზნესმენები, რიგითი ადამიანებიც კი. აკრონიმი IMC (Integrated Marketing Communications) ხშირად გამოიყენება უცხოურ პროფესიულ ლიტერატურაში, თუმცა ქართულ ენაზე გამოცემულ შესაბამის ლიტერატურაში მისი გამოყენება ნაკლებად შეინიშნება.

თანამედროვე მარკეტინგი გულისხმობს გაცილებით მეტს, ვიდრე უბრალოდ პროდუქტის შექმნას და მიზნობრივი მომხმარებლის მოპოვებას. თანამედროვე მარკეტინგისთვის მნიშვნელოვანი ამოცანაა ბრენდსა და მომხმარებელს შორის ემოციური კავშირებისა და დამოკიდებულებების შექმნა და მათი შენარჩუნების სტიმულირება.

მარკეტინგული კონცეფცია არის მარკეტინგული მართვის იდეოლოგია, რომლის მიხედვითაც ორგანიზაციის მიზნის მიღწევა დამოკიდებულია მიზნობრივი ბაზრების საჭიროებებისა და სურვილების განსაზღვრაზე. თუ პროდუქტის სრულყოფის კონცეფციას საფუძვლად უდევს იდეოლოგია „გააკეთე და გაყიდე“, მარკეტინგული კონცეფცია ემყარება იდეოლოგიას „შეიგრძენი და უპასუხე“.

ხშირად გვხვდება კომუნიკაციის პრობლემა საერთაშორისო მარკეტინგში. კომუნიკაცია არის მთავარი პრობლემა იმ კომპანიებისთვის, რომლებსაც თავიანთი პროდუქტი ან მომსახურება საზღვარგარეთის ბაზრებზე გააქვთ. ეფექტიანი კომუნიკაციისთვის მთავარი ბარიერი არის ენა, რადგან ერთი ქვეყნის ფარგლებში შეიძლება არსებობდეს სხვადასხვა ენა და დიალექტი, ისევე, როგორც ლინგვისტურ ნიუანსებთან და ყოველდღიურ ენასთან დაკავშირებული ფაქიზი პრობლემები.

მარკეტინგული კომუნიკაცია განვითარების სხვადასხვა ეტაპზე დგას განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში. ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციის არსის შესახებ დასკვნის სახით შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი:

- დღეისთვის მსოფლიო ბაზარზე ლიდერობენ ის კომპანიები, რომლებსაც ძლიერი, თანამედროვე და ინოვაციური მარკეტინგული კომუნიკაცია აქვს;
- ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაცია ზრუნავს კომპანიისა და მომხმარებლის ჯანსაღ კავშირებზე;
- მარკეტინგი არის „ცოცხალი ორგანიზმი“, რომელიც მუდმივად ვითარდება და სწორი მარკეტინგული კომუნიკაციის დახმარებით ქმნის ახალ შესაძლებლობებს;
- ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაცია არის იმ საწარმოო და გასაღების ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს პროდუქციის მაღალეფექტიან რეალიზაციასა და მოგების ზრდას.
- მარკეტინგული კომუნიკაციისადმი ყველა ენაზე საერთო მიდგომა არსებობს, ამასთან, მისი რეალიზაციის პრაქტიკა სხვადასხვა ერებში, ხალხებსა თუ ტერიტორიებზე განსხვავებულია.

დღეისთვის კიდევ უფრო თვალსაჩინოდ იკვეთება ტენდენცია, რომ კომპანიები დაინტერესდნენ მარკეტინგული კომუნიკაციის ინტეგრირებით და არ სჯერდებიან მხოლოდ მედიაში რეკლამის განთავსებას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციის საშუალებები, მათი განვითარების ეტაპები და ერთმანეთთან ურთიერთობის სპეციფიკა მუდმივად წარმოადგენს მარკეტოლოგთა დაკვირვების საგანს. რაც შეეხება პოსტსაბჭოთა ქვეყნებს, მარკეტინგული კომუნიკაციის,

როგორც ახალი სფეროს, განვითარება 1990-იანი წლებიდან დაიწყო და მისი პირველი ნიშნები იყო საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების ჩამოყალიბების პროცესი.

1993 წელს შეიქმნა ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების მოდელი (IMC –Integrated Marketing Communications). რატომ გახდა საჭირო ჩვეულებრივი მარკეტინგული კომუნიკაციებიდან ინტეგრირებულზე გადასვლა?

ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები, შეიძლება აღვიქვათ, როგორც სინქრონიზებული კომუნიკაცია, ეს არის ყველა მარკეტინგული კომუნიკაციის ერთობლივად გამოყენების კონცეპცია. მისი მიზანია კომპანიის სამიზნე/არსებულ აუდიტორიასთან სასურველი ორმხვრივი კომუნიკაციის დამყარება. აღსანიშნავია ის, რომ ამ IMC-ში ყველა კომუნიკაცია ავსებს ერთმანეთს, იქმნება სინერგიის ეფექტი, რომელიც გვაძლევს ეფექტიანობის მიღწევის შესაძლებლობას, რაც, სხვადასხვა მარკეტინგული კომუნიკაციის ცალ-ცალკე გამოყენებისას, ცოტა ძნელია.

ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციის კლასიკური განმარტება წარმოდგენილია ფილიპ კოტლერის „მარკეტინგის საფუძვლების“ მეშვიდე გამოცემაში, რომლის თანახმად, „ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაცია წარმოადგენს რეკლამირების, გაყიდვის სტიმულირების, საზოგადოებრივი ურთიერთობების, პერსონალური გაყიდვებისა და პირდაპირი მარკეტინგის მეთოდების ერთობლიობას, რომელსაც კომპანია იყენებს თავისი სარეკლამო და მარკეტინგული მიზნების განსახორციელებლად“.

ბიზნესში რეკლამის წარმოშობას რთული ისტორიული საფუძვლები აქვს. იგი, უდავოდ, დაკავშირებულია შრომის საზოგადოებრივ დანაწილებასთან, რამაც თავისთავად შექმნა პროდუქციის ნამატის მიღების შესაძლებლობა, რაც დაკავშირებული იყო მიღება-გაცვლის პრობლემასთან. თანამედროვე სარეკლამო საქმიანობაში რეკლამის სახეები და საშუალებები შემდეგნაირად კლასიფიცირდება: პირდაპირი რეკლამა, რეკლამა პრესაში, ბეჭდვითი რეკლამა, რადიო და საეკრანო რეკლამა, გარე რეკლამა, რეკლამა ტრანსპორტზე, რეკლამა გაყიდვების ადგილებზე, სარეკლამო სუვენირები. საქართველოში, ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში, რეკლამის გავრცელებისთვის გამოყენებული ძირითადი არხებია: ტელევიზია, გაზეთები, ჟურნალები, რადიო, ფოსტა, გარე რეკლამის საშუალებები, ინტერნეტი.

ზოგიერთი სამართლებრივი მოთხოვნები რეკლამის მიმართ:

- რეკლამა მისი წარდგენის მომენტშივე გასაგები უნდა იყოს სპეციალური ცოდნისა და ტექნიკური საშუალებების გამოუყენებლად, როგორც უშუალოდ რეკლამა.
- საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აბრაზე წარწერა შესრულებული უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე, ხოლო სურვილის შემთხვევაში იგი შეიძლება შესრულდეს აგრეთვე უცხოურ ენაზე. უცხოურენოვანი წარწერა ზომით არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ წარწერას.
- დაუშვებელია იმ საქონლის რეკლამირება, რომლის წარმოება და რეალიზაციაც აკრძალულია საქართველოს კანონმდებლობით ან საჭიროებს სპეციალურ ნებართვას (ლიცენზიას), მაგრამ ასეთი ნებართვა არ არის მიღებული; აგრეთვე იმ ეკონომიკური აგენტის რეკლამირება, რომლის საქმიანობაც საჭიროებს სპეციალურ ნებართვას (ლიცენზიას), მაგრამ ასეთი ნებართვა არ არის მიღებული.
- იმ საქონლის რეკლამას, რომლის სერტიფიცირებაც აუცილებელია, უნდა ახლდეს აღნიშვნა „სერტიფიცირებულია“.
- უცხო ქვეყნიდან საქართველოში გავრცელებული (ტრანსლირებული) რეკლამა, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას რეკლამის შესახებ, უნდა აღიკვეთოს საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად.
- აკრძალულია საბრძოლო იარაღის რეკლამის გავრცელება. ყველა სხვა სახის, მათ შორის, სანადირო, სპორტული იარაღის რეკლამის გავრცელება შეიძლება სპეციალური ნებართვის საფუძველზე, რომელსაც გასცემს საქართველოს შინაგან საქმეთა შესაბამისი ორგანო.

გაყიდვების სტიმულირება გულისხმობს მომხმარებლის მოზიდვას უმნიშვნელო ფასდაკლებებით, საჩუქრებითა და დაგროვებითი ბარათებით. ისინი იქცევენ პოტენციური მომხმარებლის ყურადღებას და გაყიდვების მაჩვენებელის გაზრდის მიზნით, ქმნიან სხვადასხვა სახის სტიმულებს. გაყიდვების სტიმულირება მოკლევადიანი აქტივობაა და მას დღეს საქართველოშიც აქტიურად იყენებენ.

საქართველოში გაყიდვების სტიმულირებისთვის ყველაზე ხშირად გამოიყენება SMS რეკლამა. დღის განმავლობაში ხშირად რამდენიმე სარეკლამო შეტყობინებით ისეთი კომპანიების პროდუქციას თუ მომსახურებას გთავაზობენ, რომელთა შესახებაც არაფერი გსმენიათ. სტიმულირების ეს ტიპი არღვევს ადამიანების პირადი ცხოვრების უფლებას და საფრთხეს უქმნის მოქალაქეების პერსონალურ მონაცემთა დაცულობას.

მარკეტინგის, როგორც მეცნიერებისა და ხელოვნების პოპულარობა ყოველწლიურად იზრდება. ამჟამად მარკეტინგი ერთ-ერთი აუცილებელი დისციპლინაა საბაზრო ეკონომიკის პირობებში. ეს განპირობებულია იმით, რომ ნებისმიერი საწარმო (ფირმა) გლობალიზაციის დროს წარმატებულად ვერ იფუნქციონირებს ბაზარზე თანამედროვე მარკეტინგის გამოყენებისა და შესაბამისი სპეციალისტების ეფექტიანი საქმიანობის გარეშე.

მარკეტინგის მენეჯმენტი მოიაზრება როგორც XXI საუკუნის მარკეტინგი, რომელიც ახალი ეკონომიკის მოთხოვნილებითაა განპირობებული. ახალი ეკონომიკა ემყარება ელექტრონულ რევოლუციას და მომხმარებლების, საქონლის, ფასების, კონკურენტებისა და მარკეტინგული გარემოს ყველა ასპექტის შესახებ ინფორმაციის მართვას. საწარმოები (ფირმები), რომლებიც იყენებენ ახალ ტექნოლოგიებს, აღწევენ დიდ წარმატებას კონკურენტ ფირმებთან შედარებით, რაც ახალი ტექნოლოგიების გამოყენებასთან ერთად გამოიწვია მარკეტინგის ისეთმა ახალმა კონცეფციებმა, როგორიცაა მომხმარებელზე ორიენტაცია, მომხმარებლებისათვის სასურველი ფასეულობის შექმნა, მომსახურების ხარისხისა და გაცვლის ეფექტიანი მექანიზმი, მომხმარებლებთან ურთიერთობა მენეჯმენტში.

კომპანიები კლიენტებთან და მარკეტინგულ პარტნიორებთან უკვე გლობალურად არიან დაკავშირებული. ამერიკული კომპანიებისთვის ერთგვარი გამოწვევა იყო მათ ბაზარზე ევროპელი და აზიელი კონკურენტების გამოჩენა. ისეთი კომპანიები, როგორიცაა: ტოიოტა (Toyota), ნოკია (Nokia), ნესტლე (Nestle), სამსუნგი (Samsung), ამერიკის ბაზარზე თავიანთ ამერიკელ კონკურენტებს ხშირად ჯაბნიან. თავის მხრივ, ამერიკულმა კომპანიებმა ფართო ასპარეზი იპოვეს საზღვარგარეთის ბაზრებზე და განავითარეს ჭეშმარიტად გლობალური ოპერაციები მთელ მსოფლიოში. მაგალითად: მაკდონალდსის 32,000-ზე მეტი რესტორანი ამჟამად დღეში 60 მილიონ კლიენტს ემსახურება მსოფლიოს 100 ქვეყანაში. მისი კორპორაციული შემოსავლების 65% აშშ-ის გარედან შემოდის. მის მსგავსად, „ნაიკი“ თავის პროდუქციას ყიდის 180-ზე მეტ ქვეყანაში და მისი გაყიდვები აშშ-ს გარეთ 66% შეადგენს.

მარკეტინგული ინვესტიციებიდან მიღებული ამონაგების გაზომვა შეიძლება ძნელი საქმე აღმოჩნდეს. ფინანსური ინვესტიციებიდან მიღებული ამონაგების დათვლის შემთხვევაში მიღებული მოგებაც და გაწეული ხარჯებიც ფულად ერთეულშია დაფიქსირებული. კომპანიას მარკეტინგული ინვესტიციებიდან მიღებული ამონაგები შეუძლია შეაფასოს სტანდარტული მარკეტინგული აქტივობის შემდეგი საზომებით: ბრენდის ცნობადობით, გაყიდვებით და საბაზრო წილით. მარკეტინგული ინვესტიციებიდან მიღებული ამონაგები გამოითვლება მარკეტინგული ინვესტიციებიდან მიღებული წმინდა მოგების გაყოფით მარკეტინგულ ინვესტიციებში გაწეულ ხარჯებზე. იგი ზომავს მარკეტინგულ აქტივობებში განხორციელებული ინვესტიციებიდან შემოსულ მოგებას.

თუმცა, მარკეტინგული საქმიანობის შეფასების სტანდარტული საზომის გარდა, მარკეტოლოგები იყენებენ მყიდველზე ორიენტირებულ საზომებს, როგორიცაა: მყიდველის მოზიდვის დონე, მყიდველების შენარჩუნების დონე, მყიდველის მიერ ცხოვრების მანძილზე შენაძენების ფასეულობების დონე და მყიდველთა კაპიტალი.

დღესდღეობით დიდი აქტუალურობით გამოირჩევა ბენჩმარკინგი. თანამედროვე ბენჩმარკინგი განიხილება როგორც „უპირატესობათა შედარებითი ანალიზი“ შერჩეული მაჩვენებლების შეპირისპირების საფუძველზე. ბენჩმარკინგს გააჩნია ბევრი მიმართულება, რომლებიც დაკავშირებულია ფირმაში სხვადასხვა მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებასთან. მან განვითარების რამდენიმე სტადია გაიარა და დამკვიდრდა მარკეტინგულ კვლევათა დამოუკიდებელ სახედ. ეს სტადიებია:

- პროდუქციის რეტროსპექტიული ანალიზი;
- საწარმოს კონკურენტუნარიანობის გზების გამოკვლევა თავის დარგში;
- საწარმოს უპირატესობის გამოკვლევა ანალოგიურ ფუნქციურ პროცესებში თავის დარგის გარეთ;
- ფირმის სტრატეგიული ალტერნატივების შეფასება ბაზრის ლიდერი კომპანიების გამოცდილების გათვალისწინებით;
- სტრატეგიულ გადაწყვეტილებათა შესწავლა სხვადასხვა ეროვნულ კულტურულ გარემოში.

ონლაინმარკეტინგი დღესდღეობით მარკეტინგის ყველაზე სწრაფად მზარდი ფორმაა. ძნელია მოძებნო კომპანია, რომელიც არ იყენებს ინტერნეტს. არაერთი ტრადიციული წამყვანი კომპანია უკვე ონლაინკომპანიად გარდაიქმნა, რათა ახალი კლიენტები მოიზიდოს და არსებულ მომხმარებლებთან კიდევ უფრო მჭიდრო ურთიერთობა დაამყაროს. ამერიკელი ინტერნეტმომხმარებლების 75% ინტერნეტს იყენებს ონლაინშესყიდვებისთვის.

ამგვარად, ტექნოლოგიების ეს ბუმი მარკეტოლოგებს ფართო შესაძლებლობათა კარს უღებს. თითქმის ყველა საწარმოსა და ბიზნესს გააჩნია ონლაინმაღაზია.

მარკეტინგი გახდა აქტუალური ყველასათვის, მიუხედავად მისი საქმისა (ობიექტისა): საქონელი, მომსახურება, ქონება, ადამიანები, ადგილები, მოვლენები, ინფორმაცია, იდეები და ორგანიზაცია.

ახალმა ეკონომიკამ მთელი რიგი ახალი შესაძლებლობები შეუქმნა მომხმარებლებს:

- მყიდველობითი უნარიანობის არსებითი ზრდა;
- საქონლისა და მრავალფეროვანი მომსახურების არჩევანის გადიდება;
- ინფორმაციის უაღრესად დიდი მოცულობა;
- შეკვეთების განთავსებისა და შესრულების სისტემის გამარტივება.

ახალმა ეკონომიკამ ახალი შესაძლებლობები მოუტანა ფირმებსაც:

- ინფორმაციისა და საქონლის წინ წაწევის ახალი მძლავრი არხები უზარმაზარი გეოგრაფიული რეგიონებით;
- ფირმებს შეუძლიათ შეაგროვონ უფრო სრული და მდიდარი ინფორმაცია ბაზრების, მომხმარებლების (კლიენტების), პერსპექტივებისა და კონკურენტების შესახებ;
- ფირმები იყენებენ შიდა ქსელებს (ინტერნეტს), რომლებიც ამარტივებენ და აჩქარებენ საშინაო კომუნიკაციებს.

მსოფლიო ეკონომიკის რეფორმირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მრავალი ძალა, რომელთა შორის გამოირჩევა ტექნოლოგია, გლობალიზაცია, ბაზრის გონივრული რეგულირება. ამასთან დაკავშირებით გამოიყოფა 4 მამოძრავებელი ძალა:

1) ციფრული ტექნოლოგიების გავრცელება და შეერთებათა შესაძლებლობა
2) შუამავლების შეცვლა ახალი ტიპების შუამავლებით
3) კასტომიზაცია და კასტომერიზაცია
4) დარგობრივი კონვერგენცია

კასტომიზაციის დროს ფირმას შეუძლია თითოეული მომხმარებლისთვის უზრუნველყოს მისთვის სპეციალურად ადაპტირებული პროდუქცია, მომსახურება, ფასები და მიწოდების არხები. ფუნქციური კასტომიზაციისა და მარკეტინგის კასტომიზაციის შეხამებას წარმოადგენს კასტომერიზაცია. ფირმები, რომლებიც ე.წ დარგობრივ კონვერგენციულ სფეროს განეკუთვნებიან, ორი ან მეტი დარგების გადაკვეთის შედეგია, რაც ქმნის ახალ შესაძლებლობას.

საქართველოში, განვითარებადი ქვეყნების მსგავსად, ცვალებადი გარემოა და ცვლილებების პროცესს პროფესიონალური მიდგომა სჭირდება, რათა ის უმტკივნეულოდ და ეფექტურად განხორციელდეს, მაქსიმალურად სწრაფად მოერგოს თანამედროვე საზოგადოების მოთხოვნებს და გააგრძელოს განვითარება.

მარკეტინგი საქართველოში 20 წელია, რაც აქტიურად ვითარდება. ამიტომ ჩვენს ქვეყანაში მარკეტინგის ფილოსოფია და ტექნოლოგია შესწავლისა და დამკვიდრების პროცესშია, მაგრამ სულ უფრო გასაგები ხდება კლასიკური მარკეტინგის დებულებებისა და მისი განვითარების თანამედროვე ტენდენციების გამოყენების აუცილებლობა ჩვენს ქვეყანაში საბაზრო ურთიერთობათა განვითარების სპეციფიკური თავისებურებების გათვალისწინებით. სასურველი იქნება, რომ შეიქმნას მარკეტინგის ქართული ასოციაცია, რაც ხელს შეუწყობს ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების განვითარებას ბიზნესში.

ლიტერატურა:

1) ფილიპ კოტლერი, გარი არმსტრონგი, მარკეტინგის საფუძვლები, მე-14 გამოცემა, თბილისი, 2015.
2) მანანა ნანიტაშვილი, გიორგი შუბლაძე, მარკეტინგის მენეჯმენტი, თბილისი, 2014.
3) გულნაზ ერქომაიშვილი, ბიზნესის ფუნქციონირების ძირითადი ასპექტები, თბილისი, 2007.
4) ბაბულია მღებრიშვილი, ნუგზარ თოდუა, მარკეტინგის საფუძვლები, 2009.

ინტერნეტ რესურსები:

1) http://multimediamarketing.com
2) https://matsne.gov.ge

რეზიუმე

მარკეტინგის, როგორც მეცნიერებისა და ხელოვნების პოპულარობა ყოველწლიურად იზრდება. ამჟამად მარკეტინგი ერთ-ერთი აუცილებელი დისციპლინაა საბაზრო ეკონომიკის პირობებში. ფირმის (კომპანიის) ფინანსური წარმატება ხშირად დამოკიდებულია მის მარკეტინგულ საქმიანობაზე. მარკეტინგის მენეჯმენტი მოიაზრება როგორც XXI საუკუნის მარკეტინგი, რომელიც ახალი ეკონომიკის მოთხოვნილებითაა განპირობებული. ახალი ეკონომიკა ემყარება ელექტრონულ რევოლუციას და მომხმარებლების, საქონლის, ფასების, კონკურენტებისა და მარკეტინგული გარემოს ყველა ასპექტის შესახებ ინფორმაციის მართვას.

საწარმოები (ფირმები), რომლებიც იყენებენ ახალ ტექნოლოგიებს, აღწევენ დიდ წარმატებას კონკურენტ ფირმებთან შედარებით, რაც ახალი ტექნოლოგიების გამოყენებასთან ერთად გამოიწვია მარკეტინგის ისეთმა ახალმა კონცეფციებმა, როგორიცაა მომხმარებლებზე ორიენტაცია, მომხმარებლებისათვის სასურველი ფასეულობების შექმნა, მომსახურების ხარისხისა და გაცვლის ეფექტიანი მექანიზმი.

ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები, შეიძლება აღვიქვათ, როგორც სინქრონიზებული კომუნიკაცია, ეს არის ყველა მარკეტინგული კომუნიკაციის ერთობლივად გამოყენების კონცეფცია.

თანამედროვე სამყაროში, ტექნოლოგიების განვითარების პარალელურად, ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციის როლი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი. განვითარებულ ქვეყნებში ბიზნესი სულ უფრო მეტ დროს უთმობს მარკეტინგული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით შემოსავლების გაზრდას და ამასთანავე კომპანიის იმიჯისა და რეპუტაციის შენარჩუნებას.

თანამედროვე ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაცია გულისხმობს გაცილებით მეტს, ვიდრე უბრალოდ პროდუქტის შექმნას და მიზნობრივი მომხმარებლის მოპოვებას. თანამედროვე ინტეგრირებული მარკეტინგისთვის მნიშვნელოვანი ამოცანაა ბრენდსა და მომხმარებელს შორის ემოციური კავშირებისა და დამოკიდებულებების შექმნა და მათი შენარჩუნების სტიმულირება.

PECULIARITIES OF INTEGRATED MARKETING COMMUNICATIONS IN BUSINESS

Tamar Nadiradze, Invited Specialist

RESUME

Marketing communications uses different marketing channels and tools in combination: Marketing communication channels focuses on any way a business communicates a message to its desired market, or the market in general. A marketing communication tool can be anything from: advertising, personal selling, direct marketing, sponsorship, communication, promotion and public relations.

Marketing communications includes advertising, promotions, sales, branding and online promotion. The process allows the public businesses use to know or understand a brand. Successful branding involves targeting audiences who appreciate the organization's marketing program.

The marketing plan identifies key opportunities and threats, set objectives and develops an action plan to achieve marketing goals. Each section of the 4P's sets its own object; for instance, the pricing objective might be to increase sales in a certain geographical market by pricing their own product or service lower than their competitors. This creates a significant change in the market because more people of the target market would aim to do business with your organization than your competitors, because pricing is one of the most significant aspects of marketing that can change the whole market positively and or negatively.

Communication is one important aspect of the marketing mix. Marketing communication is often the largest component of communication within a company, which may be to present company values, objectives or specific products and services to investors, customers or the general public. In the 21st century, communications objectives focus on more customized messages, targeting customer groups or individuals to create high responses and greater brand interaction.

As business becomes increasingly global with greater access to Internet, mobile phones and social media, new challenges exist to inform people in targeted foreign markets. Shifts in the global economy and access to new markets lead also to greater demands for product shipping and associated services. To be effective, communication strategies must converge with marketing objectives while also accounting for local languages, dialects and cultural norms.

ეკონომიკური თავისუფლება და კონკურენციის პოლიტიკა საქართველოში

ნანა ნადირაძე, მოწვეული სპეციალისტი

კონკურენცია საბაზრო ურთიერთობათა უცილობელი კომპონენტია და გულისხმობს ეკონომიკურ აგენტთა შორის მეტოქეობას საქონლის [მომსახურების] წარმოებისა და რეალიზაციის უფრო უკეთესი პირობების უზრუნველსაყოფად. საბაზრო ეკონომიკა ისევე წარმოუდგენელია კონკურენციის გარეშე, როგორც კონკურენცია - საბაზრო ურთიერთობათა გარეშე. მეტოქეობაში გამარჯვებულს გარანტირებული აქვს მტკიცე პოზიციები და მაქსიმალური მოგება, მაგრამ კონკურენციაში გამარჯვება იოლი როდია. ეს მხოლოდ იმ მცირერიცხოვანთა ხვედრია, ვინც საბაზრო ურთიერთობათა „თამაშის წესების“ დაცვით შეძლებს თავისი ნაწარმისთვის ეკონომიკური უპირატესობების მინიჭებას და მომხმარებლის დაინტერესება-მოზიდვას. კონკურენციის ფენომენი კარგა ხანია გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს და მან გლობალური მასშტაბები შეიძინა. დღეისთვის კონკურენტუნარიანობა, როგორც განვითარების ერთ-ერთი უპირველესი ინდიკატორი, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს თითოეული ქვეყნის ადგილსა და როლს შრომის საერთაშორისო დანაწილებაში.[1]

საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან დღემდე ყოველთვის იყო მცდელობა ისეთი სამართლებრივი და მარეგულირებელი მექანიზმების შექმნისა, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ კონკურენციის განვითარებას და არ დაუშვებდნენ ბაზარზე მონოპოლიების წარმოქმნას. მრავალი კანონი და კანონქვემდებარე აქტი იქნა შემუშავებული, რომლებსაც უნდა უზრუნველეყო სხვადასხვა ეკონომიკური აგენტების მხრიდან ბაზარზე დომინანტური პოზიციების მოპოვების პროცესის ანალიზი, დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აღკვეთა, ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვის მცდელობების გამოვლენა და სამართლიანი კონკურენტული თამაშის წესების დამკვიდრება. საქართველოში მიღებულ იქნა ახალი ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა და შეიქმნა ახალი ანტიმონოპოლიური სამსახური - კონკურენციის სააგენტო, მაგრამ იმისათვის, რომ ცხოვრებაში დაინერგოს კანონით განსაზღვრული ნორმები, აუცილებელია კონკურენციის განვითარებისა და ანტიმონოპოლიური რეგულირების პროგრამის შემუშავება და ამის საფუძველზე სამოქმედო, დროში გაწერილი გეგმის შედგენა. განვიხილოთ ის საკითხები, რომელიც რეალურად დანერგავს ქვეყანაში თანამედროვე, ევროპული ყაიდის ანტიმონოპოლიურ რეგულირებას. იმისათვის, რომ გავერკვეთ პრობლემის არსში და ავხსნათ, თუ რატომ ვერ მოხერხდა ორი ათეული წლის განმავლობაში ქვეყანაში ანტიმონოპოლიური სისტემის გამართული ფუნქციონირება, მოკლედ მიმოვიხილოთ საქართველოში ანტიმონოპოლიური რეგულირების დანერგვის ისტორია და ის ხელისშემშლელი სამართლებრივი თუ ინსტიტუციონალური ფაქტორები, რომლებმაც გავლენა მოახდინა მის რეალურად ამოქმედებაში, გავაანალიზოთ, საიდან მოვდივართ, ახლა რა ეტაპზე ვიმყოფებით და რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას სამომავლოდ.

საქართველოში, კონკურენციული პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და რეორგანიზაციის ეტაპები შეიძლება წლების მიხედვით შემდეგი სახით ჩამოვაყალიბოთ:

1. 1992-1996 წ.წ. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, შეიქმნა პირველი დოკუმენტი „მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვისა და კონკურენციის განვითარების შესახებ“ (1992), რომელიც არეგულირებდა საქართველოში მონოპოლიური ერთეულების მოქმედებას. მათ ხელი არ უნდა შეეშალათ საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებისთვის.

2. 1996-2004 წ.წ. ამ პერიოდში შეიქმნა კონკურენციისა და თავისუფალი ვაჭრობის კანონმდებლობა, რომელიც ევროპულ გამოცდილებაზე იყო დაფუძნებული. ეკონომიკის სამინისტროსთან ჩამოყალიბდა ანტიმონოპოლიური სამსახური, რომელსაც ევალებოდა დომინანტური მდგომარეობის მქონე კომპანიების კონტროლი. ამ პერიოდში დაფუძნდნენ პირველი მონოპოლისტები.

3. 2004-2013 წ.წ. ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველოში დაიწყო ლიბერალური რეფორმები. ანტიმონოპოლიური სამსახური გაუქმდა და მის ნაცვლად ჩამოყალიბდა თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო, რომლის საქმიანობაც ფაქტობრივად ანალიტიკური ფუნქციებით შემოიფარგლებოდა.

[1]რევაზ ლორთქიფანიძე, რაციონალური ანტიმონოპოლიური პოლიტიკა-ადამიანთა ცხოვრების საუკეთესო ხარისხისათვის, ჟურნალი - ეკონომიკა და ბიზნესი, ნოემბერ-დეკემბერი #6, თბილისი, 2014, გვ. 45-56.

4. ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, 2014 წლის მარტში განხორციელებულ იქნა ცვლილებები კანონში „კონკურენციის შესახებ“ და შეიქმნა ახალი სამსახური, კონკურენციის სააგენტოს სახით. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კონკურენციის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N288 დადგენილების შესაბამისად, დამტკიცდა მისი დებულება. კონკურენციის სააგენტო არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი. კონკურენციის სააგენტო ანგარიშვალდებულია საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და საზოგადოების წინაშე. სააგენტოს მიზანია საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა.[1]

მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ინდექსი (GCI), რომელსაც განსაზღვრავს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, ზომავს მაკროეკონომიკური გარემოს ხარისხს, ქვეყნის საჯარო ინსტიტუტების მდგომარეობას და ტექნოლოგიური მზაობის დონეს. რეიტინგი ეყრდნობა საჯაროდ ხელმისაწვდომ (სტატისტიკურ) მონაცემებსა (WB; UNESCO; World Health Organization, IMF და სხვა) და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის აღმასრულებელ პირთა მიერ ჩატარებული კვლევების შედეგებს, რომელიც მოიცავს კითხვარების შევსებას ბიზნეს-სექტორის მიერ, განიხილავს ქვეყნის ძლიერ და სუსტ მხარეებს, ახდენს პრიორიტეტების იდენტიფიცირებას პოლიტიკური რეფორმების განხორციელების ხელშეწყობისათვის. 2015-2016 წლის კვლევა მოიცავს 140 ქვეყანას. GCI მოიცავს ქვეყნის განვითარების სამ ძირითად საფეხურს (ფაქტორ-მამოძრავებელი; ეფექტიანობის მამოძრავებელი; ინოვაციის მამოძრავებელი), რომელიც აერთიანებს 12 კომპონენტს: სამ ფაქტორთა ჯგუფში შემავალი 12 კომპონენტი, თავის მხრივ, მოიცავს 114 ქვე-კომპონენტს. საქართველო GCI-ს კვლევაში ჩართულია 2004 წლიდან.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგადმა მაჩვენებელმა მოიმატა, გარკვეულ კატეგორიებში გლობალური ეკონომიკური ფორუმი საქართველოს საკმაოდ დაბალ შეფასებას აძლევს. საქართველო კვლავ ინარჩუნებს კარგ რეიტინგს სახელმწიფოს მიერ ბიზნესის დაწყების ხელშეწყობასა და სახელმწიფო რეგულაციების შემცირებაში. თუმცა, ძალზე არასახარბიელო ვითარებაა ისეთ სფეროში, რომელიც ეხება შიდა სასაქონლო ბაზრის რეგულირებას. კერძოდ, ადგილობრივი კონკურენციის მიხედვით საქართველოს 128-ეა. ეს ძალზე დამაფიქრებელი ფაქტია. იგი მიუთითებს ქვეყანაში თავისუფალი კონკურენციისა და ანტიმონოპოლიური რეგულირების სისტემის ფაქტობრივ არარსებობაზე.

საქართველოში მოქმედი არაერთი ექსპერტი და ორგანიზაცია: “საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისათვის,“ „მმართველობა ზრდისთვის“ (G4G) “თავისუფალი ბაზრის ადვოკატირების ორგანიზაცია“ (FreMa) და სხვები აქტიურად განიხილავენ ჭირდება თუ არა ქვეყანას ანტიდემპინგური კანონმდებლობა და რამდენად დააზარალებს იგი ეკონომიკურ თავისუფლებას. ეკონომისტთა ერთი ჯგუფის აზრით ანტიდემპინგური კანონმდებლობის მიღება შესაძლოა მთავრობის მხრიდან იმპორტიორი კომპანიების დასჯას ისახავდეს მიზნად. საქართველოს მთავრობას აქვს სრულიად განსხვავებული მოსაზრება, ისინი ფიქრობენ, რომ შესაძლოა მოხდეს ისეთი შემთხვევა, როდესაც ბაზრის დაპყრობის მიზნით, რომელიმე კომპანიამ საქონლის სუბსიდირება დაიწყოს, რითიც ადგილობრივი მწარმოებლები დაზარალდებიან, რომ ანტიდემპინგი არის აბსოლუტურად საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამის ჩარჩოებში არსებული კანონმდებლობა, რომელიც აქვს საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის პრაქტიკულად ყველა ქვეყანას, ჩვენ აქ არაკონვენციურს არაფერს ვაკეთებთ. შესაბამისად, ეს არის ელემენტარული ზომა იმისათვის, რომ შენ დაიცვა შენი მეწარმე იმ შემთხვევაში, თუ ვიღაცა არაკეთილსინდისიერად ექცევა შენს ბაზარს.

თუ თვალს გადავავლებთ ქართულ სამომხმარებლო ბაზარს, თვალნათელია, რომ საქართველოში მოხმარებული პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი უცხოურია, ვაჭრობით დაკავებული კომპანიების 2/3-ზე მეტი სწორედ იმპორტული საქონელით ვაჭრობენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ახალი რეგულაციები მათი დიდი ნაწილისთვის პოტენციურ რისკს შეიძლება წარმოადგენდეს. კომპანიები ზოგიერთ შემთხვევაში საქონელს მის თვითღირებულებასთან მიახლოებულ ფასადაც ყიდიან, რაც მრავალ მიზანს, მათ შორის, მომხმარებლების მოზიდვას, ფინანსური დანაკარგის თავიდან არიდებას და ა.შ. შეიძლება მოიცავდეს. მაგრამ ყველაფერს ამას აქვს უარყოფითი მხარეც. თუკი იმპორტიორი კომპანია ადგილობრივ მწარმოებლებზე იაფად სთავაზობს მოსახლეობას პროდუქციას, ამ დროს მოსახლეობა მოგებული რჩება, რადგანაც მათი მსყიდველუნარიანობა ამ საქონლის მიმართ იზრდება. უცხოური შედარებით იაფი ალტერნატივის გაქრობის შემთხვევაში კი მოსახლეობის, კონკრეტულად კი მისი შედარებით დაბალშემოსავლიანი ნაწილის, მსყიდველუნარიანობა შემცირდება.

[1] კონკურენციული პოლიტიკა და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში. ჟურნალი - SEU and Science. #1, თბილისი, 2014, გვ. 162-166.

ანტიდემპინგის იდეა სათავეს ამერიკის შეერთებული შტატებიდან იღებს. 1916 წელს აშშ-ის კონგრესმა მიიღო ანტიდემპინგური აქტი სათაურით „უსამართლო კონკურენცია" (Unfair Competition). ანტიდემპინგური კანონი ეფექტურად გამოიყენეს რამდენიმე შემთხვევაში, რითაც, ბუნებრივია, ადგილობრივმა მწარმოებლებმა იხეირეს. მას შემდეგ ამ ტიპის რეგულაციის მხარდამჭერების რაოდენობა ნელ-ნელა გაიზარდა, განსაკუთრებით კი ვაჭრობის ფართომასშტაბიანი ლიბერალიზაციის შემდეგ, რადგან ამ უკანასკნელის შედეგად ადგილობრივი ინდუსტრიები უფრო დიდი ზეწოლის ქვეშ ექცევიან.[1]

ანტიდემპინგის ძირითადი მომხმარებლები	%
ინდოეთი	38
ბრაზილია	35
ავსტრალია	22
აშშ	19
ევროკავშირი	14
მექსიკა	14
კანადა	13
ინდონეზია	12
თურქეთი	12
ანტიდემპინგის ძირითადი სამიზნე ქვეყნები	%
ჩინეთი	63
სამხრეთ კორეა	18
ინდოეთი	15
ჩინეთის ტაიპეი	13
მალაიზია	10
ტაილანდი	9
აშშ	11
ევროკავშირი	8
თურქეთი	8

წყარო: www.antidumpingpublishing.com

საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ყველაზე ხშირად ანტიდემპინგური ღონისძიებები ტრადიციულ, კაპიტალტევად სექტორებში ხორციელდება, მაგალითად, როგორიცაა: მეტალურგია, ქიმიური მრეწველობა, მანქანათმშენებლობა და სხვა. ეს სექტორები თავისი არსით მოუქნელები არიან, უჭირთ ადაპტირება შეცვლილ გარემოებებთან და მათი ფიქსირებული ხარჯებიც მაღალია. როგორც წესი, ამ სექტორებში დიდია დასაქმებული ადამიანების რაოდენობაც, რაც საკითხს სოციალურ მნიშვნელობასაც ანიჭებს. საქართველო ისედაც დაბალი ტექნოლოგიების ქვეყანაა, რის გამოც პროდუქციის წარმოება ჩვენ უფრო ძვირი გვიჯდება, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებს. ჩვენი აზრით, ყველა ამ მოცემულობიდან გამომდინარე, ჩვენთვის ახლა ამ კანონის ამოქმედება უაღრესად საჭირო და მნიშვნელოვანია. იმპორტული პროდუქტის ნაწილობრივი ჩანაცვლებაც რომ მოვახერხოთ, ამისთვის ანტიდემპინგური კანონის ამოქმედებაა საჭირო. ჩვენ მიგვაჩნია, რომ კანონი ძალიან დაეხმარება ადგილობრივ წარმოებას.

ლიტერატურა:

1. ზაზა აბაშიძე, ეკონომიკურად თავისუფალი საქართველო, Forbes Georgia, თბილისი, 2018, თებერვალი, N73. გვ. 8-9.
2. საქართველოს ადგილი მსოფლიოში, FORBES GEORGIA, თბილისი, 2017, მაისი, N64, გვ. 22
3. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში საქართველო მერვე ადგილზე ჩამოქვეითდა // ტაბულა, 2017, 29 სექტემბერი, გვ. 9.
4. ეკონომიკური თავისუფლებით საქართველო მსოფლიოში 13-ე ადგილზეა // ტაბულა, 2017, 22 იანვარი, გვ. 11-12.

[1] გიგა მიქაუტაძე, გვჭირდება თუ არა ანტიდემპინგური კანონი. ISET – International school of economics. 23 იანვარი 2017 წელი. http://iset-pi.ge/index.php/ka/iset-economist-blog/entry/2017-01-27-13-15-25 (გადამოწმებულია 6.04.2018)

5. გიული გიგუაშვილი, ეკონომიკური თავისუფლების არსი და საქართველოს რეიტინგი მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში, სამეცნიერო შრომების კრებული, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, 2016, N10, გვ. 71-75.
6. გივი ბედნიაშვილი, შალვა გოგიშვილი, სოლომონ პავლიაშვილი, ევროპული ინტეგრაცია და კონკურენციის ინსტუტუციური ასპექტები, ჟურნალი-გლობალიზაცია და ბიზნესი, სამეცნიერო – პრაქტიკული ჟურნალი. თბილისი, 2016, N1, გვ. 26–34.
7. მამუკა ხუსკივაძე, ზურაბ ნოზაძე, მდგრადი განვითარების ეკონომიკური პრობლემები საქართველოში, სამეცნიერო შრომების კრებული, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. თბილისი, 2015, N8, გვ. 299-306.
8. სოლომონ პავლიაშვილი, საქართველოს ანტიმონოპოლიური საქმიანობის გენეზისი. ჟურნალი-მეცნიერება და ცხოვრება, თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, №2(10), გვ. 12-20. თბილისი, 2014.
9. რევაზ ლორთქიფანიძე, რაციონალური ანტიმონოპოლიური პოლიტიკა - ადამიანთა ცხოვრების საუკეთესო ხარისხისათვის, ჟურნალი - ეკონომიკა და ბიზნესი. ნოემბერ-დეკემბერი #6. გვ. 45-56. თბილისი, 2014.
10. კონკურენციული პოლიტიკა და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში. ჟურნალი - SEU and Science. №1, გვ. 162-166. თბილისი, 2014.
11. ბიზნესის გაცხადებული თავისუფლება და ეკონომიკური სირთულეები, რეზონანსი, 21 იანვარი, 2014, ჩანართი Business, #2, გვ. 6

რეზიუმე

კონკურენცია საბაზრო ურთიერთობათა უცილობელი კომპონენტია და გულისხმობს ეკონომიკურ აგენტთა შორის მეტოქეობას საქონლის [მომსახურების] წარმოებისა და რეალიზაციის უფრო უკეთესი პირობების უზრუნველსაყოფად.

საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან დღემდე ყოველთვის იყო მცდელობა ისეთი სამართლებრივი და მარეგულირებელი მექანიზმების შექმნისა, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ კონკურენციის განვითარებას და არ დაუშვებდნენ ბაზარზე მონოპოლიების წარმოქმნას.

საქართველოში მიღებულ იქნა ახალი ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა და შეიქმნა ახალი ანტიმონოპოლიური სამსახური - კონკურენციის სააგენტო, მაგრამ იმისათვის, რომ ცხოვრებაში დაინერგოს კანონით განსაზღვრული ნორმები, აუცილებელია კონკურენციის განვითარებისა და ანტიმონოპოლიური რეგულირების პროგრამის შემუშავება და ამის საფუძველზე სამოქმედო, დროში გაწერილი გეგმის შედგენა.

ECONOMIC FREEDOM AND POLICY COMPETITION IN GEORGIA

Nana Nadiradze, Invited Specialist

RESUME

Competition is a necessary component of market relations and involves rivalry between economic agents to provide better conditions for producing and selling goods.

Since the announcement of independence in Georgia, there has always been an attempt to create such legal and regulatory mechanisms that would help the development of competition and would not allow the creation of monopolies in the market.

The new antimonopoly legislation has been adopted in Georgia and the new antimonopoly service was established by the Competition Agency, but in order to implement the norms defined with the law, it is necessary to develop the program regulations of the competition and the antimonopoly regulatory program and based on this, create action plan in time.

შემოსავლების უთანაბრობა და სოციალური პოლიტიკა საქართველოში

ლალი ოსაძე, *ასოცირებული პროფესორი*
სოფიო ცეცხლაძე, *მოწვეული სპეციალისტი*

განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკა ეფუძნება შესაბამის სოციალურ პოლიტიკას, რომელიც მიმართულია ადამიანის განვითარებისაკენ. აქედან გამომდინარე, იზრდება ხარჯები განათლებაზე, ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ დახმარებაზე.

საქართველოში მოსახლეობის ცხოვრების დონე დღეს საშუალოზე დაბალია, მოსახლეობის ძირითადი ხარჯები მიმართულია პირველადი მოხმარების საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო საქონლის მიმდინარე მოხმარებაზე, რაც იმას ადასტურებს, რომ ცხოვრების დონე გაუარესდა, ამავდროულად, გაიზარდა დიფერენციაცია მოსახლეობის შემოსავლებს შორის.

შემოსავლების განაწილების სახელმწიფო პოლიტიკა გულისხმობს შემოსავლის მიმღებთა სხვადასხვა ჯგუფების დიფერენცირებულ დაბეგვრას და მოსახლეობისათვის სოციალური გაცემულობების უზრუნველყოფას. ამ გზით ხდება შემოსავლების გადანაწილება მაღალშემოსავლიანიდან დაბალშემოსავლიანი ფენებისაკენ.

მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება საქართველოს სოციალური პოლიტიკის უმთავრესი პროგრამული ამოცანაა; საჭიროა შემოსავლების განაწილების ეფექტური სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, რომელიც მიმართული იქნება მოსახლეობის ძირითადი მასის შემოსავლების გაზრდაზე, შემოსავლების დიფერენციაციის შემცირებაზე, ახლად შექმნილი ღირებულების ეფექტურ და სოციალურად სამართლიან გადანაწილებაზე და შესაბამისად, საშუალო კლასის დინამიურ ფორმირებაზე.

ჩვენი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა, ძირითადად, ემყარება სამ უმთავრეს პრინციპს:

• პირველი, ეს არის სწრაფი და ეფექტური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა, რომელიც ორიენტირებული უნდა იყოს ეკონომიკის რეალური (წარმოების) სექტორის განვითარებისაკენ. აღნიშნული აუცილებელია არსებული ეკონომიკური პრობლემის მოგვარების თვალსაზრისით და უზრუნველყოფს სამუშაო ადგილების შექმნას და სიღარიბის დაძლევას.

• მეორე, ეკონომიკური ზრდის შედეგად მიღებული საყოველთაო სიკეთეების სამართლიანი გადანაწილების მეშვეობით საზოგადოებაში სოციალური თანასწორობის უზნრუნველყოფა, რაც მნიშვნელოვანია საყოველთაო კეთილდღეობის და მოსახლეობის ღირსეული ცხოვრების პირობებით უზრუნველსაყოფად.

• მესამე, მნიშვნელოვანი პრინციპია, ეკონომიკური განვითარების პროცესში ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, რადგანაც ამ რესურსებზე თანაბარი უფლებები გააჩნიათ ამჟამინდელ და მომავალ თაობებს. ასევე, ეკონომიკური განვითარების პროცესში ეკოლოგიური უსაფრთხოების და მდგრადობის უზრუნველყოფა, ბუნებრივი კატაკლიზმების რისკების თავიდან აცილება და გამოწვეულ საფრთხეებთან ეფექტური ბრძოლა.

ჩვენთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოსახლეობის ჩართულობის და დემოკრატიული სამოქალაქო კონტროლის განხორციელება. აღნიშნული უზრუნვეყოფს მთავრობის ტრანსფარენტულობას და ანგარიშვალდებულებას, ასევე უზრუნველყოფს სოციალური ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების პროცესში საზოგადოების ინტერესების დაცვას.

საბჭოთა კავშირის დაშლამ სოციალური პოლიტიკის მიმართულებით საბჭოთა მიდგომების შეცვლა გამოიწვია. არსებული სისტემა დაინგრა და მის ადგილზე საჭირო გახდა ახლის აშენება. ეკონომიკური ტრანზიცია სრული დასაქმების დასრულებას ნიშნავდა, რაც საბჭოთა კეთილდღეობის სისტემის საფუძველს წარმოადგენდა. ტრანზიციამ აგრეთვე მოიტანა სიღარიბის დრამატული გაზრდა. მსოფლიო ბანკის სტანდარტებით ჩატარებული გამოკვლევის თანახმად 1988 წელს მოსახლეობის 2 პროცენტი ცხოვრობდა აბსოლუტურ სიღარიბეში ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში. ათი წლის შემდეგ 1998 წელს მსოფლიო ბანკის მიხედვით ადამიანების რაოდენობა, რომლებიც სიღარიბის სტანდარტის ქვემოთ ცხოვრობდნენ, მოსახლეობის 21 პროცენტს შეადგენდა. სტატისტიკური მონაცემების სერიოზული დეფიციტი ამ ციფრების სიზუსტეს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. თუმცა სოციალური უზრუნველყოფის პრობლემის მძლავრი ტენდენცია თვალშისაცემია. უთანასწორობა ,,ჯინის" კოეფიციენტის მიხედვით ყველა ქვეყანაში გაიზარდა, განსაკუთრებით შესამჩნევად, საქართველოში, რუსეთსა და პოლონეთთან ერთად. მართალია ეს მონაცემები ეყრდნობა ერთ ადამიანზე არსებულ შემოსავლებს, მაგრამ ის აგრეთვე ხაზს უსვამს კეთილდღეობის რეჟიმების რედისტრიბუციული

როლის დასუსტებასა და რიგ შემთხვევაში სრულიად გაქრობას. ტრანზიციის მძიმე შედეგებმა ასევე ხელი შეუწყო შრომით მიგრაციას. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, 9 მილიონზე მეტი ყოფილი საბჭოთა მოქალაქე გადავიდა საცხოვრებლად სხვა ქვეყანაში 1990-1996 წლებში (Myant, Drahokoupil 2011). საწყის წლებში, საბჭოთა ინერციით გადმოსული უნივერსალური მოდელი ფორმალურად კვლავ არსებობდა. თუმცა, მისი არსებობა შეუძლებელი გახდა ორი ძირითადი მიზეზის გამო, პირველი, არ არსებობდა ფინანსური რესურსები მისი საჭიროებების სრულად დაკმაყოფილებისა და მეორე, არ არსებობდა გამართულად და ეფექტურად მომუშავე სახელმწიფო ინსტიტუტები და კანონმდებლობა, რაც სამოქალაქო ომით, არეულობებითა და გამოუცდელობით იყო განპირობებული. 1995 წლიდან მოყოლებული ვითარება დასტაბილურებას იწყებს. საქართველოში აქტიურად იწყება ეკონომიკურ ტრანსფორმაციასთან დაკავშირებული რეფორმები. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა და ლიბერალიზაცია. ამ პოლიტიკის ლოგიკური შედეგი იყო სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემცირება როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური პოლიტიკის მიმართულებით. სახელმწიფო ახალ ვითარებაში და ახალ სისტემაში არ და ვეღარ აიღებდა საკუთარ თავზე მოქალაქეების დასაქმებისა და ყოვლისმომცველი სოციალური დაცვის უზრუნველყოფას. ნორდიკულ მოდელთან მიახლოებულმა საბჭოთა უნივერსალურმა მოდელმა ფაქტობრივი არსებობაც დაასრულა და 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან იწყება სოციალური დაცვის ახალი კანონმდებლობის შექმნა და მისი თანმდევი რეფორმების განხორციელება. ამასთან, მალევე მოხდა საპენსიო ასაკის შემცირება, რათა მომხდარიყო სოციალური ხარჯების შემცირება. მიუხედავად იმ პერიოდში დაწყებული ეკონომიკური ზრდისა, ის არ იყო საკმარისი არსებული პრობლემების მოსაგვარებლად. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ცდილობდა პრო-აქტიური პოლიტიკა გაეტარებინა დასაქმების პოლიტიკის თვალსაზრისით, შედეგი თითქმის უმნიშვნელო იყო. შესაბამისად მაღალი უმუშევრობის, მაჩვენებელი განაპირობებდა, რომ არ ხდებოდა იმ მოქალაქეების რაოდენობის შემცირება, ვისაც სოციალური დახმარებების მიღების საჭიროება გააჩნდათ. სოციალური დაცვის სისტემა 1995-2003 წლებში რთულია რომელიმე სოციალური დაცვის მოდელს მიაკუთვნო. თუმცა ამის მიუხედავად, იკვეთება ტენდენცია, რომ საბჭოთა კავშირიდან გადმოყოლილი ნორდიკულთან მიახლოებული მოდელი უქმდება და ჩნდება მძლავრი საბაზრო, ლიბერალური ელემენტები, რომელიც ახლოს არის ანგლო-საქსურ მოდელთან. ამასთან, ძლიერია ე.წ. ხმელთაშუა ზღვის მოდელის გავლენაც, რაც განპირობებული იყო ასაკობრივი პენსიებით, დასაქმების დაბალი მაჩვენებლითა და ოჯახის როლის ინსტიტუციონირების მცდელობით სოციალური დაცვის მიმართულებით. ცხოვრების ხარისხის მკვეთრი დაქვეითების საფრთხის შესამცირებლად სახელმწიფომ გადაწყვიტა მხარი დაეჭირა სოციალური რისკების მენეჯმენტის ყველა შესაძლო ადეკვატური მექანიზმის ამოქმედებისთვის. სახელმწიფო რადგან არ იყო მზად ამ ტვირთის ასაღებად, გადაწყვიტა სულ უფრო გაეზარდა ისეთი ინსტიტუტების როლი, როგორებიც არის ბაზარი და ოჯახი. მართალია სოციალური დახმარებები კატეგორიების მიხედვით იქნა დაყოფილი, თუმცა ამ პერიოდში საქართველოში პირველად იწყება მიზნობრივი სოციალური დახმარებების დანერგვა.

პენსიონერთა რაოდენობა მზარდია და გაეროს მონაცემებით, ასაკით პენსიონერები 2050 წლისათვის შეადგენენ საქართველოს მოსახლეობის 25%-ს, ადგილი ექნება სოციალური დანახარჯების მუდმივ ზრდას. გამომდინარე აქედან, აუცილებელია ეტაპობრივად დაგროვებით საპენსიო სისტემაზე გადასვლა, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საბაზისო პენსიის არამდგრადი ზრდისგან გამოწვეული წნეხის შემსუბუქებას. ასევე მნიშვნელოვანია საბაზისო პენსიის ინფლაციასთან მიბმის პრინციპის შემოღება და პენსიის ზრდის ყველაზე ღარიბ პენსიონერებზე ორიენტირება, რაც დაიცავს პენსიის მსყიდველობითუნარიანობას და მოლოდინებს მისაღებ დონეზე შეინარჩუნებს.

სახელმწიფო მკაფიოდ აფიქსირებს, რომ უნივერსალური, კეთილდღეობის ამაღლების სოციალური დაცვის მექანიზმების ნაცვლად მისი პრიორიტეტია იმ მოქალაქეების ღირსეულ ცხოვრებასა და სოციალურ ინტეგრაციაზე ზრუნვა, რომლებსაც ობიექტური მიზეზების გამო არ შესწევთ უნარი შეიძინონ სოციალური დაცვა.

2006 წლიდან იწყება დღეს მოქმედი მიზნობრივი სოციალური დახმარებების პროგრამის ფუნქციონირება. სახელმწიფო საკუთარ ვალდებულებას, რომ მოქალაქეს სოციალური დახმარება აღმოუჩინოს, ხედავს მხოლოდ მაშინ, როდესაც ის სოციალური აგენტის შეფასებით სოციალურად დაუცველის სტატუსს მიიღებს. სოციალური დახმარების სისტემა წარმოადგენს სოციალურ მაშველ ბადეს, რაც ნიშნავს, რომ თუკი მოქალაქე სიღარიბის ზღვარს ქვემოთ აღმოჩნდება, მისი უკანასკნელი მაშველი სწორედ ეს სოციალური დახმარებაა.

საქართველოს სოციალური დაცვის სისტემა ძირითადად ორი კომპონენტისგან, მიზნობრივი სოციალური დახმარებებისა და ასაკობრივი პენსიისგან შედგება. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს

ფაქტიურად არ გააჩნია პრევენციული მექანიზმი და პოლიტიკა, რომ თავიდან ააცილოს საკუთარ მოქალაქეებს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ აღმოჩენა. ამასთან, სოციალურად დაუცველის სტატუსის მიღების შემდეგ არ არსებობს მექანიზმი, რომელიც მოახდენს ამ ადამიანების აქტიურ სამუშაო ძალაში დაბრუნებას და მათ სოციალურად დაუცველთა ბაზიდან ამოსვლას. მიუხედავად იმისა, რომ საწყის წლებში მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის მეშვეობით შემცირდა სიღარიბის მაჩვენებლები, ამჟამად საჭიროა არსობრივი ცვლილების განხორციელება, რადგან სისტემა არაეფექტურად აგრძელებს ფუნქციონირებას და ჩიხისაკენ მიემართება, რასაც რამდენიმე მიზეზი განაპირობებს:

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ის, რომ წლების მანძილზე ვერ ხერხდება მიზნობრივი სოციალური დახმარების მიმღებთა რაოდენობის შემცირება. კიდევ უფრო დიდია რეგისტრირებულთა რიცხვი. სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ აქ ისიც მოქმედებს, რომ აიწია დახმარების მიმღებთა სარეიტინგო ქულა, მაგრამ სისტემური გავლენის უარყოფა მაინც არ არის მართებული. ამდენად, მიზნობრივი სოციალური დახმარებების სისტემა ასრულებს მხოლოდ სოციალური მაშველი ბადის ფუნქციას და ინარჩუნებს სტატუს-კვოს.

მეორე მიზეზი არის უთანასწორობის მაღალი მაჩვენებელი. ჯინის კოეფიციენტის მიხედვით, საქართველოში უთანასწორობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი სწორედ მიზნობრივი დახმარებების ამოქმედების შემდეგ დაფიქსირდა. საზოგადოების უღარიბესი ნაწილი მიჯაჭვულია სოციალური დახმარების სისტემას. მათ არ აქვთ სხვა შესაძლებლობა და სოციალური მობილობის შანსი, რაც უთანასწორობის დრამატულ მაჩვენებელს ქმნის, რომელიც ლათინური ამერიკის სიღარიბით გამორჩეული ქვეყნების საშუალო მაჩვენებელთან არის მიახლოებული.

მესამე მიზეზია სიღარიბის და სტიგმის ზრდა, რომელიც განსაკუთრებით არის დამახასიათებელი მიზნობრივი დახმარებებისათვის. სტიგმა ორმხრივია, როგორც საზოგადოების მხრიდან ყველაზე ღარიბი თანამოქალაქეების მიმართ, ასევე თავად ამ ადამიანების მხრიდანაც, რომლებსაც უჭირთ საკუთარი თავის სრულფასოვან მოქალაქეებად აღქმა და საზოგადოებაში ინტეგრაცია, სამუშაოს დაწყება, სოციალურად დაუცველის სტატუსისგან თავის დაღწევა და წარმატების მიღწევა. სოციალურად დაუცველთა რიცხოვნობის, სიღარიბის და უთანასწორობის შემცირება, დამკვიდრებული სტიგმების აღმოფხვრა. ეს ის უმთავრესი პრობლემებია, რომელთა დაძლევასაც მიზნობრივი სოციალური დახმარებების სისტემა ვერ ახერხებს. ფაქტობრივად ძალიან დიდი თანხა, რომელიც ბიუჯეტიდან ამ პროგრამის დასაფინანსებლად მიემართება, არაეფექტურად იხარჯება, რადგან ვერ ხერხდება პროგრამის უმთავრესი მიზნების რეალიზება, სიღარიბის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლა და სოციალურად დაუცველების რაოდენობის შემცირება. წლიდან წლამდე, საქართველოს საბიუჯეტო შესაძლებლობების მიხედვით უზარმაზარი თანხები იხარჯება, მხოლოდ იმაში, რომ ამ ადამიანებისთვის სოციალური მაშველი ბადის სახით იქნას დახმარება აღმოჩენილი, რაც თავისთავად სახელმწიფოს მძიმე ტვირთად აწვება. 2013 წლის მონაცემებით, მიზნობრივი სოციალური დახმარების მონაცემთა ბაზაში 1.7 მილიონამდე პირია დარეგისტრირებული (მოსახლეობის დაახლოებით 40%), მათგან 443 000 პირი იღებს საარსებო შემწეობას (ეს მონაცემი 2015 წელს, სტატისტიკის სამსახურის მონაცემების მიხედვით, 125 301 ოჯახს შეადგენდა). მიზნობრივი სოციალური დახმარების გადაფარვა მოსახლეობის დაახლოებით 10%-ზე ვრცელდება. 2012 წლის ბიუჯეტში სოციალური დახმარებისთვის დაახლოებით 141 მლნ. ლარი (მშპ-ს 0,7%) გამოიყო [1]. 2013 წლის ივლისიდან საქართველოს მთავრობამ გააორმაგა მიზნობრივი სოციალური დახმარებების დაფინანსება ყოველთვიური თანხის 30-დან 60 ლარამდე, ხოლო ოჯახის ყოველ დამატებით წევრზე, 24-დან 48 ლარამდე გაზრდით. 2013 წელს ეს დამატებით 71.5 მლნ. ლარს შეადგენს (წლიური ხარჯი შეადგენს 213 მლნ. ლარს, მშპ-ს 0,5%). რა შეიძლება იყოს ასეთი ვითარებიდან გამოსავალი და როგორ უნდა შეიცვალოს მიზნობრივი სოციალური დახმარების სისტემა? აქ არსებითია ორი უმთავრესი პრინციპი: განვითარებაზე ორიენტირებული სოციალური დაცვის სისტემა და უნივერსალიზმი. ამ თვალსაზრისით საინტერესოა აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების გამოცდილება, სადაც სოციალური დაცვის სისტემა განვითარებად კეთილდღეობის სახელმწიფოზე იყო დაფუძნებული და 4 ძირითად პრინციპს მოიცავდა: 1) მოსახლეობის არცერთი ჯგუფი არ უნდა დარჩეს ცვლილებებისა და განვითარების მიღმა; 2) პრინციპულ მიზანს უნდა წარმოადგენდეს მოსახლეობის ფართო ჯგუფების გააქტიურება და მათი მონაწილეობის უზრუნველყოფა განვითარებაში; 3) სოციალური სამართლიანობა, როგორც მორალურად მნიშვნელოვანი მიზანი და აგრეთვე მისი როგორც გრძელვადიანი ეკონომიკური ეფექტურობის მნიშვნელოვანი ელემენტის აღიარება; 4) ადამიანური კაპიტალის განვითარებისთვის უმაღლესი პრიორიტეტის მინიჭება, განსაკუთრებით ბავშვებში ადრეულ ასაკში კვების დეფიციტის პრევენციით, ჯანდაცვის სერვისების მიწოდებითა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფით. ამ მიდგომის

მიხედვით სოციალური დაცვის სისტემის ინტეგრირება უნდა მოხდეს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში. სოციალური პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს და ეკონომიკური სისტემის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენდეს. ამასთან ამ პროცესში უზრუნველყოფილი უნდა იქნას ფართო მონაწილეობა საზოგადოების ყველა ჯგუფის, მათ შორის ამ შემთხვევაში ყველაზე არსებითია სოციალურად დაუცველების მონაწილეობა, რათა მოხდეს მათი მობილობა და სოციალურად დაუცველთა სტატუსის მქონე პირთა შემცირება. მონაწილეობის ფართოდ უზრუნველყოფა აგრეთვე ხელს შეუწყობს სტიგმების დამარცხებასა და გაქრობას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვთა სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლა. ბავშვთა საკითხებში უნივერსალური მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რათა დასაწყისშივე იქნას თავიდან აცილებული უთანასწორობა. ბავშვთა შორის სიღარიბის მაღალი მაჩვენებელი განაპირობებს, რომ მათი შანსები წარმატების მისაღწევად მინიმალურია და შესაბამისად სიღარიბის კვლავწარმოებას ახდენს. სოლიდარობისა და სოციალური სამართლიანობის ცნებები არის ის მთავარი კომპონენტი და გამაერთიანებელი, რაც ამ მიდგომების განხორციელებას შესაძლებელს ხდის. ამდენად ჩვენ ამჟამად გვაქვს ორ კომპონენტიანი სოციალური დაცვის სისტემა, რომელიც ვერ ახერხებს თავისი ფუნქციების ეფექტურად შესრულებას და საუკეთესო ვარიანტში მხოლოდ სტატუს-კვოს ინარჩუნებს ან სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ფიზიკურად გადარჩენას ახერხებს წლიდან წლამდე.

იმისათვის, რომ ვითარება შეიცვალოს, საჭიროა უფრო კომპლექსური პოლიტიკის შემუშავება, ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის უფრო მჭიდრო კავშირი. ქართული სახელმწიფოს მიზანი უნდა იყოს, უნივერსალიზმზე და განვითარებაზე ორიენტირებული სოციალური დაცვის პოლიტიკის ჩამოყალიბება, რომელიც უფრო მეტ კომპონენტს მოიცავს, ვიდრე მხოლოდ სოციალური დახმარებები და პენსიებია. ამგვარი, განვითარებაზე ორიენტირებული სოციალური დაცვის სისტემა პრევენციას უნდა ახდენდეს, რომ მოქალაქე სიღარიბის ზღვარს ქვემოთ არ აღმოჩნდეს, ხოლო თუკი ამ მიზნის მიღწევა ვერ მოხერხდა, მოქალაქეს საშუალებას უნდა აძლევდეს, რომ არა მხოლოდ სოციალური მაშველი ბადით ისარგებლოს და თვითგადარჩენა შეძლოს, არამედ მოახერხოს სოციალურად დაუცველის სტატუსიდან თავის დაღწევა. ეს მიდგომები უნდა გახდეს ქართული კეთილდღეობის სახელმწიფოს ფორმირების საფუძველი, რადგან გამართული კეთილდღეობის სისტემები და ეფექტურად მომუშავე სოციალური პოლიტიკა, ყველა წარმატებული, თანამედროვე ქვეყნის ხერხემალს და აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს.

ლიტერატურა:

1. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - 2020, თბ., 2013.
2. გველესიანი რ., გოგორიშვილი ი., „ეკონომიკური პოლიტიკა“, ნაწ. I, „უნივერსალი“, თბ., 2008.
3. http://european.ge/saqartvelos-socialuri-dacvis-sistemis-sheaxeb/
4. https://emc.org.ge/ka/products/sotsialuri-politika-sakartveloshi-chareva-chaurevlobis-debatebis-mighma

რეზიუმე

საქართველოს სოციალური პოლიტიკის უმთავრესი პროგრამული ამოცანაა მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება; საჭიროა შემოსავლების განაწილების ეფექტური სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, რომელიც მიმართული იქნება მოსახლეობის ძირითადი მასის შემოსავლების გაზრდაზე, შემოსავლების დიფერენციაციის შემცირებაზე, ახლად შექმნილი ღირებულების ეფექტურ და სოციალურად სამართლიან გადანაწილებაზე და შესაბამისად, საშუალო კლასის დინამიურ ფორმირებაზე.

საქართველოს სოციალური დაცვის სისტემა ძირითადად ორი კომპონენტისგან, მიზნობრივი სოციალური დახმარებებისა და ასაკობრივი პენსიისგან შედგება. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს ფაქტიურად არ გააჩნია პრევენციული მექანიზმი და პოლიტიკა, რომ თავიდან ააცილოს საკუთარ მოქალაქეებს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ აღმოჩენა. ამასთან, სოციალურად დაუცველის სტატუსის მიღების შემდეგ არ არსებობს მექანიზმი, რომელიც მოახდენს ამ ადამიანების აქტიურ სამუშაო ძალაში დაბრუნებას და მათ სოციალურად დაუცველთა ბაზიდან ამოსვლას. მიუხედავად იმისა, რომ საწყის წლებში მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის მეშვეობით შემცირდა სიღარიბის მაჩვენებლები, ამჟამად საჭიროა არსობრივი ცვლილების განხორციელება.

ქართული სახელმწიფოს მიზანი უნდა იყოს უნივერსალიზმზე და განვითარებაზე ორიენტირებული სოციალური დაცვის პოლიტიკის ჩამოყალიბება, რომელიც უფრო მეტ კომპონენტს მოიცავს, ვიდრე მხოლოდ სოციალური დახმარებები და პენსიებია. ამგვარი, განვითარებაზე ორიენტირებული სოციალური დაცვის სისტემა პრევენციას უნდა ახდენდეს, რომ მოქალაქე სიღარიბის ზღვარს ქვემოთ არ აღმოჩნდეს, ხოლო თუკი ამ მიზნის მიღწევა ვერ მოხერხდა, მოქალაქეს საშუალებას უნდა აძლევდეს, რომ არა მხოლოდ სოციალური მაშველი ბადით ისარგებლოს და თვითგადარჩენა შეძლოს, არამედ მოახერხოს სოციალურად დაუცველის სტატუსიდან თავის დაღწევა. ეს მიდგომები უნდა გახდეს ქართული კეთილდღეობის სახელმწიფოს ფორმირების საფუძველი, რადგან გამართული კეთილდღეობის სისტემები და ეფექტურად მომუშავე სოციალური პოლიტიკა, ყველა წარმატებული, თანამედროვე ქვეყნის ხერხემალს და აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს.

INEQUALITY OF INCOME AND SOCIAL POLICY IN GEORGIA

Lali Ozadze, Associate Professor
Sophie Tsetskhladze, Invited Specialist

RESUME

The main programic task of the Georgian social policy is to elevate the living standard of population. It is necessary to maintain the effective income distribution policies directed to increased incomes, reduction in income differentiation, effective and socially just redistribution of newly created values and, therefore, formation of dynamic middle class.

The social protection system of Georgia consists of two main components: targeted social support and age-based pensions. Therefore, the state does not have a preventive mechanism and policies to avoid the extreme poverty for its citizens. Also, there is a lack of mechanism that would provide the return of citizens to the active labour force and take them out of the socially vulnerable. Regardless the reduction of poverty indicators by the targeted social protection programs during early years, there is a need for fundamental changes.

The aim of the Georgian state should be the formation of the universalism and development oriented social policy, which would contain a larger array of components instead of only pensions and social subsidies. These types of policies should be preventive for the citizens not to remain below the poverty line. If these aims are not achieved, citizens should have an opportunity not only for self-protection and self-support but also for avoiding the status of socially vulnerable. These approaches should become the fundamental principles of the Georgian welfare state since effective welfare systems and social policies are being the necessary components of every modern successful countries.

პერსონალის მოტივაციის პრობლემები კომპანიებში

მაკა სოსანიძე, *ასოცირებული პროფესორი*

ბიზნესის ეფექტიანობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ადამიანურ რესურსებზე, მათ უნარ-ჩვევებზე, ცოდნაზე და სხვა ფაქტორებზე. ეს კარგად ესმით კერძო კომპანიის ხელმძღვანელებს და ამიტომ ახდენენ საკმაოდ დიდი სახსრების ინვესტირებას ადამიანურ რესურსებში, ახორციელებენ თანამშრომელთა სწავლებას, მოტივირებას და სტიმულირებას.

პერსონალის მართვის თანამედროვე ხედვა მდგომარეობს იმაში, რომ თანამშრომელი, რომელიც პასუხობს ორგანიზაციის მოთხოვნებს, განიხილება როგორც კომპანიის სტრატეგიული რესურსი. კომპანიის სტრატეგიული მიზნის მისაღწევად ის აუცილებელია მოიზიდო, სწორად ,,განათავსო'', განავითარო, მოახდინო მისი საქმიანობის სწორად მოტივირება.

ყოველი ადამიანი მუშაობს გარკვეული მიზნისთვის. ზოგი ისწრაფვის ფულისკენ, ზოგი დიდებისკენ, ზოგი კი ძალაუფლებისკენ, ზოგს უბრალოდ უყვარს თავისი საქმე. ეს და სხვა მრავალი

გარემოება, რომელიც ხელს უწყობს ადამიანის აქტიურ საქმიანობას, იწოდება მოტივებად, ხოლო მათი გამოყენება - მოტივაციად.

ძნელია განისაზღვროს მიზეზები, რომლებიც ადამიანს აიძულებს იმუშაოს მაქსიმალური ძალისხმევით. ისინი საკმაოდ მრავალფეროვანია. განსხვავებული შიდა და გარე ძალები იწვევენ სხვადასხვა ადამიანებში განსხვავებულ რეაქციას. ზოგიერთი ადამიანი მსუბუქ საქმეს აკეთებს და უკმაყოფილო რჩება, სხვები კი მძიმე შრომას ეწევიან და კმაყოფილებას იღებენ. ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა სხვადასხვა ეფექტური გზებით შრომითი რესურსების მართვა, შრომითი რესურსების მართვის ეფექტური ხერხების მოძებნა, რომელიც უზრუნველყოფს მათ აქტივიზაციას. ეფექტიანი და ხარისხიანი საქმიანობის განმაპირობებელი ფაქტორი მოტივაციაა. ცხადია, მენეჯერის ამოცანა მართვის ყველა დონეზე არის ორგანიზაციის მიზნების მიღწევა. იმისათვის, რომ უბიძგო ადამიანს დასახული ამოცანის შესრულებისკენ, უპირველეს ყოვლისა უნდა გავიგოთ რა ამოძრავებს მას, რა უბიძგებას ამ ქმედებისაკენ და რისკენ ისწრაფვის სამუშაოს შესრულებისას.

კერძო კომპანიის მენეჯმენტმა შეიძლება შეიმუშაოს საწარმოს განვითარების შესანიშნავი სტრატეგიული გეგმა, შეიძინოს თანამედროვე და ძვირადღირებული აღჭურვილობა, გამოიყენოს ყველაზე მოწინავე ტექნოლოგია. თუმცა, თუ ფირმის რიგითი თანამშრომლები არ იმუშავებენ ისე, როგორც საჭიროა, არ ისწრაფვიან თავიანთი საქმიანობით დაეხმარნონ ორგანიზაციას მიზნებისა და მისიის მიღწევა-შესრულებაში, მაშინ ხელმძღვანელობის ძალისხმევა ფუჭი იქნება. ამიტომ, ერთი-ერთი ძირითადი ფაქტორი ბაზარზე კომპანიის წარმატებული ფუნქციონირებისა, ესაა პერსონალის მზადყოფნა და სურვილი საქმის შესასრულებლად.

ადამიანი, განსხვავებით მანქანისაგან, არ შეიძლება ,,ჩავრთოთ'' და ,,გამოვრთოთ''. მას აქვს გარკვეული, სურვილი, განწყობა, ღირებულებები. ემორჩილება ქცევის განსაზღვრულ ნორმებსა და წესებს. გამომდინარე აქედან, ის თითოეულ კონკრეტულ სამუშაოს პირადად განსაზღვრავს და აძლევს მას უნიკალურ თვისებას. თუ გავიგებთ, რა უბიძგებს მას ამ ქმედებისაკენ, შეიძლება ისე მოვაწყოთ ადამიანების მართვა, რომ მან მთელი გული და სული ჩადოს ამ სამუშაოს შესრულებაში ორგანიზაციის მიზნის მისაღწევად.

მოტივაცია, განმარტავს მ. მესკონი, ესაა პროცესი მიმართო საკუთარი თავი და სხვები მოქმედებისაკენ, რათა მიაღწიო პირად ან ორგანიზაციულ მიზნებს''.

მოტივაციის ქვეშ იგულისხმება ძალები, რომლებიც არსებობს თავად ადამიანში ან მის გარეთ და აღვივებს მასში განსაზღვრული სამუშაოს შესრულების სურვილსა და ენთუზიაზმს. მოტივაციის გაზომვა შეუძლებელია, მისი დანახვა ძალიან რთულია. მისი გაგება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც გამოცდი საკუთარ თავზე. იგი შეიძლება გახდეს ყველაზე დიდებული და მოულოდნელი ადამიანური მიღწევების მიზეზი. მოტივაციის ნაკლებობა წარმოშობს უკმაყოფილებას, მტრულ დამოკიდებულებას, არეულობებს. მოტივაცია იწყება იქ, სადაც მთავრდება ბრძანების ზემოქმედება. მოტივაციის არეალი საკმაოდ ფართოა, რადგან ადამიანს, როგორც თავისუფლებისმოყვარეს სძულს დაემორჩილოს ბრძანებებს.

მოტივაცია წარმოადგენს პერსონალის შინაგანი და გარეგანი სტიმულების მართვას საწარმოში, რომელიც უნდა უკავშირდებოდეს შრომის მწარმოებლურობის ამაღლებას, რაც, პირველ რიგში, განაპირობებს ამ კომპანიის კონკურენტუნარიანობას და რენტაბელობას. მთლიანობაში, მოტივაცია - ეს არის იმ პირობების გაერთიანება, რომლებიც უზრუნველყოფს პიროვნების პოტენციალის მაქსიმალურად ეფექტურ გამოყენებას.

დღეისათვის კერძო კომპანიის მენეჯერების მნიშვნელოვანი პრობლემაა შეიმუშაონ კარგად მოფიქრებული და მეცნიერულად დასაბუთებული მოტივაციის ისეთი სისტემა, ჩამოყალიბდეს ბიძგის მიმცემი პირობათა კომპლექსი, რომელიც ხელს შეუწყობს კომპანიის ეფექტიან ფუნქციონირებას. ასევე პრობლემას წარმოადგენს მოტივაციის ახალი, თანამედროვე ფორმების მოძიება.

მოტივაციისათვის არ არსებობს ერთი საუკეთესო ხერხი. ის, რაც ადამიანთა ერთი ნაწილის მოტივაციისთვის ეფექტიანია, მეორე ნაწილისათვის შეიძლება აღმოჩნდეს სრულიად უმნიშვნელო. ასე, მაგალითად, ზოგიერთი თანამშრომლის მოტივაციისათვის სრულიად საკმარისია საუკეთესო მუშაკად აღიარება, მაშინ როცა მეორესთვის ამას შეიძლება საერთოდ არ ჰქონდეს მნიშვნელობა. ეს მომენტი მეტად საგულისხმოა და ყოველთვის უნდა ჰქონდეთ მხედველობაში მენეჯერებს. მოტივაციის ისედაც რთული პროცესი ზოგჯერ კიდევ უფრო რთულდება ინფორმაციის ნაკლებობით, თანამდებობრივ მოვალეობებში ცვლილებებისა და სხვა კონკრეტული მიზეზების გამო. პირველ რიგში მენეჯერის მხრიდან საჭიროა სურვილი პერსონალის მოტივაციის უზრუნველსაყოფად. ორგანიზაციაში პერსონალის მოტივაციის ამაღლების ფაქტორები ინდივიდუალურია და ეს კარგად უნდა ესმოდეს მენეჯერს. თუმცა შეიძლება

გამოვყოთ რამდენიმე ფაქტორი, რომელიც შეიძლება უმრავლეს შემთხვევაში საერთო იყოს თანამშრომლებისთვის. ეს ფაქტორებია:

• ხელფასი. თავისთავად ცხადია, რომ შრომის ანაზღაურება და პრემირება ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ხელქვეითის მოტივაციაში. ადამიანი უნდა გრძნობდეს, რომ მის შრომას და მონდომებას სათანადოდ აფასებენ და ეს ყველაზე კარგად ხელფასის ოდენობაში გამოიხატება.

• კვალიფიკაცია და საყვარელი საქმე. თუკი ადამიანს არ მოსწონს მისი სამუშაო, მის მოტივირებას, უბრალოდ, არც კი ექნება აზრი. ცნობილი ფრანგი მწერლის ფრანსუაზადე მოტევილეს (1621-1689) აზრით: "ჭეშმარიტი გზა თავის გაბედნიერებისა ეს საკუთარი სამუშაოს სიყვარული და ამ სამუშაოში სიამოვნების პოვნის უნარია". მართლაც, თუკი ადამიანს საკუთარი საქმე არ უყვარს, იგი მას წარმატებით ვერ შეასრულებს. კონკრეტული მუშაკის წარუმატებელ საქმიანობას კი მთლიანი ორგანიზაციის წარუმატებლობაში შეაქვს წვლილი. და პირიქით, სათანადო მუშაკი ერთ-ერთი მთავარი განმაპირობებელია ბიზნესში გამარჯვებისა. გამოკვლევებმა უჩვენეს, რომ მუშაკი მაქსიმალურად მოტივირებული სამსახურში აყვანიდან სამი თვის განმავლობაშია. შემდეგ კი, თუკი არ არსებობს რიგი წამახალისებელი ფაქტორები, მას ეს მოტივაცია უქვეითდება. სწორედ აქ დგება მწვავე საკითხი კონკრეტული ადამიანის, ხშირად კი მთელი დეპარტამენტის საჭიროებისა, რომელიც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს პერსონალის მოტივაციის თუ თვითმოტივაციის გაღვივებას და ამ მოტივაციას კომპანიის მიზნების განხორციელებისაკენ წარმართავს. თვითმოტივაცია კი ესაა უნარი საკუთარი თავის მოტივირებისა და მიზანდასახულობა საქმის განხორციელებისას სხვა რომელიმე ადამიანის გავლენის გარეშე.

• კარიერული კიბე. რაც არ უნდა მაღალანაზღაურებადი იყოს დაკისრებული საქმე, პროფესიონალთა უმეტესობისთვის იგი ხანგრძლივად მიმზიდველი ვერ იქნება, თუ არ იარსებებს კარიერული და პროფესიული ზრდის შემდგომი შესაძლებლობა.

• შექება და საყვედური. მენეჯერმა აუცილებლად უნდა შეაქოს ხელქვეითი საჯაროდ, თუ ის ამას იმსახურებს, ხოლო თუკი რაიმე პრეტენზია აქვს, ის აუცილებლად პირად საუბარში უნდა უთხრას.

• მართვის გამჭვირვალობა. ყველა თანამშრომელმა აუცილებლად უნდა იცოდეს, თუ რას ემსახურება ორგანიზაცია, რა არის ორგანიზაციის მისია, როგორია მისი მიზნები, ამოცანები და შესრულების სტრატეგია, რომ დაინახოს მტკიცე კავშირი მის საქმიანობასა და ორგანიზაციის სასურველ მდგომარეობას შორის.

• სამუშაო გარემო. საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ რა პირობებში უწევთ ადამიანებს მუშაობა. თანამშრომლები მცირედი კომფორტით მაინც უნდა იყვნენ უზრუნველყოფილნი.

• მეგობრული ატმოსფერო. ატმოსფერო და განწყობა კოლექტივში, ასევე, ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც პერსონალის მოტივაციაზე და საბოლოო ჯამში, შრომის ნაყოფიერებაზე ახდენს გავლენას. ამიტომ ხელმძღვანელმა ხელი უნდა შეუწყოს თანამშრომლებს შორის მეგობრული ურთიერთობის ჩამოყალიბებას.

• სოციალური უზრუნველყოფა. აქ შეიძლება განვიხილოთ სამედიცინო დაზღვევა, საჩუქრები დღესასწაულებზე, სპორტულ-გამაჯანსაღებელი აბონიმენტები და ა.შ. მინიმალური სოციალური უზრუნველყოფაც კი იწვევს თანამშრომელში მოტივაციას, რადგან ადამიანს უჩნდება სტაბილურობის შეგრძნება, რაც კეთილსინდისიერი მუშაობისკენ უბიძგებს მას.

ადამიანს არ შეიძლება ჰქონდეს მუდმივად ერთი და იგივე მოტივაცია. ცხოვრება მუდმივად იცვლება, მისი ზემოქმედებით იცვლება პიროვნება და მასთან დაკავშირებული მოტივაცია. მეცნიერულადაა დადგენილი, რომ ყველაზე ძლიერი მოტივაციური საშუალება ესაა საინტერესო საქმე. რაც უფრო განათლებული და კვალიფიციურია ადამიანი, მით მეტად მიისწრაფვის საინტერესო საქმიანობისკენ. საინტერესო საქმიანობაში ის ახდენს თავისი პოტენციალის რეალიზებას.

ამგვარად, თანამშრომელთა შრომის მოტივაციის ამაღლება დღეისათვის წარმოადგენს კერძო კომპანიის მენეჯმენტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას. ამიტომ მენეჯმენტმა უნდა იზრუნოს დანერგოს კომპანიაში მოტივაციის სისტემა. მოტივირების სისტემის დანერგვა კი რთული და ხანგრძლივი პროცესია, რომელიც მოითხოვს ბევრ დროით და ფინანსურ რესურსს. პერსონალის მოტივირების სისტემის დანერგვის შედეგია კომპანიის ფინანსური მაჩვენებლების ზრდა, მომხმარებელთან ურთიერთობის ახალ დონეზე გადასვლა, ასევე კომპანიის პერსონალის თვისებრივი ცვლილება. კომპანიის მთავარი აქტივი სწორედ რომ ადამიანია, რომელიც ქმნის იმ ფასეულობას, რომლის მეშვეობითაც კომპანია იზიდავს მომხმარებლებს და, საბოლოო ჯამში, იღებს მოგებას, რაც, თავის მხრივ, ბიზნესის განხორციელების მთავარ მიზანს წარმოადგენს. ამასთან, რაც უფრო მოტივირებულია მუშაკი, მით უფრო წარმატებულია კომპანია.

ყველა დროის ერთ-ერთმა ყველაზე დიდმა მენეჯერმა, ლი იაკოკამ განაცხადა: "მენეჯმენტი სხვა არაფერია, თუ არა ადამიანების მოტივაცია."

ლიტერატურა:
1. შუბლაძე გ., მღებრიშვილი ბ., მენეჯმენტის საფუძვლები, 2008.
2. თევდორაძე მ., ნასყიდაშვილი ნ., მენეჯმენტი, 2009.
3. ქარქუზაშვილი ნ., „მოტივაციის მცირებიუჯეტიანი სისტემები"- სინერჯი ჯგუფი, ჟურნალი „სტრატეგია და ორგანიზაცია", 2009.
4. Галиков Д., ,,Проблема мотивации в современном менеджмете", 2015.
https://economy-ru.info/info
https://works.doklad.ru/view/kCLpZWSx4do.html

რეზიუმე

ბიზნესის ეფექტიანობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ადამიანურ რესურსებზე, მათ უნარ-ჩვევებზე, ცოდნასა და სხვა ფაქტორებზე. ეს კარგად ესმით კერძო კომპანიის ხელმძღვანელებს და ამიტომ ახდენენ საკმაოდ დიდი სახსრების ინვესტირებას ადამიანურ რესურსებში, ახორციელებენ თანამშრომელთა სწავლებას, მოტივირებას და სტიმულირებას.

ყველა ადამიანი მუშაობს გარკვეული მიზნისათვის. ზოგი ისწრაფვის ფულისკენ, ზოგი დიდებისკენ, ზოგი კი ძალაუფლებისკენ, ზოგს უბრალოდ უყვარს თავისი საქმე. ეს და სხვა მრავალი გარემოება, რომელიც ხელს უწყობს ადამიანის აქტიურ საქმიანობას, იწოდება მოტივებად, ხოლო მათი გამოყენება - მოტივაციად.

კომპანიაში ეფექტიანი და ხარისხიანი საქმიანობის განმაპირობებელი ფაქტორი მოტივაციაა. მენეჯერის ამოცანა მართვის ყველა დონეზე არის ორგანიზაციის მიზნების მიღწევა. იმისათვის, რომ უბიძგო ადამიანს დასახული ამოცანის შესრულებისკენ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავიგოთ რა ამოძრავებს მას, რა უბიძგებს ამ ქმედებისაკენ და რისკენ ისწრაფვის სამუშაოს შესრულებისას.

მოტივაცია, განმარტავს მ. მესკონი, ესაა პროცესი მიმართო საკუთარი თავი და სხვები მოქმედებისაკენ, რათა მიაღწიო პირად ან ორგანიზაციულ მიზნებს.

მოტივაციის გაზომვა შეუძლებელია, მისი დანახვა ძალიან რთულია. მისი გაგება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც გამოცდი საკუთარ თავზე. იგი შეიძლება გახდეს ყველაზე დიდებული და მოულოდნელი ადამიანური მიღწევების მიზეზი. მოტივაციის ნაკლებობა წარმოშობს უკმაყოფილებას, მტრულ დამოკიდებულებას, არეულობებს. მოტივაცია იწყება იქ, სადაც მთავრდება ბრძანების ზემოქმედება. მოტივაციის არეალი საკმაოდ ფართოა, რადგან ადამიანს, როგორც თავისუფლებისმოყვარეს სძულს დაემორჩილოს ბრძანებებს.

ამგვარად, თანამშრომელთა შრომის მოტივაციის ამაღლება დღეისათვის წარმოადგენს კერძო კომპანიის მენეჯმენტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას. ამიტომ მენეჯმენტმა უნდა იზრუნოს დანერგოს კომპანიაში მოტივაციის ეფექტური სისტემა.

ყველა დროის ერთ-ერთმა ყველაზე დიდმა მენეჯერმა, ლი იაკოკამ განაცხადა: "მენეჯმენტი სხვა არაფერია, თუ არა ადამიანების მოტივაცია".

THE PROBLEMS OF MOTIVATING STAFF IN COMPANIES

Maka Sosanidze, Associate Professor

RESUME

The effectiveness of business depends on human resources, their skills, knowledge and other factors. This is well understood by managers of private companies and, therefore, they invest huge amounts of money in human resources.. Carry out training, motivation and stimulation of employees.

All work for a specific purpose. Some are prone to money, some to fame, and some to power, others just love their job. These and many other factors that contribute to active human activity are called motivation, and their use is motivation.

The factor of effective and quality activity in the company is motivation. The task of the manager at all levels is to achieve the organization's goals. To accomplish the task, first of all we need to understand what motivates a person to do this and do what he wants to do.

Motivation, explains M. Meskon, is a process to decide oneself and others to act to achieve personal or organizational goals.

Motivation can not be measured, it is very difficult to see. This can only be understood when you experience it yourself. it can lead to the greatest and unexpected achievements of man. Lack of motivation leads to dissatisfaction, hostility, anxiety.

A person can not always have the same motivation. Life is constantly changing, people are changing and changing with it is motivated. From the scientific point of view, it is established that the most important motivating way is interesting work. The more educated and qualified person, the more looking for an interesting job.

Thus, increasing the motivation of employees is one of the main problems in managing private management. Therefore, management must take care of an effective system of motivation in the company.

The more motivated the worker, the more successful the company.

Li Iakoka, one of the biggest managers of all time, said: "Management is nothing more than motivation for people".

ტურიზმის განვითარების პრობლემები და მათი ანალიზი საქართველოში

ნანული ქოქაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ტურიზმის ინდუსტრია წარმოადგენს გლობალურ მოვლენას, რომლისთვისაც დამახასიათებელია სწრაფი განვითარება, გაფართოება და დივერსიფიკაცია. იგი ეკონომიკის მნიშვნელოვანი სექტორია, რომელიც ხელს უწყობს მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას, სიღარიბის შემცირებას, დასაქმების ზრდას, ინვესტიციების მოზიდვას და იძლევა პირდაპირ და არაპირდაპირ ეკონომიკურ სარგებელს. საქართველოს ბუნებრივი კლიმატური მრავალფეროვნებიდან გამომდინარე დიდი ტურისტული პოტენციალი გააჩნია. ქვეყანაში ტურიზმის განვითარებას ხელს უწყობს შავი ზღვის სანაპირო ზოლის არსებობა, რომელიც მეტად მიმზიდველ ადგილს წარმოადგენს როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ტურისტებისათვის. საქართველოს კარგი პოტენციალი გააჩნია სამთო-სათხილამურო სპორტის, ალპინიზმის, აგროტურიზმის განვითარებისათვის, რასაც განაპირობებს დიდი და მცირე კავკასიონის მთაგრეხილების არსებობა. ჩვენი ქვეყანა გამოირჩევა, როგორც კურორტების, ასევე ე.წ. საკურორტო ადგილების სიმრავლითაც. ასევე მდიდარია კულტურული და ისტორიული ძეგლებით, რომელთაგან ზოგიერთი ჩვენს წელთაღრიცხვამდე რამდენიმე საუკუნით ადრეც კი არის დათარიღებული. მიუხედავად ზემოთ ხსენებული ხელსაყრელი გარემოებების არსებობისა უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ტურიზმი ნაკლებად არის განვითარებული. შესაბამისად არ ხდება არსებული პოტენციალის სათანადოდ გამოყენება და იკარგება პოტენციური შემოსავლის დიდი ნაწილი, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნას ტურიზმის სფეროდან.

2018 წლის იანვარი-მარტის თვის მონაცემებით საქართველოს 1,463,561 საერთაშორისო მოგზაური ეწვია, ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით +15.5%-ია. მთლიანი რაოდენობიდან ტურისტების რიცხვმა, რომლებმაც 24 საათი და მეტი დაჰყვეს საქართველოში, 659,338 შეადგინა, (ზრდა +28. 2%). ყველაზე მეტი ვიზიტი აზერბაიჯანიდან (+3.9%), სომხეთიდან (+15.8%), თურქეთიდან (+21.8%), რუსეთიდან (+25.5%) და ირანიდან (+63.9%) განხორციელდა.

პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც საქართველოში ჩამოსვლების რაოდენობის ზრდის კუთხით, იანვარი-მარტის თვეში გამოირჩნენ: ესპანეთი +79%, გაერთიანებული სამეფო +53%, გერმანია +27%, ნიდერლანდები +46%, საფრანგეთი

+24% და სხვა. განსაკუთრებული ზრდა შემდეგი ქვეყნებიდან დაფიქსირდა: ქუვეითი +127%, საუდის არაბეთი + 82%, ისრაელი +77%, ირანი +64%, ჩინეთი +56% და სხვა.

ტურიზმის განვითარებასთან ერთად, ნათლად იკვეთება პრობლემები, რომელთა სრულყოფილი ჩამოთვლაც ალბათ შეუძლებელია. სახელმწიფო დონორებისაგან იღებს უზარმაზარ დაფინანსებას, მაგრამ პრობლემები კვლავ მოუგვარებლად რჩება. ჩამოვთვალოთ რამდენიმე პრობლემა:

- ტურიზმის კანონის არარსებობა;
- ტურიზმის სააღრიცხვო სისტემის არარსებობა;
- უსაფრთხოების არადამაკმაყოფილებელი დონე ქვეყანაში;
- მძიმე სანიტრულ–ჰიგიენური მდგომარეობა ტურისტულ კურორტებზე;
- მოშლილი საგზაო და სატრანსპორტო სისტემა;
- სასტუმროთა და სააგენტოთა ქსელის განუვითარებლობა;
- ტურიზმის დარგში კომპეტენტური პერსონალის არარსებობა;
- კვების ობიექტების არასათანადო აღჭურვილობა;
- არასაკმარისი ტურისტული საინფორმაციო დაფები და მანიშნებლები;
- ტურისტული პროდუქტის მრავალფეროვნების პრობლემა;
- ხარისხის მონიტორინგი.

ტურიზმის სფეროში მიმდინარე მოვლენების შესაფასებლად ტენდენციების გამოვლენისა და სტატისტიკური კანონზომიერებების დასადგენად აუცილებელია ტურიზმის ინფორმაციული უზრუნველყოფის ხარისხის გაუმჯობესება, რაც მოითხოვს ტურიზმში სტატისტიკური აღრიცხვის სრულყოფის და მაჩვენებელთა გაანგარიშების მეთოდოლოგიის შემუშავებას, რადგან მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მიერ რეკომენდებული ტურიზმის სტატისტიკის ძირითადი პარამეტრები ფაქტიურად ვერ აისახება სტატისტიკურ პრაქტიკაში და შესაბამისად მაჩვენებლები კი საერთოდ ინფორმაციულ ბაზაში. ამის ძირითადი მიზეზი არის ტურიზმის ინფორმაციის მოპოვების სირთულე და აქედან გამომდინარე არასრული აღრიცხვა. ეკონომიკური საქმიანობის კლასიფიკატორში ტურიზმი, როგორც დარგი, ცალკე არ არის გამოყოფილი, ამიტომ ის ინფორმაცია, რომელიც მოიცავს ტურისტულ მოვლენებს, ჩაშლილია მომსახურების სხვადასხვა დარგებში. გარდა ამისა მთლიანად არ მოიცვება მომსახურების სფეროს ის ობიექტებიც, სადაც ტურიზმია გაბნეული. ამასთან, საკმაოდ მაღალია დაუკვირვებადი ეკონომიკის მასშტაბები. [1,18]

დღესდღეობით ქვეყანაში ვერ ხერხდება ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვა. საჭირო ინფრასტრუქტურისა და სააღრიცხვო სისტემის არარსებობის გამო არ ხდება საკურორტო ადგილებში საკუთარი სახლების გამქირავებელთა შემოსავლების აღრიცხვა. ყოველივე აღნიშნული კი განაპირობებს იმას, რომ რეალურად ქვეყნის ბიუჯეტში ტურიზმიდან შესული თანხები ძალიან მწირია. ამასთან ერთად, ის მაღალი გადასახადები, როგორც კომუნალური გადასახადების თვალსაზრისით, ასევე დღგ და საშემოსავლო გადასახადი, ხოლო წლის ბოლოს მოგების გადასახადი, საკმაოდ რთულ მდგომარეობაში აყენებს სასტუმრო ბიზნესს, ესაა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ არის საქართველოში ძვირი სასტუმროს ნომრები.

საჭიროა განხორციელდეს საგადასახდო რეფორმა და შემოვიღოთ სეზონური დაბეგვრის დროებითი მექანიზმი, რაც მისცემს სასტუმროს არასეზონზე არ ქონდეს ისეთივე გადასახადი, როგორიც მაღალი სეზონის დროს და ასეთი ნაბიჯებით შესაძლებელი გახდება რეგიონებში ამ ბიზნესის განვითარება და ამავდროუალდ ზუსტი შემოსავლების აღრიცხვა.

საქართველოს ეროვნულმა სტატისტიკურმა სამსახურმა შეიმუშავა სპეციალური კითხვარი ქვეყნების მიხედვით ვიზიტორთა განაწილების შესახებ, რომელიც გადაეგზავნათ ქვეყანაში არსებულ ორასოთხმოცდარვავე ტურისტულ კომპანიას. კომპანიების სათანადო დონეზე დაინტერესების შემთხვევაში კითხვარის შევსებით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ჩამოყალიბდება გარკვეული საინფორმაციო ბაზა ვიზიტორების შესახებ. ტურიზმის, როგორც მომსახურების დარგის დახასიათებისათვის საჭიროა, რომ ასეთი სახით ტურისტული კომპანიებიდან ინფორმაციის შემოდინებამ მიიღოს სისტემატური ხასიათი, ეს კი მოითხოვს სპეციალიზებული ანგარიშების ფორმების დანერგვას.

საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნათა გათვალისწინებით სტატისტიკის რეფორმების პირველ ეტაპზე შეიქმნა ინტეგრირებული ანგარიშგების ფორმა, რომელიც კომპლექსურად ახასიათებს ისეთი საწარმოების საქმიანობას, რომლისთვსაც ძირითადი საქმიანობის საგანს ტურიზმი წარმოადგენს, მაგ., ტურისტული სააგენტოები, სასტუმროები და სხვა. გარდა ამისა შემოღებული იქნა სპეციალური ფორმა, რომელიც ახასიათებს წლის მანძილზე ჩამოსული ტურისტების რაოდენობას. ქვეყანაში ტურიზმის

სტატისტიკურად დახასიათებისათვის აუცილებელია შემოღებული იქნას სპეციალიზებული ანგარიშგების ფორმები და რეგულარულად ჩატარდეს ტურისტული ნაკადების სპეციალურად ორგანიზებული სტატისტიკური გამოკვლევები. სამომავლოდ აუცილებელია შემოღებული იქნას ტურისტული ბარათი ან მისი შინაარსის მატარებელი ელექტრონული ვერსია. ქვეყანაში უცხოელი ვიზიტორების ჩამოსვლის მიზნების გაშიფრით საზღვრის დაცვის პოლიციის სამსახური მოახდენს ვიზიტორის მიკუთვნებას ან არ მიკუთვნებას ტურისტის კატეგორიაზე და მოცემული ინფორმაცია გაეგზავნება დაინტერესებულ სახელმწიფო უწყებებს ცალკეულ პერიოდებში ტურისტული ნაკადების დადგენის მიზნით. [2. 44]

საქართველოში ამჟამად არ მიმდინარეობს შიდა ტურიზმის სტატისტიკური აღრიცხვა. მდგომარეობას ართულებს ის გარემოება, რომ 24 საათზე მეტი დროით მოქალაქეთა გადაადგილებას საცხოვრებელი ადგილის ფარგლებს გარეთ, უცხო გარემოში დასვენების, საქმიანი თუ სხვა მიზნით საქართველოში მასიური ხასიათი აქვს და იმის გათვალისწინებით, რომ მოქალაქეები არ ექვემდებარებიან სათანადო რეგისტრაციას, ძნელდება მათი გამოვლენა და შიდა ტურისტებად აღრიცხვა. შიდა ტურისტების აღრიცხვა შესაძლებელია სასტუმროებში და დასასვენებელ სახლებში. შიდა ტურიზმის მოცულობითი მაჩვენებლების შეფასებისათვის საჭიროა შერჩევითი სტატისტიკური გამოკვლევის ჩატარება.

საქართველოში სასტუმროთა მომსახურება არასათანადო დონეზეა. ამაზე მეტყველებს შემდეგი მონაცემები: დამსვენებელთა უმრავლესობა - 72% ცხოვრობდა ნაქირავებში, 16% საკუთარ სახლში და მხოლოდ 12% ცხოვრობდა სასტუმროში. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს, როგორც მაღალი ფასებით, ასევე მომსახურების საჭირო დონის არარსებობით, ანუ ფასსა და მომსახურებას შორის შეუსაბამობით, ან უბრალოდ სასტუმროთა სიმცირით საკურორტო ადგილებში და ა.შ. მოცემული პრობლემა შესაძლებელია მოგვარდეს საქართველოში მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მიერ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად შემუშავებული ტურიზმის სატელიტური აღრიცხვის სისტემის შესწავლით.

სატელიტური ანგარიშები წარმოადგენს ეროვნულ ანგარიშთა სისტემის დეტალურ დარგობრივ დამატებას, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია არა მარტო დეტალურად აღვწეროთ ეროვნული ეკონომიკის ფუნქციონირების თავისებურებანი, არამედ შემუშავებულ იქნას ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკა.

სატელიტური ანგარიშის დანერგვის პირველი მცდელობა აღინიშნა კანადაში, საფრანგეთში, ნორვეგიაში, ავსტრალიაში, ესპანეთსა და სხვა ქვეყნებში. ამჟამად საერთაშორისო ტურისტული ორგანიზაციის რეკომენდაციით ტურიზმის სატელიტური ანგარიშის შესადგენად შესაძლებელია 13 ცხრილის დამუშავება. ამ ეტაპზე საქართველოში კეთდება 5 ცხრილი.

საქართველოში ტურიზმის მდგომარეობაზე უარყოფითად იმოქმედა ომმა, შესაბამისად შემცირდა სტატისტიკური გამოკვლევების რიცხვი, რაც სერიოზული პრობლემაა, რადგან რეგულარული სტატისტიკური კვლევების გარეშე ტურიზმის სატელიტური ანგარიშების წარმოება შეუძლებელია.

ტურიზმის სატელიტური აღრიცხვის სისტემა (Tourism Satellite Account) წარმოადგენს ტურიზმის სფეროში სტრატეგიულ დაგეგმვის ინსტრუმენტს, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემების საერთაშორისო შესადარისობის მიღწევას. სატელიტური აღრიცხვის მექანიზმის შემუშავების მიზანია ეკონომიკაზე იმ დარგების გავლენის შესწავლა, რომლებიც ეროვნულ სააღრიცხვო სისტემაში არ განიხილებიან, როგორც წარმოება. ტურიზმი არის სხვადასხვა დარგების ერთობლიობა, ესენია ტრანსპორტი, მომსახურება, საკვებით უზრუნველყოფა, რეკრეაცია, გართობა. ტურიზმი ერთადერთი ფენომენია, რომელიც ვიზიტორით ან მომხმარებლით განისაზღვრება. ვიზიტორები ყიდულობენ ყველანაირი სახის პროდუქტსა და მომსახურებას. აღრიცხვის თვალსაზრისით უმთავრესია მათი ნავაჭრი დაკავშირებული (ასოცირებული) იქნას მთლიანად ქვეყნის წარმოებასთან, მომსახურებასა და საქონლის ერთობლივ მიწოდებასთან.

TSA მიზნად ისახავს განისაზღვროს სწორედ ტურიზმის გავლენა ეკონომიკაზე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აღრიცხულ იქნას ზემოთ ხსენებული პროდუქცია და მომსახურება, რაც საშუალებას მოგვცემს შევადაროთ ისინი წარმოების სხვა სფეროებს, ან თუნდაც სხვა ქვეყნების მაჩვენებლებს. TSA საშუალებას მოგვცემს აღვრიცხოთ:

- ტურიზმის წილი ერთობლივ შიდა პროდუქტში;
- ტურიზმის მიერ ეკონომიკაში შექმნილი სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- ტურიზმში ჩადებული ინვესტიციების მოცულობა;
- ტურისტული ინდუსტრიის გადასახადებიდან მიღებული ამონაგები;

- ტურიზმის მოხმარება;
- ტურიზმის გავლენა ეროვნულ საგადამხდელო ბალანსზე.

ქვეყანაში არ არსებობს სრული საინფორმაციო ბაზა საქართველოს ტურისტული პოტენციალის შესახებ, სადაც აღწერილი იქნება საქართველოს რეგიონებში არსებული კურორტები, თავისი ღირსშესანიშნაობებით. ასევე არ არსებობს სასტუმროთა და სააგენტოთა ბაზა, რომელიც შეიცავდა მათი მომსახურების სახეებს და საქმიანობის სრულ აღწერას. ყოველივე აღნიშნულის არსებობა სასიკეთოდ წაადგებოდა ტურიზმს, რადგან სრული საინფორმაციო ბაზა დახმარებას გაუწევდა როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოელ ტურისტებს. აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად მიზანშეწონილად მიგვაჩნია: შეიქმნას სასტუმროებისა და სააგენტოების სრულყოფილი საინფორმაციო ელექტრონული ბაზა და ტურისტული პოტენციალის აღწერის ელექტრონული ბაზა, ასევე საჭიროა სააგენტოების მხრიდან შიდა ტურიზმზე ორიენტირება.

ამრიგად, ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების მოგვარებას, რომელთა სრულყოფილი ჩამოთვლაც ალბათ შეუძლებელია, დიდი მნიშვნელობა აქვს ტურიზმის განვითარებისათვის, რადგან ვიზიტორთა მოგზაურობის მიზანს მხოლოდ დასვენება არ წარმოადგენს, ხშირად ისინი მიემგზავრებიან რეკრეაციის ან გამოჯანმრთელების მიზნით. ქვეყანაში არსებული პოტენციალის სათანადოდ გამოყენება ხელს შეუწყობს მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას, სიღარიბის შემცირებას, დასაქმების ზრდას, ინვესტიციების მოზიდვას და ქვეყანას მოუტანს პირდაპირ და არაპირდაპირ ეკონომიკურ სარგებელს.

ლიტერატურა:

1. ნ. აბესაძე, მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის ტურიზმის სტატისტიკის რეკომენდაციების დანერგვის პრობლემები საქართველოში, I საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია „ტურიზმი, ეკონომიკა, ბიზნესი“, ბათუმი, 2010.
2. ქინქლაძე რ., აბესაძე ნ., საქართველოს ტურიზმის განვითარების ტენდენციები და პერსპექტივები, V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ტურიზმი, ეკონომიკა, ბიზნესი“, ბათუმი, 2014.
3. დ. კბილაზე, ნ. აბესაძე, სტატისტიკური აღრიცხვის პრობლემები საქართველოს ტურიზმში, საერთაშორისო კონფერენციის შრომების კრებული, გორი, 2009.
4. დევაძე ანზორ, გრძელიშვილი ნოდარ, ,,ტურიზმი საქართველოში არსებული მდგომარეობა, პრობლემები და პერსპექტივები“, მონოგრაფია, თბილისი, 2012.
5. გოგელია მამუკა, ,,ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში“, I საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია ,,ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი“, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ტურიზმის ფაკულტეტი, აჭარის ა.რ. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, შავი ზღვის ტექნიკური უნივერსიტეტი, 5-6 ივნისი, ბათუმი, 2010.
6. კორძაია ი., ,,ეროვნულ ეკონომიკებში ტურიზმის წვლილის სტრუქტურა და მისი თავისებურებები საქართველოში“, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია ,,ტურიზმის განვითარების სტრატეგიები XXI საუკუნეში მდგრადი განვითარების კონტექსტში“, ლვოვის ეკონომიკისა და ტურიზმის ინსტიტუტი, უკრაინა, 2016.
7. www.geostat.ge
8. www.genta.ge

რეზიუმე

ნაშრომში მოცემულია ტურიზმის დარგის წინაშე მდგომი ზოგიერთი პრობლემა საქართველოში. ჩამოთვლილი პრობლემებიდან ძირითადი აქცენტი გაკეთებულია ტურიზმის სატელიტური აღრიცხვის სისტემაზე, რომელიც წარმოადგენს ტურიზმის სფეროში სტრატეგიულ დაგეგმვის ინსტრუმენტს, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემების საერთაშორისო შესადარისობის მიღწევას. გაანალიზებულია ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები და მოცემულია ზოგიერთი პრობლემის გადაჭრის გზები.

MAIN PROBLEMS IN TOURISM DEVELOPMENT IN GEORGIA AND THEIR SOLVING WAYS

Nanuli Kokashvili, Associate Professor

RESUME

In the article are represented the main problems of tourism. The main accent lays on tourism satellite accounting, that represents strategic planning instrument in tourism that provides international comparability. Also, in the work there in analyzed the results of the research and solving ways.

რეგიონების განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები საქართველოში

ხალიანა ჩიტაძე, *ასოცირებული პროფესორი*

საქართველო მოიცავს 12 რეგიონს: აფხაზეთი, აჭარა, გურია, იმერეთი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, სამცხე ჯავახეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი და თბილისი. საქართველოს მოსახლეობა არათანაბრადაა განაწილებული რეგიონებში. მათი უმრავლესობა ცხოვრობს მუნიციპალურ ცენტრებში და ისეთ ტერიტორიებზე, სადაც ეკონომიკური აქტიურობის დონე შედარებით მაღალია. რეგიონების განვითარების დონეებს შორის უთანაბრობას ასევე განაპირობებს მათი ბუნებრივ-გეოგრაფიული თავისებურებები, სამრეწველო, ტურისტული, სასოფლო-სამეურნეო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების განსხვავებული დონე. აქედან გამომდინარე საქართველოს რეგიონები მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას, მათ არ აქვთ განვითარების თანაბარი შესაძლებლობები, რაც ნეგატიურად აისახება მოსახლეობის თვითმყოფადობაზე. საქართველოს მთავრობისათვის ცალკეულ რეგიონებში არსებული რეალობა არის ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სოციალური სიძლიერის მნიშვნელოვანი ინდიკატორი. დღეს რეგიონების განვითარების პრიორიტეტების სწორი გაანალიზება და პრობლემების მოგვარება მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. საქართველოს რეგიონებში არსებული უთანასწორობის მიზეზები ეკონომიკური აქტივობის და ცხოვრების დონის სიდაბლე, ასევე სიღარიბე და უმუშევრობა დღეს ხელს უწყობს მოსახლეობის მიგრაციას საქართველოს დედაქალაქისაკენ. ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს თბილისის და მისი მიმდებარე რეგიონების ტერიტორიების კონკურენტუნარიანობის განხილვა, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკური აქტივობის და ცხოვრების დონის ზრდას, სიღარიბის და უმუშევრობის შემცირებას მიმდებარე რეგიონებში. აღნიშნული მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანია ფუნქციური რეგიონის (თბილისი და მისი მიმდებარე ტერიტორია) კონკურენტული უპირატესობების დადგენა, გამოვლენილი კონკურენტული უპირატესობების შესწავლა.

ხშირად გვსმენია, რომ თბილისი საქართველოს ეკონომიკისთვის არაბუნებრივად დიდი ქალაქია, მაგრამ რა ზომის უნდა იყოს დედაქალაქის მოსახლეობა რომ ის „ბუნებრივად“ ჩაითვალოს და არის თუ არა თბილისის ზომის შესახებ არსებული მითი სინამდვილე? რაც უნდა უცნაური იყოს, მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში ქალაქების მოსახლეობის განაწილება ერთსა და იმავე განმეორებად კანონზომიერებას ექვემდებარება. ესაა მიმართება ქვეყნის ყველაზე მრავალრიცხოვანსა და უფრო მცირე ზომის ქალაქებს შორის. ეს განაწილება მათემატიკოს ჯორჯ კინგსლი ზიფის პატივსაცემად „ზიფის წესის“ სახელით არის ცნობილი. „ზიფის წესის“ მიხედვით, მაგალითად, თუ ქვეყნის უდიდესი ქალაქის მოსახლეობა არის 1000 კაცი, სიდიდით მეორე ქალაქის მოსახლეობა ამაზე დაახლოებით ორჯერ მცირე იქნება - 500 კაცი, მესამე ქალაქის მოსახლეობა უდიდესზე სამჯერ მცირე - 330 კაცი, სიდიდით მეოთხე ქალაქის მოსახლეობა 200 კაცი იქნება და ასე შემდეგ.

ამ კანონზომიერებას ნათლად დავინახავთ, თუ აშშ-ის მაგალითს მოვიყვანთ. აშშ-ის უმსხვილეს ქალაქ ნიუ-იორკში 8.5 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. სიდიდით მეორე ქალაქ ლოს-ანჯელესის მოსახლეობა 3.9 მილიონია, მესამე უდიდეს ქალაქ ჩიკაგოში 2.7 მილიონი ცხოვრობს, მეოთხე უდიდესი ქალაქის ჰიუსტონის მოსახლეობა კი 2.3 მილიონს შეადგენს.

საქართველოს შემთხვევაში კი სრულიად განსხვავებული პროპორციაა: თბილისი - 1.12 მილიონი მაცხოვრებელი, ბათუმი - 153 ათასი მცხოვრები, ქუთაისი - 147 ათასი მცხოვრები, რუსთავი 125 ათასი

მცხოვრები. ბუნებრივი განაწილების შემთხვევაში, ბათუმის მოსახლეობა ნახევარ მილიონამდე უნდა იყოს, ხოლო ქუთაისის მოსახლეობა კი 300,000-ზე მეტი.

თბილისი არა მხოლოდ ფორმალურად წარმოადგენს საქართველოს დედაქალაქს, არამედ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ცენტრიცაა. თბილისში ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის 30%-ია თავმოყრილი, რაც 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 1.1 მლნ კაცს წარმოადგენს. თბილისშივე იქმნება ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 49% (აღნიშნული მონაცემი 2016 წლის მდგომარეობით 14.3 მლნ ლარს შეადგენს). 2016 წლის მონაცემებით, თბილისის მრეწველობის სფეროში პროდუქციის გამოშვება წინა წელთან შედარებით 13%-ით გაიზარდა და 3,694.7 მილიონი ლარი შეადგინა, რაც მთლიანად საქართველოში მრეწველობის სფეროში პროდუქციის გამოშვების 40%-ია. თბილისის ეკონომიკის საფუძველს მრეწველობის, ვაჭრობის, მომსახურების, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დარგები წარმოადგენენ. მათზე დედაქალაქში გამოშვებული პროდუქციის 73% მოდის.

რა გავლენას ახდენს ეს ქვეყნის ეკონომიკაზე?

საქართველოს მცირე ქალაქების განუვითარებლობა ხელს უშლის ქვეყნის ბუნებრივი თუ ადამიანური რესურსების გამოყენებას. თბილისში კვალიფიციური მუშახელის კონცენტრაცია მცირე ქალაქებში ეკონომიკური საქმიანობის განვითარებას ართულებს, ფერხდება სოციალური კაპიტალის დაგროვება. შრომის ბაზრის სიმცირის გამო მცირე ქალაქებში ახალი სამსახურის შოვნა უფრო ძნელი ხდება. მეორე მხრივ, თბილისში თავმოყრილი ადამიანები შრომის ბაზარზე არსებული მაღალი კონკურენციის გამო უფრო მეტ სირთულეებს აწყდებიან საკუთარი პოტენციალის რეალიზებისთვის.

თბილისსა და დანარჩენ საქართველოს შორის ცხოვრების საშუალო დონის ასეთი სხვაობის გამო ქვეყანაში სოციალური მობილობა პრაქტიკულად ერთი მიმართულებით - თბილისისკენ ხდება. ეს დამატებით ზეწოლას ახდენს ინფრასტრუქტურაზე, საგზაო სისტემასა თუ უძრავი ქონების ბაზარზე, რომელიც დედაქალაქში ამ მოთხოვნის გამო ქალაქის იერს და ეკოლოგიურ პირობებს მნიშვნელოვნად აუარესებს.

დღეისთვის ქალაქში საქართველოს მოსახლეობის 57% ცხოვრობს, სოფელში კი - 43%. საინტერესოა, რომ თითქმის 50 წლის წინ, 1970 წელს, საქართველოს ურბანიზაციის მაჩვენებელი 47%-ს შეადგენდა. შესაბამისად, ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში საქართველოს მთლიან მოსახლეობაში ქალაქების წილი მხოლოდ 10%-ით გაიზარდა. შეიძლება ითქვას, რომ ურბანიზაციის ამაზე მაღალი ტემპით ზრდა არ მოხდა, რადგან თბილისმა მისი ინფრასტრუქტურული განვითარების თითქმის ზღვრულ მაჩვენებელს მიაღწია, ხოლო რეგიონული ქალაქების მნიშვნელოვანი განვითარება კი არ მომხდარა.

რაც შეეხება საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების პერიოდს, გასული წლების განმავლობაში ერთ-ერთი მთავარი ცვლილება ბათუმის მიერ ქუთაისისთვის ქვეყნის მეორე უმთავრესი ქალაქის ტიტულის ჩამორთმევა იყო. ბათუმის ზრდა ტურისტული და მომსახურების სექტორების მნიშვნელოვანმა განვითარებამ გამოიწვია, რამაც იქ დასაქმების ახალი პერსპექტივები შექმნა. ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სახელმწიფოს მიერ ქალაქის ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციაში ჩადებულმა მილიონობით ლარმა.

მცირე ქალაქებისა და რეგიონების განუვითარებლობა საქართველოს ეკონომიკისთვის რეალური პრობლემაა. ის ქვეყანაში თბილისსა და სხვა რეგიონებს შორის ცხოვრების დონის არათანაბარი განაწილების უმთავრესი მიზეზია. ამ პრობლემის მოგვარების გზა ახალი მიზიდულობის ცენტრების ჩამოყალიბება და არსებული რეგიონული ცენტრების განვითარებაა, რაც შეიძლება შეიქმნას რაიმე ახალი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური პროექტის გარშემო, რომელიც ქვეყანაში ახალი მსხვილი ქალაქის დაბადებას და მასში მოსახლეობის გადასვლას შეუწყობს ხელს.

თუ რეგიონული ქალაქები განვითარდა, ეს ხომ სოფლის მაცხოვრებელთა რაოდენობას კიდევ უფრო შეამცირებს? ასეც იქნება, თუმცა ურბანიზაციის პროცესის ხელშეწყობით, პირველ რიგში, ამ ადამიანთა ცხოვრების დონე და შემოსავლები გაიზრდება. დღეს საქართველოს მოსახლეობის 43%, ანუ 1.5 მილიონი ადამიანი სოფლად ცხოვრობს. მათგან დაახლოებით 1 მილიონი ადამიანი სოფლის მეურნეობის სექტორშია თვითდასაქმებული. თუმცა, დარგის განუვითარებლობისა და მცირემიწიანობის გამო, ეს ერთი მილიონი ადამიანი ქვეყნის ეკონომიკის მხოლოდ 10% ქმნის. ეს ნიშნავს, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ძალიან მცირე მოცულობის პროდუქციას აწარმოებს, რაც, როგორც სოციალური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით, ქვეყნისთვის პრობლემაა. ადამიანური კაპიტალი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი კაპიტალია და სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს მის ეფექტურ გამოყენებას. ურბანიზაცია კი ამ კაპიტალის განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი ხელშემწყობია. სოფლად მაცხოვრებელთა ქალაქში გადასვლა არ ნიშნავს სოფლის მეურნეობის დარგების შემცირებას,

მაგალითად, ისრაელის მოსახლეობის მხოლოდ 10% ცხოვრობს სოფლად, მაგრამ ეს გარემოება ქვეყანას ხელს არ უშლის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ერთ-ერთი უმსხვილესი მწარმოებელი იყოს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პროგნოზის მიხედვით, 2050 წელს სოფლად საქართველოს მოსახლეობის 36% იცხოვრებს. ეს ნიშნავს, რომ ნახევარ მილიონამდე ადამიანი დატოვებს სოფელს და ქალაქში გადავა. თუ ამ პროცესს თან რეგიონული ქალაქების განვითარება და ახალი ქალაქების მშენებლობა დაერთო, სავარაუდოდ, ამ ადამიანთა უდიდესი ნაწილი არა თბილისში, არამედ რეგიონულ ცენტრებში საცხოვრებლად გადასვლას გადაწყვეტს.

რაც შეეხება თბილისის მიმდებარე ტერიტორიას, საკვლევ არეალად ავიღეთ მხოლოდ ქვემო ქართლის რეგიონი, რადგან მაკროეკონომიკურ მონაცემთა უმრავლესობა მცხეთა-მთიანეთის რეგიონისთვის განცალკევებულად არ გვაქვს და მოცემულია მხოლოდ აგრეგირებული სახით (შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი).

2016 წლის მონაცემებით, ქვემო ქართლში ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 8% შეიქმნა. ქვემო ქართლში შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულების ძირითად ნაწილი სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის დარგებზე მოდის.

რეგიონი	მშპ (მლნ. ლარი)	მოსახლეობის რიცხოვნობა (ათასი კაცი)	მშპ ერთ სულზე (ლარი)
საქართველო	34,028.5	3,720.4	9,146.4
თბილისი	14,297.5	1,113.0	12,845.9
ქვემო ქართლი	2,348.7	426.4	5,508.2

წყარო: 2016 წლის მონაცემები მშპ-სა და მოსახლეობის რიცხოვნობაზე აღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ბაზიდან

2017 წლის წინასწარი მონაცემების თანახმად, თბილისში განთავსებულია ქვეყნის მიერ მოზიდული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 78% (1,457 მლნ აშშ დოლარი), ხოლო ქვემო ქართლში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მხოლოდ 4% გვხვდება. რაც შეეხება დასაქმების დონეს, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მოსახლეობის 57% თვითდასაქმებულია (მათი უმრავლესობა კი დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში), თბილისში დანარჩენ რეგიონებთან შედარებით უმუშევრობის მაჩვენებელი ყველაზე მაღალია და 2016 წლის მონაცემებით 22%-ს შეადგენს.

თბილისში არსებული უმუშევრობის მაღალი დონე განსაკუთრებულად ხაზგასმულია საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა 2018-2021-ში, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ აღნიშნული პრობლემა რეგიონისათვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს.

2018-2021 წლების რეგიონული განვითარების პროგრამაში ხაზგასმულია კონკურენტუნარიანობის როლი რეგიონების და მთლიანად ქვეყნის განვითარებაში, ცალკეული რეგიონის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას მნიშვნელოვანი ეფექტი ექნება ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში განაპირობებს 2018-2021 წლების რეგიონული განვითარების დოკუმენტში დასახული მიზნების მიღწევას: ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას, პროდუქციის და სერვისების ექსპორტის წილის ზრდას მშპ-ში, სიღარიბის ზღვარს ქვევით მაცხოვრებელი მოსახლეობის წილის შემცირებას ეროვნულ დონეზე, ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციების წილის ზრდას რეგიონულ დონეზე (როგორც მშპ-ს პროცენტი), თბილისის წილის შემცირება საერთო დამატებით ღირებულებაში (ზრდა ქვეყნის შიგნით, გათანაბრება).

2018-2021 წლების რეგიონული განვითარების პროგრამაში ხაზგასმულია საერთაშორისოდ კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების ზრდის მნიშვნელობა ევროკავშირთან ინტეგრაციისა და გლობალიზაციის პროცესების გამო წარმოშობილი შესაძლებლობების სრულად გამოყენებისთვის. აღნიშნულს სჭირდება ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებული იქნება კონკურენტუნარიანი სექტორების საექსპორტო შესაძლებლობების ზრდაზე, აღნიშნული კვლევა ხელს შეუწყობს, გამოიკვეთოს კონკურენტუნარიანი სექტორები, მოხდეს მათი სრულყოფილი შესწავლა და შემუშავდეს მათი განვითარების რეკომენდაციები.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს საქართველოს მთავრობის მიერ ხორციელდება ტერიტორიული განვითარების დაბალანსებისაკენ მიმართული პოლიტიკა, ვთავაზობ რამდენიმე გასათვალისწინებელ რეკომენდაციას:

- მაქსიმალური ეფექტის მისაღწევად საჭიროა კვლევების საფუძველზე შესწავლილ იქნას ცალკეული რეგიონის განვითარების პოტენციალის ოპტიმალური გამოყენება და არსებული რესურსების სწორად გადანაწილება;
- მეტ-ნაკლებად აღმოფხვრილ იქნას საქართველოს რეგიონებში არსებული უთანასწორობის მიზეზები;
- რეგიონებში ეკონომიკისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსახლეობის მეტი ჩართულობა;
- ადგილობრივი თვითმმართველი ინსტიტუტების გაძლიერება და მათი შესაძლებლობების ამაღლება;
- საჯარო მოხელეების პროფესიული უნარების გაუმჯობესება.

ლიტერატურა:

1. ბარათაშვილი ე., გეჩბაია ბ., ღლონტი ვ., საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა: თანამედროვე გამოწვევები, თბილისი, 2012.
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - www.geostat.ge
3. რეგიონების განვითარების პროგრამა 2018-2021 წ.
4. http://nplg.gov.ge
5. http;//www.pfd.ge

რეზიუმე

სტატიის მიზანია რეგიონების განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების განხილვა საქართველოში, როგორც ქვეყნისათვის ცხოვრების დონის ზრდის, სიღარიბის და უმუშევრობის შემცირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი საქართველოში. ავტორი ნაშრომში იხილავს საქართველოს რეგიონებში არსებული უთანასწორობის მიზეზებს და ამ მიზეზებთან მიმართებაში მთავრობის გასატარებელ ღონისძიებებს.

აღნიშნული ნაშრომისათვის შერჩეული სამეცნიერო მეთოდია სტატისტიკური ანალიზი, სინთეზი.

ნაშრომში ავტორი გვთავაზობს საქართველოს ცალკეული რეგიონის განვითარების პოტენციალის ოპტიმალური გამოყენებას და არსებული რესურსების სწორად გადანაწილებას, საჭირო ღონისძიებების გატარებას. საჭირო პრობლემების კომპლექსურად შესწავლას და მათი აღმოფხვრის გზების ძიებას.

კვლევის დროს გამოყენებულია შედარებითი, აღწერილობითი და შეფასებითი მეთოდები. აგრეთვე მონაცემთა შეგროვება, სისტემური ანალიზი და პროგნოზი.

კვლევის მთავარი შედეგია საქართველოს რეგიონების პრობლემების გაშუქება და ანალიზი, შესაბამისი რეკომენდაციებისა და დასკვნების გამოტანა აღნიშნული რეგიონებში ეკონომიკისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

PRIORITY TRENDS IN THE DEVELOPMENT OF REGIONS IN GEORGIA

Khaliana Chitadze, Associate Professor

RESUME

Introduction and goal of research The purpose of the article is to discuss the priority directions of the development of the regions in Georgia as one of the major factors in poverty and unemployment reduction in Georgia. The author discusses the reasons of inequality in the regions of Georgia and measures to be taken by the Government in relation to these reasons.

A scientific method selected for this work is statistical analysis and synthesis. In the work, the author offers the optimal utilization of the potential development of the separate region of Georgia and the proper distribution of existing resources and the necessary measures. Complex study of the necessary problems and search for ways to eliminate them.

The study uses comparative, descriptive and evaluative methods. Data collection, system analysis and forecast.

The main outcome of the survey is the coverage and analysis of the problems of the regions of Georgia, the relevant recommendations and conclusions for the further improvement of the favorable environment for the economies in these regions.

არატრადიციული მონეტარული პოლიტიკა საქართველოში და გამოყენების ტენდენციები

თეა ხორგუაშვილი, პროფესორი
ლია ნადირაძე, უფროსი მასწავლებელი

არატრადიციული ფულად–საკრედიტო პოლიტიკის მეთოდების გამოყენების სიხშირე ბოლო ათწლეულის მანძილზე მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც განაპირობა მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკურმა პროცესებმა და კრიზისულმა გამოვლინებებმა. არატრადიციული მონეტარული პოლიტიკა წარმოადგენს განსხვავებული ინსტრუმენტებისა და მიდგომების ერთობლიობას, რომლის საშუალებითაც ხდება ეკონომიკაში კრიზისული პროცესების მართვა და ეკონომიკური ზრდის დადებითი მაჩვენებლების შენარჩუნება. სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს, რომ აღნიშნული მეთოდები ეფექტურია, თუმცა ყველა ქვეყანა ერთსა და იმავე მიდგომას მსგავსი ეფექტურობით ვერ გამოიყენებს სხვადასხვა ინდივიდუალური მახასიათებლების გამო.

საქართველოში არატრადიციული ფულად–საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენება შესაძლებელია, თუკი ქვეყანაში კარგად განვითარებული ფასიანი ქაღალდების და კაპიტალის ბაზარი გვექნება, სადაც მაქსიმალურად იქნება შესაძლებელი თავიდან იქნას სპეკულაციური გარიგებების თავიდან აცილება.

მაკროეკონომიკური სტაბილურობის მისაღწევად ქვეყანაში აუცილებელია ინფლაციის დაბალი და სტაბილური ტემპები შეინიშნებოდეს. ეს ეკონომიკური ზრდის, მაღალი დასაქმებისა და დაბალი საპროცენტო განაკვეთების უმნიშვნელოვანეს პირობად გვევლინება.

ცენტრალური ბანკების მიერ განხორციელებული მზარდი ეფექტიანი მონეტარული პოლიტიკა განაპირობებს ეროვნული ბანკის კანონმდებლობით განსაზღვრული ამოცანის – ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფას. ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი საქართველოში ეროვნული ბანკის მიერ გატარებული მონეტარული პოლიტიკის საფუძველს წარმოადგენს. გრძელვადიან პერიოდში ინფლაციის სამიზნე მაჩვენებელი 3%–ია.

მცურავი გაცვლითი კურსის არსებობა ერთ–ერთი წინაპირობაა კაპიტალის თავისუფალი მოძრაობისათვის, როცა ქვეყნის ეროვნული ბანკი ინფლაციის თარგეთირების რეჟიმზეა გადასული. ასეთი მოცემულობისას ბაზრისათვის დამახასიათებელია მოკლევადიანი რყევები, განსაკუთრებით ისეთი მაღალი დოლარიზაციის მქონე ქვეყნებში, როგორიც საქართველოა. ამ ყველაფერს კაპიტალის ნაკადების რყევა და ბაზრის სიმცირე განაპირობებს.

ეროვნული ბანკის მონაცემების თანახმად, 2010 წლის აპრილიდან, მონეტარული პოლიტიკის გააქტიურების შემდგომ, ქვეყანაში შეინიშნება დადებითი მიმართულებები. კონკრეტულად კი გაიზარდა ფულის ბაზრის მოცულობა. ფულადი ბაზრის განვითარებამ შესაძლებელი გახადა ლიკვიდობის მართვა კომერციული ბანკებისათვის. შედეგად მათი მონაცემებით მიღებულია ლარიზაციის მაჩვენებლის შემცირება. რეფინანსირების განაკვეთისადმი ნდობა კი გაიზარდა, ხოლო ბანკებმა მომხმარებლებს სესხები ეროვნულ ვალუტაში შესთავაზეს. ამით კი გაზარდეს მონეტარული პოლიტიკის გადაცემის საკრედიტო არხი. თუმცა რეალურად სიტუაცია სხვაგვარადაა, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, საქართველოში საყოველთაოდ აღიარებული და ერთმანეთის თანამდევი პროცესები არ მიმდინარეობს, პირიქით ხშირად საქმე გვაქვს საპირისპირო პროცესებთანაც. ერთ–ერთი ასეთი მაგალითია რეფინანსირების განაკვეთი, რომლის ბოლოდროინდელმა ცვლილებამ შედეგი ვერ გამოიღო, რეფინანსირების განაკვეთით ინფლაციის მოთოკვა თითქმის შეუძლებელი გახდა იმდენად, რამდენადაც ეროვნული ბანკი რეფინანსირების სესხებს ფულად–საკრედიტო პოლიტიკის ნორმალური გატარებისათვის საჭირო გონივრული მოცულობით კი არ გასცემს, არამედ აქ საქმე გვაქვს ბუნდოვან ოლიგოპოლიურ გარიგებებთან, რაც ეროვნული ბანკის საიტზე გამოქვეყნებულ ინფორმაციაშიც სტრიქონთა შორის იკითხება.

სავალუტო აუქციონის არსებობა ამცირებს ბაზარზე ეროვნული ბანკის ჩარევის აუცილებლობას. მოკლევადიან პერიოდში გაცვლითი კურსის პროგნოზირება შეუძლებელია. ივარაუდება, რომ სპეკულაციური წნეხის აღმოფხვრა მოხდა გაცვლით კურსზე. ეს ოპერაციები ზრდის მონეტარული პოლიტიკის გავლენას რეალურ ეკონომიკაზე და ზრდის მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევის ალბათობას. თუმცა, ეს ყველაფერი ნამდვილად არ არის მონეტარული გადაცემის მექანიზმის გაძლიერების საქმეში.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის საოპერაციო ინსტრუმენტს წარმოადგენს მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთი, რომელთა ცვლილებაც სამომავლოდ აისახება გრძელვადიან განაკვეთებში, რაც ეკონომიკის საბოლოო მდგომარეობაზე ახდენს გავლენას. მონეტარული პოლიტიკის დროითი ლაგი განისაზღვრება 4-6 კვარტლით. მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების ცვლილება გავლენას ახდენს ინფლაციაზე მომავალში, რაც პირდაპირპროპორციულადაა დაკავშირებული ფასების სტაბილურობასთან ეს უკანასკნელი კი საპროგნოზო ინფლაციით რეგულირდება.

სავალუტო ბაზრის განვითარების მიზნით ეროვნულმა ბანკმა თბილისის სავალუტო ბირჟა ჩაანაცვლა სავალუტო აუქციონებით, რაც დღეისათვის სავალუტო ბაზარზე ინტერვენციების ერთადერთ ინსტრუმენტს წარმოადგენს. აღნიშნული რეფორმის შედეგად ეროვნული ბანკის ინტერვენციების წილი სავალუტო ვაჭრობაში მნიშვნელოვნად შემცირდა. პოლიტიკის შედეგად გაიზარდა კურსის მერყეობა, რაც დამახასიათებელია სავალუტო ბაზრებისათვის (თუმცა არსებული მერყეობა ეკონომიკაზე შოკურ გავლენას ახდენს). ამრიგად, გაცვლითი კურსის პროგნოზირება შეუძლებელია გახდა, რითაც (დესტაბილიზაციის მიზნით) სპეკულაციური გარიგებების ალბათობა შემცირდა. ამით ლარის სტაბილურობა უნდა გაზრდილიყო (თუმცა შედეგი საპირისპიროა). ეროვნული ბანკის სავალუტო პოლიტიკის მიზანია ეროვნული ბანკის ჩარევის შემცირება სავალუტო ბაზრებზე. ძირითად მიზანს კი წარმოადგენს კაპიტალის დროებითი ჭარბი ნაკადების გამო გაცვლითი კურსის რყევების შემცირება და ამასთანავე კერძო და სახელმწიფო სექტორში საგარეო დაფინანსებებს შორის დისბალანსისა და შეუსაბამობების ნაწილობრივი კორექტირება. ეროვნული ბანკის მიზანს გრძელვადიან პერიოდში სავალუტო ინტერვენციების გაუქმება წარმოადგენს.

მას შემდეგ, რაც საქართველოს ეროვნული ბანკი ინფლაციის თარგეთირების რეჟიმზე გადავიდა (2009 წ), გაძლიერდა მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობის ზრდის ნაბიჯები. ადრე არსებული მონეტარული თარგეთირების რეჟიმის გატარებისას ცხადი გახდა, რომ სარეზერვო ფულსა (რომელიც ეროვნული ბანკის მიერ სრულად მართვადი მაჩვენებელია) და ინფლაციას შორის დაირღვა წონასწორობა, ის ნაკლებად ეფექტიანი იყო და საჭირო გახდა ახალი ზომების გატარება ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის სახით.

ფულად–საკრედიტო პოლიტიკის ეფექტურად გასატარებლად მნიშვნელოვანია ლარიზაციის მაჩვენებელი, რომელიც განმსაზღვრელს წარმოადგენს მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობის საკითხში. ლარიზაციის ღონისძიებების გატარება ეროვნულმა ბანკმა დაიწყო 2017 წლიდან, რითაც მაქსიმალურად ცდილობს მონეტარული პოლიტიკის გავლენის ეფექტიანობის გაზრდას. დოლარიზაციის მაღალი მაჩვენებელი წარმოშობს გაცვლითი კურისის მერყეობას და ეროვნული ვალუტის გაუფასურებისას კრედიტების ნაკლებად გადახდისუნარიანობას, ვალდებულებების გაზრდას იმ პირებისათვის, რომელთა ვალდებულებებიც უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული, ხოლო შემოსავლებს ლარით იღებენ. ამით საფრთხე ექმნება ქვეყნის ფინანსურ სტაბილურობას.

ლარიზაციის ღონისძიებების ფარგლებში ეროვნულ ბანკს, ბაზელ III–ის რეკომენდაციის თანახმად, სურს შემოიღოს ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი, სადაც უპირატესობის მინიჭება ეროვნულ ვალუტაზე მოხდება. აუცილებელი პირობაა ეროვნულ ბანკს გააჩნდეს ლიკვიდური აქტივები, რათა მოკლევადიანი დეპოზიტები გრძელვადიან სესხებად გადააქციოს ამისათვის კი იგეგმება გირაოს ბაზის გაფართოება.

აუცილებელია კაპიტალის ბაზრის განვითარება, გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის განვითარებისა და კაპიტალის გაზრდისათვის. ამისათვის კი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების განვითარებაა აუცილებელი. ეროვნული ბანკი ცდილობს მაღალლიკვიდური ფასიანი ქაღალდების გამოშვებას. სავალუტო რისკების თავიდან ასაცილებლად 2017 წლის 15 იანვრიდან ეროვნულმა ბანკმა შემოიღო ახალი რეგულაცია, რითაც მცირე მოცულობის სესხების გაცემა მოხდება მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში, ხოლო 2015 წლამდე აღებულ სესხებზე დაიწყო გალარების ერთჯერადი ღონისძიება. ლარში გაცემული სესხების პოპულარიზაცია ხელს შეუწყობს სესხების ლარიზაციის მაჩვენებლის ზრდას, თუმცა საქართველოში ცვლად საპროცენტო განაკვეთში გაცემული სესხების წილი სესხების საერთო მოცულობაში ძალიან მცირეა, რაც განსხვავდება განვითარებული ქვეყნების მაჩვენებლებისაგან. მსგავსი სესხების დროს ბანკებში საპროცენტო განაკევთების რისკი მინიმუმამდეა შემცირებული, რითაც შესაძლებელია განაკვეთების შემცირება, ამასთანავე ვალუტის შეუსაბამობით გამოწვეული საკრედიტო რისკიც მინიმუმამდეა შემცირებული. ეროვნულმა ბანკმა დაიწყო „ესქრო“ მომსახურების შეთავაზება, რომლის ფარგლებშიც ოპერაციები ყიდვა–გაყიდვის გარიგებები ლარში განხორციელდება, რითაც გარიგებების სხვადასხვა მხარეები რიკისაგან დაცულნი იქნებიან. აღნიშნული ოპერაციების განხორციელება შეზღუდული არ იყო ლარით, ამასთანავე დოლარშიც ხორციელდებოდა.

მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობის გასაზრდელად ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავა ფასიანი ქაღალდების ბაზრის ახალი ინსტრუმენტები. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებასთან ერთად ეროვნული ბანკის მიერ ხორციელდება კერძო ფიქსირებულ შემოსავლიანი ფასიანი ქაღალდების ბაზრის ამუშავება. ყურადღება მახვილდება ლარში დენომინირებული ფასიანი ქაღალდების გამოშვების ხელშეწყობაზე იმის გამო, რომ მსგავსი ინსტიტუტების მიმართ არსებობს მაღალი ნდობა, მოთხოვნაც ინსტრუმენტებზე მაღალი იქნება.

ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებების შესახებ საზოგადოების ინფორმირება მსოფლიოში აპრობირებული მეთოდია, რითაც გარკვეულწილად დასტურდება ამერიკაში გატარებული არატრადიციული მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობა. ეროვნული ბანკი საზოგადოებისათვის საკუთარი ქმედებების შესახებ მიწოდებული ინფორმაციით იუმჯობესებს რეპუტაციას და ამაღლებს სანდოობას, ასევე მართავს ინფლაციურ მოლოდინებს, რაც ეკონომიკაში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების დროს აუცილებელია. აღნიშნული ქმედებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ხდება, მეორე მხრივ კი ეროვნული ბანკის მიმართ ნდობის აღდგენა.

საქართველოში უცხოური მაგალითების კალკირება შეცდომა იქნება იმდენად, რამდენადაც საქართველოს მსგავსი განვითარებადი ქვეყნებისათვის დამახასიათებელია ნაკლებპროგნოზირებადი პროცესები ეკონომიკაში, იმ დროს, როცა ეროვნული ბანკიც საკუთარი ფუნქციების შესასრულებლად არცთუ იშვიათად ბუნდოვან მეთოდებს იყენებს.

თუ გავითვალისწინებთ იაპონიის მაგალითს, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სახელმწიფო ობლიგაციების შეძენით ეროვნული ბანკი ეკონომიკისათვის ჭარბი ფულადი სახსრების მიწოდებას მარტივად შეძლებს განვითარებული ფასიანი ქაღალდების ბაზრის პირობებში. პირველად ბაზრებზე სახელმწიფო ობლიგაციებზე მოთხოვნა მაღალია, რადგან ის მაღალი ლიკვიდურობით ხასიათდება. მეორად ბაზრებზე კი მარტივადაა შესაძლებელი მათი რეპო ოპერაციებში გამოყენება, რითაც შესაძლებელია მონეტარული პოლიტიკის ეფექტურობის გაზრდა. მიუხედავად იმისა, რომ ჭარბი რაოდენობით ფულის მიწოდება ეკონომიკაში ინფლაციური რისკების მატარებელია, აღნიშნული ქმედება საქართველოსმაგვარი ქვეყნისათვის განსაკუთრებულ რისკებს არ ატარებს, იმდენად, რამდენადაც მონეტიზაციის კოეფიციენტი საქართველოში 20%–ზე დაბალია მაშინ, როცა აღნიშნული მაჩვენებელი იაპონიაში – 241%, შვეიცარიაში 187%, ხოლო ლუქსემბურგში ყველაზე მაღალი 465%–ია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს მეზობელ ქვეყნებშიც აღნიშნული კუთხით არ არის სახარბიელო მდგომარეობა. სომხეთსა და აზერბაიჯანში ის შეადგენს 33%, თურქეთში 55%, ხოლო რუსეთში ის 51%–ია[1]. (იხ ნახაზი 1)

ნახაზი 1. მონეტიზაციის კოეფიციენტი საქართველოში (2013-2017 წწ)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკური მონაცემები

ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითი რაოდენობრივი შერბილების პოლიტიკის გატარების საქმეში ყველაზე მასშტაბური და მრავლისმომცველია, საქართველოში მისი გადმოტანა კი რთულად განსახორციელებელი. აშშ–მა იპოთეკური კრიზისის თავიდან ასაცილებლად იპოთეკით

[1] მონეტიზაციის დონე და მისი ეკონომიკური არსი, ჟურნალი ეკონომიკა და საბანკო საქმე https://www.nbg.gov.ge/bankjournal/index.php?m=115&blog_id=20

უზრუნველყოფილი ფასიანი ქაღალდების მიწოდებით შესაძლებლობა მისცა ფინანსურ სექტორს შეევსოთ მოკლევადიანი ლიკვიდობის დეფიციტი. საქართველოში არ არის განვითარებული ფასიანი ქაღალდების ბაზარი. მიუხედავად იმისა, რომ ინფლაციური მოლოდინები ეკონომიკაში მოთხოვნის მამოძრავებელია, ის ვერ ქმნის სტაბილურ გარანტს განისაზღვროს ფინანსური მდგრადობის მომავალი.

ეროვნული ვალუტის ხელოვნურად ჭარბი რაოდენობით მიწოდება ისეთ ქვეყნებში, სადაც მონეტიზაციის კოეფიციენტი მაღალია, ინფლაციური საფრთხის მატარებელია, მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ საქართველოს მსგავს ქვეყნებში აუცილებელიც კია მოკლევადიანი ლიკვიდობის მიწოდება, რითაც ეროვნული ვალუტის კურსის შენარჩუნება დაბალ დონეზე იქნება შესაძლებელი, იმ დროს, როდესაც ეროვნულ ბანკს ამის კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილება გააჩნია. თუმცა ჭარბი მოკლევადიანი ლიკვიდობის მიწოდება ეკონომიკაში ინფლაციური საფრთხის მატარებელია ნაკლებად განვითარებული ფინანსური ბაზრების პირობებში, რადგან ძნელადაა შესაძლებელი ზედმეტი ფულადი სახსრების აბსორბირება. ინფლაციური მოლოდინის დროს ვიცით, რომ ფულადი სახსრების მქონე სუბიექტები ინვესტირების ნაცვლად ცდილობენ ის შეინახონ ან დააბანდონ ისეთ აქტივებში, როგორიც ოქროა. აღნიშნული პოლიტიკის გატარებით აუცილებელია ინვესტირებასა და დაგროვებას შორის დისბალანსის აღმოსაფხვრელად ეროვნულმა ბანკმა ქმედითი ნაბიჯები გადადგას, ხოლო სახელმწიფომ შექმნას სტაბილური ეკონომიკური გარემო. თუ ცენტრალური ბანკი აქტივების ფასის ზრდას ხელოვნურად გამოიწვევს, დაკრედიტების შემცირება მოხდება რეცესიის დროს, ხოლო თუ ეროვნული ბანკი ჩარევისაგან თავს შეიკავებს, ეკონომიკის განვითარებას ხელი არ შეეშლება. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ ბანკს შეუძლია აღნიშნული სურვილის საწინააღმდეგოდ რესტრიქციული ფულად-საკრედიტო პოლიტიკა გაატაროს, ეს მაინც ვერ გადაჭრის მოკლევადიანი ლიკვიდურობის პრობლემას იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საბანკო სფეროში კარგა ხანია ჯანსაღი კონკურენცია აღარ არის და საქმე გვაქვს საბანკო ოლიგოპოლიასთან, რასაც ბოლო დროინდელი მნიშვნელოვანი შერწყმა თიბისი ბანკისაგან ბანკი რესპუბლიკის შეძენა ადასტურებს.

აშშ–ს გამოცდილებისაგან განსხვავებით, კარგი იქნება თუ საქართველო ინგლისის ბანკის გამოცდილებას გაითვალისწინებს. საქართველოს ეროვნული ბანკი გრძელვადიანი რეპო ოპერაციების მოცულობის გაზრდით საბანკო სექტორს საიმედო ფულად სახსრებს მიაწოდებს, რაც სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებით იქნება უზრუნველყოფილი და ამასთანავე, რეზერვების ზრდაც იქნება შესაძლებელი. ეს ინსტრუმენტი საბანკო რისკების დაზღვევის შესაძლებლობასაც მოგვცემს. ინგლისის მსგავსად კარგი იქნება თუ შემუშავდება ლიკვიდურობის დაზღვევის სისტემა, რითაც ლიკვიდურობის რისკის შემცირება მოხდება. ამ ყველაფრით კი კიდევ ერთხელ მივდივართ ფინანსური ბაზრების განვითარების აუცილებლობისაკენ, რაც ეროვნულ ბანკს დაეხმარება საკუთარი ფუნქციების შესრულებაში.

ლიტერატურა და ინტერნეტ წყაროები:

1. საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული ოპერაციების და გირაოს მართვის დებულება https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/monetarypolicy/2014/mo_regulation_08_04_14_geo.pdf
2. საქართვეოს ეროვნული ბანკის ვებ გვერდი www.nbg.gov.ge
3. საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ გვერდი ოფიციალური პრეს რელიზი https://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=2650
4. სახაზინო ვალდებულებების აუქციონის შედეგები https://www.nbg.gov.ge/index.php?m=595
5. საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ გვერდი მონეტრული პოლიტიკის ინსტრუმენტები https://www.nbg.gov.ge/index.php?m=557
6. ფედერალური სარეზევო სისტემის ვებ-გვერდი http://www.federalreserve.gov/monetarypolicy/fomc.htm
7. ფედერალური სარეზერვო სისტემის ვებ გვერდი მონაცემები ღია ბაზრის ოპერაციების შესახებ http://www.federalreserve.gov/monetarypolicy/openmarket.htm#2015
8. ფედერალური სარეზერვო ბანკის ვებ გვერდი მონაცემები სადისკონტო განაკვეთის შესახებ http://www.federalreserve.gov/monetarypolicy/discountrate.htm
9. ფედერალური სარეზერვო სისტემის სარეზერვო მოთხოვნების შესახებ ოფოციალური მონაცემები http://www.federalreserve.gov/monetarypolicy/reservereq.htm
10. დოიჩებანკის ვებ-გვერდი მონცემები მონეტარული პოლიტიკის შესახებ https://www.bundesbank.de/Redaktion/EN/Standardartikel/Tasks/Monetary_policy/monetary_policy.html

რეზიუმე

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა არატრადიციული ფულადი საკრედიტო მეთოდების გამოყენების სიხშირე, რომელმაც გამოიწვია მსოფლიოს მიმდინარე ეკონომიკური პროცესები და კრიზისული გამოვლინებები. არატრადიციული მონეტარული პოლიტიკა არის სხვადასხვა ინსტრუმენტების და მიდგომების კომბინაცია, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ეკონომიკის კრიზისული პროცესების მართვა. საქართველოში შეიძლება გამოყენებულ იქნეს არატრადიციული ფულადი საკრედიტო ინსტრუმენტები, თუ ჩვენ გვექნებოდა ქვეყანაში კარგად განვითარებული ფასიანი ქაღალდები და კაპიტალის ბაზარი, კარგი იქნებოდა, თუ საქართველო განიხილავს ინგლისის ბანკის გამოცდილებას და ლიკვიდურობის დაზღვევის სისტემა შემუშავდება.

NON-TRADITIONAL MONETARY POLICY IN GEORGIA AND TRENDS OF USE

Tea Khorguashvili, Professor
Lia Nadiradze, Senior Teacher

RESUME

The frequency of using non-traditional cash-credit methods has increased significantly over the last decade. Which has led to the world's current economic processes and crisis manifestations. Non-traditional monetary policy is a combination of different instruments and approaches, Through which the management of crisis processes in the economy is carried out. In Georgia non-traditional cash-credit instruments can be used, If we have a well-developed securities and capital market in the country. It would be good if Georgia will consider the Bank of England experience. It would be good if a liquidity insurance system is developed.

სოციალური მეცნიერებანი და სამართალი
Social Sciences and Law

რელიგია, როგორც მსოფლმხედველობის ფორმა

ნუგზარ აბრამიშვილი, პროფესორი

ადამიანი არსებითად რელიგიური არსებაა. რელიგია ჩვენი ცნობიერების თანდაყოლილი თვისება, უნარი და მოთხოვნილებაა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადამიანი, როგორც ცნობიერების მქონე არსება აუცილებლობით დგება (არა აქვს მნიშვნელობა განვითარების რა საფეხურზე იმყოფება ის) ისეთი კითხვების წინაშე, როგორიცაა: რას წარმოადგენს სამყარო მთლიანობაში და რა არის მისი არსებობის პირველსაფუძველი? რის წყალობით ეზიარება სამყარო წესრიგსა და ჰარმონიას? უკვდავია თუ არა ჩვენი სული და როგორია მარადისობასთან ზიარების შანსები? ვართ თუ არა თავისუფალნი ჩვენს ქცევა-მოქმედებაში, თუ სხვა არსებებივით აუცილებლობის და ბედისწერის ძალები წარგვმართავენ? არსებობს თუ არა სამყაროს უზენაესი მიზეზი, თუ ბუნების საგნები და მათი წესრიგი წარმოადგენს უკანასკნელ ინსტანციას, რაზეც უნდა შევჩერდეთ ჩვენი შემეცნების პროცესში? როგორია სამყაროს მთელში ჩვენი ადგილი და რა არის ჩვენი ცხოვრების ჭეშმარიტი საზრისი, სიცოცხლის მიზანი?

არსებულის რელიგიური გაგება ყოველთვის ადამიანის ყოფიერების საზრისის შუქზე ხდება, მის ახლებურ განათებას ახდენს. შეიძლება ასეც ითქვას, რელიგიის მეშვეობით ადამიანი გარკვეულ გაგებით

ურთიერთობას ამყარებს საერთოდ არსებულთან და შემდეგ ამ გაგების საფუძველზე - თავისთავთან. და ასე იმიტომ ხდება, რომ ადამიანი არსებითად რელიგიური არსებაა.

ცნობიერების გამოვლენის ვერცერთი ფორმა ისე სიღრმისეულად ვერ გამოხატავს ადამიანის არსებას, როგორც რელიგიურობა. ჩვენ სამყაროში გადმოგდებული, მიტოვებული, თავის ანაბარა დარჩენილი თავისუფალი და მოკვდავი არსებები სამყაროში თავს უცხოდ, მიუსაფრად ვგრძნობთ და გვინდა რელიგიის მეშვეობით ღვთის წიაღს დავუბრუნდეთ, როგორც მშობლიურ სახლს.

ჩვენი რელიგიურობა ჩვენი მოკვდავობიდან ამოიზრდება, რადგან ამ მოკვდავობასთან მიმართებაში იბადება ის განწყობა, რომელიც თავისი სევდიანი მელოდიით განმსჭვალავს ადამიანს. რელიგია ხორცს ისხამს სწორედ ამ განწყობაში, ის წმინდა ადამიანური ამბავია. ადამიანი მოკვდავი რომ არ იყოს, ალბათ არც რელიგიური იქნებოდა. რელიგია სჭირდება ადამიანს, რადგან ბედად გვრგებია ამაოება ჩვენი ყოფნისა ჩვენი მოკვდავი არსებობის სახით.

რელიგიური მსოფლმხედველობის საფუძვლებში ძევს რამდენიმე ფუნდამენტური იდეა, რომლებიც განსაზღვრავენ რელიგიური ცნობიერების მთელ თავისებურებას. პირველი ესაა იდეა ერთი, ყოვლისშემძლე, ყოვლისშემოქმედი, ყოვლისმცოდნე, ყოვლადკეთილი, ტრანსცენდენტური ღმერთისა. თუ მითოსური ღმერთები მრავალმხრივ არიან შეზღუდულნი, კერძოდ, ისინი იბადებიან გარკვეულ დროში და ამ აზრით დრო მათზე მაღლა დგას; ბედისწერა განუყოფლად ბატონობს ღმერთებზე, მაგალითად, ბერძნულ მითოლოგიაში თვით ზევსმაც კი არ იცის ბედისწერის განაჩენი და პრომეთეს სთხოვს ამცნოს იგი. ბედისწერა განაგებს ყველას და ყველაფერს - მოკვდავებსაც და უკვდავებსაც. არავის ძალუძს მისი ამოცნობა და თავიდან აცილება. "რაც უწერია, იმას ზევსიც ვერ გადაუვა" (ესქილე, „მიჯაჭვული პრომეთე"). მითოსური ღმერთების შეზღუდულობა ჩანს მათ ნამეტან ადამიანურობაშიც. მათ ახასიათებთ ადამიანური სისუსტეები და ზნეობრივი მანკიერებანი.

სხვაა რელიგიის ღმერთი. ის სრულყოფილია და შეუზღუდველი. თვითონ ქმნის სამყაროს და ერთპიროვნულად, განუყოფლად განაგებს მას. ის დროზე მაღლა დგას, რადგან დროც მისი შექმნილია. ის მარადიულია. ის ადამიანისგან განსხვავებით, ყოვლისმცოდნე, ყოვლისშემძლე და ყოვლადკეთილია. ამავე დროს, მისი განგება მიუწვდომელია ადამიანისთვის.

მეორეა ორი სამყაროს არსებობის იდეა. არსებობს ბუნებრივი სამყარო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ და არსებობს მეორე, ზებუნებრივი სამყარო.

მესამე იდეის მიხედვით ამ ორ სამყაროს შორის პრინციპული განსხვავებაა, მათ შორის გადაულახავი უფსკრულია. ჩვენ, ვინც ვიბადებით, ვცხოვრობთ და ვკვდებით ამ ბუნებრივ სამყაროში, ბუნებრივი გზებით თუ საშუალებებით ვერანაირად ვერ შევაღწევთ ზებუნებრივ სამყაროში, ვერ მოვახდენთ ზეგავლენას ზებუნებრივ სამყაროზე, ზებუნებრივთან რამენაირი კონტაქტი ან შეხება შეიძლება შედგეს ამ ზებუნებრივიდან მომდინარე ინიციატივითა და სანქციით. ადამიანი ვერ მივა ღმერთთან, ღმერთი თვითონ უნდა მოვიდეს ადამიანთან, ღვთაებრივმა თვითონ უნდა გამოგიწოდოს ხელი. ამ ვითარების გამოსათქმელად რელიგიას აქვს მადლისა და წყალობის მცნებები. წყალობასა და მადლს ვერ მოსთხოვ ღმერთს. ღმერთმა უნდა გიწყალობოს, დაგასაჩუქროს მადლით. აქაა სწორედ არსებითი განსხვავება რელიგიასა და მაგიას შორის. მაგიასა და მაგიურ ცერემონიებში ადამიანი ცდილობს აიძულოს ღვთაებრივი. ადამიანი გარკვეული მაგიური ტექნოლოგიებით ცდილობს ზეგავლენა მოახდინოს რაღაც ზებუნებრივ ძალაზე და ამით მიაღწიოს მიზანს. თუ მაგიური ცეკვა ან სხვა რაიმე ფორმით გამოხატული ქმედება ზუსტად, უშეცდომოდ სრულდება სასურველი შედეგიც დგება.

რელიგიაში იძულება გამორიცხულია, რელიგიაში შეიძლება მხოლოდ თხოვნა და ლოცვა. თხოვნა, იმედი და რწმენა.

მეოთხე იდეა. რელიგია ეფუძნება რწმენას და არა გონებას. ეს იმას არ ნიშნავს, რომ რელიგიური აზროვნება უპირისპირდებოდეს ფილოსოფიურ აზროვნებას. "სწორედ შუა საუკუნეების ფილოსოფიის უმნიშვნელოვანესი ამოცანა გახლდათ აზროვნების ამ ორ ფორმას შორის ურთიერთმიმართების განსაზღვრა. თომა აქვინელის შეხედულებით, თუმცა რელიგიური ჭეშმარიტება ზებუნებრივია და ზეგონებრივი, იგი ირაციონალური მაინც არ არის, ვინაიდან, მართალია, ჩვენ არ ძალგვიძს მარტოოდენ გონებით ჩავწვდეთ რწმენის მისტერიებს, მაგრამ ამის გამო ისინი კი არ ეწინააღმდეგებიან გონებას, არამედ გონებრივ ხედვას სრულყოფენ და აღრმავებენ." (ე. კასირერი, რა არის ადამიანი, გვ. 122)

მიუხედავად ამისა, მუდამ იყვნენ ღრმა რელიგიური მოაზროვნეები, რომლებიც შეუწყნარებლად თვლიდნენ ამ ორი უთიერთსაპირისპირო გონითი უნარის მორიგებას. პაკალი გვარწმუნებს, რომ რელიგიის არსება იდუმალება და მიუწვდომლობაა. ნამდვილი ღმერთი, რელიგიის ღმერთი მუდამ დარჩება დაფარულ ღმერთად.

მაგრამ რას წარმოადგენს რელიგიური რწმენა? ან რატომ ეფუძნება ის რწმენას? ჩვენ ღვთაებრივი სამყაროს შესახებ, ღმერთის შესახებ ცოდნას ვერ შევიძენთ გონების, შემეცნების გზით, რადგან, როგორც უკვე ითქვა, ბუნებრივი გზით და საშუალებებით ვერ შევაღწევთ ღვთაებრივ სამყაროში. მაშ საიდან შეიძლება ვიცოდეთ, რომ არსებობს ღმერთი, ღვთაებრივი სამყარო? საიდან ვიცით, რომ ქრისტიანთა ღმერთი ერთარსებაა და სამპიროვანი? რომ ძე ღმერთი მამისგან შობილია, ხოლო სულიწმინდა მამისგან გამომდინარე? და ა.შ. ჩვენ რომ რაიმე ვიცოდეთ ღმერთის შესახებ, ღვთაებრივი თვითონ უნდა გამოგვეცხადოს, გაიხსნას, გამომჟღავნდეს. ამას ჰქვია გამოცხადება, გამოცხადების ჭეშმარიტება. ღმერთი ნახულობს ვინმე მედიუმს და მისი მეშვეობით განუცხადებს ადამიანებს ცოდნას ზებუნებრივზე, ღვთაებრივზე.

მაგრამ რაში გვჭირდება ჩვენ ზებუნებრივი, ღვთაებრივი? რატომ განმსჭვალავს ადამიანს სწრაფვა ზებუნებრივისადმი? ზებუნებრივი ჩვენ გვჭირდება იმ პრობლემების მოსაგვარებლად რომელთა გადაწყვეტა ბუნებრივი გზით შეუძლებელია. და ეს პრობლემები უნივერსალურია. ამ უნივერსალურ პრობლემათა შორის უმთავრესია - ჩვენი მოკვდავობა. არაფერია მარადიული ამ ქვეყნად, მაგრამ ადამიანია ერთადერთი არსება, ვინც იცის თავისი არსებობის სასრულობის, სიკვდილის გარდაუვალობის შესახებ. "რელიგიის უმთავრესი მიზანია სხვადასხვა გზებით და საშუალებებით ადამიანი დაიხსნას წარმავალ-დროული არსებობისგან და მარადიულთან დააკავშიროს. რელიგია ადამიანის ღრმა მეტაფიზიკური მოთხოვნილებიდან აღმოცენებული მისი ხსნისა და გადარჩენის მიზანს ისახავს. (ნ. კვარაცხელია, ადამიანი და მსოფლმხედველობა, გვ. 34).

როგორც რელიგია, ისე ფილოსოფია იმ თვალსაზრისზე დგანან, რომ ადამიანის ამქვეყნიური არსებობა ტანჯვაა და უბედურება. ბუდიზმი სწორედ ამ თვალსაზრისზე აგებს თავის მოძღვრებას და ამქვეყნიური ტანჯვისაგან ხსნას და ბედნიერების მიღწევას ამქვეყნიური არსებობის უარყოფაში და ბუდას მიერ გაკვალულ გზაზე დადგომაში ხედავს. ქრისტიანობისთვის ამქვეყნიური ტანჯული არსებობის მიზეზი პირველყოფილი ცოდვითდაცემის შედეგია, ხსნა კი ღვთისა და მოყვასის უანგარო სიყვარულშია. მსგავს თვალსაზრისზე დგანან სხვა რელიგიებიც, ასევე დიდი ფილოსოფოსები, მაგალითად პლატონი, რომელიც ადამიანის ამქვეყნიურ არსებობას გამოქვაბულის კედელზე მიჯაჭვული და აჩრდილების მზირალი ადამიანის ყოფას ადარებს, რომელიც იტანჯება, რადგან მასთან ვერ აღწევს ღმერთიდან მომდინარე, მისი ბედნიერებისთვის აუცილებელი სიკეთის, სიბრძნისა და მშვენიერების სხივი. პლატონისთვისაც ამ ტანჯული მდგომარეობიდან ხსნა შესაძლებელია მხოლოდ სხეულის საპყრობილიდან სულის განთავისუფლების შემდეგ.

სორენ კირკეგორი სამყაროში გადაგდებული, მარტოობისთვის განწირული, შიშითა და ძრწოლით მუდმივი არჩევანის წინაშე მდგარი ადამიანის ხსნას ღმერთთან შერწყმას უკავშირებს. შოპენჰაუერი ტანჯვით სავსე ამქვეყნიური არსებობის დაძლევას ადამიანის ნების ღვთაებრივ ნებასთან კავშირში ხედავს.

რელიგიური მსოფლმხედველობის ერთ-ერთ არსებით თავისებურებად უნდა დასახელდეს სასწაულის რწმენა. სასწაულის რწმენა რელიგიის არსთა არსია. კანტის მცდელობა, განედევნა რელიგიიდან სასწაული და ის მხოლოდ გონების საზღვრებში დაეფუძნებინა, წარუმატებლად დამთავრდა. სასწაულის უარყოფა ეწინააღმდეგება რელიგიის ბუნებას. რელიგიიდან სასწაულის განდევნით კანტმა ფაქტობრივად რელიგია უარყო.

„რელიგია არის შეუძლებლის შესაძლებლობის რწმენა და, როგორც ასეთი ზებუნებრივისა და სასწაულის აღიარებას ემყარება". (ნ. კვარაცხელია, ადამიანი და მსოფლმხედველობა, გვ. 37) სასწაული კი ისეთი ზებუნებრივია, რომელიც ეწინააღმდეგება ბუნების კანონებს. ის არის საიდუმლო, რომლის წინაშე რწმენითი დუმილი გვმართებს. მართალია მეცნიერული თვალთახედვით ასეთი რამ აბსურდულად და უაზრობად გამოიყურება, მაგრამ რწმენის არსება სწორედ ამ აბსურდშია. ტერტულიანეს დებულება - „მწამს, რადგან აბსურდია" ყველაზე მკაფიოდ და ადეკვატურად გამოთქვამს რელიგიის არსებას. კირკეგორის აზრით, ბიბლიური აბრაამი სწორედ იმიტომ არის „აბსურდის გმირი" და "რწმენის რაინდი", რომ იგი ღმერთს სწირავს თავის ერთადერთ შვილს არა რაიმეს გულისთვის, არამედ მხოლოდ რწმენისთვის. აბრაამის მოქმედება გონებისთვის გაუგებარია, პარადოქსია, საიდუმლოებაა, აბსურდია, მაგრამ მხოლოდ მას ესმის ამ აბსურდისა. აბრაამის რწმენითი მიმართება თავის ღმერთთან არის უნიკალურის მიმართება უნიკალურთან, რომლის განზოგადება შეუძლებელია.

ქრისტიანულ რელიგიაში ღმერთი იაზრება, როგორც ზებუნებრივი, სასწაულებრივი ძალა, აბსოლუტურად შეუზღუდველი ნების პიროვნება, რომელიც არაფრიდან ჰქმნის სამყაროს. "ეს არის პირველი სასწაული, საიდანაც გამომდინარეობს ყველა სხვა სასწაული: უბიწოდ ჩასახვა, აღდგომა და სხვა. შესტოვი ამბობს: ღმერთი არის ერთადერთი გამოსავალი იქ, სადაც ადამიანის გონებისთვის არ

არსებობს სხვა გამოსავალი. ღმერთს მიმართავენ შეუძლებლისათვის, შესაძლებლისთვის ადამიანიც საკმარისია.

ლიტერატურა:
1. ბიბლია
2. ე. კასირერი, რა არის ადამიანი, თბ., 1983.
3. ნ. კვარაცხელია, ადამიანი და მსოფლმხედველობა, თბ., 2001.

რეზიუმე

ადამიანი არსებითად რელიგიური არსებაა. ადამიანის სულიერი მოღვაწეობის ვერცერთი ფორმა ისე სიღრმისეულად ვერ გამოხატავს ადამიანის არსებას, როგორც რელიგიურობა.

ჩვენ სამყაროში გადმოგდებული, მიტოვებული და თავის ანაბარა დარჩენილი თავისუფალი და მოკვდავი არსებები სამყაროში თავს უცხოდ, მიუსაფრად ვგრძნობთ და გვინდა რელიგიის მეშვეობით დავუბრუნდეთ ღმერთის წიაღს, როგორც მშობლიურ სახლს.

RELIGION AS THE FORM OF IDEOLOGY

Nugzar Abramishvili, Professor

RESUME

A human being, as a matter of fact, is a religious creature. None of the forms of spiritual activities of the human being can express the creature of human being, as their religiosity.

In our world, the free and mortal creatures are the creatures expulsed, abandoned and left to the mercy of themselves, they feel as strangers and homeless in the Universe and, through religion, they wish to go back to God's bosom, as to their native home.

თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ზოგიერთი პრობლემის შესახებ

დავით გეფერიძე, პროფესორი

თანამედროვე საერთაშორისო სამართლის დახასიათება შესაძლებელია რამდენიმე დადებითი ნიშნით. უპირველესად, საერთაშორისო სამართლის მიზანია შეზღუდოს სახელმწიფოს მიერ ომის წარმოების უფლება და გადააქციოს სუვერენული სახელმწიფოების მოქმედებების კოორდინაცია თანამშრომლობის სისტემად და საერთო სარგებლის მისაღებად. მეორე, მოხდა გადასვლა სახელმწიფოთა შორის თანაარსებობიდან მათ შორის თანამშრომლობამდე – არა მხოლოდ საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების მიღწევის, არამედ სოციალური და პოლიტიკური იდეების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, რაც გამოიხატება საერთაშორისო მსოფლიო და რეგიონული ორგანიზაციების გავრცელებაში. მესამე, ცალკეული ინდივიდის სამართლებრივი სტატუსის ამაღლება საერთაშორისო სამართალში, რაც გამოიხატება ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო–სამართლებრივი მექანიზმის შექმნაში. მეოთხე, საერთაშორისო სამართლის ნორმების რეალიზების მექანიზმის სრულყოფა როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ დონეზე, ჩნდება ვალდებულებები, რომელთა დაცვის უზრუნველყოფაში მონაწილეობის უფლება მინიჭებული აქვს ყველა სახელმწიფოს. მეხუთე, საერთაშორისო სამართალში დამტკიცებულია დემოკრატიის პრინციპი, რომლის თანახმადაც მხოლოდ

ის სახელმწიფო შეიძლება იყოს თანამედროვე საერთაშორისო თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრი, რომელიც შეესაბამება დემოკრატიის საყოველთაოდ მიღებულ პრინციპებს.

თუმცა, აშკარა პროგრესის მიუხედავად, საერთაშორისო პრაქტიკამ გამოავლინა ზოგიერთი პრობლემაც.

1. დიდი და პატარა სახელმწიფოების სუვერენული თანასწორობის პრინციპი[1], რომელიც გამყარებულია გაეროს წესდებით, იმავე წესდებით იქნა დარღვეული, რამეთუ ხუთ დიდ სახელმწიფოს მიენიჭა უფლებები, რომელიც არ გააჩნდათ გაეროს ნებისმიერ სხვა წევრებს. ლაპარაკია უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებზე, რომელთაც აქვთ ვეტოს უფლება[2] და ამით მინიჭებული აქვთ უფლება არსებითი გავლენა მოახდინონ მსოფლიო მოვლენების განვითარებაზე. ასეთი უფლებები არ გააჩნიათ გაეროს წევრ სხვა სახელმწიფოებს. თუ გაეროს შექმნის პერიოდში ამის ახსნა შესაძლებელი იყო დიდი სახელმწიფოების როლით ფაშიზმის განადგურების საქმეში, შემდგომში ამ ფაქტორმა დაკარგა თავისი აქტუალობა. ვფიქრობ, უნდა მიენიჭოს გერმანიას და იაპონიას უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრების სტატუსი, მაგრამ ეს აქამდე არ მომხდარა, თუმცა ამ ქვეყნებმა მიიღეს მსხვილი დასავლური სახელმწიფოების სტატუსი, შევიდნენ მსოფლიოს ყველაზე დემოკრატიული სახელმწიფოების რიცხვში, მოუღეს ბოლო ფაშიზმსა და მილიტარიზმს, შეაქვთ წვლილი მშვიდობის განვითარების საქმეში, უწევენ მნიშვნელოვან დახმარებას და თანადგომას სუსტად განვითარებულ ქვეყნებს, საქმით აკეთებენ გაეროს იდეების რეალიზებას.

მაგრამ, ამასთან ერთად, უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში, სულ უფრო დიდ მნიშვნელობას საყოველთაო მსოფლიო პრობლემების განვითარებაში იძენს მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების შვიდეულის, მათ შორის, იაპონიის და გერმანიის ლიდერთა შეხვედრები, ხოლო 2002–2014 რვიანის (რუსეთის ფედერაციის მონაწილეობით, რომელიც ყირიმის მიერთების გამო სამართლიანად გარიცხულ იქნა დიდი რვიანიდან). ასეთი შეხვედრების სამართლებრივი სტატუსი არანაირად არ არის განსაზღვრული, მიღებულ გადაწყვეტილებებს არ გააჩნიათ საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები და არ წარმოადგენს აუცილებელს არა მხოლოდ შეხვედრის მონაწილეთათვის, არამედ სხვა სახელმწიფოებისათვისაც. ამრიგად, მიუხედავად იმისა, შვიდი მსხვილი სახელმწიფოს ლიდერთა სამიტები მიმდინარეობს თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ჩარჩოებს მიღმა, სწორედ ისინი განსაზღვრავენ საერთაშორისო ურთიერთობების და თანამედროვე საერთაშორისო სამართლის მიმდინარე განვითარებას. ამ დროისათვის გადაწყვეტილებები, რომლებიც განსაზღვრავენ მსოფლიო თანამეგობრობის ბედ–იღბალს, ყალიბდება არა ლეგიტიმური საერთაშორისო ორგანიზაციის ფარგლებში, როგორიცაა გაერო, არამედ მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების ლიდერების არალეგიტიმური თათბირების ჩარჩოებში, თუმცა მათთვის არავის არ მიუნიჭებია ასეთი უფლებები. შესაბამისად, საერთაშორისო სამართალი არ იღებს მხედველობაში ასეთ თათბირებს და ასეთ გადაწყვეტილებებს, თუმცა უნდა მოახდინოს რეაგირება ასეთ ცვლილებებზე საერთაშორისო ურთიერთობებში.

2. თანამედროვე საერთაშორისო სამართლისათვის უცვლელი რჩება ძირითადი პრინციპები, რომელთა შორისაა საზღვრების ურღვევობა, სახელმწიფო ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობა, სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობა და სხვ[3]. ეს პრინციპები ითვლება საერთაშორისო სამართლის საფუძვლად. მაგრამ სულ უფრო ხშირად ხდება მათი იგნორირება მსოფლიო თანამეგობრობის მდუმარე თანხმობით და თვით მოწონებითაც. ეს ვლინდება როგორც მცირე, ისე დიდ ქმედებებში. გავიხსენოთ: 2008 წლის რუსეთის აგრესია საქართველოს წინააღმდეგ, 2014 წლიდან დღემდე არსებული მსგავსი ვითარება უკრაინაში, შეიძლება სხვა მსგავსი მაგალითების მოყვანაც. თავისთავად იქმნება დასკვნა, რომ უკანასკნელი ათწლეული აჩვენებს, საერთაშორისო სამართლის ნორმები და პრინციპები იცვლება სულ სხვა პრინციპებით, რომლებიც ორიენტირებულია მორალზე და სამართლიანობაზე თანამედროვე წარმოდგენაზე.

3. აქ დროული იქნება იმის შეხსენება, რომ გაეროს გენერალური ასამბლეის XV სესიაზე მიღებულ იქნა „დეკლარაცია კოლონიალური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების თაობაზე“[4], რომელიც აცხადებდა კოლონიალიზმისათვის დაუყოვნებლივ და უპირობოდ ბოლოს

[1] დაწვრ. იხ. ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორსიო სამართალი, თბ., 2015, გვ. 46-49.
[2] იხ. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი - ლექსიკონი ცნობარი, თბ., 2003, გვ. 63.
[3] იხ. ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ., 2015, გვ.54-57
[4] იხ. „Декларация о предоставлении независимости колониальным странам и народам“. Принята резолюцией 1514 (XV) Генеральной Ассамблеи от 14 декабря 1960 года

მოღებას მის ყველა ფორმაში და გამოვლინებაში. იმ წლების იურიდიულ ლიტერატურაში აღინიშნებოდა, „რომ კოლონიალიზმი შეუთავსებელია საერთაშორისო სამართლისათვის“[1]. როგორც აღმოჩნდა, თავსებადია.

1982 წ. დიდ ბრიტანეთსა და არგენტინას შორის წარმოიშვა შეიარაღებული კონფლიქტი მალვინის (ფოლკლენდის) კუნძულების გამო. კონფლიქტს გააჩნდა ხასიათი დიდი ბრიტანეთის კოლონიის ფლობის უფლებასთან მიმართებაში, რაშიც აღნიშნული კუნძულები იმყოფებოდნენ 1833 წლიდან. თავის დროზე კუნძულები შეყვანილი იყო კოლონიალური ტერიტორიების ჩამონათვალში, რომლებზედაც ვრცელდება გაეროს დეკლარაცია კოლონიური ქვეყნებისათვის და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების თაობაზე. დიდი ბრიტანეთის ქმედებები წინააღმდეგობაში მოდიოდა დეკლარაციასთან, მაგრამ მან ის ვერ შეაჩერა. დიდი ბრიტანეთის კიდევ ერთ კოლონიას წარმოადგენდა გიბრალტარი, რომელიც დაპყრობილ იქნა 1704 წელს. მრავალწლიანი მოლაპარაკებები ესპანეთსა და დიდ ბრიტანეთს შორის გიბრალტარის დაბრუნების შესახებ აწყდება კოლონიის დათმობის სურვილის ძლიერ არარსებობას. 1975 წლის ხელშეკრულებით, რომელიც დამტკიცებულ იქნა 1979 წელს, ჩინეთის ტერიტორია აომინი (მაკაო 1999 წ.) იმყოფება პორტუგალიის მმართველობის ქვეშ. აღმოსავლეთი ტიმორი 1976 წლიდან წარმოადგენს ინდონეზიის პროვინციას შეიარაღებული ოკუპაციის შედეგად, რომელიც მოხდა 1975 წ. ირანს საკმარისი საფუძვლების გარეშე ოკუპირებული აქვს სპარსეთის ყურეში კუნძულები დიდი და პატარა ტომბი და აბუ მასა, რომლებიც ეკუთვნის არაბთა გაერთიანებულ საამიროებს. რასაკვირველია, ახლანდელი კოლონიალიზმი არ ჰგავს 60–იანი წლების აფრიკულ კოლონიალიზმს, მაგრამ კონფლიქტები, რომლებიც დროდადრო წარმოიქმნებიან, მოწმობენ საერთაშორისო ურთიერთობების მოწესრიგების აუცილებლობაზე საერთაშორისო სამართლის შესაბამისად.

4. ომის უფლება საერთაშორისო სამართალში ფორმირდებოდა უძველესი დროიდან და დღეს ეს წარმოადგენს სამართლის ერთ-ერთ ყველაზე უფრო დამუშავებულ დარგს. მაგრამ, ომი ძველი, ტრადიციული გაგებით – როგორც ორი ან მეტი სახელმწიფოს შეიარაღებული დაპირისპირება, ბარდება წარსულს. ძირითადი ამჟამინდელი ბოროტება და შეიარაღებული კონფლიქტების მიზეზი – საერთაშორისო ტერორიზმი არ იკეტება სახელმწიფოს, სახელმწიფო საზღვრების ჩარჩოებში. ეს ბოროტება გახდა ინტერნაციონალური, შეიძლება უფრო ზუსტად – შეყოვნებული. მაგალითად: ბენ ლადენისათვის ავღანეთი იყო მხოლოდ დროებითი თავშესაფარი, და არა რაიმე სერიოზული სამხედრო ძალა და საყრდენი წერტილი, რადგანაც თანამედროვე ომები – ეს არის არა სახელმწიფოთა ომები, არამედ საზოგადოებების, სადაც ნაკლებად გამოიყენება რაკეტები, ხოლო უფრო მეტად – ტერორისტი–კამიკაძეები, ანუ იარაღი, რომელიც მისაწვდომია ნებისმიერი საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის.

მიუხედავად სიტუაციის გარკვეული გამარტივებისა, ომის წარმოების კლასიკური, შესაძლებელია თვით რაინდული წესებიც, მათ შორის ომის დაწყებასა და მის შედეგებთან მიმართებაში, შეიარაღებული ძალების განაწილებამ კომბატანტებად და არა კომბატანტებად, ავადმყოფებთან და დაჭრილებთან, მშვიდობიან მოსახლეობასთან ქცევამ, უამრავმა აკრძალვამ – ამ ყველაფერმა ახლანდელ პირობებში საერთაშორისო ტერორიზმთან დაპირისპირებისას დაკარგა ყოველგვარი აზრი, და უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ მოწინააღმდეგე მხარე არ ცნობს ასეთ წესებს.

5. ბოლოს და ბოლოს, უნდა გავიხსენოთ შეიარაღებული ჩარევები სხვა სახელმწიფოების საქმეებში. რასაკვირველია, სამშვიდობო ძალების საქმიანობა, რომელიც შეჰყავთ თვით დაინტერესებული სახელმწიფოების თხოვნით ან გაეროს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებების საფუძველზე მშვიდობის შენარჩუნებისათვის ან მშვიდობისათვის ძალდატანებისათვის, არ იწვევს საწინააღმდეგო აზრებს. არ იწვევს საწინააღმდეგო აზრებს შეიარაღებული ძალების საქმიანობა, მაგალითად, ქუვეითის სახელმწიფოებრიობისა და სუვერენიტეტის აღსადგენად. მაგრამ იუგოსლავიის მშვიდობიანი ობიექტების დაბომბვებმა, რომლებიც სანქცირებული იყო ნატოს მიერ, გამოიწვიეს გულისწყრომა მსოფლიო თანამეგობრობის გარკვეულ ნაწილში.

თანამედროვე მსოფლიო განვითარება ხდება სულ უფრო წინააღმდეგობრივი და უფრო დინამიური, რაც თავისთავად ვრცელდება ასევე საერთაშორისო სამართლის ველზე. „ცივი ომი“ გამოხატავდა XX საუკუნის მეორე ნახევრის საერთაშორისო ურთიერთობათა იმ ძირითად შინაარსს, რომ მსოფლიოს ორ ძირითად პოლუსს შორის არც ომი იყო და არც მშვიდობა.“[2] „ცივი ომის“ დასრულების შემდგომ პერიოდში კაცობრიობა მაინც ვერ მიუახლოვდა ადრე არსებული ურთიერთწინააღმდეგობების

<http://www.un.org/ru/documents/decl_conv/declarations/colonial.shtml>

[1] იხ. ალან როსას, თვითგამორკვევის უფლება,<http://www.nplg.gov.ge>

[2] იხ. გივი ლობჟანიძე, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, თბ., 2013, გვ. 548

გადალახვას, უფრო მეტი, ზოგიერთ მათგანს თან ახლავს სოციალურ–ეკონომიკური განვითარების, სოციალურ ფენებად დაყოფის სხვადასხვა დონეები, ასევე განსხვავებები სხვადასხვა ცივილიზაციების მქონე სახელმწიფოებს შორის. ამასთან დაკავშირებით, აუცილებელია მშვიდობიანი ურთიერთობების უმნიშვნელოვანესი ისეთი ინსტრუმენტის გამოყენების გააქტიურება, როგორსაც წარმოადგენს საერთაშორისო სამართალი, ყველა ქვეყნის მიერ მისი ერთგვაროვნად გაგების პირობით.

საერთაშორისო სამართლის თანამედროვე პერსპექტივები, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია გამოწვევების გადაწყვეტილებებთან, რომლებიც ემუქრება თანამედროვე კაცობრიობას, როგორც ერთიან სოციუმს. ამ დროისათვის საერთაშორისო სამართლის და უსაფრთხოების ნორმების შენარჩუნება არის გაეროს გავლენის სფეროში, აქედან გამომდინარე, თუ რა როლს ითამაშებს გაერო ნებისმიერი პლანეტარული მასშტაბის ან რეგიონალური მნიშვნელობის სახელმწიფოთაშორისი საკითხების გადაწყვეტაში, ასევე განსაზღვრავს საკუთრივ საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პერსპექტივების მომავალს. თუ გამოვალთ გაეროს დონეზე ადრე მიღებული დოკუმენტების განუხრელად შესრულების კონცეფციიდან, მაშინ შესაძლებელი გახდება შემდეგი ტენდენციების შეთავაზების შესაძლებლობა. პირველი, გაერო – ეს არის თანაბარუფლებიანი და თანასწორი სუვერენული სახელმწიფოების სამართლებრივი თანასაზოგადოება. შესაბამისად, ურთიერთმომგებიანი შეთანხმებების, დოკუმენტების შემუშავება მშვიდობის შენარჩუნების ინტერესებისათვის, უნდა აღემატებოდეს სახელმწიფოების ეროვნულ ინტერესებს, რომლებიც საკუთარ თავს მიიჩნევენ განსაკუთრებულ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებად. მეორე, საერთაშორისო სამართლის ნორმების თავისუფალი ინტერპრეტაციის პრეცედენტების ლიკვიდაცია – წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას. აუცილებელია, მიღწეულ იქნას საერთაშორისო სამართლის ნორმების ერთგვაროვანი გაგება და მათი იდენტური რეალიზება ყველა შემთხვევაში. მესამე, საერთაშორისო სამართლის კოლაფსის თავიდან აცილება შესაძლო სოციალური, ეკონომიკური, ფინანსური, პოლიტიკური კატაკლიზმების, კრიზისების და სხვა მსგავსი სიტუაციების შედეგად. გაეროს შეუძლია უზრუნველყოს პლატფორმის ფუნქციონირება სხვადასხვა ქვეყნების სახელმწიფოთაშორისო კომისიების შესაბამისი მუშაობისათვის.

მიუხედავად მსოფლიო თანამეგობრობის აქტიური განვითარებისა, არსებობს გარკვეული პრობლემები ცალკეული საერთაშორისო–სამართლებრივი დარგების რეგულირებაში. პრობლემების არსებობა მოცემულ სფეროში დაკავშირებულია რამდენიმე ფაქტორთან: საერთაშორისო სამართლის მოძველებული ფორმები, რომლებიც უკვე დიდი ხანია რაც არსებობს და ბევრ რამეში არ არის ადაპტირებული თანამედროვე სიტუაციასთან; ხარვეზები მრავალი დარგის სამართლებრივ დარეგულირებაში; სახელმწიფოთა ინტერესების კონფლიქტი საერთაშორისო–სამართლებრივი ნორმების შექმნისას. აღნიშნული პრობლემები შედეგად იწვევენ იმას, რომ სრული მოცულობით არ რეგულირდება საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობები, წარმოიშობიან არარეგულირებადი სფეროები, რომლებიც იწვევენ საერთაშორისო სამართლის ბევრი სუბიექტის სამართლებრივი სტატუსის უზუსტობებს და გაურკვევლობებს. ეს კი შეუძლებელს ხდის სახელმწიფოების თანამშრომლობის ბევრ საერთაშორისო ასპექტს, უარყოფით გავლენას ახდენენ ურთიერთობების განვითარებაზე საერთაშორისო სამართლებრივ სფეროში.

რეზიუმე

მიუხედავად მსოფლიო თანამეგობრობის აქტიური განვითარებისა, არსებობს გარკვეული პრობლემები ცალკეული საერთაშორისო–სამართლებრივი დარგების რეგულირებაში. არსებული გარკვეული პრობლემები, რომლებიც განხილულია აღნიშნულ ნაშრომში, დაკავშირებულია რამდენიმე ფაქტორთან: საერთაშორისო სამართლის მოძველებული ფორმები, რომლებიც უკვე დიდი ხანია რაც არსებობს და ბევრ რამეში არ არის ადაპტირებული თანამედროვე სიტუაციასთან; ხარვეზები მრავალი დარგის სამართლებრივ დარეგულირებაში; სახელმწიფოთა ინტერესების კონფლიქტი საერთაშორისო–სამართლებრივი ნორმების შექმნისას. აღნიშნული პრობლემები შედეგად იწვევენ იმას, რომ სრული მოცულობით არ რეგულირდება საერთაშორისო–სამართლებრივი ურთიერთობები, წარმოიშობა არარეგულირებადი სფეროები, რომლებიც იწვევს საერთაშორისო სამართლის ბევრი სუბიექტის სამართლებრივი სტატუსის უზუსტობებს და გაურკვევლობებს. ეს კი შეუძლებელს ხდის სახელმწიფოების თანამშრომლობის ბევრ საერთაშორისო ასპექტს, უარყოფით გავლენას ახდენს ურთიერთობების განვითარებაზე საერთაშორისო სამართლებრივ სფეროში.

CONCERNING SOME OF THE PROBLEMS IN MODERN INTERNATIONAL LAW

Davit Geperidze, Professor

RESUME

Despite the active development of the world community, there are certain problems in the regulations of some international legal fields. Certain existing problems discussed in this work are related to the factors listed: the obsolete regulations of international law, which have long been in existence and are not adapted to the current situation; Gaps in legal regulation of many fields; Conflict of state interests in creation of international legal norms. And as a result of all this we have incomplete regulation of international legal relations. Non-regulation of fields causes inaccuracies and uncertainties in legal status of many subjects that makes cooperation of states impossible and negatively affects international relations in legal fields.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის შეჩერება ადმინისტრაციულ პროცესში

გიორგი გიორგაძე, ასოცირებული პროფესორი

სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბება და განვითარება, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს პიროვნების ინტერესების მაქსიმალურ დაცვას. უფრო მეტიც, უკვე ათეული წლებია, ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიების შექმნა ცალკეული სახელმწიფოს ფარგლებსაც კი გასცდა და საერთაშორისო ყურადღების ცენტრში მოექცა. მით უფრო, თუ საქმე პიროვნების დარღვეული უფლების აღდგენას ეხება. სამართლის ნებისმიერი დარგის მიმართულებით, ცალკეულ ქვეყნებში, ადამიანის უფლებების დაცვის უფრო მაღალი სტანდარტების შემუშავება და მათი რეალიზაცია დადებით გავლენას ახდენს სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის მსურველ ქვეყნებზე, ცხოვრებაში მათი დანერგვის თვალსაზრისით.

ამ მხრივ საქართველოც აქტიურად იყენებს ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტებს სამართლის სხვადასხვა დარგში, რასაც სამართლებრივი საფუძველი ჩაუყარა საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციამ, ხოლო საქართველოს პარლამენტის 1997 წლის 2 სექტემბრის №828 დადგენილება „საქართველოს კანონმდებლობის ევროპის კავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობაში დასავლეთში არსებული მაღალი სტანდარტების დამკვიდრებას ითვალისწინებს. კერძოდ, მასში აღნიშნულია, რომ „1998 წლის პირველი სექტემბრიდან საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ყველა კანონი და სხვა ნორმატიული აქტი უნდა შეესაბამებოდეს ევროპის კავშირის მიერ დადგენილ სტანდარტებსა და ნორმებს“[1].

დღეისათვის საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს, გათვალისწინებულია ადამიანის უფლებების დაცვის სხვადასხვა ღონისძიება, მათ შორის, პრევენციული ხასიათის.

ნაშრომის მიზანია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დაწესებული ადამიანის უფლებების დაცვის ისეთი პრევენციული ღონისძიების განხილვა, როგორიცაა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის შეჩერება და რამდენად ეფექტურია მისი მოქმედება სასამართლო პრაქტიკაში, ანუ დადგენა იმისა, მოცემული რეგულირებით, რეალურად, რამდენად არის უზრუნველყოფილი პირის უფლების ფაქტობრივი დაცვა.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29–ე მუხლი ითვალისწინებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების ორ სახეს: კანონისმიერსა და სასამართლოსმიერ შეჩერებას[2].

საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში (შემდგომში სასკ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების ინსტიტუტის არსებობა იმითაა

[1] იხ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/38704, პარლამენტის უწყებანი, სსმ, 37-38, 10/09/1997

[2] იხ. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16492, პარლამენტის უწყებანი, სსმ, 39(46), 06/08/1999

განპირობებული, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა, ხშირ შემთხვევაში, შეუძლებელს ხდის მოსარჩელისათვის სასურველი გადაწყვეტილების აღსრულებას, რადგან ფაქტობრივად ვერ განხორციელდება დარღვეული უფლების დაცვა, თუ სასამართლო გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე ადმინისტრაციულმა ორგანომ აღასრულა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი, ანუ განახორციელა ამ აქტით გათვალისწინებული მოქმედება.

უფლების დაცვის წინასწარი საშუალების მთავარი მიზანიც სწორედ ისაა, რომ დაინტერესებულ მხარეს მიეცეს შესაძლებლობა, დაიცვას საკუთარი ინტერესები ადმინისტრაციული სამართალწარმოების დამთავრებამდე, ანუ მოხდეს დარღვეული უფლების აღდგენის დაცვის წინასწარი უზრუნველყოფა – განხორციელდეს პირის ინტერესების ეფექტური დაცვა.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის მოქმედების კანონისმიერი შეჩერება გათვალიწინებულია აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილით, რომლის თანახმად, ,,სარჩელის მიღება სასამართლოში აჩერებს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედებას''. ეს კი გულისხმობს, აქტის მოქმედების შეჩერებას არა სარჩელის სასამართლოში შეტანისთანავე, არამედ, მოსამართლის მიერ სარჩელის წარმოებაში მიღებისთანავე, თუ აქტის მოქმედება არ იქნა შეჩერებული სასამართლოს მიერ სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ დასაბუთებული განჩინებით ამავე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სათანადო საფუძვლების არსებობისას. ამდენად, სასამართლოს მიერ სარჩელის მიღება ავტომატურად ნიშნავს აქტის მოქმედების შეჩერებას და ამ შემთხვევაში მოსარჩელეს არ სჭირდება დამატებით მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით ადმინისტრაციული აქტის მოქმედების შეჩერების თაობაზე. ე.ი. სასკ 29-ე პირველი ნაწილის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერებისათვის სასამართლოს მიერ სარჩელის წარმოებაში მიღებაა საკმარისი. ამ შემთხვევაში აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ განჩინების არარსებობა არ ნიშნავს იმას, რომ გასაჩივრებული აქტის მოქმედება არ არის შეჩერებული. იურიდიულ ლიტერატურაში, ამ საკითხთან დაკავშირებით, მსგავსი მოსაზრებაა გავრცელებული [1].

დასავლეთში არსებული ერთ–ერთი მაღალი სტანდარტის – სუსპენზიური ეფექტის ინსტიტუტის არსებობა, სწორედ, ამითაცაა გამოწვეული. მისი არსი ხომ ისაა, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული მმართველობითი აქტის უარყოფითი შედეგებისაგან, ავტომატურ რეჟიმში, დაიცვას მოსარჩელე. თუმცა, კანონით სასამართლოს უფლება აქვს და არა ვალდებულება, სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ განჩინებაში დააფიქსიროს, რომ აქტის მოქმედება შეჩერებულია სასკ 29.1 მუხლით. ე.ი თუ სასამართლო გამოიყენებს ამ უფლებას, ეს იმას არ ნიშნავს, რომ, ამ შემთხვევაში, სასამართლო თავად აჩერებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის მოქმედებას. სასამართლო მხოლოდ აფიქსირებს მის კანონისმიერ შეჩერებას. ეს კი გულისხმობს იმას, რომ სასამართლოში დავის გადაწყვეტამდე კანონი უტოვებს მოსარჩელეს („სუსტ მხარეს“) იმ სამართლებრივ და ფაქტობრივ მდგომარეობას, რომელიც არსებობდა სადავო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოცემამდე.

ის, რომ აქტის კანონისმიერი შეჩერების თაობაზე კანონი არ ავალდებულებს სასამართლოს სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ განჩინებაში დააფიქსიროს აქტის კანონისმიერი შეჩერება, უკანასკნელი წლების სასამართლო პრაქტიკაში მოსამართლეთა მიერ ეს უფლება აღარ გამოიყენება, რასაც კანონით გათვალისწინებული სუსპენზიური ეფექტის ინსტიტუტის მოქმედება ნულამდე დაჰყავს.

უფრო მეტიც, სასამართლო პრაქტიკა წავიდა სასკ 29.1 მუხლის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ. კერძოდ, თუ სასამართლოს მიერ სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ განჩინებაში არ არის მითითებული, რომ აქტის მოქმედება შეჩერებულია კანონით, აქტის მოქმედება შეჩერებულად არ ითვლება. ამ მხრივ, სასამართლო პრაქტიკაში კურიოზულ შემთხვევებსაც კი ვხვდებით. საილუსტრაციოდ განვიხილოთ, მაგალითად თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება (საქმე #3ბ/623-07), რომელშიც მითითებულია, თითქოს სასკ 29.1 მუხლის ზემოაღნიშნული განმარტება ეწინააღმდეგება სასკ 29–ე მუხლის მე–8 და მე–9 ნაწილების არსსაც.

---

[1] იხ. მაგ. ტურავა, პ. (რედ.). (2008). ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო. 388-389. თბილისი: სიესტა. ასევე:
ლორია, ვ. (რედ.). (2007). საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი. 271-273. თბილისი: ბონა კაუზა;
ვაჩაძე, მ, თოდრია, ი, ტურავა, პ, წკეპლაძე, ნ. (2005). საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი. 159-170. მოძიებული 4 ოქტომბერი 2005. http://www. diogene.ge

სასამართლოს არგუმენტაციის საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ, ჯერ ერთი, მე–8 ნაწილი ეხება მხოლოდ ახლადაღმოჩენილ გარემოებას და არა სასკ 29.1 მუხლით გათვალისწინებულ ყველა შემთხვევას, მით უმეტეს, რომ სასკ 29.1 მუხლის შინაარსთან მას კავშირი არ აქვს;

მეორე, მე–8 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევების არსებობისას მხარე კი არ დავობს, როგორც ამას სასამართლო აღნიშნავს, არამედ აყენებს სასამართლოს წინაშე შუამდგომლობას ახლადაღმოჩენილი გარემოების გამო;

მესამე, მე–8 ნაწილი ამ თვალსაზრისით, მართლაც, საინტერესოა, რადგან იგი ითვალისწინებს შუამდგომლობით აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ განჩინების, როგორც შეცვლას, ისე გაუქმებას. მე–8 ნაწილში, რომ არ იყოს გამოყენებული სიტყვა ,,შეცვლას'', ეს ნორმა წინააღმდეგობაში მოვიდოდა სასკ 29.1 მუხლთან, რადგან ამ შემთხვევაში, მართლაც, მხოლოდ, სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ განჩინების გაუქმების საკითხი უნდა დამდგარიყო;

მეოთხე, თუ სასამართლომ სარჩელი მიიღო წარმოებაში და არ დაასაბუთა, რომ ადგილი აქვს სასკ 28.2 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევას, ამასთან, ასევე, არ მიუთითა განჩინებაში, რომ აქტის მოქმედება არის შეჩერებული, მეორე მხარეს არ ერთმევა უფლება იდავოს აქტის მოქმედების შეჩერების კანონიერებაზე, როგორც ამას სასამართლო აღნიშნავს. მას შეუძლია კერძო საჩივრით მიმართოს სასამართლოს, რადგან არსებობს განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კანონის თანახმად, აქტის მოქმედებას ავტომატურად აჩერებს. ამ შემთხვევაში მხარეს შეუძლია მოითხოვოს სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ განჩინებაში ცვლილებების შეტანა იმის თაობაზე, რომ აქტის მოქმედება არ არის შეჩერებული;

მეხუთე, სასამართლო თვითონვე ეწინააღმდეგება თავის თავს, როდესაც აღნიშნავს, ,,იმ შემთხვევაში, თუ მხოლოდ წარმოებაში მიღების განჩინება საკმარისია აქტის შეჩერებულად ჩათვლისათვის, მაშინ მეორე მხარეს, მხოლოდ სასკ 29.4 მუხლით დადგენილ შემთხვევაში რჩება შესაძლებლობა მოითხოვოს აქტის შეჩერების გაუქმება, ანუ მხოლოდ აქტის გადაუდებელი აღსრულების აუცილებლობისას, რაც დაკავშირებული იქნება მნიშვნელოვან ზიანთან ან შეზღუდავს მხარის კანონიერ უფლებას ან ინტერესს'', რადგან მე-4 ნაწილი ეხება პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში აქტის მოქმედების შეჩერების გაუქმებას. ამდენად, ამ დასაბუთებით სასამართლო თავად აღიარებს, რომ სარჩელის წარმოებაში მიღება, მართლაც, ავტომატურად აჩერებს აქტის მოქმედებას.

სამწუხაროდ, კანონისმიერი წესით, აქტის მოქმედების შეჩერების თაობაზე ზემოაღნიშნული კანონსაწინააღმდეგო სასამართლო პრაქტიკა გაზიარებულია უზენაესი სასამართლოს მიერ. მაგ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს ამგვარი პოზიცია საქმე #3ბ/623-07-ზე გაიზიარა უზენაესმა სასამართლომ (საქმე #ბს-1640-1594(კ-08). ეს კი გაამართლა დამკვიდრებული პრაქტიკით, რაც, მართებულად მიიჩნია.

ასეთ მიდგომას კი იქამდე მივყავართ, რომ თუ ადგილი არა აქვს სასკ 29.2 მუხლით დადგენილ შემთხვევებს, სასამართლო მხარის მოთხოვნის გარეშეც აჩერებს აქტის მოქმედებას, რადგან არ იყენებს უფლებას, სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ განჩინებაში დააფიქსიროს აქტის მოქმედების კანონისმიერი შეჩერება. აქტის მოქმედების კანონისმიერი შეჩერების შემთხვევაში, აქტის მოქმედების შეჩერება იმაზე კი არ არის დამოკიდებული, სასამართლო სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ განჩინებაში დააფიქსირებს თუ არა აქტის მოქმედების კანონისმიერ შეჩერებას, არამედ - კანონზე. მას მხოლოდ უფლება აქვს დააფიქსიროს, რომ აქტის მოქმედება შეჩერებულია კანონით - სასკ 29.1 მუხლით.

რაც შეეხება აქტის მოქმედების სასამართლოსმიერ შეჩერებას, იგი გათვალისწინებულია სასკ 29.3 და 29.5 მუხლებით. ორივე შემთხვევაში ინიციატორი უნდა იყოს მხოლოდ მხარე. ამ შემთხვევაში სასამართლოს თავისი ინიციატივით არ შეუძლია აქტის მოქმედების შეჩერება.

სასკ 29.3 მუხლი ეხება იმ შემთხვევას, როდესაც სამართალწარმოება დაწყებულია, აქტი არ არის შეჩერებული სასამართლოს დასაბუთებული განჩინებით, სასკ 29.2 მუხლით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობის მოტივით და მხარე შუამდგომლობით ითხოვს მის შეჩერებას.

მეორე შემთხვევა ეხება აქტის მოქმედების შეჩერებას სარჩელის წარმოებაში მიღებამდე (სასკ). მართალია, სასკ 29.5 მუხლის თანახმად, აქტის შეჩერებისათვის აუცილებელია მხარის შუამდგომლობა, მაგრამ ეს განპირობებული შეიძლება იყოს ორი გარემოებით:

პირველი – მხარე თვლის, რომ სახეზეა სასკ 29.2 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა (შემთხვევები) და სასკ 29.3 მუხლით გათვალისწინებული საფუძვლებით ითხოვს მის შეჩერებას;

მეორე – მხარე არ თვლის, რომ სახეზეა სასკ 29.2 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა (შემთხვევები), მაგრამ სურს აქტის მოქმედების შეჩერება სასამართლოს მიერ სარჩელის მიღებამდე,

რადგან სასკ 29.2 მუხლის თანახმად, სასამართლოს მიერ სარჩელის მიღებამდე აქტი ავტომატურად ვერ შეჩერდება.

აქტის მოქმედების კანონისმიერი შეჩერებისაგან განსხვავებით, ზემოაღნიშნულ ორივე შემთხვევაში, განჩინება აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ უნდა იყოს აუცილებლად დასაბუთებული.

დასასრულს, უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოებში დამკვიდრებული ამ მანკიერი პრაქტიკის აღმოფხვრის მიზნით მართებულია:

1. სასამართლოების პირველი ინსტანციის მოსამართლეს კანონით დაევალოს, საერთო სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ განჩინებით გადაწყვიტოს, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის შეჩერება-შეუჩერებლობის საკითხი, რაც ხელს შეუწყობს სუსპენზიური ეფექტის სასამართლო პრაქტიკაში რეალიზაციას;
2. მოსარჩელემ სასამართლოსათვის მიმართვისას, თავის დაზღვევის მიზნით, მოითხოვოს დავის გადაწყვეტამდე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის შეჩერების საკითხის გადაწყვეტა, რათა გარანტირებულად დაიცვას თავისი კანონიერი ინტერესები.

ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია
2. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი
3. საქართველოს პარლამენტის 1997 წლის 2 სექტემბრის №828 დადგენილება „საქართველოს კანონმდებლობის ევროპის კავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის შესახებ“. https://matsne.gov.ge/ka/document/view/38704, პარლამენტის უწყებანი, სსმ, 37-38, 10/09/1997.
4. ტურავა, პ. (რედ.). (2008). ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო. 388-389. თბილისი: სიესტა.
5. ლორია, ვ. (რედ.). (2007). საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი. 271-273. თბილისი: ბონა კაუზა.
6. ვაჩაძე, მ, თოდრია, ი, ტურავა, პ, წკეპლაძე, ნ. (2005). საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი. 159-170. მოძიებული 4 ოქტომბერი 2005. http://www. diogene.ge

რეზიუმე

სარჩელის სასამართლოში წარდგენიდან მის განხილვამდე და სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე საკმაოდ დიდი დროა და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობამ, შესაძლოა, გააძნელოს ან შეუძლებელი გახადოს გადაწყვეტილების აღსრულება. ასეთ შემთხვევაში, მოსარჩელის სასარგებლოდ გამოტანილი სასამართლოს კანონიერი და სამართლიანი გადაწყვეტილების მიუხედავად, რეალურად, ვერ განხორციელდება დარღვეული უფლების დაცვა. ამ მიზნით სტატიაში განხილულია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონისმიერი და სასამართლოსმიერი შეჩერების სახეები, სასამართლოების მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონისმიერი შეჩერების გამოყენების მანკიერი პრაქტიკა, რომელიც არღვევს ადამიანის უფლებებს და ეწინააღმდეგება როგორც საქართველოს კონსტიტუციის სულისკვეთებას, ასევე, დასავლეთში არსებული მაღალი სტანდარტების რეალურ დამკვიდრებას. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დაცული უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფის, ევროსასამართლოს გადაწყვეტილებათა პატივისცემის, ეროვნული ადმინისტრაციული სამართალწარმოების სტანდარტების ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზაციის მიზნით, სტატიაში ყურადღება გამახვილებულია იმ აუცილებელ ღონისძიებაზე, რომელიც აღმოფხვრის მანკიერ სასამართლო პრაქტიკას.

SUSPENSION OF INDIVIDUAL ADMINISTRATIVE-LEGAL ACT IN ADMINISTRATIVE PROCESS

Giorgi Giorgadze, Associate Professor

RESUME

There is quite long interval from bringing of the suit to the court and till its examination and coming into force of the court's decision and non-use of the measure of security on claim can make it difficult or impossible to enforce the decision. In this case, despite of legal and fair decision of the court made in favor of the claimant protection of violated right cannot be realized in fact. With this purpose in the article there are examined types of court and legal suspension of individual administrative-legal act, defective practice of the use of legal suspension of individual administrative-legal act by courts, which violates human's rights and contradicts as nature of Georgian Constitution, so real introduction of high standards existed in the west. In administrative proceedings, with the purpose of provision of human's rights and freedoms protected by European Convention on Humans Rights, respect toward decisions of European courts, harmonization of standards of administrative proceedings with European standards, in this article we focused attention on those necessary activities which would correct defective court practice.

შრომის ბაზრის სეგმენტაციის შესახებ

***ლალი სრესელი**, მოწვეული სპეციალისტი*

შრომის ბაზარი ნაციონალური ეკონომიკის მნიშვნელოვანი ელემენტია. მისი ძირითადი ფუნქცია წარმოებისა და მომსახურების სფეროების შესაბამისი ადამიანური რესურსებით დროული და ოპტიმალური უზრუნველყოფაა.

შრომის ბაზარს, როგორც საბაზრო ეკონომიკის ორგანულ შემადგენელ ნაწილს, აქვს რთული სტრუქტურა და ფუნქციონირებს მოთხოვნა-მიწოდების კანონის საფუძველზე. შრომის ბაზარი მოთხოვნა-მიწოდების კანონის საფუძველზე უზრუნველყოფს სამუშაო ძალის კვლავწარმოებას, განაწილებასა და გამოყენებას. [1]

შრომის ბაზრის სეგმენტაციის აუცილებლობა მისი სირთულიდან და სპეციფიკიდან გამომდინარეობს. იგი გულისხმობს მომუშავეებისა და სამუშაო ადგილების დაყოფას ჩაკეტილ და მყარ სექტორებად, ზონებად, რომლებითაც შემოფარგლულია სამუშაო ძალის მობილურობა. შრომის ბაზრის ცალკეულ სეგმენტზე თავმოყრილია გარკვეული პროფესიის და სპეციალობის მხოლოდ ერთმანეთის კონკურენტი მომუშავეები. ისინი კონკურენციას ვერ უწევენ სხვა სეგმენტის მომუშავეებს. შრომის ბაზრის სეგმენტებიდან უნდა გამოიყოს პირველადი და მეორადი შრომის ბაზრები.

1960-1970-იანი წლებიდან შრომის ბაზრის კვლევა მიმდინარეობს ინსტიტუციონალური ეკონომიკური თეორიის პოზიციებიდან. ინსტიტუციონალისტებმა (ჯ. დაპლონი, პ. დერინგერი, გორდონი, ატკინსონი და სხვ.) საფუძველი ჩაუყარეს შრომის ბაზრის სეგმენტაციის თეორიის განვითარებას. 70-იან წლებში ამ თეორიამ შემდგომი განვითარება ჰპოვა **პ. დერინგერის და მ. პიორეს კონცეფციაში,** რომლის თანახმად კონკურენტული შრომის ბაზრის პირობებში **შრომის გარე ბაზართან ერთად წარმოიშობა შრომის შიდა ბაზარი.** ამ თეორიის ავტორებს მიაჩნიათ, რომ შრომის შიდა ბაზარი უფრო ავტონომიურია და არ არის დამოკიდებული კონკურენტული გარე შრომის ბაზრის რყევებზე. შრომის პირობები და ხელფასი შიდა ბაზარზე რეგულირდება საკმაოდ მყარი შიდა ავტონომიური წესებით . [2. გვ. 9]

შრომის გარე ბაზარი ახასიათებს შრომის მიწოდებისა და მოთხოვნის მხარეებს შორის წარმოშობილ ურთიერთობებს მთლიანად ქვეყნის, ასევე რეგიონის და დარგის მიხედვით. შიგა ბაზარი კი იმ ურთიერთობებს, რომელიც უკავშირდება მომუშავის თანამდებობრივ გადაადგილებას ფირმის ან საწარმოს დონეზე. აღსანიშნავია, რომ შრომის შიგა და გარე ბაზრები არაელასტიურნი არიან ერთმანეთის მიმართ და ერთმანეთისგან თავისებური ინსტიტუციონალური ბარიერებით გამოიყოფიან:

- **პირველი**, ესაა ეკონომიკური დაცემის პერიოდში ფირმების მხრიდან მომუშავეების „დამაგრების ფაქტები. დამსაქმებლები გარკვეული დროით ცდილობენ შეინარჩუნონ კვალიფიციური მომუშავეები და

გასწიონ ამასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯები იმ იმედით, რომ ეკონომიკური აქტიურობის ამაღლებისას ეს ხარჯები სრულად იქნება ამოღებული;

- **მეორე,** ფირმების უმრავლესობა, მიუხედავად იმისა, რომ მათი მომუშავეები გაერთიანებულნი არიან პროფკავშირებში თუ არა, ხელმძღვანელობენ პრინციპით, რომლის თანახმადაც ხელფასს არ გააჩნია სწრაფი რეაგირების უნარი საბაზრო კონიუნქტურის ცვლილებაზე, რაც სხვადასხვა გარემოებებით აიხსნება, კერძოდ:

- ფირმის ხელმძღვანელობასა და მომუშავეებს შორის არსებული საკონტრაქტო ხელშეკრულება არ იძლევა ამ კონტრაქტის მომენტალურად გაწყვეტის შესაძლებლობებს საწარმოს პროდუქციაზე მოთხოვნის შემცირების გამო;

- პროფკავშირების საქმიანობა, რომელიც მათი წევრების შრომის პირობების დაცვისკენაა მიმართული.

შრომის შიგა ბაზარი მიმართულია მოცემული საწარმოსათვის სპეციფიკური სამუშაოებისა და პროფესიების მიხედვით მომუშავეთა მომზადებაზე. საწარმოები ამ შემთხვევაში დაინტერესებულნი არიან მომუშავეთა კვალიფიკაციის ამაღლებაში და ამისთვის საჭირო ხარჯების უდიდეს ნაწილს თვითონ გაიღებენ, წარმოიშობა ე.წ. „უწყვეტი განათლების“ სისტემა, რაც ასევე ხელს უწყობს კადრების დენადობის შემცირებას.

. **გარე შრომის ბაზრისაგან** განსხვავებით, სადაც ურთიერთობათა რეგულირება ემყარება სამუშაოთა მკაცრ კლასიფიკაციას, თითოეული სამუშაოს შინაარსი მკვეთრი საზღვრების დადგენას, შიგა ბაზარზე ეს ურთიერთობები ემყარება მომუშავეთა დასაქმების გარანტიებს და საწარმოში მუშაობის დიდი სტაჟის მიღების სტიმულირებას.

პერსონალის მართვის ინსტიტუციონალური სტრუქტურა ბოჭავს საწარმოს მეპატრონეებსა და ზოგიერთი კატეგორიის მომუშავეებს, ანეიტრალებს რა გარე ბაზრის კონიუნქტურის მკვეთრ ცვლილებას. ამასთან შრომის ბაზრის პირობებში კავშირი მომუშავეებსა და სამუშაო ადგილებს შორის მეტად მჭიდროა და სამუშაო ძალის მობილობა დამოკიდებული არაა მხოლოდ მოთხოვნა-მიწოდების მექანიზმის მოქმედებაზე.

შრომის ბაზრის გაყოფას გარე და შიგა შრომის ბაზრებად პირობითი ხასიათი გააჩნია, რადგანაც რიგი განსხვავებული ნიშნებისა და თვისებების მიუხედავად, ისინი მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი. თითოეულ მათგანს გააჩნია მაჩვენებელთა საკუთარი ერთობლიობა, რაოდენობრივ-ხარისხობრივი მახასიათებლები, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ შევაფასოთ მათი მოცულობითი და ხარისხობრივი პარამეტრების თანაფარდობა. ეს უკანასკნელი შეიძლება განსხვავებული იყოს ამა თუ იმ ქვეყნის მიხედვით. მაგ., იაპონიაში მოქმედებენ კარგად ორგანიზებული შიგა ფირმული შრომის ბაზრები, მაშინ როდესაც აშშ-ში გარე პროფესიული შრომის ბაზრები უფრო მეტადაა წარმოდგენილი.

შრომის ბაზრის სეგმენტაციის თეორიის განვითარებამ უბიძგა დერინგერს და პიორეს ჩამოეყალიბებინათ შეხედულებები დასაქმების **„პირველადი და „მეორადი“** სექტორების არსებობის შესახებ. [2, გვ. 10] აღნიშნული შეხედულებების მომხრეები შრომის ერთობლივ ბაზარს ყოფენ ორ ერთმანეთისგან არაკონკურირებად პირველად და მეორად სექტორებად.

პირველადი შრომის ბაზარი და მისი შესაბამისი სამუშაო ადგილების სისტემა ხელმისაწვდომია მომუშავეთა პრივილეგირებული ფენებისთვის, რომლებსაც უპირატესობა გააჩნიათ სამუშაო ადგილების არჩევისას. პირველადი შრომის ბაზრებისათვის დამახასიათებელია არახელსაყრელი კონიუნქტურული ზემოქმედებისაგან დაცვის მაღალი ხარისხი, სტაბილური დასაქმება, ხელფასის მაღალი დონე, შრომის კარგი პირობები, სამუშაოზე თანამდებობრივი დაწინაურების კარგი შესაძლებლობები. ამ ბაზარზე თითქმის შეუძლებელია აუტსაიდერების შეღწევა, რომელთა პროფესიული მობილობის შესაძლებლობები შეზღუდულია სხვადასხვა სოციალური, ეთნიკური, სოციო-კულტურული ბარიერებით. ამასთან აქ დასაქმებულთა სოციალური დაცვის დონე მეტად მაღალია, რომელიც უზრუნველყოფს, როგორც დამსაქმებლის, ასევე პროფკავშირების ეკონომიკურ ინტერესების პარიტეტს.

მეორადი შრომის ბაზრები - ესაა აუტსაიდერების ბაზარი, რომელთათვისაც წარმოდგენილი სამუშაო ადგილები პროფესიული თვითრეალიზაციის სტაბილურ საშუალებას არ იძლევიან. მისთვის დამახასიათებელ ნიშანს სამუშაო ადგილების ერთგვაროვნება, ასევე დამსაქმებლებისა და დასაქირავებელი მომუშავეების დიდი რაოდენობა წარმოადგენს.

შრომის ბაზრის სეგმენტაცია შეიძლება განხორციელდეს შრომისუნარიანი მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფების მიხედვით და გამოიყოს ქალთა, ახალგაზრდობის, ინვალიდთა და პენსიონერთა შრომის ბაზარი. ასევე **სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლების**

მიხედვით - განათლების დონე, პროფესიულ-კვალიფიციური შემადგენლობა, მუშაობის სტაჟი, **საკუთრების ფორმების მიხედვით** - სახელმწიფო და არასახელმწიფო. [3]

უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე, პოსტინდუსტრიული საზოგადოების ჩამოყალიბების და ინოვაციურ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში რადიკალური ცვლილებები მოხდა შრომის სფეროში. შრომის სფეროში საბაზრო ურთიერთობების გამოვლენის შედარებით ახალ ფორმას **შრომის მოქნილი ბაზრების** წარმოშობა და განვითარება წარმოადგენს. „შრომის მოქნილი ბაზრის გაგება გ. სტენდინგის მიერ განისაზღვრება როგორც ადეკვატური რეაგირების უნარი სამუშაო ძალის ფასსა, მოთხოვნასა და მიწოდებაზე, რომელიც გამოვლინდება სამუშაო ძალის ფასის, ხარისხის და რაოდენობის ცვლილებაში“ [4, გვ. 10] „მოქნილი შრომის ბაზარი შეიძლება განვიხილოთ, როგორც დასაქმების სტანდარტული და მოქნილი ფორმების ინსტიტუტი, რომელსაც ასევე უწოდებენ არატრადიციულს და არასტანდარტულს. ეს დასაქმების ისეთი ფორმებია, როცა დასაშვებია მოქმედების დიდი თავისუფლება, მეტი დამოუკიდებლობა სამეურნეო გადაწყვეტილებების მიღებისას“. [4, გვ. 28]

ეკონომიკურ ლიტერატურაში გვხვდება შრომის ბაზრის განხილვა ვიწრო და ფართო გაგებით. შრომის ბაზრის მსგავსი ნიშნით დაყოფის საფუძველს წარმოადგენს აზრთა სხვადასხვაობა შრომის ბაზრის სუბიექტების შესახებ. ვიწრო გაგებით, შრომის ბაზარი დაიყვანება შრომის მიწოდებასა და მოთხოვნის ურთიერთმოქმედების მექანიზმამდე, სადაც შრომაზე მოთხოვნა განისაზღვრება ეკონომიკაში არსებული ვაკანტური სამუშაო ადგილების, ხოლო შრომის მიწოდება იმ პირთა რაოდენობით, რომლებიც დაუსაქმებელნი არიან და აქტიურად ეძებენ სამუშაოს. [5] ვიწრო გაგებით შრომის ბაზარზე მსჯელობისას გამოყოფენ იმ გარემოებას, რომ ყოველი მოცემული მომენტისათვის შრომაზე ერთობლივი მოთხოვნისა და მიწოდების ნაწილი დაკმაყოფილებულია, რაც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წარმოების ფუნქციონირებას. გარკვეული ნაწილი კი სამუშაო ძალისა და სამუშაო ადგილების ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობის გავლენით აღმოჩნდება თავისუფალი (ვაკანტური) და საჭიროებს შევსებას. ერთობლივი შრომის ბაზრის ამ ნაწილს შეესაბამება შრომის ბაზრის ცნება ვიწრო გაგებით, მას მიმდინარე შრომის ბაზარსაც უწოდებენ.

ფართო გაგებით, შრომის ბაზარი შრომის, სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი ურთიერთობების სისტემაა, რომელიც კოორდინაციას უწევს დამსაქმებელთა და თანამშრომლების ინტერესებს, რათა უზრუნველყოს შრომის ნორმალური რეპროდუცირება და დასაქმებულთა შრომის ეფექტური გამოყენება. [6]

ფართო გაგებით, შრომის ბაზრის სუბიექტებს წარმოადგენენ, ერთი მხრივ, მთელი ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა, რომელიც ქმნის შრომის მიწოდებას, ხოლო შრომაზე მოთხოვნა განისაზღვრება, როგორც დაკავებული, ასევე ვაკანტური სამუშაო ადგილების ჯამით.

ფართო გაგებით, შრომის ბაზრის განმარტების მომხრეთა ძირითად არგუმენტს წარმოადგენს ის, რომ მომუშავეები, რომლებიც დაქირავებულნი არიან მოცემულ მომენტში, არ შეიძლება შრომის ბაზრიდან გასულებად ჩავთვალოთ, რადგანაც წარმოების პროცესში განუწყვეტლივ მიმდინარეობს დასაქმების პირობების ცვლილება, მომუშავეების პროფესიულ-კვალიფიციური მოძრაობა. მოცემულ შემთხვევაში ვლინდება შრომის ბაზრის გაგებისადმი კიდევ ერთი მიდგომა, რომლის მიხედვითაც შრომის ბაზრის არსი, დასაქმების პროცესის მახასიათებლებზე დაიყვანება. ასეთი მიდგომა აღარიბებს შრომის ბაზრის შინაარსს, რადგანაც აქ მიმდინარე პროცესები მიზნად ისახავენ შექმნან პირობები სამუშაო ძალის დაქირავებისათვის, წარმოებაში მისი ფუნქციონირებისათვის და იმ სასიცოცხლო საშუალებათა მარაგის შესაქმნელად, რომელიც მისი კვლავწარმოებისათვის არის საჭირო. ასე რომ, შრომის ბაზარზე ყალიბდება პირობები მოსახლეობის დასაქმების უზრუნველსაყოფად, მაშინ როდესაც დასაქმება ასახავს ურთიერთობებს დაკავშირებულს სამუშაო ძალის გამოყენებასთან. თანამედროვე შრომის ბაზარი შორსაა იმ ნეოკლასიკური იდეალისაგან, რომლის თანახმადაც იგი სასაქონლო ბაზრების ანალოგიურად განიხილებოდა, სადაც ხელფასის სიდიდე კონკურენციის პირობებში, მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე ყალიბდებოდა და უზრუნველყოფდა შრომითი რესურსების მობილობის ისეთ დონეს, რაც ეკონომიკის დარგების მიხედვით ოპტიმალური გადანაწილების საშუალებას იძლეოდა.

ამჟამად, საზოგადოებაში რეალურად არსებული ინსტიტუციონალური სისტემა, მთავრობის საქმიანობის სახით დიდ გავლენას ახდენს, როგორც ხელფასის დინამიკაზე, ასევე ეკონომიკის დარგების მიხედვით შრომის განაწილებაზე. სახელმწიფო საზოგადოების ეკონომიკურ ცხოვრებაზე ზემოქმედების უდიდეს შესაძლებლობებს ფლობს, მასზეა დამოკიდებული ეკონომიკური საქმიანობის მრავალი პარამეტრი, იგი მუდმივ და ყოველდღიურ ზეგავლენას ახორციელებს ბაზრის სუბიექტების ქცევაზე, აწესებს მათი ეკონომიკური აქტიურობის ლეგალურ და ლეგიტიმურ საზღვრებს. სახელმწიფო შეიმუშავებს დასაქმების ურთიერთობებისა და შრომის ბაზარზე სოციალური დაცვის სამართლებრივი

რეგლამენტაციის საფუძვლებს, არეგულირებს და აკონტროლებს მათ. ამავე დროს იგი გვევლინება მსხვილ დამსაქმებლად და შუამავლად შრომითი მოწყობის სისტემაში. [7]

ლიტერატურა:

1. დასაქმების პროგრამები საქართველოში კვლევები ეკონომიკაში, საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია, 2008.
2. ინტერნეტ -რესურსი http://vestnik.mstu.edu.ru/v14_1_n43/articles/01_drozh.pdf
Генезис теоретических основ формирования рынка труда А.И. Дрождинина გვ. 10.
3. ინტერნეტ-რესურსი - https://www.tsu.ge/data/file_db/library/tsartsidze_bazar.pdf
თემა - 1. შრომის ბაზრის ფუნქციონირების მექანიზმი, მისი ძირითადი ელემენტები და მახასიათებლები
4. ინტერნეტ-რესურსი http://journal.asu.ru/index.php/ec/article/viewFile/968/642
Галина Алексеевна Булатова Формирование гибкого рынка труда при переходе к инновационной экономике გვ. 28.
5. ინტერნეტ-რესურსი - https://studme.org/162502126258/ekonomika/rynok_truda_teoriya_praktika
Особенности формирования и механизм функционирования рынка труда
6. Заярная И.А. Роль компетентностного подхода к подготовке профессионалов как фактора повышения конкурентоспособности высшего учебного заведения // Фундаментальные исследования. – 2014. – № 3-4. – С. 782.
7. ინტერნეტ-რესურსი http://interesting.ge /2012/04/

რეზიუმე

შრომისუნარიანი მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმების, უმუშევრობის დაძლევის და ზოგადად ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების საფუძველი ცივილიზებული შრომის ბაზრის და მისი ადეკვატური ინფრასტრუქტურის განვითარებაა. ეფექტიანად ფუნქციონირებადი შრომის ბაზრის პირობებში ხორციელდება უმნიშვნელოვანესი რესურსის „შრომის“ რაციონალური განაწილება ფირმებს, დარგებს, პროფესიებს და რეგიონებს შორის.

ნაშრომში განხილულია ის ნიშან-თვისებები და მახასიათებლები, რის მიხედვითაც შეიძლება განხორციელდეს შრომის ბაზრის სეგმენტაცია.

ABOUT THE LABOR MARKET SEGMENTATION

Lali Sreseli, Invited Specialist

RESUME

The basis for the effective employment of the working population, the unemployment reduction and the quality of life in general is the development of the civilized labor market and its adequate infrastructure. The efficiently functioning labor market is provided by the rational distribution of the most important "labor" between firms, industries, professions and regions.

The paper reviews the characteristics of the labor market segmentation.

მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის სოციალური პრობლემები

პაატა ქურდაძე, ასოცირებული პროფესორი

როგორც საყოველთაოდ ცნობილია, მოსწავლეთათვის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა პროფესიის არჩევა. მკვლევართა აზრით მოსწავლეთა დიდი ნაწილის ინტერესები მეტად არამდგრადია. (4, 5-8) ეს ინტერესები ძირითადად აღმოცენდება ამხანაგების, ნაცნობებისა და ახლობელთა ზეგავლენით. სამწუხაროდ ამ ინტერესების წარმოშობაზე შედარებით ნაკლები ზეგავლენა აქვთ ისეთ სოციალურ ინსტიტუტებს, როგორებიცაა: ოჯახი და სკოლა. პროფესიის არჩევანის ხარისხობრივი მახასიათებლები ირხევა აბსოლუტურად გამოკვეთილი „კიდან, მხოლოდ ეს პროფესია მიზიდავს“ პასუხიდან „ჯერ არ ვიცი რა პროფესია მაინტერესებს, ვნახოთ შემდგომში რა დამაინტერესებს“ პასუხამდე.

როგორც ჩვენმა ბოლო სამი წლის განმავლობაში ჩატარებულმა კვლევებმა გვიჩვენა. მოზარდები პირველ რიგში პროფესიის არჩევის დროს უპირატესობას აძლევენ ისეთ პროფესიებს, რომლებიც აძლევენ მათ საშუალებას, ეს პროფესია თავისი შინაარსობრივი ფორმით მიესადაგებოდეს მათ თვითარჩევანს, რომელიც მიღებული აქვთ, სხვადასხვა ავტორიტეტულ პიროვნებებთან პირადი კომუნიკაციების საფუძველზე, მათი ცხოვრებისეული გამოცდილების გათვალისწინების ხარჯზე. მეორე ადგილზე დგას ისეთი პროფესიები, რომელშიც ნაკლებად, ან საერთოდ არ არის შემოქმედებითი მოღვაწეობის საშუალება. მესამე ადგილზეა ისეთი პროფესიები და სამუშაოები, რომელთაგანაც შესაძლებელია ახალი შთაბეჭდილებების მიღება.

ბოლო წლებში ჩვენს ქვეყანაში ახალი ეკონომიკურ-სოციალური პირობებიდან გამომდინარე, მოსწავლეთა პროფესიის არჩევაში მნიშვნელოვან, ან შეიძლება ითქვას მთავარ ფაქტორად გვევლინება ფინანსური მხარე. ასევე კვლევებმა გვიჩვენა, რომ მოზარდები იშვიათად ირჩევენ მშობელთა პროფესიებს. 11-12 წლის მოსწავლეთა გამოკითხვამ გვიჩვენა, რომ მოსწავლეებს ამ ასაკში მკვეთრად აქვთ წარმოდგენილი თუ რა პროფესიის მუშაკები გამოვლენ შემდგომში. ჩვენი აზრით ამ პერიოდში ეს არჩევანი მეტწილად გამოწვეულია მათი აბსტრაქტული სურვილებიდან და ნაკლებად ეფუძნება ცხოვრებისეულ რეალობას და გამოცდილებას. 14-15 წლის ასაკის მოსწავლეებში პროფესიის არჩევანის შესახებ პასუხის გაცემა უფრო რთული და პრობლემურია, რომელსაც თან სდევს გარკვეული ყოყმანის ფაქტორი. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ამ ასაკში უკვე პროფესიის არჩევანი მათ წინაშე რელური სახით არის წარმოდგენილი. ამ არჩევანში ისინი უკვე ხელმძღვანელობენ შემდეგი პოზიციებიდან გამომდინარე:

- **მინდა -** ინტერესები, მისწრაფებები, სურვილი იმუშაოს მათთვის საინტერესო საქმიანობით.
- **შემიძლია** - მათი მომზადების დონე, ცოდნის დონე, არჩეული პროფესიისათვის საჭირო უნარები და ნიჭი .
- **საჭირო** - პროფესიის მოთხოვნილებადობა, პოპულარობა საზოგადოებაში.

აქვე შეიძლება მივამატოთ ისეთი ფაქტორების გააზრება, როგორებიცაა პროფესიის პრესტიჟულობა, ანაზღაურების სისტემა, პიროვნულ-ინდივიდუალური ხასიათის მოწოდება და ა.შ.

ასევე მნიშვნელოვანია ასარჩევი პროფესიის ეგრეთწოდებული სქესის მიხედვით კლასიფიცირება. ისეთმა ფრაზებმა, როგორებიცაა „ეს არ არის ქალის, ან კაცის საქმე“, შეიძლება შეურაცხმყოფელად იმოქმედოს მოსწავლის თავმოყვარეობაზე.

ახალგაზრდობის უმეტესობა თავის ცხოვრებისეული არჩევანის მოტივაციად იყენებენ მოცემული პროფესიისადმი მდგრად ინტერესს, ამ პროფესიისათვის საჭირო უნარებს, მიდრეკილებებს, ცოდნას პროფესიის რაობის შესახებ.

მოსწავლეებში პროფესიის არჩევანში თვითგამორკვევის, ანუ თავისუფალი არჩევანის გაკეთების მოთხოვნილების გაჩენა, უკვე მიგვითითებს მის პიროვნულ მოწიფულობაზე და პიროვნული ფსიქოლოგიურ-სოციალური მახასიათებლების ფორმირებაზე (5, 12). იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეში შინაგანად ასეთი სახის მოთხოვნები არ არის აღმოცენებული, მაშინ ის პროფესიის არჩევაში საჭიროებს უფროსების ჩარევს და მოთხოვნას მათი დახმარებით გააკეთოს ეს არჩევანი. მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა ვიმოქმედოთ ძალიან დიდი სიფრთხილით, რადგან ასეთ ჩარევას მშობლების მხრიდან ხშირად მოჰყვება მოსწავლისგან რეაქციული სახის პროტესტი და გაუცხოვება. ამიტომ მშობლებმა და მასწავლებლებმა უნდა გაითავისონ ეს ფსიქოლოგიური ასპექტი. მათი ჩარევა მოზარდის პიროვნულ ფსიქიკაში უნდა იყოს მეტად ზომიერი და თანდათანობითი ხასიათისა. ეს ჩარევა უნდა ატარებდეს მხოლოდ დახმარების ხასიათს. არანაირად არ შეიძლება იყოს კატეგორიული და ძალდატანებითი. აქ უფროსებმა უნდა

გაითვალისწინონ ის ფაქტი, რომ არ შეიძლება მოზარდებს დაუკონკრეტოთ პროფესიები მხოლოდ „კარგ“ და „ცუდ“ კატეგორიებად. კატეგორიულობა ამ საკითხში იმიტომაცაა საშიში, რომ მან მოზარდში შეიძლება გამოიწვიოს მერყეობა, გულის გატეხვა და იმედგაცრუება პროფესიის არჩევაში.

მოსწავლეთა პროფესიული არჩევანის სოციალური პრობლემების კვლევაში, ასევე მეტად მნიშვნელოვანია მოსწავლეთა პროფესიული ინტერესების დიაგნოსტიკა. ხშირად მკვლევართა ერთი ჯგუფი კვლევებს ატარებენ შემდეგი სახელწოდებით „მოსწავლეთა პროფესიული ინტერესებისა და მიდრეკილებების დიაგნოსტიკა“, რომელიც მიმართულია მოსწავლეთა (როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური) მოტივაციის დასადგენად, სადაც ხდება მათი ინტელექტუალური და ემოციურ-ნებელობითი სფეროების შესწავლა (3, 17). ამ მიმართებით საპილოტედ მივიჩნიეთ მეთერთმეტე და მეთორმეტე კლასის მოსწავლეები. დიაგნოსტიკა ჩავატარეთ ამერიკელი პედაგოგების და ფსიქოლოგების გამოცდილების საფუძველზე შედგენილი ტესტებით (8, 147- 160). ხსენებულ ტესტებში ყურადღება გამახვილებული იყო როგორც მოზარდის პიროვნულ-ინდივიდუალურ თავისებურებებზე, ასევე ჩვენი განათლების სისტემის მდგომარეობიდან გამომდინარე ფაქტორების იმ პრობლემებზე და ფაქტორებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ მოსწავლეთა დამოუკიდებელი თავისუფალი ცხოვრებისეული არჩევანის გაკეთებაზე.

ტესტირების შედეგების მიხედვით გამოვლინდა, რომ პირველ ადგილზე მოიაზრება ისეთი სპეციალობები, როგორებიცაა სამართალმცოდნეობა, ეკონომიკური დარგის სპეციალობები, სამხედრო, ინფორმაციული ტექნოლოგიები, უცხო ენები და ბოლოს დაწყებითი განათლების ბაკალავრები (რომლებიც შემდგომში დამატებითი ტესტირების შედეგად მიიღებენ მასწავლებლის სტატუსს). სამწუხაროდ ჩვენს ქვეყანაში იმდენად მოუწესრიგებელია განათლების სისტემა, რომ ბოლო ჩვიდმეტი წლის განმავლობაში უმაღლესი სასწავლებლები არ ამზადებენ პედაგოგებს. ამ ფაქტს დიდი ალბათობით ანალოგი არ მოეძებნება მსოფლიო ისტორიაში, არცერთი დროის სახელმწიფოში. ეს, რა თქმა უნდა, უდიდესი სოციალური პრობლემაა არა მარტო მოზარდთა პროფესიის არჩევაში, არამედ მთლიანად ჩვენ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. რაც შეეხება ისეთ პროფესიებს, როგორებიცაა ინდუსტრიული და სოფლის მეურნეობის დარგების სპეციალობები, ისინი ყველაზე ნაკლებად, ან საერთოდ არ არის წარმოდგენილი მოსწავლეთა პროფესიების სავარაუდო არჩევნების ნუსხაში. ეს გასაგებიცაა, რადგან ჩვენ ქვეყანაში გარკვეული სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გამო ამ დარგის სპეციალობების სამუშაო ადგილები უკეთეს შემთხვევაში შემცირებულია 90%-ით, თუ არა მეტით, იმასთან შედარებით რაც გვქონდა. აღარ ფუნქციონერებს ქარხნებისა და ფაბრიკების თითქმის 95%. უმუშევართა პროცენტული მაჩვენებლებით საქართველო ერთ-ერთ პირველ ადგილზეა მსოფლიოში. მოსახლეობის ნახევარი სამუშაოს საძებნელად უცხოეთში, იაფი მუშახელის რანგშია გაფანტული. ამან გამოიწვია მოსწავლეთა სააღმზრდელო ინსტიტუტებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლის, ოჯახის, როლის მკვეთრი დაქვეითება, რადგან ხშირ შემთხვევაში მოსწავლე იზრდება მშობლების გარეშე, ნათესავების ყურადღების ფონზე. საერთოდ რაც შეეხება მოსწავლეთა აღზრდის საკითხს, შეიძლება თამამად ითქვას, დღევანდელი სკოლა ამას ვეღარ ახერხებს. აქ ამის მიზეზად გვევლინება ჩვენს ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის პრობლემათა მთელი სპექტრი, სადაც, ჩვენი აზრით, მთავარი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ აგერ უკვე 27 წელი დამოუკიდებელი სახელმწიფო ვართ და დღემდე არა გვაქვს ჩვენი სახელმწიფოებრივი იდეოლოგია. აქედან გამომდინარე არა გვაქვს მკვეთრად ჩამოყალიბებული ახალგაზრდა თაობის აღზრდის კონცეფცია, რადგან არ ვიცით, ვინ უნდა აღვზარდოთ, ან ვისთვის უნდა აღვზარდოთ. ამიტომ არის ალბათ, რომ ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები აღარ ამზადებენ პედაგოგებს, რადგან არა ვართ ბოლომდე გარკვეული, თუ როგორი მასწავლებელი უნდა მოვამზადოთ იქიდან გამომდინარე, რომ ვერ გავარკვიეთ ამ მასწავლებელმა როგორი მოქალაქე უნდა აღზარდოს. ეს მეტად მწვავე პრობლემა, ჩვენი აზრით, მეტად მოქმედებს მოსწავლეთა პროფესიულ არჩევანზე. ამას ემატება სასწავლო სააღმზრდელო მუშაობის ის ნაწილი, რომელსაც მოსწავლეთა პროფესიული აღზრდა ეწოდება. მარტო ის ფაქტი, რომ ჩვენი ქვეყანა დიდ ყურადღებას აქცევს პროფესიულ განათლებას, შემოღებულია უფასო პროფესიული განათლების ხუთ საფეხურიანი ციკლი, ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ მოსწავლეთა პროფესიული განათლების კუთხით პრობლემები არა გვაქვს. ეს პრობლემა არის და იარსებებს მანამდე, სანამ სკოლაში ამ საკითხს არ მიექცევა დიდი ყურადღება, ხოლო ჩვენი სკოლა, როგორც ეს ზემოთ არაერთხელ აღვნიშნეთ, საერთოდ ვეღარ ახერხებს სათანადო ყურადღება მიაქციოს აღზრდის საკითხებს. ის მთლიანად სწავლის პროცესზეა ორიენტირებული, რაც არ არის გამართლებული, რადგან სასწავლო პროცესი სააღმზრდელო პროცესისაგან განუყოფელი ნაწილია, ისინი ერთმანეთის გარეშე წარმოუდგენელია და ვერ მოგვცემს

სათანადო შედეგს. მოგეხსენებათ აქ ახალი არაფერია, მაგრამ რაკი ეს პროცესი დარღვეულია, ჩვენ ამ საკითხს გვერდს ვერ აუვლით.

მოსწავლეთა პროფესიულ არჩევანი ყველაზე დიდ პრობლემად მაინც რჩება შრომით ბაზარზე დასაქმების პრობლემა. ხშირად ახალგაზრდები არჩეული პროფესიით, უნივერსიტეტებში მიღებული კვალიფიკაციის მიღების შემდეგ ვერ ახერხებენ იპოვონ სამუშაო პროფესიის შესაბამისად, ან უკეთეს შემთხვევაში იძულებულნი არიან იმუშაონ დაბალი კვალიფიკაციის სამუშაოზე, მაგალითად მიმტანებად.

ამრიგად მოსწავლეთა პროფესიული არჩევანის სოციალური პრობლემების დიდი ნაწილი მოდის გარეგან ფაქტორებზე. ეს პრობლემებია: ქვეყნის არამდგრადი და განუვითარებელი ეკონომიკა, ქვეყანაში არარსებული სახელმწიფოებრივი განვითარების იდეოლოგია, არასრულყოფილი განათლების პოლიტიკა და მასზე დაფუძნებული განათლების ნაკლებად ეფექტური განათლების რეფორმა, რომელიც, სხვა დანარჩენ ნაკლოვანებასთან ერთად, განსაკუთრებულად თვალნათლივ ჩანს აღმზრდელობითი მუშაობის მკვეთრად კატასტროფულ მდგომარეობაში; უმუშევრობის მაღალი პროცენტი; ოჯახის, სკოლის, თემის, საზოგადოების არადამაკმაყოფილებელი სააღმზრდელო საქმიანობა და ურთიერთთანამშრომლობა ამ მიმართებით; სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების ნაკლებობა, ან ზოგ შემთხვევაში არარსებობა; ქვეყანაში ინდუსტრიის არქონა და აქედან გამომდინარე სასწავლო წარმოებითი შრომის უგულებელყოფა. შემდგომში ეს გარეგანი ფაქტორები დიდ უარყოფით ზეგავლენას ახდენენ მოსწავლის პროფესიული არჩევანის შინაგან ფაქტორებზე, განსაკუთრებით ისეთ ფაქტორებზე, როგორებიცაა: საკუთარი თავის და მომავლისადმი რწმენა. ყოველივე ეს უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის შემდგომ პროგრესსა და განვითარებაზე.

ლიტერატურა:

1. ნ. ვასაძე, პედაგოგიკა, თბილისი, 2005;
2. Амонашвили Ш. А., Как живете дети? Пособие для учителья, М., 1986.
3. Афанасева Н., Малухина Н., Загоскина Т., Психолого-педагогическая работа по профориентации учащихся 8-9 класов, М., 2010.
4. Зоровский Г. Е., Социология оброзования и парадигмы, М., 2006.
5. Пряжников Н.С., Румянцева Л. С., Психология профессионального самоопределения, М., 2013.
6. Professional career – choice test -123 test. www.123test.com. /professional-career- choice-test/.
7. Coices for chillren www.alfiekohn.org/article/choices-chillren/
8. Junior Achievement. Applied Economics. Chief Economic Adviser-Harold T. Shapiro New York – 1997.

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ის სოციალური ხასიათის პრობლემები, რომელთანაც უხდებათ ურთიერთობა მოზარდებს, სკოლის მაღალი კლასის მოსწავლეებს ცხოვრებისეული არჩევანის, ანუ პროფესიის არჩევის პროცესში. ავტორის აზრით ეს პრობლემები ორი სახისაა: პირველი მომდინარეობს თავად მოსწავლეთა პიროვნულ-ინდივიდუალურ ასაკობრივი თავისებურობებიდან. მეორე კი დაკავშირებულია ქვეყნის დღევანდელ პოლიტიკურ, ეკონომიკურ-სოციალურ, მძიმე რეალობასთან. ყოველივე ამას ემატება ზემოთქმულიდან გამომდინარე ნაკლებად ეფექტური განათლების სისტემა, სადაც ქვეყნის ეკონომიკურ-სოციალურმა პირობებმა გამოიწვია მოსწავლეთა აღზრდისა და პიროვნებად ფორმირებაში ახალი პრობლემები. ხშირ შემთხვევაში მოსწავლე ახალგაზრდობა ვერ იღებს სათანადო დახმარებას ცხოვრებისეული არჩევანის გასაკეთებლად სოციუმიდან და რჩება ამ პრობლემებთან პირისპირ მარტოდ.

SOCIAL PROBLEMS OF STUDENTS' PROFESSIONAL ORIENTATION

Paata Kurdadze, Associate Professor

RESUME

High school students encounter different social problems while choosing a profession. These issues are discussed in this article precisely. From the author's point of view there are two kinds of problems: first one comes from students' personal, individual and age characteristics. And the second one is connected to the current difficult socio-economic or political reality of our country. Besides, based on all above-mentioned issues, there is less effective educational system. This means that the socio-economical problems cause new kinds of problems while forming students' personalities. In most cases students and young people as well do not get proper assistance from the society in making lifelong decisions and they face these problems alone.

ჟურნალისტის პროფესიული სტანდარტისა და სამართლებრივი სტატუსის შესახებ

მარიკა შერაზადიშვილი, პროფესორი

მსოფლიოში ინფორმაცია ყველაზე ძვირადღირებული პროდუქტია, რომელზეც კოლოსალური მოთხოვნაა. ინფორმაცია და მისი გაცვლა ყველა ადამიანური ურთიერთობის საფუძველია. სწორედ ჟურნალისტიკა უზრუნველყოფს მსოფლიოში არსებული უზარმაზარი ინფორმაციული ნაკადის რეგულირებას, ჟურნალისტს მიაქვს ადამიანებამდე სოციალურად მნიშვნელოვანი ცოდნა, ცნობები, იდეები გარემომცველი სამყაროს შესახებ.

ჟურნალისტიკა მასობრივი ინფრასტრუქტურის მთავარი სუბიექტია. ჟურნალისტისათვის აუცილებელია მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია. სწორედ ეს ძირითადი უფლება ფიგურირებს ჟურნალისტის სამართლებრივ სტატუსსა და პროფესიულ საქმიანობაში. თუმცა, მასმედიის შესახებ კანონმდებლობაში განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებშიც კი არ არის სპეციალური იურიდიული ნორმები, რომლებიც სათანადოდ განამტკიცებენ ჟურნალისტის განსაკუთრებულ უფლებებს და სოციალურ როლს. ანალოგიური სურათია ჩვენს ქვეყანაშიც. ძირითადი ნორმატიული აქტია კანონი ,,სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, მიღებული 2004 წლის 24 ივნისს, რომელშიც ბოლო ცვლილება შესულია 2016 წლის 21 დეკემბერს. 2003 წლის 14-15 მაისს საქართველოში ევროსაბჭოს ეგიდით მოეწყო სემინარი, რომელზეც ქართული მასმედიის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს დოკუმენტს, რომლის სახელწოდებაა „მედიის პროფესიული სტანდარტი“. აღნიშნული დოკუმენტი მოცულობით მცირეა და სრულად არ მოიცავს ჟურნალისტური საქმიანობის დახასიათებას: არ განსაზღვრავს, ვინ არის ჟურნალისტი, მითითებულია მხოლოდ ჟურნალისტის მოვალეობაზე - საზოგადოებას მიაწოდოს ამომწურავი, მიუკერძოებელი და უტყუარი ინფორმაცია. მიგვაჩნია, რომ უფრო სწორი იქნებოდა, აღნიშნული დოკუმენტის სახელწოდება ყოფილიყო „ჟურნალისტის პროფესიული სტანდარტი“, ვინაიდან პროფესიული სტანდარტი შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ ჟურნალისტებს, რომლებიც მედიაში მუშაობენ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არსებობს ზოგადი პროფესიული სტანდარტი, რომელიც შეიმუშავეს გაზეთებმა: ,,სამხრეთის კარიბჭე“, ,,ახალი გაზეთი“ და ,,სპექტრი“ ,,ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის“ ხელშეწყობით პროექტის - ,,რეგიონული მედია -საზოგადოების ნდობის გაღრმავებისათვის“ - ფარგლებში. ზოგად პრინციპებში ვკითხულობთ, რომ ჟურნალისტი თანაბრად უნდა ემსახუროს საზოგადოების ყველა ჯგუფს; არასრულწლოვანთა შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნებისას დაუშვებელია დანაშაულის მსხვერპლის ან დამნაშავის იდენტიფიცირება; ჟურნალისტს ევალება ინფორმაციის გადამოწმება მაქსიმუმ - ყველა და მინიმუმ - ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი წყაროს მიხედვით; ჟურნალისტმა თავი უნდა შეიკავოს ანონიმური წყაროებისაგან, მაგრამ, თუ მაინც იყენებს მათ, მკითხველს უნდა განუმარტოს, რატომ არ სახელდება რესპონდენტის ვინაობა და რატომ იყო შეუძლებელი ინფორმაციის მიღება ღია წყაროებიდან; საჭიროა სიფრთხილისა და

თანაგრძნობის გამოჩენა იმ შემთხვევების გაშუქებისას, რომლებიც პიროვნულ მწუხარებასა და სულიერ განცდებს უკავშირდება.

ზოგიერთ ცივილიზებულ ქვეყანაში ჟურნალისტთა სტატუსი განსაზღვრულია სწორედ ასეთი სტანდარტებითა და ქცევის კოდექსებით. გასაგებია, რომ ცივილიზებულ ქვეყანაში, სადაც დემოკრატიული ინსტიტუტები მყარია, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება თითქმის დამთავრებულია და კანონმდებლობა - დახვეწილი, საკმარისია ჟურნალისტის პროფესიული სტანდარტი და ქცევის კოდექსები მასმედიასა და საზოგადოებას შორის წარმოშობილი ურთიერთობის რეგულირებისათვის. საქართველოში კი, რომელიც იმყოფება დემოკრატიული გარდაქმნების სტადიაზე, ნაჩქარევად მიგვაჩნია ჟურნალისტის სტატუსის ამოგდება სამართლებრივი სივრციდან. პროფესიული სტანდარტები და ეთიკური ნორმები საკმარისი არ არის ჟურნალისტთა უფლება-მოვალეობების განსაზღვრისათვის, აუცილებელია ჟურნალისტის სტატუსის სამართლებრივი რეგლამენტაცია.

ინფორმაციის წყაროს დიდი მნიშვნელობა აქვს ჟურნალისტური საქმიანობისათვის. ზოგჯერ ინფორმაცია გაცხადებულია და არავისთვის არ არის საიდუმლო, ზოგჯერ კი ფარულია. ინფორმაციის დაცვის ინსტიტუტი ავალდებულებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების რედაქციებსა და მათ თანამშრომლებს, საიდუმლოდ შეინახონ მოქალაქეებისაგან მინდობილი ინფორმაცია, არ გამოაქვეყნონ პერსონალური მონაცემები, რომლებიც იძლევა ავტორის პიროვნების იდენტიფიკაციის შესაძლებლობას. ჟურნალისტი არ არის ვალდებული, გააცხადოს ინფორმაციის წყაროს შესახებ არც პოლიციის, არც პროკურატურის და არც უშიშროების სამსახურის მოთხოვნით. გამონაკლისს წარმოადგენს, როდესაც სასამართლოსგან არის შესაბამისი მოთხოვნა. ჟურნალისტის უფლებაა არ გახსნას ინფორმაცია, რომელიც ახდენს წყაროს იდენტიფიცირებას. ინფორმაციის წყაროს გახსნა მართლზომიერად უნდა იქნეს მიჩნეული, თუ მისი გახსნის აუცილებლობა გამომდინარეობს საზოგადოებრივი მოთხოვნილებიდან. და, საერთოდ, ინფორმაციის წყაროს გახსნა უნდა მოხდეს კანონით რეგლამენტირებული პროცედურის შესაბამისად. კერძოდ, აუცილებელია კომპეტენტური ორგანოების შუამდგომლობა ინფორმაციის გახსნის წყაროს შესახებ. ასეთი გადაწყვეტილება უნდა მიიღონ თანამდებობის პირებმა ან ხელისუფლების ორგანოებმა, რომელთაც აქვთ ინფორმაციის გახსნის კანონიერი უფლება. ხელისუფლების წარმომადგენლებმა ჟურნალისტებს უნდა აცნობონ მათი უფლების შესახებ - არ გახსნას ის ინფორმაცია, რომელიც ახდენს წყაროს იდენტიფიცირებას. ეს პრინციპი განმტკიცებულია ეროვნული კანონმდებლობის დონეზეც (საქართველოს კანონი ,,სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“). საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 95-ე მუხლის თანახმად, არ შეიძლება, მოწმედ დაიკითხოს ჟურნალისტი, თუ მას ნაკისრი აქვს ვალდებულება, არ გაამჟღავნოს მიღებული ინფორმაციის წყარო, პუბლიკაციის ავტორის სახელი ან გამოქვეყნებული მასალის ავტორი და შინაარსი. ამასთანავე, ჟურნალისტს უფლება აქვს, უარი განაცხადოს სასამართლო ორგანიზაციებისათვის ჩვენების მიცემაზე, თუ იგი მის პროფესიულ საქმიანობას შეეხება. ჟურნალისტის სამართლებრივ სტატუსში უპირველესია ინფორმაციის მოთხოვნის, მიღებისა და გავრცელების სისტემა. ჟურნალისტები საკუთარი უფლებების რეალიზაციის პროცესში ხშირად აწყდებიან პრობლემებს იმის გამო, რომ არ არსებობს ინფორმაციის მიღების სრულყოფილი სამართლებრივი მექანიზმი. ერთი მხრივ, ეს სავსებით გასაგებია, რადგან საქართველოში დღეისათვის არ არსებობს სპეციალური კანონი ,,ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ“, მეორე მხრივ, ამ ხარვეზს ავსებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლი, რომელიც შეიძლება დეტალურად არ არეგულირებს ინფორმაციის მიღების სრულ მექანიზმს, მაგრამ ითვალისწინებს მის ცალკეულ ელემენტებს.

ჟურნალისტი უფლებამოსილია, ინფორმაციის მფლობელს დაუსაბუთოს ინფორმაციის მიღების აუცილებლობა, თუმცა ეს მისი მოვალეობა არ არის. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, პირი არ არის ვალდებული, განცხადებაში მიუთითოს ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი ან მიზანი. ეს წესი, უპირველეს ყოვლისა, ეხება ჟურნალისტს, რომლისთვისაც ინფორმაციის მიღება და გავრცელება ყოველდღიური საქმიანობაა. ჟურნალისტს უფლება აქვს, ინფორმაცია მიიღოს ნებისმიერი ფორმით, როგორც ზეპირად, ისე წერილობით, აქვს ჩაწერის, კინო და ფოტოგადაღების უფლება, გარდა გამონაკლისი შემთხვევების, ავარიებისა და კატასტროფების, მასობრივი არეულობების. გარდა ამისა, ჟურნალისტს აქვს სპეციალურად დაცულ ზონებსა და იმ ადგილებში შესვლის უფლება, სადაც გამოცხადებულია საგანგებო მდგომარეობა. ჟურნალისტს აქვს შემოსული მასალების საიმედოობის შემოწმებისა და ავტორობის საიდუმლოების შენახვის უფლება. მას აქვს ინფორმაციის გავრცელების უფლება ისე, რომ არ დაირღვეს ავტორისა და სხვა განსაკუთრებული უფლებები, მათ შორის, ინტელექტუალური საკუთრების უფლება.

ცალკე გვინდა შევეხოთ ინტერნეტში ჟურნალისტის მუშაობის თავისებურებებს. სოციალური მედია თანამედროვე ჟურნალისტიკის განუყოფელი ნაწილი გახდა როგორც ინფორმაციის მოძიების, ასევე გავრცელების თვალსაზრისით. ინტერნეტ-სივრცეში ადამიანის უფლებათა დაცვა თანამედროვე ეპოქის უმნიშვნელოვანეს სამართლებრივ მიზნად უნდა იქნეს განხილული. Facebook წარმოადგენს პირადი ინფორმაციის გამოაშკარავების ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ საშუალებას, რომელზეც პასუხისმგებლობა არა ხელისუფლებას, არამედ აღნიშნული სოციალური ქსელის წარმომადგენლებს ეკისრებათ, ამ მხრივ, მოსაწესრიგებელია სოციალური მედიის მოქმედების საკითხი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 9 იანვრის Nას-1559-1462-2012 განჩინება ქართულ მედიასამართალში ერთ-ერთი იმ უიშვიათესთაგანი შემთხვევაა, როდესაც სასამართლო სოციალურ ქსელზე საკუთარი პოზიციის დაფიქსირებას ახდენს:

,,სოციალური ქსელი არის პლატფორმა, გამიზნული ონლაინ სოციალური კავშირის შესაქმნელად იმ ადამიანებისგან, რომლებსაც აქვთ საერთო ინტერესები, საქმიანობის სფერო, ჰობი ან რეალური, ცხოვრებისეული კავშირი (ოჯახური, ნათესაური, სამსახურებრივი და ა.შ.). თითოეული სოციალური ქსელი შედგება მომხმარებლის წარმომადგენლობისაგან (ე.წ. „პროფაილი“), მისი კავშირებისა და დამატებითი სერვისებისაგან. ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი და პოპულარული სოციალური ქსელი არის „ფეისბუქი“, რომელიც მსოფლიო მასშტაბით მილიონობით მომხმარებელს აერთიანებს. „ფეისბუქზე“ კონკრეტული მომხმარებლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი ხდება მასთან დამეგობრებული პირებისთვის ან ყველა მომხმარებლისთვის, ავტორის არჩევანის შესაბამისად. ინფორმაციასთან დაშვებულ ნებისმიერ მომხმარებელს შეუძლია ამ ინფორმაციის გაზიარება თავისი კონტაქტებისთვის თუ პირთა განუსაზღვრელი წრისათვის, ასევე ციტირება პირად საუბარში, პრესასა და ინტერნეტგამოცემებში. სოციალური ქსელის სწორედ ამ თვისებების გათვალისწინებით კონკრეტული მომხმარებლის მიერ ე.წ. სტატუსის თუ კომენტარის გამოქვეყნება, ინფორმაციის საჯაროდ გავრცელებად უნდა შეფასდეს“.

სასამართლოს ზემოაღნიშნული მსჯელობიდან ნათლად იკვეთება თანამედროვე სამართლებრივ სივრცეში სოციალური ქსელის როლის მნიშვნელობის საკითხი. იგი წარმოადგენს ერთ-ერთ უახლეს საშუალებას, რომლის მეშვეობითაც ვრცელდება ინფორმაცია და, შესაბამისად, თითოეული პირისთვის მინიჭებული გამოხატვის (სიტყვის, ინფორმაციის) თავისუფლების რეალიზაცია.

სოციალური მედიის გამოყენებისას ჟურნალისტი ისევე ვალდებულია დაიცვას ეთიკური და პროფესიული სტანდარტები, როგორც ეს რეალურ სივრცეში ხდება; სოციალური ქსელიდან მოპოვებული ინფორმაცია უნდა გადიოდეს გადამოწმების ყველა იმ ფილტრს, რასაც ჩვეულებრივ, სხვა გზებით მოპოვებული ახალი ამბავი გადის; ჟურნალისტს განსაკუთრებული სიფრთხილე მართებს სოციალური ქსელში გამოქვეყნებული პირადი ცხოვრების ამსახველი მასალის გამოყენებისას. ასეთ დროს სჯობს, ნებართვა აიღოს ავტორისგან; სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული ფოტო ან ვიდეომასალის ჟურნალისტურ პროდუქტში გამოყენებისას, სასურველია, ჟურნალისტმა დაადგინოს, ვის აქვს საავტორო უფლება ამ მასალაზე და მათგან ნებართვა აიღოს; სოციალურ ქსელებში დიდი ხნით ადრე გადაღებული ფოტო ხშირად ვრცელდება, როგორც ახალი, რაც შესაძლოა მანიპულაციის საფუძველი გახდეს, ეს კი თავიდან უნდა აირიდოს მედიამ.

სოციალურ ქსელში მედიასაშუალების ოფიციალური გვერდით გავრცელებული ინფორმაცია აღიქმება, როგორც მედიასაშუალების პროდუქტი და მასზე ვრცელდება ყველა ჟურნალისტური სტანდარტი, რაც ჩვეულებრივ, მედიასაშუალების მიერ გამოქვეყნებულ პროდუქტზე ვრცელდება. მედიასაშუალებაში მასალის ჩასწორებისას/მოხსნისას ანალოგიურად უნდა დარედაქტირდეს ოფიციალური გვერდით გავრცელებული ინფორმაციაც. მაგალითად, თუ ფოტო ჩასწორდა და სოციალურ ქსელში გამოცემის გვერდზე ისევ ძველი ფოტოთი არის განთავსებული, უნდა წაიშალოს და გავრცელდეს ახალი ვარიანტი. თუ ტექსტი ჩასწორდა ჟურნალისტურ პროდუქტში და იმავე ტექსტით არის გაზიარებული მასალა, ისიც გასწორებას ექვემდებარება.

ფართო უფლებებთან ერთად ჟურნალისტს აკისრია გარკვეული მოვალეობანიც. მისი მოვალეობაა, დაიცვას იმ რედაქციის წესდება, რომელთანაც ის თანამშრომლობს; საქმის კურსში ჩააყენოს მთავარი რედაქტორი მომზადებული ცნობების ან მასალების გავრცელებასთან დაკავშირებით. ჟურნალისტი არის მოვლენის უშუალო მხილველი, იგი ვალდებულია, ზუსტად და კეთილსინდისიერად გადასცეს აუდიტორიას ის, რაც ნახა და მოისმინა.

ჟურნალისტს დიდი სოციალური პასუხისმგებლობა აკისრია სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე. ჟურნალისტიკის სოციალური პასუხისმგებლობის ინსტიტუტი მოიცავს არა მარტო სამართლებრივ, არამედ პროფესიული ეთიკის ნორმებსაც. ამდენად, გასავრცელებელი ინფორმაციის

ყოველმხრივი შემოწმება არა მარტო უფლებაა, არამედ მოვალეობაც, რაც, თავის მხრივ, საფუძვლად უდევს ჟურნალისტის სოციალურ პასუხისმგებლობას. ჟურნალისტი მართალი უნდა იყოს არა მარტო საკუთარ თავთან, არამედ იმ პირთანაც, ვისზედაც აქვეყნებს ინფორმაციას და, უპირველეს ყოვლისა, ქვეყანასა და საზოგადოებასთან. საზოგადოების ერთი ნაწილის აგრესია პრესისადმი ზოგჯერ იმ ჟურნალისტების ბრალია, რომლებიც გულგრილად ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას, ზერელედ ეპყრობიან ადამიანებს და საკუთარ პროფესიასაც. ხარვეზები ჟურნალისტურ საქმიანობაში ხშირად გამოწვეულია დაბალი სამართლებრივი კულტურით, მართლშეგნების დაბალი დონით. მასმედიის წარმომადგენლებს - ჟურნალისტებს, ტელეწამყვანებს, მაუწყებლობის ორგანიზატორებს საერთო კულტურასთან ერთად უნდა ჰქონდეთ სამართლებრივი კულტურა და თანამედროვეობის შესატყვისი სამართლებრივი ცნობიერება, უნდა იყვნენ კანონმორჩილნი, თვითნებურად არ უნდა შეიჭრან სამართლებრივ სივრცეში და გადალახონ სამართლებრივი ზღვარი.

როგორც აღვნიშნეთ, ამჟამად საქართველოში ჟურნალისტის სამართლებრივი სტატუსი არცერთი საკანონმდებლო აქტით არ არის რეგულირებული. აუცილებელია არსებობდეს როგორც პრესის თვითრეგულირების დეტალურად დამუშავებული სისტემა, ასევე ნორმატიული აქტი ჟურნალისტური საქმიანობის შესახებ. დემოკრატიულ საზოგადოებაში განმტკიცებული უნდა იყოს ჟურნალისტის შემოქმედებითი თავისუფლების გარანტიები და სათანადო სამართლებრივი სივრცე მედიის ეფექტური, ხარისხიანი და საზოგადოების ინტერესების შესაბამისი საქმიანობისათვის.

ლიტერატურა:

1. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge;
2. ს. ჯორბენაძე, უ. ბახტაძე, ზ. მაჭარაძე, მედიასამართალი, თბ., 2014;
3. ზოგადი პროფესიული სტანდარტები
http://reporter.ge/wp-content/uploads/2011/04/6_97_983912_standartebi3.pdf;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 9 იანვრის Nას-1559-1462-2012 განჩინება.

რეზიუმე

ჩვენს ქვეყანაში ჟურნალისტის უფლებების და სოციალური როლის განმსაზღვრელი ძირითადი ნორმატიული აქტია კანონი ,,სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, მიღებული 2004 წლის 24 ივნისს, რომელშიც ბოლო ცვლილება შესულია 2016 წლის 21 დეკემბერს. 2003 წლის 14-15 მაისს მიღებულია „მედიის პროფესიული სტანდარტი“, რომელიც სრულად არ მოიცავს ჟურნალისტური საქმიანობის დახასიათებას: არ განსაზღვრავს, ვინ არის ჟურნალისტი, მითითებულია მხოლოდ ჟურნალისტის მოვალეობაზე - საზოგადოებას მიაწოდოს ამომწურავი, მიუკერძოებელი და უტყუარი ინფორმაცია. ვფიქრობთ, ნაჩქარევია ჟურნალისტის სტატუსის ამოგდება სამართლებრივი სივრციდან. პროფესიული სტანდარტები და ეთიკური ნორმები საკმარისი არ არის ჟურნალისტთა უფლება-მოვალეობების განსაზღვრისათვის, აუცილებელია ჟურნალისტის სტატუსის სამართლებრივი რეგლამენტაცია. ასევე არ არსებობს სპეციალური კანონი ,,ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ“, ამ ხარვეზს ავსებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლი, რომელიც შეიძლება დეტალურად არ არეგულირებს ინფორმაციის მიღების სრულ მექანიზმს, მაგრამ ითვალისწინებს მის ცალკეულ ელემენტებს.

ამჟამად საქართველოში ჟურნალისტის სამართლებრივი სტატუსი არცერთი საკანონმდებლო აქტით არ არის რეგულირებული. აუცილებელია არსებობდეს როგორც პრესის თვითრეგულირების დეტალურად დამუშავებული სისტემა, ასევე ნორმატიული აქტი ჟურნალისტური საქმიანობის შესახებ. დემოკრატიულ საზოგადოებაში განმტკიცებული უნდა იყოს ჟურნალისტის შემოქმედებითი თავისუფლების გარანტიები და სათანადო სამართლებრივი სივრცე მედიის ეფექტური, ხარისხიანი და საზოგადოების ინტერესების შესაბამისი საქმიანობისათვის.

ABOUT JOURNALIST'S PROFESSIONAL STANDARD AND LEGAL STATUS

Marika Sherazadishvili, Professor

RESUME

The main normative act defining journalist's rights and social role in our country is the Law ,,About Freedom of Speech and Expression", adopted on June 24, 2004 in which the last change was made on December 21, 2016. On May 14-15, 2003 the was received ,,Professional Standard of Media'', which does not fully cover characterizing journalistic activities: It does not define who is a journalist, there is only indicated journalist's obligation to provide the society with comprehensive, impartial and true information. We think it's too untimely to take out the journalist's status from legal space. Professional standards and ethical norms are not enough to define the rights and obligations of journalists, the legal regulation of journalists' status is essential. There is no special law ,,About the Access of Information'', this error is complemented by Article 49 of the General Administrative Code of Georgia, that cannot fully regulate the full mechanism of receiving the information, but provides its separate elements.

Currently legal status of journalist in Georgia is not regulated by any legislative act. It is necessary to exist as a detailed processed system of self-regulation of the press, as well as a normative act on journalistic activity. In the democratic society must be consolidated the guarantees of journalists' creative freedom and appropriate legal space for the effective and high quality activity of the media relevant to the interests of the public.